

...ჯალლო დ... შიგ ჩასმულ...
№51 (730) ... 28 დეკემ... ...ასი 1,50 ლარ...
www.tbiliselebi.ge

რისი შეგრძნება დაკარგა ავთანდილმა დიდი ხნის წინ და ვის უთმობენ ის და მისი მინისტრის მოადგილე მეუღლე მთელ თავისუფალ და არათავისუფალ დროს

გვ. 10

გვ. 87

ვისთან ერთად გადაეშვა რომანტიკაში ანრი ჯოხაძე ქალაქგარეთ სასტუმროში

გვ. 78

რა შოკი და ფოიერვერკი ელის მოსკოვს 2015 წელს მარია მათურელისგან და რატომ დადიან რუსეთის შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები მის შოუ-რუმში

ISSN 1987-569X



გვ. 14

როგორ გამოიწვია ამერიკაში ბუმი ქართველი ბიჭების შექმნილმა ახალმა სოციალურმა ქსელმა და რა არის „დიჯაბსი“



რით დაამახსოვრა „მის მსოფლიოზე“ ყველას თავი ანა ზუბაშვილმა და რომელი მულტფილმის რეჟისორის შთაგონების წყაროდ მიიჩნევდნენ მას

გვ. 54



გვ. 83

რომელი სფეროს სპეციალისტი გახდა შეყვარებულის დამსახურებით თემო საჯაია და როდის აპირებს ის დაქორწინებას



გვ. 82

მოეწონებოდა თუ არა ილია ქორქაშვილს სინამდვილეში ნატაშკასნაირი გოგო და რა ხდება მის ცხოვრებაში რეალურად

## კვირის ფრაზები

* ის აუცილებლად გაბრაზდება – დაიწყება გაწევ-გამოწევა, მომთხოვს „დეენემის“ ანალიზის გაკეთებას
* უცერემონიოდ, ბარგით მომადგა, თითქოს სხვა ქალთან კი არა, მივლინებაში იყო წასული
* მერე იწყება მშობიარობა, და ქალები აჩენენ ახალ სიცოცხლეს, მე კი ახალ ნახატს ვქმნი

# ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

## ᲤᲝᲜᲓᲛᲐ „ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲔᲛ“ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ




*ფონდ „სიცოცხლის ხის“ დაფინანსებით, ორგანიზაციამ „ახალგაზრდული მოძრაობა თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ მცირედმხედველი და უსინათლო ადამიანებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების პროგრამა შექმნა. პროექტის ფარგლებში, ასევე, შეიქმნა სპეციალური ვებ-პორტალი (www.cvd.ge), რომელზეც განთავსებულია კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული წიგნები და საინტერესო მასალები მცირედმხედველთათვის და უსინათლოთათვის ხელმისაწვდომი ფორმით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქვეა განთავსებული ფორუმიც, რომლის მეშვეობითაც უსინათლო ადამიანებს შეეძლებათ, ისაუბრონ მათთვის გასაგებ და საინტერესო თემებზე. ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ მიმდინარე წელი შეაჯამა და დასრულებული პროექტები დააჯილდოვა. მნიშვნელოვანია, რომ ფონდმა 2014 წლის განმავლობაში 1 600 000 ლარამდე თანხა დახარჯა განათლების, გარემოს დაცვისა და შშმ ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე, განახორციელა ინდივიდუალური პირების 13 სხვადასხვა პროექტი; ეტლები გადაეცა 300 შშმ პირს.*

**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ** ***(ფონდ „სიცოცხლის ხის“ დირექტორი):*** პირველ ყოვლისა, მინდა, აღვნიშნო, რომ ფონდ „სიცოცხლის ხის“ მიერ განხორციელებულმა პროექტებმა მოიცვა სრულიად საქართველო. ჩვენ მიერ წამოწყებული 26 ახალი პროექტი საგრანტო კონკურსით დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ ფონდის ფინანსები გამჭვირვალეა და ის ყოველწლიურად ქვეყნდება.




ფონდი პროექტებს ახორციელებს აფხაზეთშიც კი, სადაც შშმ პირებს ეტლები დაურიგდათ. ჩვენ მიმართვის წერილები მოგვდიოდა სოხუმიდან და გალიდანაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, ყველას დიდი მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ ამ პროექტში შემოგვიერთდა, გვერდში დაგვიდგა და ერთი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად მუშაობდა უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

**ᲜᲐᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ** ***(„ახალგაზრდული მოძრაობა – თანაბარი შესაძლებლობებისათვის“):*** ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთ საქართველოში ვცხოვრობ – საქართველოში, სადაც არსებობს ფონდი „სიცოცხლის ხე“, რომლის მიზანიც არის გააკეთოს დიდი საქმე უსინათლო ადამიანებისთვის. თითოეული პროექტი მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ ყოველი შშმ პირი იყოს ადაპტირებული და ინტეგრირებული საზოგადოებასთან; ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, შეისწავლოს საინფორმაციო ტექნოლოგიები, წაიკითხოს აუდიოწიგნები, იურთიერთონ ერთმანეთში და გაცვალონ თავიანთი მოსაზრებები. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შედეგად შექმნილი სახელმძღვანელო უსინათლოთა 202-ე სკოლა-პანსიონში დაინერგება როგორც დამატებითი სახელმძღვანელო; ასევე, მოხდა ამავე სკოლის ინფორმატიკის პედაგოგების გადამზადება შექმნილი სახელმძღვანელოს მიხედვით. მინდა, მადლობა გადავუხადო „სიცოცხლის ხეს“ ამ ხელშეწყობისა და გულისხმიერებისთვის.

**ᲡᲝᲤᲘ ᲚᲝᲠᲘᲐ**

**მის კაბინეტთან დღის განმავლობაში არ წყდება რიგები. გენრიეტა გაგოშიძის სახელი თბილისში და არა მხოლოდ თბილისში, თითქმის ყოველი მეორე ქალბატონისთვის ნაცნობია. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ორსული ქალბატონებისთვის გენრიეტა გაგოშიძესთან ვიზიტი ორმაგად სასიამოვნოა. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ქალბატონ გენრიეტასთან ვიზიტზე, ზუსტად იცის, რომ ის არა მხოლოდ სრულყოფილ ექოსკოპიურ გამოკვლევას უტარებს ორსულ ან გინეკოლოგიური პრობლემებით მასთან მისულ ქალბატონებს, არამედ მათი გულშემატკივარი და მანუგეშებელიცაა. სხვათა შორის, ეს თვისება ქალბატონ გენრიეტას ბევრი ექიმისგან განასხვავებს. ალბათ, სწორედ ამიტომაც, ჩვენი მკითხველების ლოკალური გამოკითხვების შედეგად, ქალბატონი გენრიეტა წლის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ექოსკოპისტად სახელდება. უკვე რამდენიმე წელიწადია, ის დავით გაგუას სამშობიარო კლინიკის სახე და წამყვანი ექიმი-რადიოლოგია. მას იცნობენ, როგორც ადრეულ ვადაში ორსულობისას ნაყოფის სქესის თითქმის შეუმცდარად ამომცნობს.**

# რატომ იტარებდა ექოსკოპიურ გამოკვლევას საკუთარ თავზე ორსულობისას გენრიეტა გაგოშიძე და რის გამო ირჩევენ თბილისელი ქალბატონები ცნობილ ექოსკოპისტთან ვიზიტს

**მინი-დოსიე:** დაამთავრა რუსეთში, ქალაქ კურსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, წითელ დიპლომზე. 1991-1997 წლებში იქვე, კურსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიარა ინტერნატურა მეან-გინეკოლოგის სპეციალობით. 1998-1999 წლებში მუშაობდა უკრაინაში, ქალაქ ხარკოვში, №1 საავადმყოფოში სამეანო-გინეკოლოგიის კათედრაზე, აკადემიკოს ვ.ი. გრიშენკოს ხელმძღვანელობით. წარმატებით აიმაღლა კვალიფიკაცია ხარკოვის კლინიკური გენეტიკისა და პერინატალური დიაგნოსტიკის ბაზაზე, აკადემიკოს ე.ი. გრეჩანინას ხელმძღვანელობით. დამთავრებისას მიენიჭა სერტიფიკატი. 2010 წელს მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სერტიფიკატი – „ზრდასრულთა ეფექტური სწავლება – თანამედროვე მიდგომები".

**სამუშაო გამოცდილება:** 1. უკრაინა, ხარკოვი, კლინიკური გენეტიკისა და პერინატალური დიაგნოსტიკის ცენტრი, ექიმი-რადიოლოგი, ექიმი მეან-გინეკოლოგი 1998-2002 წლებში. 2. თბილისი, I ქალთა კონსულტაცია, ექიმი რადიოლოგი პარალელურად, ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტში ექიმი რადიოლოგი 2006-2007 წლებში. 2008 წლიდან კი გაგუას სამშობიარო სახლის წამყვანი რადიოლოგია.

***თავად ქალბატონი გენრიეტა გაგოშიძე განვლილ პროფესიულ გზას ასე იხსენებს:*** სამედიცინო განათლება რუსეთში მივიღე. თუმცა, ჩემს პროფესიულ დახელოვნებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ხარკოვის კლინიკური გენეტიკისა და პერინატალური დიაგნოსტიკის ცენტრში მუშაობამ. მოგეხსენებათ, ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, ამ რეგიონში ძალიან მწვავედ დადგა სწორედ ორსულობის დროს გამოვლენილი პათოლოგიებისა და განვითარების თანდაყოლილი მანკების საკითხი. კლინიკა ემსახურებოდა ხარკოვის ოლქების სამმილიონიან მოსახლეობას და ამ მხრივ, საკმაოდ დიდი გამოცდილება დავაგროვე. საქართველოში ერთ-ერთი შევბულების დროს ჩამოვედი და სიმართლე გითხრათ, დარჩენას არც ვაპირებდი. თუმცა, ჩემი დოსიე მაინც მოხვდა რამდენიმე კლინიკაში. შემოთავაზებები იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ გადავწყვიტე, საქართველოში განმეგრძო პროფესიული მუშაობა.

**– ქალბატონო გენრიეტა, მიუხედავად, ერთი შეხედვით, ფართო საინფორმაციო უზრუნველყოფისა, ქალბატონების დიდმა ნაწილმა მაინც არ იცის, ორსულობისას ზუსტად როდის მივიდეს ვიზიტად ექოსკოპიური კვლევების ჩასატარებლად?**

– მენსტრუაციული ციკლის 7 დღით გადაცდენისთანავე, მათ უნდა მიმართონ კვლევისთვის ექიმს, რათა ექოსკოპიურად დადგინდეს – ხომ არ გვაქვს შემთხვევა გარე ორსულობასთან და ნაძდვილად საშვილოსნოს ღრუშია ორსულობა. შემდგომი ვიზიტი უკვე ნაყოფის გულის ცემის დადგენაა. ეს ორსულობის 4-5 კვირაზეა შესაძლებელი. მერე კი უკვე 11-დან



14 კვირამდე ვიბარებთ ორსულ ქალბატონებს. ამ ვადაზე გამოკვლევა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დროს ხდება ქრომოსომული დაავადებების გამოსავლენი მარკერების შემოწმება. ეს გახლავთ კისრის ნაკეცის სიგანე, ცხვირის ძვლის სიგრძე და ასე შემდეგ. სხვადასხვა მარკერია, რომელთა დადგენა აუცილებელია თანდაყოლილი მანკების გამოსავლენად ადრეულ ვადებში. 18-22 კვირის ვადებში კი უკვე ჩამოყალიბებულია ნაყოფის ორგანოგენეზი და ჩვენ შეგვიძლია, ამის ზუსტი სურათი ვნახოთ. შემდგომი ვიზიტი საჭიროა 28-დან 32-ე კვირის ჩათვლით, როცა ორგანოები იღებს დასრულებულ სახეს და გულსისხლძარღვთა სისტემა მოითხოვს დაწვრილებით დათვალიერებას. ამ დროს სასურველია, ფერადი დოპლერის საშუალებით, შევამოწმოთ, საკმარისად მიეწოდება თუ არა ნაყოფს ჟანგბადი და საკვები ნივთიერება. შემდგომია უკვე მენის მოთხოვნით ექოსკოპიური კვლევა – ნაყოფის ზუსტი მდებარეობის გამოსავლენად, წონისა და ჭიპლარის შემოხვევის დასადგენად. ეს ეხმარება მას სამშობიარო ტაქტიკის განსაზღვრაში.

**– ქალბატონო გენრიეტა, თბილისში ცნობილი ხართ იმითაც, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ვადებში ახერხებთ ნაყოფის სქესის გამოცნობას...**

– კი, ასეა, თუმცა ეს არაა განპირობებული სქესის სელექციის მოტივაციით. საერთოდ, ამ საკითხებში, სქესის სელექციის მიზნით არ დავხელოვნებულვარ. მოგახსენეთ, რომ წლების განმავლობაში მომიწია მუშაობა უკრაინაში, სადაც ჩერნობილის კატასტროფის შემდგომ, დიდი იყო პათოლოგიების, ჰემოფილიისა და სქესთან შეჭიდული სხვა დაავადებების რიცხვი. ასეთ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ზუსტად განმესაზღვრა სქესი. ამიტომაც, პრაქტიკამ მასწავლა, რომ უკვე 11 კვირასა და 4 დღეზე, ანუ როგორც ხალხი იტყვის ხოლმე, ორთვენახევრის ორსულობისას ვხედავდი ნაყოფის სქესს... მაგრამ, საქართველოში რომ ჩამოვედი, გაოცებული დავრჩი სქესის დადგენის ხშირი მოთხოვნით. 11-12 კვირაზე რომ მეკითხებოდნენ, ნაყოფის სქესი დაინახეო, გაოგნებული ვიყავი. ნუთუ ჰემოფილია ამ დონეზეა საქართველოში გავრცელებული-მეთქი. უცხოეთში ყოფნამ, როგორც ჩანს, დამავიწყა, რომ ჩვენთან, წლების განმავლობაში ჰქონდათ რაღაც გაუგებარი აკვიატებები მამაკაცის სქესის უპირატესობასთან დაკავშირებით.

**– თავად თქვენ, ორსულობისას სად იკეთებდით ექოსკოპიას?**

– პირადად ვიტარებდი... სხვათა შორის, მინდოდა, რომ სხვა რადიოლოგსაც გავესინჯე, მაგრამ არავის ენდობოდა და ვერ ვანდე სხვას ჩემი შვილები *(იცინის)*... ვიჯექი აპარატის წინ და ვუყურებდი მონიტორს. არავითარი პრობლემა არ ყოფილა. საკუთარი თავის დიაგნოსტირება თავად ვიკისრე... ჯანმრთელი ქალბატონები მყავს – მარიამ და ლიზი ჟორჟოლიანები.

**– ქალბატონო გენრიეტა, თქვენი კაბინეტის კარებთან მუდმივად რიგია... როგორ ფიქრობთ, რა კრიტერიუმით განიჭებენ უპირატესობას პაციენტები?**

– უპირველესად, როგორც ვესი, ეს ექიმის პროფესიონალიზმითაა განპირობებული. თუმცა, პაციენტს, გარდა იმისა, რომ კვალიფიციურად უნდა მოემსახურო, მაქსიმალური ყურადღება და ემოციური მხარდაჭერაც სჭირდება. ხშირად მითქვამს, რომ სიტყვაც კურნავს და კიდევ გავიმეორებ, თანაგრძნობა ექიმისთვის აუცილებელი პროფესიული თვისებაა. როცა ჩემთან პაციენტი მოდის, ვცდილობ, მის მდგომარეობაში შევიდე, ზუსტი მიმართულება ვუჩვენო. ძალიან უშუალო ურთიერთობა მაქვს მათთან. ამიტომაცაა, რომ ერთხელ მოსული პაციენტი, ყველა ორსულობაზე ისევ ჩემთან მოდის. პაციენტების უმრავლესობას ვიცნობ. 10 წლის მერეც კი, დავინახავ თუ არა, ვიხსენებ მათ ანამნეზს. ზერელედ მუშაობა არ მიყვარს... მეც ქალი ვარ და ვიცი, რას ნიშნავს ორსულობა, შვილის მოლოდინი და მისი გაჩენის სიხარული. ამასთანავე, მიუხედავად მედია-ინფორმირებულობისა, ქალბატონებს ვურჩევ, არა მხოლოდ ორსულობისას ან ორსულობის დაგეგმვისას მიმართონ ექიმს, არამედ – გინეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნისთანავე. სირაქლემას პოზიცია მათთვის წამგებიანი იქნება. დროული დიაგნოსტიკა თავიდან აგვაცილებს შორს წასულ დაავადებას. მართალია, ზოგადად, ექსპერტული დონე არაა საქართველოში აღიარებული, მაგრამ კულუარებში ეს მაინც მუშაობს. ხალხი ხვდება, სადაა ექსპერტული დონე, სად არის მაღალი ხარისხი და ამიტომაც მიდის იქ, სადაც ასეთი მომსახურება ელოდება.

**ეკა ნაკაიძე**

# კუბის „დაცემა“

## პოლიტპარტნიორობაც – თვლით

მართალია, მანამდე **მათი გულები ერთმანეთს ეკუთვნოდა** (რფ და კუბა მყავს მხედველობაში), **იმდენადაც, რომ აგერ უკვე 50 წელია, აშშ და კუბა ერთმანეთთან უბრად იყვნენ** (კუნძულზე არც აშშ-ს საელჩო იყო და, ფაქტობრივად, იზოლაციაში იმყოფებოდნენ), მაგრამ **ისე მოხდა, რომ სანქციაგამოცხადებულ და რუბლდაცემულ რფ-ს თვით კასტროს სამწყსომაც უგანა.**



კერძოდ, გასულ კვირას **რაულ კასტროსა და ბარაკ ობამას შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა, რის შემდეგაც**, ოფიციალური ინფორმაციით, **ორივე ლიდერმა თავ-თავიანთ მოსახლეობას მიმართა და ამცნო, რომ სიყვარული განახლდა.** ამ ცნობამ **ჰავანელები ისე შეაფრთიანა, რომ ჰავანის ქუჩები ცეცხლოვანი კუბური ცეკვებით აავსებინა.**



ან კი როგორ არ აავსებდნენ, როდესაც **კუბას აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური ემბარგო მოეხსნება** (სხვათა შორის, კუნძულზე თვით ინტერნეტიც კი ხელისუფლების კონტროლქვეშაა, მხოლოდ სპეციალური ნებართვითაა შესაძლებელი სარგებლობა და საკმაოდ ძვირიც ღირს).

ასეა თუ ისე, **ადრე უბრად მყოფი აწ კი გულგამთბარი ლიდერები მხოლოდ სიტყვებს არ დასჯერებიან:** კუბური **ციხიდან აშშ-ის მოქალაქე** ალან გროსი **გაათავისუფლეს**, საპასუხოდ კი, **ფლორიდის ციხიდან – შპიონაჟში ბრალდებული სამი კუბელი.**

ჩვენ არ ვიცით, რა როლი შეასრულა რუბლის დაცემამ კუბის „დაცემაში“, მაგრამ, ვერ გამოვრიცხავთ, რომ **არა მხოლოდ ტარანა – პოლიტიკური პარტნიორობაც თვლითაა.** –

# მარადი ქალწულები

## ანუ ყვავილებდამჭკნარი ძვირად ღირებულები

თუმცა **ჩვენებური მამაკაცები კვლავაც არ აღიარებენ**, რომ ჩვენს სამშობლოში **გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია არსებობს** (ისევ იმ ვერსიაზე დგანან: **ქალები ჩვენი ცხოვრების ყვავილები არიანო**), სტატისტიკა და **კვლევები საპირისპიროს ამტკიცებენ.**

კერძოდ, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ ჩატარებული კვლევით **გაირკვა, რომ საქართველოში მამაკაცის საშუალო ანაზღაურება „ცხოვრების ყვავილების“ საშუალო ანაზღაურებას 411 ლარით აღემატება.** –

მაგრამ **განა მხოლოდ ეს?!** აღმოჩნდა, რომ **ამ ორს შორის განსხვავება**, ანუ ქალთა დისკრიმინაცია **ისეთ პროზაულ ასპექტებშიც შეინიშნება**, როგორიცაა: **სამსახურში აყვანა, ტრენინგები და დაწინაურება, დათხოვნა, ხელფასები, სხვა სახელფასო სარგებელი, თანასწორობა მოპყრობისას და გენდერული და სექსუალური შევიწროება.**

რაც მთავარია, **მიუხედავად „შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებისა** (დეკრეტული შვებულება 600 ლარის ნაცვლად 1 000 ლარი გახდა და დედობა არ არის დამსაქმებლისთვის დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი), **რაც არის, ისიც არ მუშაობს.**

კერძოდ, **დედობა კვლავ სასჯელია** (საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ქვეყნის მოქალაქე მამრობითი სქესის დამსაქმებლებისთვის). რადგან, როგორც წესი, გასაუბრებისას **პოტენციური დამსაქმებლები მდედრობითი სქესის სამუშაოს მაძიებლებთან აზუსტებენ არა მხოლოდ იმას, არიან თუ არა** ეს უკანასკნელები **დაოჯახებულები**, არამედ **იმასაც კი, მომავალში ხომ არ აპირებენ ამ მავნებლობას** და **ზედაც – მორიგი მავნებლობის, შვილის გაჩენის დამატებას.**

ჯერჯერობით **სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან ქალწულობის დამადასტურებელ ცნობას არ ითხოვენ**, თუმცა, **თუ დამსაქმებელთა შემართებას გავიხსენებთ, არ გამოვრიცხავ**, დაზღვევის მიზნით, დამსაქმებლებმა ამ ტიპის **ცნობის პერიოდულად წარდგენა სავალდებულოც გახადონ.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **გენდერული თანასწორობა ჩვენი კულტურული ტრადიციაა**, რის **ცხოვრებაში გატარებასაც ჩვენი თანამედროვე მამაკაცების უმეტესობა ვერ ახერხებს**, აშკარაა, რომ **ოცდამეერთე საუკუნის ქართველები მეთორმეტე საუკუნის ქართველების ფეხის ფრჩხილადაც არ ღირან.**

# უპატრონო მიწები

თუმცა თავად **პრ. პუტინი დიდი რუსეთისთვის მიწების შეგროვებითაა დაკავებული**, გასულ კვირას **რუსეთის „დუმის“ დეპუტატმა, ჯანდაცვის კომიტეტის წევრმა, რაზიეტ ნახტომ** კანონში ცვლილებების შეტანა მოითხოვა სპირტიანი სასმელების შესახებ, **რათა ამიერიდან და ყოველთვის მიწებდაბრუნებულ რუსეთში ალკოჰოლი მხოლოდ პასპორტით გაიყიდოს, მიუხედავად მყიდველთა ასაკისა.**



„დუმელ“ ქალბატონს ეს **ერთადერთ საშუალებად მიაჩნია არასრულწლოვანთა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.** სტატისტიკა კი ჭეშმარიტად სავალალოა. კერძოდ, **რუსეთის არასრულწლოვანი მოსახლეობიდან ალკოჰოლს მოიხმარს 33, ხოლო გოგონების – 20 პროცენტი.** მოზარდებს შორის ალკოჰოლიზმის საშუალო ასაკმა კი 15 წლიდან 11-წლამდე დაიწია.

ჩვენთვის **უცნობია, გაითვალისწინებს თუ არა რფ-ის „დუმა“ ამ კონკრეტული „დუმელის“ საკანონმდებლო ინიციატივას**, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, იბადება ლოგიკური და საბედისწერო კითხვა: მაინც, **ვის უგროვებს პრ. პუტინი ამდენ მიწას – ვითომ, ალკოჰოლიკებს?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# „მაყურებლები“

რაკი ისე მოხდა, რომ **ამ ჩვენს ქვეყანაში კრიმინალური აზროვნება ვერა და ვერ აღმოიფხვრა** და **ეს მაშინ, როდესაც დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიო ლამის მარსზე ფეხით სეირნობს**, ხოლო **ჩვენ კი კვლავაც ქურდული ტრადიციებით მოხიბლულთა პრობლემა გვაქვს**. –



ჰოდა, რაკი გვაქვს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, **პენიტენციურ სისტემაში ეგრეთ წოდებული „მაყურებლების“ სხვა მსჯავრდებულებისგან იზოლირება მოხდება**.

სახელდობრ, **მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ქურდული ტრადიციებისკენ მიდრეკილი მენტალიტეტის მქონე მსჯავრდებულები მოთავსდებიან**. – კერძოდ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

# „დავაქორწინეთ, მააშ!“

პირველი მოადგილე **ბ-ნი კახიშვილი განმარტავს, რომ** „კანონის ფარგლებში მოხდება მათი და მათი გავლენების იზოლირება დანარჩენი მსჯავრდებულებისგან. **მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ისეთი მსჯავრდებულები იქნებიან მოთავსებულები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, ვინმეს „უყურონ“**. ეგრეთ წოდებულ **„მაყურებლებს“ ერთ დაწესებულებაში მოვათავსებთ და მივცემთ საშუალებას, რომ ერთმანეთს „უყურონ“.**

ჩვენ, **ბუნებრივია, მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას** და ჩემდა თავად დავამატებ: **ისემც „უყურებიათ“, რომ, სულაც, დაქორწინებულან,** პათოსით: **„გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყალთა დენამა,** ლამაზი გოგო და ბიჭი (ამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, **ეს ჩვენი „მაყურებლები“) ერთმანეთისა ცქერამა.“**

# „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“

## ანგარიშნაყოფები

თუმცა **ისინი ერთად არიან დავანებულები საბაჟო კავშირში** და **ევრაზიულშიც იმავეს აპირებენ**, ბელორუსის პრეზიდენტმა, **სიყვარული სიყვარულადო, მაგრამ ბელორუსის მთავრობას დაავალა**, **სულზე უტკბესთან**, ანუ რფ-სთან **ანგარიშსწორება მყარ ვალუტაში განახორციელონ.**



სახელდობრ, **„ბატკად“ წოდებულმა ბრძანა:** „გვაქვს ამოცანა, რომ **ვივაჭროთ არა რუბლებით, არამედ – დოლარებით**, რადგან **ჩვენ ენერგორესურსების საფასურს რუსეთს სწორედ დოლარებით ვუხდით**“. –

**ეს შეუსაბამობა** ბ-ნმა ლუკაშენკომ **ბელორუსის მთავრობის ნაკლად მიიჩნია** და ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირზე განაცხადა, რომ **ბელორუსი არ აპირებს, საკუთარი ვალუტა სამარეში ჩააყოლოს თუნდაც სულზე უტკბესს.**

მეტიც – ვერდიქტიც გამოუტანა: **„არ ვაპირებთ, გავეკიდოთ რუსეთს, ეს კატეგორიულადაა აკრძალული, იმიტომ რომ, არავინ იცის, რა მოხდება რუსეთის ბაზარზე.“**

მეორე მხრივ, **ბელორუსში რფ-ის ელჩმა განაცხადა,** რომ **უახლოეს მომავალში ბელორუსში უფრო მეტი რუსული საბრძოლო თვითმფრინავი იქნება** და იქვე შეგვახსენა, ჩვენ რა – ბელორუს **კოლეგებს შეახსენა, რომ 2013 წლის დეკემბრიდან ბელორუსიის ცაზე სამხედრო პატრულირებას ეწევიან რუსული ავიაგამანადგურებლები**.

თუმცა, ზემოთ ვნახეთ, **ამ კეთილი სამხედრო ჟესტის მიუხედავადაც**, ევროპის **უკანასკნელ დიქტატორად შერაცხული, ერთგულია ქართული სიბრძნისა: ძმამ ძმას ანგარიში უყო, მაგრამ ისევ ძმებად დარჩნენო**. –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# „მეგობარი მიწოდე“

გასულ კვირას **ამ ჩვენმა სახმინისტრმა** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილმა, **ამ ჩვენსავე სეპარატისტებს მეგობრობის ხელი გაუწოდა** (პათოსით: „მეგობარი გიწოდე, ხელი გამოგიწოდე“), ანუ **პირდაპირი დიალოგი შესთავაზა,** თუმცა, **მხოლოდაღიარებულებმა შორს დაიჭირეს** (ოკუპანტური პრინციპით: **„ტამბოვსკი ვოლკ ტებე ტოვარიშჩო“).**

**„იუჟნაია ოსეტიელი“ „საგარეო საქმეთა სამინისტროს“ პირით შემოგვითვალეს, რომ** ეს **საქართველოს ხელისუფ-**




**ლების მორიგი ინსინუაციებია** (ეს **ულვაში მომპარსეთ,** რომ არა ეს განცხადება, **თუ დამეჯერებინა, რომ ცხინვალის შემოგარენში ეგზომ რთული ტერმინებიც იცოდნენ**) და მიზნად განა აფხაზ და ოს საზოგადოებებთან კონტაქტს, საერთაშორისო საზოგადოების შეცდენას ისახავსო.

სახელდობრ, ზემონახსენები თვითმარქვია უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ, პირიქით, **საქართველოს ხელისუფლების განზრახვაა, ნებისმიერი, მათ შორის ძალისმიერი გზით აიძულოს „იუჟნაია ოსეტია“, საქართველოს შემადგენ-**

## „გომბიოები“

**ლობაში შევიდესო.**

ეს ამბავი კი იმიტომ არ უნდათ, რომ დღეს **საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით დაბალი ყოფილა, ვიდრე „იუჟნაია ოსეტიაში“!** ზედაც, **დაამატეს, რომ სამხერთელი ოსებისთვის საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოსყიდვაა** (რაც, ძალაუნებურად იწვევს ოკუპანტურისავე ასოციაციას: **„ს კატერტიუ დოროგა“ მიქელ-გაბრიელთან შესახვედრად,** მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ ასე არ ვფიქრობთ – ).

უფრო მეტიც, **ძველი „ცოდვებიც“ გაგვიხსენეს:** „რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებით **აღებული ვალდებულებების მიუხედავად, რომელიც ქართულ-ოსური 1993 წლის კონფლიქტის ზონაში ეკონომიკურ აღმშენებლობას ითვალისწინებდა, საქართველოს ერთი რუბლი არ გამოუყვია მის მიერ სამხრეთ ოსეთში დანგრეული ობიექტების აღსადგენად** (ისე, რუბლს როგორ გამოყოფდა?!).“

ზემომოყვანილი განცხადების პოლიტიკური მოტივი მარტივად გასაგებია: **ცხინვალი რფ-სთან ინტეგრაციის შეთანხმების გასაფორმებლად ემზადება** და ყოველწლიურად **5 მილიარდი რუბლის მიღების იმედი აქვს** (რომელიც უკვე 100 000 აშშ დოლარს ჩამოსცდა), თუმცა **ეს მოლოდინი კიდევ ერთხელ ადასტურებს**, რომ **ეს ჩვენებური სეპარატისტები ისევ იმ „გომბიოებივით“ არიან, ბუმბულში ჩაგორებას მაინც ფუჩეჩ-ფუჩეჩები რომ ურჩევნიათ**. –

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, ხელისუფლების ცვლილებიდან 2-ზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ახალმა კადრებმა ვერ შეძლეს თუ არ მოინდომეს სისტემის შეცვლა, პირიქით, მოერგნენ ძველს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ „ნაციონალური“ ხელისუფლება არსად წასულა. თუმცა მთავარი განსხვავებაც უნდა აღინიშნოს – ახლებს ძველების მსგავსი არც მანიაკალური მიდრეკილებები ახასიათებთ და არც ტოტალიტარიზმისთვის სავიზიტო ბარათი – ზარ-ზეიმ-სანახაობები. იმის შესახებ, თუ როგორ გადაყლაპა თუ ცდილობს „ნაციონალური“ სისტემა „ოცნების“ გადაყლაპვას, გია ხუხაშვილთან ერთად ვისაუბრებთ.**

# როგორ გადაყლაპა „ნაციონალურმა“ სისტემამ „ოცნება“ და რატომ მოერგო ახალი ხელისუფლება ძველების მიერ შექმნილ წესებს

**– რატომ შეისისხლხორცეს ახლებმა ძველი სისტემა, უბრალოდ გაუტკბათ და მოერგნენ თუ ადამიანია ისეა მოწყობილი, რომ ზემოთ მოხვედრისას გადასხვაფერდება?**

– გარდამავალ პერიოდში სისტემა ყოველთვის იბრძვის თვითგადარჩენისთვის. ეს ბუნებრივი პროცესია და ეს ბრძოლა ბევრად უფრო სასტიკია, ვიდრე რეჟიმთან შებრძოლება.

**– იმას ამბობთ, რომ სისტემასთან ბრძოლა იმაზე რთულია, ვიდრე არჩევნებზე სისტემის შემქმნელებთან ბრძოლა?**

– დიახ და, აქედან გამომდინარე, ამ ბრძოლაში გამარჯვებისთვის საჭიროა, ძალიან მყარად იდგე იმ იდეებზე, რისთვისაც იბრძოდი და მეორე, გქონდეს გარკვეული პროფესიული ჩვევები. მე ვერ ვიტყვი, რომ სისტემამ საბოლოოდ გაიმარჯვა, რადგან პროცესს არ მიუღია შეუქცევადი ხასიათი, მაგრამ შანსი იმისა, რომ სისტემა დამარცხდეს, შენარჩუნებულია, თუმცა ნელ-ნელა მცირდება. ამის ბევრი ტესტი არებობს და ერთ-ერთი ბოლო ტესტი სისტემის ძლევამოსილებისა, იყო იმავე მოსმენების თემა. ჩვენ, ყველა, ვინც პროცესში ვიღებდით მონაწილეობას, ვიყავით დაზარალებული მხარე: გვისმენდნენ, გვიყურადებდნენ, გვაშანტაჟებდნენ და, მიუხედავად ამისა, დღეს ამ სისტემამ მოიპოვა ფუნდამენტური გამარჯვება, ოღონდ იმედი მაქვს, არა საბოლოო.



**ჩვენთან ვერა და ვერ მოხერხდა ინსტიტუტისა და პიროვნების გამიჯვნა. ძალაუფლება პიროვნებასთანაა გაიგივებული და როდესაც ვლაპარაკობთ პრეზიდენტზე, ჰგონიათ, რომ ვლაპარაკობთ გიორგი მარგველაშვილზე**

**– პირადად მე არ ვეთანხმებოდი გასაღების მობილური ოპერატორებისთვის გადაცემას.**

– ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ რომ გასაღების მობილური ოპერატორებისთვის გადაცემა არის სტანდარტი დასავლეთის რიგ ქვეყანაში. არა მგონია, არგუმენტი იყოს, რომ მობილური კომპანიების უკან დგანან უცხოელი მეპატრონეები.

**– სხვა არგუმენტს ვემხრობი: მობილურ ოპერატორებს ისედაც აქვთ ჩვენი მოსმენა-თვალთვალის ტექნიკური საშუალებები, რასაც მათ თითქმის ვერაფრით დაუმტკიცებ.**

– კი ბატონო და ზუსტად ამიტომ იქნებოდა მათთვის გასაღების გადაცემა სწორი.

**– უფრო შეამოწმებდი და იმიტომ?**

– დიახ და კს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებასაც გულისხმობს. ზუსტად ამ ლოგიკით წავიდნენ, რადგან მათ მაინც აქვთ ამის საშუალება, არ მივცეთ გასაღებიო, მაგრამ დღეს მათ შეუძლიათ, აბსოლუტურად უპასუხისმგებლოდ აკეთონ ეს, მაგრამ ხელი გაიშვირონ სხვისკენ და თქვან, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. თუმცა ეს ჩავლილი მატარებელია, მექანიზმები და მოდელები შეიძლება, იყოს სხვადასხვა, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, სისტემამ თქვა, მე ეს მექანიზმი მჭირდება და უნდა შევინარჩუნო.

**– ეს ხომ იმთავითვე გამოჩნდა, როდესაც არ დასაჯეს ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდა ჩვენს უკანონო მოსმენა-თვალთვალ-შანტაჟში?**

– დიახ, ჩანდა და ზუსტად ამაშია ცვლილებების სურვილის ძალა და პოლიტიკური ნება, რომ, თუ რეალურად გინდა ცვლილებები, სისტემა უნდა გადატეხო და სისტემას ლოკალური ბრძოლები მოუგო, რადგან დიდი ომი მოსაგები გაქვს სისტემის დემონტაჟისთვის. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ფასეულობებისთვის ბრძოლაში ვიყავით, ერთ-ერთი ფუნდამენტური ფასეულობა ეს იყო. მეორე მხრივ, დღევანდელი ხელისუფლება ბევრად უფრო ჰუმანურია. გარკვეულწილად ის უარს ამბობს ძალიან ბევრ რამეზე, რაზეც უარის თქმა უწევს იმის გამოც, რომ არ შეუძლია ასე მართვა. შეიძლება, შენ „ბოინგი“ იყიდო, მაგრამ, მართვა თუ არ იცი, უბრალოდ ვერ მართავ.

**– და ყველა არ წავა იმაზე, რომ ამ „ბოინგში“ მსხდომი ხალხი დააზარალოს დაუფიქრებლად. იმის თქმა მინდა, რომ რთულიცაა, იყო ისეთი სასტიკი, როგორიც იყო წინა ხელისუფლება.**

– მე ვფიქრობ, დღევანდელი ხელისუფლება არ არის ერთგვაროვანი. ამ ხელისუფლებაშიც, ისევე, როგორც ყოველთვის იყო, არსებობს მორჩილი უმრავლესობა, რომელსაც სულ არ აინტერესებს პერსპექტივები და რომლებიც ყოველთვის მზად არიან, შეასრულონ სისტემის ნებისმიერი ბრძანება. თუმცა, ჩემი აზრით, საკმაოდ ძლიერია პროტესტი, სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ აქტიურია და პარლამენტშიც არიან მცირე, მაგრამ მაინც ჯგუფები, რომლებიც მზად არიან, გააგრძელონ ეს ბრძოლა და არ დანებდნენ. ასე რომ, არც ასე უიმედოდაა საქმე.

**– გარდა მოსმენების კანონისა, კიდევ რით გამომჟღავნდა სისტემის მდგრადობა?**

– სიტემამ თავისი მდგრადობა გამოავლინა ყველა ძირითადი მიმართულებით. იმავე ეკონომიკაში, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბიზნესი აღარ არის ინტეგრირებული ხელისუფლებასთან, სისტემური ცვლილებები არც იქ დაწყებულა. ვგულისხმობ კონკურენციის შეზღუდვას, მსხვილის მიერ წვრილის დაჩაგვრას; ეკონომიკური სისტემები ისე იგება მსხვილ კომპანიებზე, რომლებიც საბოლოოდ ისევ შეიძლება, ჩამოყალიბდნენ კარტელებად თუ მონოპოლიებად. ანუ ისეთი დარტყმა არ მიუყენებიათ არსებული ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, რაც უზრუნველყოფდა ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც, ისევე, როგორც წინასთვის, როგორც ჩანს, მოკლევადიანი ამოცანები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობა. მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ნამდვილად გაუმჯობესებაა, სოციალურ სფეროშიც, რა თქმა უნდა, გვაქვს წინსვლა, მაგრამ ეს ყველაფერი არის დეტალები. მთლიანად სახელმწიფოებრივი ქსოვილი ჯერ კიდევ შორსაა განკურნებისგან და ამ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით არის გარკვეული სტაგნაცია, უკუსვლაც კი და ამის ტესტი იყო მოსმენების თემა. მოსმენების გაუმჯობესებაზე უარის თქმით უკუსვლა დაიწყო ქვეყანაში. ქვეყანა ისევ ამბობს, რომ საზოგადოების სავარაუდო არალეგალური კონტროლი არის ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი ინსტრუმენტი. ფრანკლინის ცნობილი ფრაზაა – როდესაც უსაფრთხოების სახელით უარს ამბობ თავისუფლებაზე, საბოლოოდ, ვერც ერთს მიიღებ და ვერც – მეორეს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ამ გზაზე არის ქვეყნის ინსტიტუციური მართვის შესუსტება. დემოკრატიულ ქვეყნებში ქვეყანას მართავენ ინსტიტუტები და არა პიროვნებები, ჩვენთან ვერა და ვერ მოხერხდა ინსტიტუტისა და პიროვნების გამიჯვნა. იმდენად ღრმად აქვთ ეს ხინჯი პოლიტიკოსებს, რომ, როდესაც პრეზიდენტმა პარლამენტის ტრიბუნიდან მოსმენების თემასთან დაკავშირებით, გამოაცხადა, ჩვენ ხელს ვაწერთო, პარლამენტში ეს ვერ გაიგეს და კითხვებიც კი დასვეს, რატომ ამბობს ჩვენო. ამ დროს პრეზიდენტი ლაპარაკობდა არა თავის თავზე, არამედ – სისტემაზე. პარლამენტში ეს მიიღეს ამბიციად და პროტესტის გამომხატველი კითხვები დასვეს პრეზიდენტის მისამართით, მათ შორის, ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემაც, რაც, ჩემი აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ, მათი გაგებით, ხელისუფლება, ძალაუფლება არის პიროვნებასთან გაიგივებული და როდესაც ვლაპარაკობთ პრეზიდენტზე, ჰგონიათ, რომ ვლაპარაკობთ გიორგი მარგველაშვილზე და არა ზოგადად პრეზიდენტზე. ასე უყურებენ მოვლენებს და ეს ძალიან სახიფათოა.

**– ამის მიზეზი შესაძლოა, იყოს ის, რომ გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი იმიტომ გახდა, რომ მავანს უნდოდა, მანანა კობახიძე ვიცე-სპიკერი იმიტომ გახდა, რომ იმავე მავანს უნდოდა და ასე შემდეგ. ეს ადამიანები ხომ იმთავითვე დათანხმდნენ, შეესრულებინათ მავანის სურვილები და ეს იცოდა ამომრჩეველმაც, ვინც მათ მისცა ხმა.**

– ნუ ვიტყვით, რომ ყველა უპირობოდ დათანხმდა, გიორგი მარგველაშვილმა დაამტკიცა, რომ მასთან ასეთი შეთანხმება არ ყოფილა.

**– მე კონკრეტულად არავის ვეხები, უბრალოდ თამაშის ზოგად წესზე ვამბობ, რომელიც მიიღო ყველამ.**

– გასაგებია, მაგრამ ჩვენ გადავედით მეორე პლასტზე. ერთია, რომ ჩვენ პარლამენტში გვყავს პოლიტიკური ელიტა, რომლისთვისაც სახელმწიფო ინსტიტუტები იდენტიფიცირებულია კონკრეტულ პერსონებთან და ჩვენ გვყავს საზოგადოება, რომელმაც ისინი, აგრეთვე, იმიტომ აირჩია, რომ იდენტიფიცირებულნი იყვნენ ვილაცასთან. ეს აბსოლუტურად არასწორი გაგებაა. დღევანდელ ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, გიორგი მარგველაშვილი აღმოჩნდა ერთადერთი

ადამიანი, რომელიც მიშას მემკვიდრეობას ებრძვის.

**– მან სრულიად სხვა სტილი შემოგვთავაზა პრეზიდენტის ქცევის.**

– პარადოქსი ისაა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მას ადანაშაულებს იმაში, რასაც ის რეალურად ებრძვის. აი, ეს არის დღევანდელი სიტუაციის პარადოქსი. ამ ადამიანებს იმდენად ღრმად აქვთ გამჯდარი, ვერც კი აცნობიერებენ. მოსმენების თემა იყო მიშას მემკვიდრეობა, რის შესანარჩუნებლადაც ყველაფერი გააკეთა დღევანდელმა ხელისუფლებამ და ერთადერთი გიორგი მარგველაშვილი შეებრძოლა ამას და თან ხელისუფლების მთავარი არგუმენტი იყო, რომ გიორგი მარგველაშვილი ყოფილ ხელისუფლებასთან იყო თითქოს დაკავშირებული. სინამდვილეში პირიქით ხდებოდა, დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ და ხელისუფლება ერთგვარ სიმბიოზურ მდგომარეობაშია. ისინი კვებავენ ერთმანეთს და უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. ორივე იბრძვის სისტემის შენარჩუნებისთვის და არა – ფასეულობებისთვის. ეს არის ჭიდილი სისტემის კონტროლისთვის.

**– ერთი საკითხია, რამდენად არ ვენდობით, თურმე, საკუთარ სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის, შსს-ს, მაგრამ მეორე საკითხია, რომ დიდი ალბათობით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ფლობენ და იცნობენ მოსმენის ამ სისტემას. ასეთი ოპონენტების პირობებში ამ საკითხისადმი ლიბერალური მიდგომა ხომ არ დაასუსტებდა ხელისუფლებას?**

– პირიქით, ვფიქრობ, რომ გააძლიერებდა გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა ტაქტიკურად ეს იქნებოდა დისკომფორტი.

**– რჩები უიარაღოდ შეიარაღებულის პირისპირ.**

– თუ ვივარაუდებთ, რომ ამ მოსმენებით სარგებლობს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. არ შეცვლილა ფიგურანტები, ანუ მომსმენები, რომლებიც მუშაობენ როგორც ერთ, ისე მეორე მხარისთვის. ასეც რომ არ იყოს, მე არ მინდა სპეციფიკური სქემების გახსნა, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც მოსმენის პულტთან სხედან, უზარმაზარ ძალაუფლებას ვაბარებთ, იმიტომ რომ მათ შეუძლიათ, ნებისმიერი ადამიანების გადაკიდება მოსმენების მასალის გაყალბებით და ასე შემდეგ. მე ვვარაუდობ, რომ ეს ტექნოლოგიები სუკში გამოიყენებოდა და არ გამოვრიცხავ, რომ დღესაც გამოიყენება, არასასურველ ადამიანზე პოლიტიკური დარტყმა განხორციელდეს მოსმენების გაყალბებით. თან, ეს არის ერთგვარი ნარკოტიკი, რომელზეც დღევანდელი ხელისუფლება ისევე „დაჯდა“, როგორც „იჯდა“ მიშას ხელისუფლება. ეს არის ერთგვარი ბესთსელერი, რომლის კითხვის გარეშე საღამო ველარ წარმოგიდგენია. მე ვარაუდებს გამოვთქვამ მხოლოდ. ეს არის ძალიან ცუდი ნარკოტიკი, რომელმაც შესაძლოა, ნებისმიერი ხელისუფლება მიიყვანოს პარანოიამდე. რადგან, როდესაც ადამიანი კითხულობს ვიღაცის ვიღაცასთან საუბარს, შესაძლოა, ისინი საუბრობდნენ ამინდზე, მაგრამ ამ კითხვის პროცესში იწყება ერთგვარი პარანოია, რომ ამინდის უკან დგას რაღაც შიფრი. ეს არის ურჩხული, რომელიც, საბოლოოდ, ამ ინფორმაციის განმკარგველი აჰყავს მძევლად და ავითარებს მასში პარანოიდულ მიდრეკილებებს და მე ამას შემთხვევით არ გეუბნებით. ვამბობ ძალიან დიდი ალბათობით, რადგან თქვენ იცით, რომ შეიძლება, მე გაცილებით მეტი ვიცოდე, ვიდრე სხვამ. მე ნამდვილად არ მაქვს მოსმენების პრობლემა – ყოველთვის მისმენდნენ და თუ ვინმეს უნდა, ახლაც მომისმინოს, მაგრამ აქ საუბარია პრინციპზე და არა კონკრეტულად ჩემს ან ვინმეს განწყობაზე. ძალიან ბევრი ამბობს, მისმინონ, რა მაქვს დასამალიო. მაგრამ ყველას აქვს არჩევნის უფლება, თუ სურს, მიმართოს შსს-ს და ჩაერთოს საკუთარი ნებით მოსმენაზე. ხელისუფლებას დღეს ჰქონდა შანსი, ამაზე უარი ეთქვა სისტემურად, მაგრამ უარი განაცხადა, ეს ქმნის არასასიამოვნო პრეცედენტს და ბადებს კითხვის ნიშნებს.

**– როგორ აფასებთ „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი დაბრუნების ალბათობას?**

– ყველა თემაზე ხდება „ნაციონალებისკენ“ ხელის გაშვერა, რომ მათ რაღაც გეგმები აქვთ. მაგრამ დროა, ხელისუფლება გადავიდეს პოზიტიურ აზროვნებაზე. „ნაციონალურ მოძრაობას“ ხალხმა გამოუტანა განაჩენი და არ არის განწყობილი, რომ ისინი მოაბრუნონ. ხელისუფლებას ჰქონდა შესაძლებლობა, წინ წასულიყო და დაეწყო კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა და პოლემიკაში არ შესულიყო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და ამით არ გაეძლიერებინა ის. მათ ორივეს აქვს თავისი ამოცანები, მაგრამ მათ ორივეს აძლევს ხელს ერთმანეთისგან მტრის ხატის შექმნა. იქმნება ორპოლუსიანი ქართული პოლიტიკა და არვის აძლევენ ამ პოლიტიკურ ველზე შეჭრის უფლებას. ეს ცნობილი ტექნოლოგიაა. საბოლოოდ, ეს თამაში იშფირება საზოგადოების მხრიდან და ნებისმიერი ხელისუფლება, როგორც წესი, ამთავრებს ცუდად. მაგრამ თეორიულადაც კი არ განვიხილავ, რომ ეს ხელისუფლება წავიდეს და „ნაციონალური მოძრაობა“ მობრუნდეს.

**ნინო ხაჩიძე**

# აზა დავითაშვილი – ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა და ვინც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ შევხვდეთ და რა დავიბედოთ ახალ, 2015 წელს!

***აზა დავითაშვილი** თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც კი გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას” უწოდებდნენ. მოგვიანებით მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად” დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა” შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით თქვენ შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

**აზა დავითაშვილი**: 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ბოლო პერიოდში ბევრი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ყველაზე ხშირად ადამიანებს ოჯახის აღდგენა, დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ჯადოს მოხსნა, ბედის გახსნა, საქმიანი წარმატებები სჭირდებათ, რაშიც მათ ჩემი თილისმები და ხილვები ეხმარებათ.

**– რას გვირჩევთ, როგორ შევხვდეთ ახალ 2015 წელს, რა დავიბედოთ? როგორი იქნება დამდეგი წელი?**



– 2015 წელი ბევრად უფრო მშვიდი იქნება, ვიდრე გასული წელი, მაგრამ, პრინციპული გადაწყვეტილებებით სავსე. ეს წელი საუკეთესოა სასიყვარულო ურთიერთობისა და ოჯახური კეთილდღეობისთვის მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ ჰყავს მეორე ნახევარი. თუ როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს, ამასთან დაკავშირებით ორ-სამ ტრადიციულ რიტუალს გაგაცნობთ, დანარჩენს კი პირადად გავუმხელ მათ, ვინც დამიკავშირდება პირველ და 2 იანვარს: ახალი წლის ღამეს სახლში აუცილებლად უნდა შეიტანოთ ახალი სარკე, სადღესასწაულო მაგიდაზე უნდა იდოს ცომისგან გაკეთებული მამაკაცის ფორმის ფიგურა. ასევე, სასურველია, ახალი წლის და ბედობის ღამეს საახალწლო სუფრაზე იყოს წყლით სავსე მინის გამჭვირვალე თასი, რომელშიც მოათავსებთ მინის ჭიქას ჯეჯილით ან ხორბლით, მინის თასში უნდა ჩაყაროთ ვერცხლისფერი ხურდა, რაც აუცილებლად დაგიბედებთ ბარაქას.

**ლუიზა მ** *(59 წლის, რუსთავი)* – აზა დავითაშვილის შესახებ ბევრი გამეგონა. დიდხანს ვეძებდი მის კვალს და ბოლოს თქვენი ჟურნალის მეშვეობით მივაგენი. ოჯახში ძალიან დიდი პრობლემები გვქონდა – ფინანსურიც, პირადულიც, თან, ორივე შვილს აწეწილი ჰქონდა ცხოვრება. აზაზე გამეგონა, რომ კარტს მის მსგავსად ვერავინ შლის. კარტში უძლიერესია, საოცარი ხედვები აქვს. პირველივე შეხვედრისას ისეთი საოცარი რაღაცეები მითხრა, ცოტა შეშინებული წავედი სახლში, მაგრამ, რაც მითხრა, ყველაფერი რომ შემისრულდა, მერე ჩემი ოჯახის წევრების ბედიც მივანდე. ყველას მოგვცა თილისმები, რამდენიმე თვე ვატარეთ და, ჩემი გოგონა, რომელიც მარტოხელა დედა იყო, კარგ, წარმატებულ ბიჭზე გათხოვდა; ჩემი ვაჟიც და ქმარიც უმუშევრები იყვნენ და ორივე დასაქმდა. მას შემდეგ აზა დავითაშვილი ჩემი ოჯახის თილისმაა და არა მარტო ჩემი. ახალ წელს ვულოცავ და ჯანმრთელობას ვუსურვებ მას!

**მარინა ხ.** *(55 წლის, თბილისი)* – ჩვენი ოჯახი ბოლო წლებში ძალიან დაუძლურდა. ქალბატონი აზას შესახებ ერთ-ერთი გადაცემიდან შევიტყვე და მასთან მოვედი. როგორც მითხრა, ყველაფრის მიზეზი საგვარეულო ჯადო იყო. აზამ რამდენიმე პროცედურით შეძლო ჩვენი ცხოვრების რადიკალური შეცვლა: ჩემი ქმარი უცხოეთში წავიდა, გოგონამ ლონდონის უნივერსიტეტში უფასო სასწავლო პროგრამა მოიგო, მეორე გოგონამ კი საოცნებო სახლი შეიძინა – არაა ეს სასწაული?! ყველას ვურჩევ, დროულად მოაკითხოს ქალბატონ აზას, რადგან მას თქვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ნამდვილად შეუძლია.

***გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?***

***ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08; 593 56-10-39. მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი”, გუთნის ქუჩა № 42.***

**თამარ ჩხენკელი**

**არსებული სტერეოტიპით, ქართველები თითქოს არაკანონმორჩილი და ქაოსისადმი მიდრეკილი ხალხია და თვითორგანიზების დაბალი დონეც ახასიათებთ, თუმცა ბოლო პერიოდში გამოკვეთილი ტენდენცია მიანიშნებს, რომ ხსენებული სტერეოტიპი, მაინცდამაინც, ზუსტადაც ვერ ასახავს რეალობას: კერძოდ, შუქნიშანზე გაჩერებაც ვისწავლეთ, ღვედის გადაჭიმვაც, ნაგვის დაყრასაც გადავეჩვიეთ და ქრთამის არ მიცემასაც. მეორე მხრივ, შესაძლოა, ამის მიზეზი მკაცრი სანქციებიც იყოს, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ყოველივეს ისე მოვერგეთ, თითქოს ბავშვობიდან ცივილიზებულ სივრცეში ვისხედით, საქმე მთლად სანქციები არ უნდა იყოს. მეტიც – მაგალითად, Transparency International-ის 2014 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველო 175 ქვეყანას შორის 50-ე ადგილზეა (გასული წლის მაჩვენებელი ხუთი ქულით გაგვიუმჯობესებია). ისიც სათქმელია, რომ, ამ მაჩვენებლით, ჩვენი ოთხივე სახმელეთო მეზობელი საგრძნობლად ჩამოგვრჩება. ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად ვისაუბრებთ თემაზე, როგორ დავმორჩილდით კანონს თითქოსდა კანონდაუმორჩილებლები?**

# რატომ აღმოჩნდნენ ქართველი ბიზნესმენი კაცები ქართველ ბიზნესმენ ქალებზე ისტერიულები და როგორ შემოვრჩით ისტორიას პარაზიტობის წყალობით

– საერთოდ, ადამიანისთვის დამახასიათებელია, რომ მისი რაღაც თვისება მისი ცხოვრების ყველა ასპექტზე არ ვრცელდება... მე არ მეჩვენება, რომ ანარქია იმთავითვე ჩვენი ხასიათის თვისებაა. ანარქიის მოყვარული ყველა ხალხია და არაერთხელ მოუტანიათ მაგალითი, როგორ დაანგრიეს ლოს-ანჯელესში ყველაფერი, როდესაც სინათლე ჩაქრა. მაშინ, როდესაც ჩვენ აღფრთოვანებულები ვიყავით, ისე ჩავატარეთ მიტინგები, რომ ფოთოლი არ ჩამოვარდნილა ხიდანო. აქ ანგარიშგასაწევი ისიც არის, რომ მოგვდგამს სახელმწიფოებრიობა შეიძლება, უფრო უჩინარი სახით, ვიდრე გაცნობიერებულად. მეფე რომ დაიძახებდა, ქუდზე კაციო, გამოდიოდა ეს ქუდზე კაცი ავად თუ კარგად და ღალატის ჩვევა თუ ვინმეს ჰქონდა, უფრო თავადაზნაურობას, რომელიც თავს ელიტად მიიჩნევდა.

**– იგივე ტენდენცია გამოავლინა 2008 წლის ომმაც. მაღალი რანგის მეთაურები გამოიქცნენ ომიდან, ჯარი დარჩა. პარადოქსია, მაგრამ ასე იყო.**

– დიახ... ასევე, მართალია, ვერ მოვიგეთ 1990-ან წლებში აფხაზეთში ომი, მაგრამ ბევრი გმირობა ჩაიდინეს და ბრწყინვალე ბრძოლები გადაიტანეს ჩვენმა, არა მეომრებმა, არამედ ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა.

**– რომლებიც შეიძლება, ჯარშიც არ იყვნენ ნამყოფები.**

– თოფი პირველად დაიჭირეს ხელში და სახელებიც ვიცით იმ ბიჭების, რომლებიც იმ ამბებს ემსხვერპლნენ. ასე რომ, ამგვარი შინაგანი სახელმწიფოებრიობის მატარებლები ვართ და არცთუ ისე ბევრი ძალისხმევა უნდა იმას, რომ გავიხსენოთ ის, რაც სისხლში მოგვდგამს. ჩვენ 70-წლიან პერიოდს ვამბობთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფოებრიობა გაცილებით ადრე დავკარგეთ.



**პროვინციალიზმი, რაც პატარა ქვეყნის ავადმყოფობად შეგვიძლია, ჩავთვალოთ, დღესაც გვაწუხებს და იმის იქით ვერ ხედავ, რა ხდება სამყაროში**

**– გიორგი ბრწყინვალის შემდეგ. ექვსი საუკუნე გამოდის უკვე.**

– არადა, სად წაიღოს სახელმწიფოებრიობის ეს შეგრძნება? ისე რომ ქვეყანასთან ურთიერთობაში არ ვართ გასამტყუნარი. უფრო შრომასთან გვაქვს პრობლემა. არადა, ყურძნის ხალხი ვართ, რომელსაც დიდი შრომა სჭირდება.

**– გვაკრიტიკებენ იმის გამო, რომ დაგეგმარება არ გვიყვარს, არადა, ვაზი მრავალწლიანი კულტურაა. მომავალზე გათვლილი.**

– ეს ტრადიციით მოგვყვება, თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ დაგეგმარებასთან არ არის კავშირი.

**– არ არის რენტაბელური, მაგრამ ვაზს ვერ ჩეხავს, ჩვევაა და ვერ ელევა?**

– საუკუნეების ჩვევაა და მის მიმართ ერთგულება, რაც მამა-პაპით მოგვდგამს.

**– იმიტომ რომ თვითონ ვერ ქმნის კონკურენტულს იმისას, რაც მამა-პაპამ შექმნა?**

– ვერ ქმნის თუ არ ქმნის. არ მიდის ამაზე, რადგან ორიენტაცია არ აქვს აღებული იმისკენ, რომ მამა-პაპას შეეჯიბროს.

**– აბა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო?**

– ხშირად მითქვამს და გავიმეორებ – ერთი რამაა თვალშისაცემი, ზღვის პირას მაცხოვრებელი ხალხი ვართ და გემი არ აგვიგია.

**– გემს აშენება უნდა, თევზის ერთი კერძიც კი არ შეგვიქმნია სამზარეულოსთვის?**

– ზღვის პირას იყავი და მოგზაური გყავს თითზე ჩამოსათვლელი. ეს რის ნიშანია? ერთ ისტორიკოსს ვკითხე, რატომ-მეთქი და მიპასუხა, არ გვჭირდებოდაო.

**– გუბაზ სანიკიძემ თქვა ასეთი რამ: პორტუგალიელი ზღვაში შევიდა ამერიკამდე, ქართველი – წელამდეო.**

– თვითონ ეს პასუხი, არ გვჭირდებოდაო, ოდიოზურია, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება, შენ საკუთარი თავი დაიკმაყოფილო და თქვა, ლობიო მაქვს და მწვადი არ მინდაო.

**– და ამას რომ იტყვი, არასდროს გექნება მწვადი.**

– რა თქმა უნდა. ჩვენ ადვილად ვკმაყოფილდებით. სპორტს შეხედეთ: ფეხბურთში შესანიშნავი პერიოდი გვქონდა, მაგრამ ჩაითვალა, რომ მისაღწევს უკვე მივაღწიეთ და დავამთავრეთ.

**– და რამდენი წელია, უკვე ვუცქერთ იმ მატჩს „კარლ ცაისთან“.**

– მას შემდეგ საეროთდ ჩავაგდეთ ფეხბურთი. ეტყობა, რადგან მცირე ქვეყანა ვართ, ის სურვილი, რომ რაღაც დიდი შექმნა, არ გაგვაჩნია.

**– ამბიციურები რომ ვართ?**

– ერთმანეთთან ვართ ამბიციური, თორემ სხვა ვისთან ვართ ამბიციურები?! იშვიათია, საკუთარ თავს დავუპირისპირდეთ, მოვახერხებთ თუ არა რაღაცის გაკეთებას.

**– დაპყრობითი ომებიც იმიტომ არ გვქონია ზეობის დროსაც კი?**

– დიახ, კარგი მაგალითია. ძლიერი საქართველო იყო, მაგრამ უცბად დავკმაყოფილდით და შემდეგ მონღოლების მზვერავმა რაზმმა აგვიღო. კიდევ ერთი ჭირი გვჭირს – შეამჩნევდით, რომ კრიტიკას ვერ იტანს ქართველი. ილია ჭავჭავაძეს სხვა მოხმარება გამოვუძებნეთ, მის ნაწერებს არავინ კითხულობს და არ უფიქრდება, რას ამბობდა, მაგრამ ჭარბად ვიყენებთ. ანუ ჩვენ რაღაც კარგი საწყისებიც გვაქვს, მაგრამ ძალიან მძიმე თვისებებიც გაგვაჩნია, თორემ უკეთესად ვიქნებოდით.

**– მაგრამ მაინც ვჩანვართ.**

– უდავოდ, ჩანხარ, მაგრამ უფრო მეტის გამკეთებელი ხარ, ვიდრე შენი ერის გაბარიტებს შეეფერება.

**– სტალინმა თქვა ილია ჭავჭავაძეზე, მას შეეძლო, დარჩენილიყო რუსეთში და გამხდარიყო მსოფლიო დონის მოღვაწე, მაგრამ მან ქართულ ჭაობში დახრჩობა გადაწყვიტაო. არადა, ილია რომ არა, ჩვენ დავიხრჩობოდით.**

– მაგალითად, ნიკო მარი რუსულ გარემოში დარჩა, მაგრამ დაამთავრა ქართველობა. უამრავი ნიჭიერი ფიგურა გვყავს. ნიჭიერება თვალშისაცემია. მეორე მხრივ, ისტორიულად ისიც მოგვდგამს, რომ ვკარგავთ მათ.

**– შოთა რუსთაველი დავკარგეთ. საფლავიც არ გვაქვს, არ ვიცით, ვინ იყო.**

– გურამიშვილი... უამრავი დავკარგეთ, რაც შევძელით, ყველა და ყველაფერი დავკარგეთ. ჩვენ არ გვაქვს მიდგომა – რომ თუ ეს ადამიანი ქვეყანას სჭირდება, მე გვერდით უნდა გავდგეო. ის, რაც ილიამ თქვა, ჩვენ, ძველებმა, კალამი უნდა დავდოთ და გზა ახალგაზრდებს დავუთმოთო, არაქართული საქციელი იყო.

**– აქვე ვიტყვი, რომ სათავადაზნაურო ბანკი არ იყო მხოლოდ ილია, იმდროინდელმა თავადაზნაურობამ ამოიღო თავისი ჯიბიდან თავისი ფული, რომელიც რუსეთის იმპერატორმა მათ კომპენსაციად მისცა ბატონყმობის გაუქმების გამო და ხალხსა და არარსებულ ქვეყანას მოახმარა.**

– აი, ეს მოგვაკლდა, ძალიან, იმიტომ რომ საქართველოსთვის მზრუნველი ნაკლებია. ისევ წესრიგს რომ დავუბრუნდეთ: იქნები წესრიგის მოყვარული, იმიტომ რომ იმპერიების ბატონობას ხარ შეჩვეული და ისინი რასაც გვახვევდნენ თავზე, იმას ასრულებდი. ყველას წესრიგს ვიცავდით: არაბების, მონღოლების, ბერძნების, სპარსელების, ოსმალების, რუსების... მაგრამ დიდი კითხვის ნიშანია, გავაკეთებთ თუ არა იმას, რაც ქვეყანას სჭირდება?! არადა, ამის უზარმაზარი პოტენციალი არის, უბრალოდ ამ ხალხს უნდა გაახსენო სახელმწიფოებრიობის განცდა.

**– როგორ? მე რატომღაც. მგონია, რომ სიამოვნებთ მოქალაქეებს ელემენტარულ წესებს რომ იცავენ, მოსწონთ ეს.**

– დიახ, რა შედარებაა, კეთდება ნელ-ნელა, მდორედ. ფსიქიკის შეცვლა ერთ-ერთი რთული საქმეა, მაგრამ ამავე დროს შეიძლება, ყველაზე იოლი აღმოჩნდეს. ასე რომ, საპესიმიზმო მდგომარეობა არ გვაქვს, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ამდენი ხანია, სახელმწიფო ვერ ავაწყვეთ, აი, ამის უნდა გვრცხვენოდეს.

**– მგონია, რომ ეკლესიის სტაბილურად მაღალი რეიტინგიც ამას მიუთითებს: სახელმწიფო ვერ ავაწყვეთ და ამიტომ ეკლესია რჩება ყველაზე სტაბილურ ინსტიტუტად.**

– არ ვიცი, ასე არის თუ არა, რადგან ხან-

# როგორ დახარჯა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა 100 000 ლარი ბინის სარემონტო სამუშაოებში

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი 1972 წელსაა დაბადებული. საქართველოში უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო და სპეციალობით მათემატიკოსია. 2002 წელს კი დაამთავრა ტემპლის უნივერსიტეტის (აშშ) ეკონომიკის ფაკულტეტი და არის ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი. მისი სამუშაო გამოცდილება 1998 წელს იწყება საქართველოს პარლამენტში, სადაც მან 2000 წლამდე საბიუჯეტო ოფისის ნამყვან სპეციალისტად იმუშავა. 2002 წელს ეროვნულ ბანკში დასაქმდა, თავდაპირველად – მაკროეკონომიკისა და მონეტარული პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარ-ეკონომისტად, შემდეგ – მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსად. 2004 წელს თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსად დაინიშნა, თუმცა 2005-ში კვლავ ეროვნულ ბანკში გადაინაცვლა, ამჯერად მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსად; 2009 წლის 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, 2009 წლის დეკემბრიდან კი საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრიც გახდა და ვიცე-პრეზიდენტიც.

ბ-ნი მესტვირიშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2004 წლით თარიღდება და ის მან შეავსო, როგორც მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა. იმხანად ის დედასთან, ნანა ჯანაშვილთან და დასთან, ქეთევან მესტვირიშვილთან ერთად ცხოვრობდა. მათი უძრავი ქონება შემდეგნაირი იყო: ნანა ჯანაშვილს ეკუთვნოდა ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე (42 კვ. მ.), საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი პანტიანში და მიწის ნაკვეთი მარნეულის რაიონში, 1 200 კვ. ფართობის; არჩილ მესტვირიშვილის საკუთრება იყო მიწის ნაკვეთი სოფელ ორჯონიკიძეში (1 200 კვ. მ.). 2003 წლის განმავლობაში ბ-ნი მესტვირიშვილი, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი (მისი ეს სამუშაო ადგილი, რატომღაც, არ არის მითითებული მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში), ყოველთვიურად ხელფასის სახით 615 ლარს იღებდა, ხოლო რეფორმებისა და განვითარების ფონდიდან, ასევე ყოველთვიურად – 750 აშშ დოლარს; ნანა ჯანაშვილის, როგორც თსუ-ს უფროსი ლაბორანტის ყოველთვიური ხელფასი 70 ლარი იყო, ხოლო, ქეთევან მესტვირიშვილის, როგორც თავდაცვის აკადემიის შეფასების სამმართველოს ოფიცრის – 200 ლარი.



მეორე დეკლარაცია 2009 წლით თარიღდება, რომელიც არჩილ მესტვირიშვილმა შეავსო როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა. ოჯახის წევრებად ამჯერად მითითა: მეუღლე, 1968 წელს დაბადებული ხათუნა გაბისიანი; ორი გერი – თინათინ და ლადო გენებაშვილები და ერთი შვილი – 2006 წელს დაბადებული ალექსანდრე მესტვირიშვილი. ხათუნა გაბისიანს ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, საგარეჯოს ქუჩაზე (116 კვ. მ.) და ავტომანქანა „ტოიოტა რავ 4"; არჩილ მესტვირიშვილს კი – ზემონახსენები მიწის ნაკვეთი მარნეულში. არჩილ მესტვირიშვილს ბანკში სამი ანაბარი ჰქონდა: ვადიანზე 2 000-ს (არ არის მითითებული ლარსა თუ დოლარს) ინახავდა, მოთხოვნამდე ორ ანაბარზე კი – 10 000-სა და 20 000-ს. რაც შეეხება შემოსავლებს: 2008 წლის განმავლობაში არჩილ მესტვირიშვილმა, როგორც ეროვნული ბანკის დეპარტამენტის უფროსმა, 99 348 ლარი აიღო, ხოლო, როგორც საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორმა – 2 500 ლარი, ხათუნა გაბისიანმა კი, როგორც შპს „პრესტიჟის" დეპარტამენტის უფროსმა, 12 000 ლარი.

2011 წელს არჩილ მესტვირიშვილმა დეკლარაცია შეავსო როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა. მის ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა – 2010 წელს შეეძინა ქალიშვილი მარიტა. ოჯახის უძრავ ქონებას შეემატა არჩილ მესტვირიშვილის საკუთრება საცხოვრებელი ბინა თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე (199 კვ. მ.). 2010 წლის განმავლობაში ხათუნა გაბისიანმა ძველ სამუშაო ადგილას 17 280 ლარი აიღო; ხოლო არჩილ მესტვირიშვილმა, როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა – 21 204 ლარი, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა კი – 162 793 ლარი. 2010 წელს არჩილ მესტვირიშვილს „საქართველოს ბანკიდან" ორი იპოთეკური სესხი აუღია: 97 000 და 60 000 ლარის ოდენობის. 2011 წელს გასავალი ჰქონდა ეროვნული ბანკისგან 2005 წელს აღებული 30 000 ლარის ოდენობის სესხის დასაფარავად. ჰქონდა სხვა გასავალიც: შავი კარკასის შეძენა 160 000 ლარი დაუჯდა, სარემონტო სამუშაოები – 75 000 ლარი.

2011 წლის განმავლობაში არჩილ მესტვირიშვილმა, როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს წევრმა, 42 000 ლარი აიღო, როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა – 141 200 ლარი, ხოლო ხათუნა გაბისიანმა, როგორც შპს „პრესტიჟის" დეპარტამენტის უფროსმა, 18 000 ლარი. იმ წელს სარემონტო სამუშაოები არჩილ მესტვირიშვილს 25 000 ლარი დასჯდომია. 2012 წლის განმავლობაში არჩილ მესტვირიშვილის სახელფასო შემოსავლება 160 000 ლარი შეადგინა, ხათუნა გაბისიანი ამჯერად „ჯი პი სის" პროექტის მენეჯერად იყო დასაქმებული, რამაც მას 4 900 ლარი მოუტანა. 2013 წელს არჩილ მესტვირიშვილმაც იგივე შემოსავალი მიიღო – საერთო ჯამში 160 000 ლარი და ხათუნა გაბისიანმაც – 4 900 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

დახან მრჩება შთაბეჭდილება, ეკლესია გვიყვარს იმიტომ, რომ კარგი სადღეგრძელოა, ღმერთმა შემინდოს, თუ ვცდები, მაგრამ, ეკლესია რეალურად რომ გვიყვარდეს, ამდენი მამაძაღლობა, ქურდობა იქნებოდა?!

**– ფაქტია, რომ გულმხურვალე ქრისტიანების ქცევით არ გამოირჩევით.**

– ხშირად ადამიანებმა არც კი იციან, რა არის ქრისტიანობა. მაგალითად, პატარა ბავშვზე ხომ ძნელია იმის თქმა, როგორი საწყისია მასში, სქესის საწყისიც კი თანაბრადაა მოცემული პატარაში. რაღაც ანალოგიური რამ გვჭირს ჩვენც: მგონია, რომ ამხელა ისტორიის ქვეყანამ დალევინება ვერ მოასწრო. იმიტომ რომ თავის თავთან მარტო არასდროს დარჩენილა, სულ ხმლის ქნევა უწევდა. დაკაცება ვერ მოასწრო ერმა.

**– დაქალება უფრო მოასწრო.**

– დაქალება მოასწრო... ქართველი ქალი განსაკუთრებით ჭკვიანია. ბიზნესმენებთან ვატარებდით კვლევას. ერთ-ერთი სკალა იყო ისტერიულობის საზომი და აღმოჩნდა, რომ კაცი ბიზნესმენები უფრო ისტერიულები არიან ჩვენთან, ვიდრე ქალი ბიზნესმენები.

**– რა უცნაურია, ამ დროს პირიქით უნდა იყოს?**

– ნორმალურ ხასიათში კი. ისტერიულობის სკალა ერთნაირია ხელოვანთან და ბავშვთან, ანუ ბავშვი, ხელოვანი და ისტერიული ერთმანეთს ჰგავანან.

**– იმიტომ ვართ ნიჭიერები და ინფანტილურები?**

– ალბათ... ქართველის ხასიათში დიდი უბედურებაცაა მოცემული და დიდი ბედნიერებაც, ოღონდ დრომ უნდა გვიჩვენოს, რომელი გამყარდება მასში საბოლოოდ. საქართველოს იშვიათად ჰქონია იმის კომფორტი, რომ მხოლოდ ეფიქრა, ფიზიკური გადარჩენისთვის ფიქრი იყო მისი საქმე. თანამედროვეობა ფიზიკურ საფრთხეს ხსნის. ამიტომ დღეს და ხვალ შეიძლება, განვითარდეს ინტელექტი, ოღონდ, თუ ამის პირობები შეიქმნა. თუ არ შეიქმნა, შეიძლება, გადაიქცე მუქთახორად. საერთოდ, მცირე ქვეყნებს სჩვევია, იყოს პარაზიტი. ისტორიას სხვანაირად ვერ შემორჩებოდნენ. დიდი რომ დაიპყრობდა, ის დიდი უნდა ეწველათ. რაც უნდა მოვინდომოთ, გვქონდეს დიდი ქვეყნის ფსიქოლოგია, არ გამოგვივა, იმიტომ რომ დადი ქვეყანა არ ვართ. ეს სისუსტე, ეს განცდა, რომ შეიძლება, აგიღოს რომელიმე დიდი ქვეყნის სამხედრო შენაერთმა, ხომ სულ გაქვთ?!

**– რა თქმა უნდა, იმთავითვე იცი, რომ, თუ დაიძვრება, თურქეთი ან რუსეთი, ულაპარაკოდ მოგერევა.**

– რაც მთავარია, ჯერ კიდევ ის ფსიქოლოგია მოგვდევს, სადაც ფიზიკური ძალა წყვეტს ყველაფერს და ამას თავი ვერ დავაღწიეთ, რადგან აქედან გამოსვლის პირობები არ გვქონია. თან, პროვინციალიზმი, რაც პატარა ქვეყნის ავადმყოფობად შეგვიძლია, ჩავთვალოთ, დღესაც გვაწუხებს და იმის იქით ვერ ხედავ, რა ხდება სამყაროში. საქართველო, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია, შეასრულოს ხიდის ფუნქცია, აზრზე არ არის, რა ხდება ამერიკულ პოლიტიკაში, რუსულ პოლიტიკაში, ჩინეთსა და ინდოეთზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია?! და სრულიად გაუგებარია, როგორ ვახერხებთ ამ არცოდნით კმაყოფილებას. ეგოცენტრიზმი გვახასიათებს, მხოლოდ ჩვენი ამბავი ვიცით, სხვისი – არა. ეს ეგოცენტრიზმი დიდი დოზით ახასიათებთ ევროპასა და ამერიკას, მაგრამ ეს მათთვის დიდ უბედურებად არ ტრიალდება, იმიტომ რომ დიდი ქვეყნებია. არადა, როდესაც შენ არ იცი, აგებ ამ დიდ მონსტრებთან.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია


**„ავთანდილის“ სამოსი, განსაკუთრებით კი მისი მეორე ხაზი, ქართველი მომხმარებლისთვის ძალიან საყვარელი გახდა, რადგან, დიზაინერი მათ თითქმის ყველა მოთხოვნასა და სურვილს აკმაყოფილებს. ამიტომაც, ლამის მთელი თბილისი „ავთანდილის“ სამოსში გამოწყობილი დადის.**

# რისი შეგრძნება დაკარგა ავთანდილმა დიდი ხნის წინ და ვის უთმობენ ის და მისი მინისტრის მოადგილე მეუღლე მთელ თავისუფალ და არათავისუფალ დროს

**ავთანდილი**: ჩვენი მეორე ხაზის მომხმარებელი ძირითადად მოითხოვს მრავალფეროვნებას, როგორც ეს მას-მარკეტში ხდება. ჩვენ მათ ერთი კლასით მაღალ მას-მარკეტს ვთავაზობთ, ანუ, უფრო „ფეშენ სტრიტ სტაილი“ გოგონებისთვის, რომლებსაც პრეტენზია აქვთ მოდასთან და ალიზიანებთ ყოველდღიური მოჟამული ცხოვრება; ცდილობენ, იყვნენ ინდივიდუალურები, განსხვავებულები და ეს ყველაფერი მიიღონ ხელმისაწვდომ ფასში. ჩვენც, მომხმარებელს შევთავაზეთ სრული ასორტიმენტი: ჯინსით დაწყებული და აქსესუარებით დამთავრებული. რაც მთავარია, პირველად ქართულ რეალობაში, გვაქვს ჩვენი ქსოვილი – არის ნამუშევრები, რომლებიც ჩვენი სახლისთვის გააკეთა ოლეგ ტიმჩენკომ და ის უკვე ქსოვილის სახით წარმოვადგინეთ აბრეშუმშიც, ბამბაშიც, ჯინსშიც და მომხმარებელი ამას ძალიან კარგად იღებს. ანუ, მას აცვია სამოსი, რომელიც არსად არ მეორდება და მხოლოდ ერთი დიზაინერის მიერ საკუთარი ქსოვილით შექმნილი პროდუქტია.



ოფიციალურად ვაცხადებ: თუ იქ არაადეკვატური და მიუღებელი წერია, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩემი კომენტარი და ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებ

**– თქვენი ერთობლივი თანამშრომლობა საკმაოდ წარმატებული გამოდგა.**

– დიახ და, უკვე ვფიქრობ, სხვა მხატვრებთანაც გავაკეთო კოლაბორაცია – ამას აუცილებლად ვცდი, ჩავატარებ ექსპერიმენტებს. ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები და, ჩვენი ბრენდის მოყვარული ერთგული ქალბატონები ამით ყოველთვის მოხიბლულები არიან. ჩვენ საახალწლოდ მომხმარებელს შევთავაზეთ კეთილი „მაკნატუნებით” შექმნილი ქსოვილები, რომელიც ადამიანს კარგ ხასიათზე აყენებს, ახალ წელთან ასოცირდება და, ყველა ქალბატონისთვის, რომელიც თავის „მაკნატუნას” ეძებს, მხოლოდ ერთი გზა არის „ავთანდილი“. რაც მთავარია, ჩვენ ის სხვადასხვა სახით წარმოვადგინეთ: თუ კლუბში ხვდება გოგონა ახალ წელს, მას აქვს ბომბერი და დიდი ტყავის ქვედაბოლო, ეგრეთ წოდებული „სოლნცე-კლიოში“; თუ მიდის სოლიდურ რესტორანში, აქვს ბუმბულებიანი კაბა, გამოყვანილი სილუეტის პირველი ხაზიდან; თუ ბაკურიანში ან გუდაურში ხვდება, აქვს ნაქსოვი თბილი ზედები აბრეშუმის დავარდნილ „მაკნატუნებთან” ერთად; ისევე, არის სხვადასხვა ტიპის აქსესუარები, რომლებიც ახალ წელთან ასოცირდება და, სხვა შემთხვევაში, შეგვიძლია, ქორწილებში ან დაბადების დღეებზე გამოვიყენოთ. მაქსიმალურად ვცდილობთ, იყოს პრაქტიკული მოდელი და არა ერთჯერადი. თუ ახალ წელს შეიძენთ აბრეშუმის ქვედაბოლოს, მისი გამოყენება შესაძლებელია გაზაფხულზე, ზაფხულში პლაჟზე ან სადმე კარგ კლუბში „სატუსოვკოდ“. განსაკუთრებულად პოპულარულია ჩვენი ფეხსაცმელები, რომელსაც არ აწარმოებდა ჩვენი სახლი და ამაში ძალიან ვცდებოდით – მე ჩემი თავი ახლად აღმოვაჩინე ამ ხაზით. უკვე პრობლემები გვაქვს წარმოებასთან, რადგან, ვერ ვასწრებთ, ისეთი მოთხოვნაა, ამ პროდუქტზე. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ასეთი არჩევანია და ყველა ტიპის ნაწარმია წარმოდგენილი, მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ქართველი გოგონა ქართულ ნაწარმზე აკეთებს არჩევანს, რომლის ფასიც აწყობს, მოდელიც, ხარისხიც და მუდმივად ბრუნდება ჩვენთან. ეს დაბრუნების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. „ფეისბუქის” გვერდს მუდმივად ვაკონტროლებთ და, როცა ლაიქების რაოდენობა ათასებს აღწევს, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**– ვინ არის „ავთანდილის“ „ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდის ადმინისტრატორი? ზოგჯერ ისეთი კომენტარები იდება, აშკარად შენს იუმორთან გვაქვს საქმე.**

– თუ არაადეკვატური კომენტარებია, ყოველთვის მე ვპასუხობ – ვაძლევ თავს ამის უფლებას. ადმინისტრატორი მხოლოდ კონკრეტულ პასუხებს იძლევა ფასებთან და ტერიტორიებთან დაკავშირებით. ოფიციალურად ვაცხადებ: თუ იქ არაადეკვატური და მიუღებელი წერია, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩემი კომენტარი და ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებ. ეს არ არის გასართობი გვერდი და, თუ ადამიანისთვის რამე მიუღებელია, კეთილი უნდა ინებოს და პატივი სცეს ბრენდს. მე არ ვამბობ აზრის გამოხატვაზე – ამასაც თავისი ზომიერება აქვს; მაგრამ, თუ ზომიერება იკარგება, ოცდახუთწლიანი სტაჟის შემდეგ ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ თითოეულ მათგანს გავცე ის პასუხი, რაც მათ კონკრეტულად ეკუთვნით.



**– ალსუს ფოტოზეც იყო მსგავსი კომენტარები და შენი საინტერესო პასუხებიც. როგორც მივხვდი, ალსუსაც აცვია „ავთანდილი“.**

– მე ძალიან ბევრ ადამიანს ვაცმევ და ეს ძირითადად ხდება „ინსტაგრამის“ გვერდიდან, რომელიც ასევე ძალიან პოპულარულია. როცა საერთაშორისო ბაზარზე მუშაობ (ჩვენი პირველი ხაზი 95 კონცეპტუალურ მაღაზიაში იყიდება), თავისთავად, ყველა გოგონა, რომელსაც აქვს პრეტენზია, მოდურად გამოიყურებოდეს, ეძებს ახალ ბრენდს, რომელიც ზოგისთვის ნაცნობია და საყვარელი, ზოგისთვის – უცხო. ასე გამოდიან სხვადასხვა პოპულარული სახლები ჩვენთან მეილის საშუალებით და შემდეგ ვუგზავნით სამოსს, თუ ეს ადამიანი მე მომწონს. ის, ვინც ჩემს ბრენდს პატივს არ სცემს, მის მიმართ ნდობა არ აქვს, ასეთ ადამიანებთან არც ურთიერთობა მინდა და არც ის, რომ ჩემი ბრენდი ატარონ, რადგან, ყველაფერი გულით, სიყვარულით კეთდება და, ის სითბო, რომელსაც ჩემს კოლექციებში ვდებ, სწორად უნდა ატაროს. მე მაქვს ამაზე პრეტენზია, არ ვარ ჩვეულებრივი „მას-მარკეტი“, რომელიც მსოფლიოსაა მოდებული და არ აღელვებს ბრენდის ისტორია. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად ატარებენ ჩემს ტანსაცმელს.

**– მიუხედავად ამდენი წლის გამოცდილებისა და წარმატებისა, დღემდე ძალიან გახსნილი და გულწრფელი დარჩი შენს მომხმარებელთან და, ჟურნალისტებთან, ზოგადად, საზოგადოებასთან, რაც ქართული სინამდვილისთვის ცოტა უჩვეულოც კია.**

– მე ამისთვის არაფერს ვაკეთებ, უბრალოდ, ასეთი ადამიანი ვარ და ვერ დავიღლი თავს თამაშით. ძალიან დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ ყველგან, სადაც კი გამოვჩნდები. არ მეშინია, ათასკაციან ქორწილში წავიდე და ძალიან ბევრ მთვრალ ადამიანს ვეკონტაქტო, რადგან, არ მეშინია აგრესიის, რომელიც არ არის ჩემ მიმართ და ეს ძალიან მიხარია.

**– ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე” შენი ქორწილის ფოტო დადე, სადაც ხათუნასთან ერთად ცეკვავ.**

– როცა შენი ფოტოებით ერთობი, გინდა, სხვებსაც გაუზიარო. ამ ქორწილში ძალიან ბევრმა გაატარა კარგი დრო. მეც მომინდა ჩემი იუმორის კიდევ ერთხელ დემონსტრირება.

**– ხალხი დაინტერესდა – „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ხომ არ აპირებს მონაწილეობასო.**

– ეს წინადადება სულ არის, სხვათა შორის, ათი წელი დავდიოდი სამეჯლისო ცეკვებზე და ეს ჩემთვის უცხო არ არის. უბრალოდ, დროის გამო ვამბობ უარს. არასდროს არ მაქვს დრო და იმ დოზით არ ვარ საქართველოში, რომ ასეთი ტიპის პროექტებში ჩავერთო. თუმცა, საინტერესო პროექტია და სულ სხვა ასპექტში წარვდგებოდი მაყურებლის წინაშე. ფიზიკურად არ ვარ საქართველოში, ვერ გამოვნახავ დროს. ჩვენ, მილანისა და პარიზის შოუ-რუმე-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



**ნატალია ოგანეზოვა** *(47 წლის, მხატვარი. მოსკოვი).*

**დიაგნოზი** – კისრის ოსტეოქონდროზი, პლექსიტი. (თარგმანი) მე რუსეთიდან ჩამოვედი. მეუღლე ქართველი მყავს. ეს პრობლემა დიდი ხანია, მაწუხებს. მტკიოდა მხარი, კისერი, მკლავი. მკურნალობის უამრავი მეთოდი მოვსინჯე – დაწყებული ჩინური ნემსებით, მედიკამენტური ბლოკადებით დამთავრებული, თუმცა, შედეგი ყოველთვის არადამაკმაყოფილებელი იყო. ბოლოს ტკივილი მარჯვენა მკლავში გადავიდა და კინაღამ ჩემს პროფესიას დავემშვიდობე... ახლობლებმა თბილისიდან დამირეკეს და ამ კლინიკაში მირჩიეს ჩამოსვლა. წინა კვირას დავიწყე სეანსებზე სიარული და პირველივე ჯერზე ვიგრძენი შეღავათი. დილით რომ გავიღვიძე, მტკივნეულ მხარზე ვიწექი, მაგრამ – არანაირი შეგრძნება. ტკივილების სრულ მოხსნას 4-5 დღე დასჭირდა. ერთდროულად მუშაობდა აპარატები, მედიკამენტები, მანუალური თერაპია, ფიტოთერაპია, ჰომეოპათია, მალამოები... სწორედ ამ კომპლექსურმა მკურნალობამ გამოიღო არაჩვეულებრივი ეფექტი. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ მანანა ექიმს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!**

**ცირა ნოზაძე** *(34 წლის, დიასახლისი).*

– კვანძები და ტკივილები მშობიარობის შემდეგ მაწუხებს, შეკრულობა კი – თითქმის ბავშვობიდან. შარშან ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გავიკეთე და უარესად დამერღვა ნაწლავების ფუნქცია. აფთიაქის ყველა მალამო და სანთელი გამოვცადე, ვყლაპე „სენადე“ და „ბისაკოდილი“, მაგრამ, ნორმალური შედეგი ვერ მივიღე, აქ კი ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდა. ორი კურსი ჩავამთავრე და – არანაირი ტკივილი, არანაირი კვანძები. ეფექტი პირველივე დღეებიდან ვიგრძენი. მადლობა ჩემს ექიმებს – ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ბის გარდა, დაგვემატა ნიუ-იორკის შოუ-რუმი, ახლა ვგეგმავთ ლონდონის შოუ-რუმსაც, ამიტომ, საკუთარი ბალიშის შეგრძნება, დიდი ხანია, დავკარგე.

**– ვიცი, რომ ანასტასიაც დადის სამეჯლისო ცეკვებზე და დიდი წარმატებები აქვს.**

– ყოველთვის პირველ ადგილს იღებს. ანასტასია კარგად ცეკვავს, მაგრამ, უკეთესად ხატავს და, მირჩევნია, უკეთესად ხატოს. თუმცა, ბავშვი ძიების პროცესშია, ამიტომ, მას აქვს სრული თავისუფლება, არაფერში ვზღუდავთ და, რაც უნდა, ყველაფერზე ვატარებთ. მისი პირველი წარმატება იყო ცურვაში პირველი ადგილის აღება. მის და ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

**– რაც მთავარია, სამივე – შენ, ანასტასია და ხათუნა, სულ ერთად ხართ, ერთმანეთის გვერდით.**

– ჩვენ ამით ვცხოვრობთ და ეს თავისთავად ხდება, ამას არ ვაკეთებთ სპეციალურად. ნებისმიერი თავისუფალი და არათავისუფალი დრო ანასტასიას ეთმობა.

**– როგორც კი ხათუნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა, შენ მალევე დადე „ფეისბუქზე” მისი „სივი“, ამით, ალბათ, ცდილობდი, ვილაცეებისთვის პასუხი გაგეცა.**

– არასწორი კომენტარები გაჩნდა, რომელიც ინფორმაციის არასწორმა მიწოდებამ გამოიწვია. ხათუნა არ არის მხოლოდ ავთანდილის მეუღლე, ან მხოლოდ ლამაზი მოდელი, ან მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილის დისშვილი. მას ბევრი დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე და ამიტომაც დავდე „სივი“. ამ ადამიანებისთვის პასუხის გაცემა უაზრობაა, უბრალოდ, სწორი ინფორმაცია უნდა დადო და მე ეს გავაკეთე.

**– ახლა უფრო მეტად დაკავებული იქნება შენი მეუღლე.**

– ხათუნა ფსიქოლოგიურად ყოველთვის მზად არის, იყოს საქართველოს ჯარისკაცი. დროის სწორად გადანაწილება შეუძლია, როგორც ნებისმიერ ჭკვიან ქალს, მე კი მაქსიმალურად ვუდგავარ გვერდში და დროის არქონით არ ვქმნი არაადეკვატურ პრობლემებს.

**– მის გარდერობზე მუდმივად ზრუნავდი და, ალბათ, ახლაც შეიტანდი გარკვეულ კორექტივებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხათუნას ყოველთვის ყველაზე მეტად უხდება შენი სამოსი.**



– მუდმივად ყურადღების ცენტრშია და, ვფიქრობ, სწორად ატარებს ჩემს აწყობილ „ლუქებს.” ყოველთვის ვაკეთებთ სინთეზს სხვადასხვა, უცნობ თუ ნაცნობ ბრენდებთან. რადგან, თავიდან ბოლომდე რომ „ავთანდილი“ ეცვას, ეს არასწორი იქნება. თუმცა მისი გარდერობის დიდი ნაწილი სწორედ „ავთანდილისგან“ შედგება. ახლა ოდნავ გავამკაცრეთ სილუეტები, მაგრამ, მისი ქალურობა არ დავკარგეთ. მისი ყოველი დღის „ლუქი” ძალიან საინტერესოა და ჩემთვის ახალი ხედვაა, როგორც პოლიტიკოსი ქალის. როცა ქმარიც ძალიან წარმატებულია, ცოლიც და ეს ყველაფერი სიყვარულით კეთდება, არანაირი სირთულე არ არის.

**– ხშირ შემთხვევაში, მეუღლეებს შორის კრიზისი მაშინ დგება, როდესაც ერთი მხარე წინსვლასა და განვითარებას განიცდის, მეორე კი ერთ ადგილას არის გაჩერებული.**

– ქორწინების შემდეგ ძალიან ბევრი რამ იცვლება: ადამიანები იზრდებიან, იზრდება სიტუაცია, ვითარება და ცოლ-ქმარი საკითხს გონივრულად უნდა მიუდგეს, ერთმანეთის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს. მეორე ნახევარი ნიშნავს მეორე ნახევარს და ორივე უნდა უწყობდეს ერთმანეთს ხელს განვითარებაში.

**– ყველას აქვს რთული პერიოდები და, ალბათ, არც თქვენ იქნებით გამონაკლისი. მაინტერესებს, ასეთ დროს როგორ იქცევით, როგორ პოულობთ გამოსავალს?**

– რთული ეტაპები, რა თქმა უნდა, ყველა ოჯახშია, მაგრამ, არც ვცდილობთ ამის გადალახვას, რადგან, შიგნით უნდა გესმოდეს, რა ხდება შენს მეორე ნახევრთან. ეს სულიერი თანხვედრა და ჰარმონია აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

**– რა გეგმები გაქვთ საახალწლოდ?**

– ახალი წელი ოჯახური დღესასწაულია, აუცილებლად ოჯახის წევრებთან ერთად უნდა შეხვდე და ეს დიდი ბედნიერებაა. მეკვლე ყოველთვის არის ანასტასია, ახლა კი ანასტასია და ანდრია იქნებიან, ჩემი ძმისშვილი, რომელსაც „ჩემს დუბლიკატს” ვეძახი. ყველაფრით მგავს: თმით დაწყებული, სახის გამომეტყველებითა და, მგონი, ხასიათით დამთავრებული. ტრადიციულად ვხვდებით ოჯახში და შემდეგ ჩვენივე ოჯახის წევრებთან დავდივართ დილამდე, რაც ძალიან გვახარებს.

**ნათია უტიაშვილი**

# რა არის კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანების 2015 წლის დევიზი და როგორ ვიმოქმედოთ, რომ ბედნიერი წელი დავიბედოთ

***19 თებერვალს, როცა ცხენი დაუთმობს თავის ადგილს თხის ზოდიაქოს, რა ცვლილებებია მოსალოდნელი და თუ როგორი იქნება ის აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 12 ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის გვესაუბრება ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი.***

– 19 თებერვალს, როცა ცხენი თავის ადგილს თხის ზოდიაქოს დაუთმობს, ეს მოვლენა იქნება მეტად წარმატებული მათთვის, ვინც ამ დღეს ჩაიფიქრებს სურვილს, რადგან, ის მომავალში აუცილებლად ასრულდება.

**ვერძებისთვის** ეს წელი ძირითადად წარმატებული იქნება. საშუალება მიეცემათ კარგად დაისვენონ, აღიდგინონ ძალები, იპოვონ ახალი პარტნიორები ან არსებული ურთიერთობების ტრანსფორმირება შეძლონ. ეს არის აქტიური ცვლილებების წელიწადი. წლის დევიზია: „იშრომეთ, მაგრამ, არ დაივიწყოთ დასვენება". თუ მარტოხელა ხართ, 20 თებერვლიდან დიდი შანსია, 2 აპრილამდე პერიოდში იპოვოთ პარტნიორი, რომელთანაც ურთიერთობა დინამიკურად წარიმართება, უკვე ნოემბრის დასაწყისში და, შესაძლოა, ეს ურთიერთობა ქორწინებითაც დასრულდეს, თუმცა, ამ საკითხში არ გირჩევთ სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღებას. კარგი წელიწადია ასევე, კარიერული წინსვლისთვის. იანვარ-თებერვალში გამოავლინეთ მეტი ინიციატივა და ეს მეტ წარმატებებს მოგიტანთ. ივლისი და ნოემბერი ის თვეებია, როცა უნდა დაგეგმოთ კარიერული ცვლილებები. ფინანსური თვალსაზრისით, ეს წელიწადი, ზოგადად, კარგია.

**კუროს** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის, 2015 წლის დევიზია: „ისწავლეთ თქვენი სურვილებისა და ემოციების მართვა". იყავით მეტად აქტიური და მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან. ხშირად წადით საზოგადოებრივ შეხვედრებზე. მეტად დაეყრდნენით ინტუიციას და ის დაგეხმარებათ სწორი ნაბიჯების გადადგმაში. მთელი წლის განმავლობაში იგრძნობთ, რომ სასიყვარულო სფეროში ვარსკვლავები გეხმარებიან და თქვენს მხარეს არიან. ნუ განმარტოვდებით. თუ მარტოხელა ხართ, დიდი შანსია, 14 მარტისა და 31 მაისის შუალედში გამოჩნდეს ადამიანი, ვისთანაც დიდი სასიყვარულო გრძნობა დაგაკავშირებთ მომავალში, ამიტომ, მის მიმართ მეტად რომანტიკული და მიმნდობი იყავით. ახალი ნაცნობობა კარგ პერსპექტივებს გპირდებათ მთელი წლის განმავლობაში, თუმცა, მთლიანად ნუ მიენდობით გრძნობებს და გონებაც დაიხმარეთ. 17 ივლისიდან 2 ნოემბრამდე პერიოდიც კარგია ახალი სასიყვარულო კავშირის დასამყარებლად. მარტში კი ყურადღება მიაქციეთ მოვლენებს, რომლებიც თქვენს პირად ცხოვრებაში განვითარდება და შესაბამისად იმოქმედეთ. პროფესიონალური სფერო თხის წელიწადში მოგიტანთ სასიამოვნო სიურპრიზს. ამ მხრივ დააკვირდით 22 თებერვლიდან 4 მარტამდე პერიოდს. მეტად გამოავლინეთ ორგანიზატორული ნიჭი და უნარი. 1 ივლისიდან 11 აგვისტომდე პერიოდში მოერიდეთ გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღებას, ორგანიზატორული ნიჭის გამოვლენას, კონფლიქტებს, ხელმძღვანელებთან კონტაქტს. აგვისტოს შუა რიცხვებიდან კი კვლავ დაიწყება კარიერული აღმავლობის პერიოდი. ამ დროს კარგია საფინანსო ოპერაციებიც.

**ტყუპების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის, წლის დევიზია: „რაც შეიძლება სწრაფად გადადით აქტიურ მოქმედებებზე". უფრო მეტად დაგეგმეთ წინასწარ საქმეები კარიერულ და სასიყვარულო სფეროებში და ისე იმოქმედეთ. 2015 წელს პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია დიდი ცვლილებები, რისთვისაც მზად უნდა იყოთ. კარგია ახალი ნაცნობობა. წლის დასაწყისში მოსალოდნელია თავბრუდამხვევი რომანტიკული შეხვედრები. თუ მარტო ხართ, მარტის შუიდან თვის ბოლომდე დიდი შანსია, იპოვოთ სასურველი მეორე ნახევარი. მოერიდეთ უაზრო ფლირტაობას და ზედმეტად ნუ აეჭვიანებთ საყვარელ ადამიანს. სასიყვარულო კავშირისთვის განსაკუთრებით სარისკოა 28 სექტემბრიდან 21 ოქტომბრამდე პერიოდი. კარიერის თვალსაზრისით, თხის წელიწადი ერთგვარი ტრანსფორმირების წე-



ლია. მარტსა და აპრილში იგრძნობთ დადებით ცვლილებებს პროფესიონალურ სფეროში. მეტად დაფიქრდით, სანამ ნაბიჯს გადადგამთ. ნუ დაგეგმავთ ახალ საქმეებს დამოუკიდებლად, ჰკითხეთ რჩევები გამოცდილ ადამიანებს. 18 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე პერიოდი ცოტა რთულია კარიერული თვალსაზრისით და, ამიტომ, არ გირჩევთ რადიკალურ ცვლილებებს, თუმცა, ეს წელი გაცილებით სტაბილური იქნება გასულ წელთან შედარებით. არ გირჩევთ სესხის აღებას, რადგან ამ წელს მათი გასტუმრება გაგიჭირდებათ.

**კირჩხიბის** ნიშნით დაბადებულთათვის, წლის დევიზია: „მე ზუსტად ვიცი, რომ შეუძლებელი შესაძლებელია". 2015 წელი თქვენთვის შედარებით სტაბილური იქნება. დასახეთ ახალი მიზნები, იმოქმედეთ აქტიურად და იყავით წინდახედული. გაზაფხულის შუა პერიოდი და შემოდგომის დასაწყისი თქვენთვის ცვლილებების პერიოდია როგორც კარიერულ, ასევე, პირად ცხოვრებაში. ზაფხულში მოაგვარებთ საოჯახო პრობლემებს და გელით სასიამოვნო სიურპრიზები. წლის პირველ ნახევარში ბევრი თქვენგანი პირად ცხოვრებაში ცვლილებების წინაშე აღმოჩნდება. ამ მხრივ განსაკუთრებით პოზიტიურია აპრილი და მაისი. ზაფხულში მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას. 5 აგვისტოდან გაუმჯობესდება სიტუაცია საყვარელ ადამიანთან. წელს მეტად დაეყრდენით ინტუიციას, რათა სწორი არჩევანი გააკეთოთ. 2015 წელს მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი, რომელიც თქვენს შემოსავალს აღემატება და მოგიწევთ მისი სესხება. 12 თებერვლამდე ნუ მიიღებთ სერიოზულ გადაწყვეტილებებს კარიერულ სფეროში. ზამთრის თვეებში მოერიდეთ კრედიტების აღებას, გაზაფხულზე კი მომატებს დაპირისპირება. მაისის ბოლოს მოსალოდნელია ფინანსური სტაბილურობა, 5 აგვისტოდან კი ამ მხრივ იღბალი მოიმატებს. მეტად აკონტროლეთ ხარჯები 13-დან 28 სექტემბრის ჩათვლით.

**ლომის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის წლის დევიზია: „ფულს ესაჭიროება პერიოდულად გადათვლა!". წლის პირველი ნახევარი მეტად ნაყოფიერია. მაქსიმალურად გამოავლინეთ თქვენი შესაძლებლობები, შემოქმედებითი უნარი და ინტელექტი. ამ პერიოდში, ასევე, მოსალოდნელია სიურპრიზები საქმიან და პირად ურთიერთობებში. აგვისტოდან წლის ბოლომდე კი ნუ ელით სერიოზულ ცვლილებებს, რადგან, ცხოვრება სტაბილურად გაივლის. თხის წელიწადი სასიყვარულო ურთიერთობების თვალსაზრისით მეტად სტაბილურია, თუმცა, პერიოდულად მოსალოდნელია თავბრუდამხვევი რომანტიკული შეხვედრები და ფლირტები, განსაკუთრებით – ზაფხულის პერიოდში. არ არის გამორიცხული, დაფიქრდეთ დაოჯახებაზე. 6 იანვრიდან 15 მარტამდე პერიოდში განსაკუთრებით მოერიდეთ კონფლიქტებს კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან. 21 იანვრიდან 11 თებერვლის ჩათვლით კარგად დააკვირდით, რას გთავაზობთ გარემოებები. სამსახურის დასაწყებად კი კარგი შანსი 21 მარტიდან 21 აპრილამდე მოგეცემათ. 12-30 მაისის პერიოდში იყავით მეტად თავდაჭერილი და მოერიდეთ კამათს. ივნისის პირველი ნახევარი გამოიყენეთ დასვენებისთვის. 20 ივნისიდან 20 ივლისამდე მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ბიზნესის გაფართოება ან პროფესიონალური სასიკეთო ცვლილებები. 24 ოქტომბრიდან 24 ნოემბრამდე მოერ იდეთ სესხის აღებას, 29 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე კი იღბალი მეტად გაგიღიმებთ.

**ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის 2015 წლის დევიზია: „იმოქმედე სიტუაციის მიხედვით". 10 იანვრიდან 3 თებერვლამდე კარგია ახალი იდეების ჩამოყალიბება. 27 იანვრამდე პერიოდი კი საუკეთესოა ახალი ხალხის გასაცნობად, რადგან ისინი მომავალში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ თქვენს პირად ცხოვრებაში. 28 თებერვლიდან 8 მარტამდე პერიოდში მოსალოდნელია, ახალი სასიყვარულო კავშირის წინაშე აღმოჩნდეთ – შესაძლოა, ერთი ნახვით შეგიყვარდეთ. ზოგადად, წელს პირადი ურთიერთობები მეტად გაუმჯობესდება, მთავარია, გამოხატოთ თქვენი ემოციები და სურვილები. ეცადეთ, არ დაუშვათ შეცდომები და გონივრულად იმოქმედოთ. 21-22 დეკემბერი სარისკო დღეებია სასიყვარულო ურთიერთობისთვის, რადგან, დიდია საყვარელ ადამიანთან სერიოზული კამათის ალბათობა; ამიტომ, შეიკავეთ თავი და იყავით დამთმობი. რაც შეეხება კარიერულ სფეროს, იანვრის შუა

რიცხვებამდე ნუ დაგეგმავთ ცვლილებებს. 22 იანვრის და 11 თებერვლის შუალედში მეტად იჩენს თავს ფინანსური პრობლემები. ეცადეთ, მოძებნოთ დამატებითი შემოსავლის წყარო. 10 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით სიტუაცია დასტაბილურდება. კარიერული თვალსაზრისით, წლის ბოლომდე რთული წელიწადია. 15-25 ნოემბრის ჩათვლით ფინანსურ საკითხებში გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე.

**სასწორის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის, 2015 წლის დევიზია: „მომავლის საძირკველი ახლა უნდა ჩაიყარო!" თხის წელიწადი ცვლილებების დროა. მოემზადეთ ახალი შეხვედრებისთვის, რომლებზეც დიდი ხანია, ოცნებობდით. ხშირად აღმოჩნდებით ყურადღების ცენტრში და წარმატებით გადაწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს. წლის მეორე ნახევარში კი, დიდი შანსია, სასურველი მეორე ნახევარი იპოვოთ. წლის დასაწყისშივე თქვით უარი უსარგებლო ნაცნობობაზე. ეს ეხება როგორც პირად, ისე კარიერულ ცხოვრებას. ხშირად დაეკითხეთ რჩევები გამოცდილ ადამიანებს. ნუ იქნებით იმ ადამიანების გვერდით, ვისაც არ ენდობით. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. 24 დეკემბრიდან ვარსკვლავები იღბლიანობას გპირდებიან წლის პირველი ნახევრის შუა რიცხვებამდე, ამიტომ, იყავით ყურადღებით. ასევე, მთელი წლის განმავლობაში ფინანსური გასავალი მეტი იქნება, ვიდრე ეს წინა წელს იყო. იანვარშივე იგრძნობთ ცვლილებებს კარიერულ სფეროში. 8-16 მაისის შუალედში დააკვირდით, რას გთავაზობთ გარემოებები პროფესიონალურ სფეროში. 23 სექტებბერს უკვე იგრძნობთ, რომ ხელმძღვანელი პირები თქვენი მუშაობით კმაყოფილები არიან, რაც ფინანსურ მოგებასა და კარიერულ წინსვლას გპირდებათ.

**მორიელის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანების 2015 წლის დევიზია: „მე ყველაზე სექსუალური და მიმზიდველი ვარ!". თვითრწმენა დაგეხმარებათ აზრებისა და შესაძლებლობების კონცენტრირებაში. გარშემო მყოფები ეცდებიან, წყობიდან გამოგიყვანონ, მაგრამ, არ აყვეთ მათ ამბიციებს და დაიცავით შინაგანი სიმშვიდე. ნუ დაარღვევთ წესებსა და კანონებს. ზამთრის თვეებსა და ნოემბერში მოგინდებათ მეტი თავისუფლება და, ამის გამო, არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან სიტუაცია დაგეძაბოთ. ეცადეთ, არ აჰყვეთ ნეგატიურ ზეგავლენებს. 23-24 თებერვალს დიდი შანსია, ბედ-იღბალში მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე აღმოჩნდეთ. სასიამოვნო რომანტიკულ-სასიყვარულო შეხვედრებისთვის კარგი დროა ივნისის მეორე ნახევარი და 10-20 ოქტომბრის შუალედი. 25 ივლისიდან 7 სექტემბრამდე თქვენს ცხოვრებაში შესაძლებელია დაბრუნდნენ ძველი თაყვანისმცემლები, რომლებიც თავბრუს დაგახვევენ, მაგრამ, კარგად დაფიქრდით, ღირს თუ არა ძველი კავშირების აღდგენა და ყველაფერის თავიდან დაწყება. ამ წელს ახალ სამსახურში გადასვლა წარმატებებს მოგიტანთ. ეს დაგეგმეთ 11-24 თებერვლის პერიოდში, რადგან ამ დროს სწორი არჩევნის გაკეთება არ გაგიჭირდებათ. კარიერული თვალსაზრისით კარგი პერიოდია 11-23 აპრილის შუალედი. ივნისში კი მოერიდეთ რისკსა და ფინანსურ გარიგებებს. საბუთების მხრივ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ 4-21 დეკემბრის შუალედში, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

**მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის 2015 წლის დევიზია: „რაც უფრო ნელა მიდიხარ, მით მეტად შორს წახვალ!". თხის წელიწადში გახდებით უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი. სხვების აზრები ნაკლებად მოახდენს თქვენზე ზეგავლენას. აგვისტო თქვენთვის ცვლილებებისა და იღბლიანობის პერიოდია. ამ პერიოდში იყავით ყურადღებით. იფიქრეთ პირადი ცხოვრების შეცვლაზეც. გადახედეთ განვლილ გზას და გააანალიზეთ ყოველი ნაბიჯი. კარგია ახალი ნაცნობობა. ნუ ინერვიულებთ, თუ რამე არ გამოდის და შეინარჩუნეთ სიმშვიდე – ასე უფრო მეტად მოიგებთ. 12 ოქტომბრიდან პერიოდი ხელს შეუწყობს ახალ ადამიანებთან ურთიერთობას, სასიყვარულო შეხვედრებსა და რომანტიკულ ნაცნობობას. 14 თებერვლამდე კი ნუ იჩქარებთ ახალი საქმის დაწყებას, შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმიანობით. 24 თებერვლიდან 12 მარტამდე კარგი პერიოდია ახალი სამსახურის დასწყებად, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სესხის ასაღებად. 2-22 აპრილს მეტად გაგიმართლებთ კარიერაში. 6-9 ივნისის პერიოდში ხელმძღვანელი პირები მეტად დაგაფასებენ. 13 ნოემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით გამოავლინეთ მეტი შრომისუნარიანობა და აღებული ვალდებულება ბოლომდე შეასრულეთ – ეს კარგ ფინანსურ შემოსავლებს მოგიტანთ.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანების დევიზი წელს იქნება: „მე ყველაფერი შემიძლია, მთავარია, მოვინდომო!". თხის წელიწადი თქვენთვის ერთგვარი გამოღვიძების, ცვლილებებისა და აღმოჩენების წელიწადია. ნუ იჩქარებთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ფრთხილად მიუდექით ახალ ნაცნობობას. გადაადგასეთ პირად ცხოვრებაში გადადგმული ნაბიჯები. სასიყვარულო კუთხით გაგიმართლებთ 15-30 ოქტომბრის ჩათვლით, როცა მეტად გაგიღიმებთ ბედი. ზოგადად, სასიყვარულო-რომანტიკული თვალსაზრისით, 2015 წელი თქვენთვის გარდამტეხია. ნებისმიერ სიტუაციაში გამოიჩინეთ ინიციატივა და იმოქმედეთ აქტიურად. წლის პირველ ნახევარში მეტად მართეთ ემოციები. ზამთრის თვეებში მოსალოდნელია ახალი კავშირები, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლის თქვენს მომავალ ცხოვრებას. სექტემბრის პერიოდი კი განსაკუთრებით კარგია ბედ-იღბალში ცვლილებების შესატანად. წლის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე მოერიდეთ სარისკო ნაბიჯებს კარიერაში, აკონტროლეთ ფინანსური მოქმედებები. 29 თებერვლიდან 19 აპრილამდე მაღალია მოტყუების ალბათობა. ამ პერიოდში ნუ აჰყვებით მაცდუნებელ წინადადებებს. პროფესიონალური თვალსაზრისით კარგი პერიოდია 1-10 ივნისისა და 3 ივლისიდან 11 აგვისტომდე პერიოდები. წლის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი ფინანსური წარმატების მიღწევა. ზოგადად, კარიერული და პროფესიონალური თვალსაზრისით, 2015 წელს პოზიტიურია 24 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით და 14 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით პერიოდები.

**მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის 2015 წლის დევიზია: „ადამიანი, მარტო უფრო მეტად მებრძოლია!". მიზანსწრაფვით და შეუპოვრობით მეტს მიაღწევთ და უფრო წინ წაიწევთ. ეს სასიკეთო ცვლილებების პერიოდია: მოგეცემათ შანსი, განახორციელოთ ძველი იდეები და დაგეგმოთ ახალი. 22 იანვრიდან 21 მარტამდე რთული პერიოდია სასიყვარულო სფეროში, ამიტომ, მოერიდეთ ახალ ნაცნობობას და სასიყვარულო სფეროში ცვლილებებს. კრიტიკული პერიოდი კი დგება 20 მარტიდან 5 აპრილამდე. 12 აპრილიდან 9 მაისის პერიოდში კი მოსალოდნელია მეგობრული და რომანტიკული შეხვედრები, რაც სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუმცა, ნუ იჩქარებთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებას. 16 ივლისიდან შემოდგომის შუამდე პერიოდი ერთგვარ გამოცდას მოგიწყობთ სასიყვარულო სფეროში, ამიტომ, მეტი დაკვირვება და სიდინჯე უნდა გამოიჩინოთ, ოქტომბრიდან კი სიტუაცია გამოსწორდება. 2015 წელი შემოქმედებითი კუთხით პოზიტიურია. მეტი შესაძლებლობა გაჩნდება კარიერული წინსვლისთვის და ახალი საქმის წამოსაწყებად. დააკვირდით რას გთავაზობთ გარემოებები პროფესიონალურ სფეროში 12 აპრილიდან 9 მაისამდე, 21 იანვრიდან 12 თებერვლამდე ფინანსურად სტაბილური პერიოდია, 17 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდი კი ცოტა დაძაბული აღმოჩნდება. ზოგადად, თუ მეტად იშრომებთ და არ დაიზარებთ, წლის მეორე ნახევარში მეტ შემოსავალს მიიღებთ. 26 ოქტომბრის მერე მოიმატებს იღბლიანობა.

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანებისთვის 2015 წლის მთავარი დევიზია: „იცხოვრეთ თქვენი სიამოვნებისთვის!". წელს, როგორც იქნა, გათავისუფლდებით წარსულისგან, რომელიც ხელს უშლის სიახლეებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. სამყარო არაერთი სასიამოვნო ფაქტის წინაშე დაგაყენებთ. თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად გამოიყენებთ შანსებს, რომლებაც თხის წელიწადი გთავაზობთ. 8 აპრილამდე პერიოდში მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა. კრიტიკული პერიოდებია 11 იანვრიდან 21 თებერვლამდე და 17 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე და მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ, აკონტროლოთ სიტყვები და ქმედებები. ოქტომბრის მეორე ნახევარი მეტად სასიკეთოა სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის; ასევე თქვენს პირად ცხოვრებაზე დადებითად აისახება ახალი კავშირები 9 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე პერიოდში. კარიერული და პროფესიონალური კუთხით, წლის დასაწყისი რთულია, თუმცა, 8 აპრილის შემდეგ სიტუაცია გამოსწორდება, მანამდე კი ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს და ნუ მიატოვებთ ძველ სამსახურს. მოერიდეთ, ასევე, მსხვილ დანახარჯებს. დააკვირდით 20-30 აპრილისა და 1-10 მაისის პერიოდებში რას შემოგთავაზებთ გარემოებები. 25 ივლისიდან გააქტიურდება თქვენი საქმიანი კავშირები და მეტი ძალისხმევით შეუდგებით დასახული მიზნების რეალიზებას. 20 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით მოიმატებს იღბლიანობა, რაც თქვენს ფინანსურ მხარეზეც დადებითად აისახება.

**ნონა დათეშიძე**

**თუ ვირტუალურ სამყაროში არსებული სოციალური ურთიერთობები აღარ არის საკმარისი და გინდათ, თქვენი კონტაქტები გაცილებით მასშტაბური და სახალხო გახდეს, უბრალოდ, შეასრულეთ ძალიან მარტივი მოქმედება. ინტერნეტ-საძიებო სისტემაში, მიუთითეთ – Deehubs, შედით საიტზე და გააგზავნეთ სასურველი შეტყობინების ტექსტი ან ფოტოსურათი. სულ ცოტა ხანში, თქვენი ემოციები თუ აზრები, პროექციისა და ელექტრონული ბილბორდების საშუალებით, ამერიკის ქუჩებში გავა და უამრავი ადამიანის ყურადღების ცენტრში მოექცევა ყოველგვარი საფასურის გარეშე. ეს „დიჰაბსია“, ახალი სოციალური პლატფორმა, რომელიც ქართველმა ახალგაზრდებმა – გიორგი გურგენიძემ და ბაქარ მარუაშვილმა შექმნეს, სლოგანით say public (თქვი სახალხოდ). მათ გარდა, პროექტზე კიდევ ორი ადამიანი მუშაობს. ბაქარ მარუაშვილის მეუღლე, ქეთი ქებულაძე და მესამე თანადამფუძნებელი აბინავ საქსენი.**

# როგორ გამოიწვია ამერიკაში ბუმი ქართველი ბიჭების შექმნილმა ახალმა სოციალურმა ქსელმა და რა არის „დიჰაბსი“

**გიორგი გურგენიძე**: დიჰაბსი, ეს არის სახალხო სცენა, სადაც ხალხი თავის აზრს გამოხატავს. ის არ შემოიფარგლება მობილურის და კომპიუტერის ეკრანით. მისი საშუალებით, საკუთარი აზრების საჯაროდ დაფიქსირება, აბსოლუტურად და მარტივად ხელმისაწვდომი ხდება. „დიჰაბსი“ სოციალური პლატფორმაა. ის არის სოციალური ქსელივით, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თავისი მესიჯი თუ ფოტო, ვირტუალური და ონლაინსივრცის გარდა, გაიტანოს ფიზიკურ სივრცეში – ქუჩაში, პროექციის ან ელექტრონული ბილბორდების საშუალებით. რეალურად, მესამე კვირაა, რაც პროექცია დავიწყეთ. ჯერჯერობით ისეთი შედეგია, როგორსაც ნამდვილად არ ველოდით. უამრავი გამოხმაურება და მესიჯი გვაქვს. დაახლოებით შვიდი ათასამდე მესიჯი გავუშვით უკვე. როდესაც შენთვის არ არის საკმარისი „ფეისბუქის“ თუ სხვა სოციალური



ქსელის ურთიერთობები და გინდა, შენი ხმა გაცილებით მეტ ადამიანს მიაწვდინო რეალურ სივრცეში, „დიჰაბსი“ საამისოდ საუკეთესო საშუალებაა. მსგავსი რამ არც არსებობს და სწორედ ამიტომ შეიქმნა ის.

**– სახელწოდება – „დიჰაბსი“ როგორ შეიქმნა?**

– გვინდოდა, სახელწოდებაში ყოფილიყო სიტყვა Hub, რომელიც ერთგვარ თავმოყრის ადგილს, ცენტრს ნიშნავს. Thehub.com დომეინი უკვე აღებული იყო და უცებ წარმოვთქვით „დიჰაბსი“ (Deehubs), რომელიც საკმაოდ მარტივად და კარგად ჟღერდა. ამიტომ, დავტოვეთ ეს სახელი.

**– როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ საიტით?**

– შედიხართ ამ საიტზე და გზავნით სასურველ მესიჯს ან ფოტოს. იქვე უთითებთ საკუთარ მაილს. შემდეგ, ეს მესიჯი გადის ღია სივრცეში – ქუჩაში და უამრავი ადამიანი ხედავს მას. ამის დამადასტურებლად, მაილზე იღებთ მის ფოტოს. ეს საცდელი ვერსიაა. გვინდოდა გაგვეგო, დაინტერესდებოდა თუ არა ხალხი „დიჰაბსის" გამოყენებით. როგორც ჩანს, ინტერესი ნამდვილად არის და ეს გლობალური და მზარდია. მომხმარებელთა სიას ყოველდღიურად ემატება ახალი ქვეყანა, აქტიურად მოდის მესიჯები. მოკლედ, მომხმარებლის მხრიდან დიდი მოთხოვნილებაა.

**– ეს ყველაფერი, როგორც ვიცი, ბიზნესგეგმად აქციეთ?!**

– თუ დღეს ქუჩაში, ბილბორდზე 24 საათის განმავლობაში ერთი და იმავე რეკლამას ხედავთ და ეს, ცოტა მოსაწყენია, ჩვენთან, მომხმარებლების მესიჯები მათთვის, ვინც რეკლამას აკეთებს, ბევრად უფრო საინტერესო გახდება. ის ბილბორდებზე განთავსდება. ბილბორდები იქნება იქ, სადაც ბევრი ადამიანი წაიკითხავს. ამით მოხდება გარე რეკლამის გაუმჯობესება. თუ დღეს ის სტატიკური სივრცეა, ჩვენ დინამიკურს გავხდით. ის გახდება სივრცე, სადაც ხალხი საუბრობს. „დიჰაბსის“ ეკრანები გახდება თავშეყრის ადგილი, სადაც იქნება რეკლამები, ახალი და კარგი მედია და სადაც ხალხი, უბრალოდ, თავის აზრებს გამოხატავს. ბილბორდებზე გადასვლა 2015 წლიდან მოხდება.

**– როგორ წარმოიშვა დიჰაბსის შექმნის იდეა?**

– მე და ბაქარი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. იდეა გაჩნდა თბილისში, დაახლოებით ორი წლის წინ. როგორც ზემოთ ვთქვი, მივხვდით, რომ რაღაც პერიოდში არ იყო საკმარისი არსებული სოციალური სივრცე და გვინდოდა, რამე ისეთი გაგვეკეთებინა, რაც მეტ ადამიანს მიაწვდენდა ხმას. დავიწყეთ ფიქრი ბიზნესგეგმასა და სხვა დეტალებზე. მუშაობის პროცესში, პროგრამისტისთვის თურქეთში გადავედით. იქ გავიცანით ჩვენი მესამე თანადამფუძნებელია აბინავ საქსენი და დავიწყეთ ამ იდეის ხორცშესხმა. 2013 წლის ბოლოს, დუბაიდან შეგვეხმიანენ. იქაურმა ბიზნესინკუპატორმა მიგვიწვია და დააფინანსა ჩვენი პროექტი. ამიტომ, გადავედით და 2014 წლიდან რეალურად იქ ვმუშაობდით. ყველა ტექნიკური დეტალისა თუ ბიზნესმიდგომის დახვეწა იქ მოხდა. ბევრი საჭირო კონტაქტი მოვიპოვეთ საკმაოდ დიდ სარეკლამო სააგენტოებთან. ერთ-ერთი ინვესტორი იყო დაინტერესებული, რომ პროექტი ამერიკაში წაგველო და ზაფხულის ბოლოს გადაწყდა ჩვენი აქ გადმოსვლა. მთელი სარეკლამო ბაზარი, ელექტრონული ბილბორდების იქნება ის, თუ ონლაინსივრცე – „ფეისბუქი“, „გუგლი“ და ასე შემდეგ, ყველა აქ არის. შესაბამისად, აქ უფრო საინტერესო და მომხიბვლელი იყო გადმოსვლა. თანამშრომლობით დაინტერესდნენ საკმაოდ სერიოზული სარეკლამო კომპანიები, რომლებიც დიდი ბრენდების რეკლამირებას ახდენენ. ხელშეკრულებები ბილბორდების დადგმის შემდეგ დაიდება. ქართული კომპანიებიდანაც გვაქვს შემოთავაზებები.



**– ჯერჯერობით მხოლოდ ამერიკაში ხდება პროექცია?**

**ქეთი ქებულაძე**: პროექცია ჯერჯერობ-

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)



# გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსი

გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსი (იგივე კუჭ-საყლაპავის რეფლუქსი), ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც კუჭის მჟავე შიგთავსის გარკვეული რაოდენობა ხვდება საყლაპავში. აღნიშნული პროცესი ნორმულ პირობებში ყველა ასაკის პაციენტში გვხვდება და ეს არ ითვლება პათოლოგიად. თუ რეფლუქსის ინტენსივობა მნიშვნელოვანია და შესაბამისად, დროის ერთეულში საყლაპავში დიდი რაოდენობით ხვდება კუჭის მჟავე შიგთავსი ან თუ მაღალია რეფლუქსების სიხშირე, შეიძლება, ჩამოყალიბდეს გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსის დაავადება (იგივე გერდი). მიზეზი, რაც რეფლუქსის განვითარებას განაპირობებს, არის საყლაპავის ქვედა სფინქტერის მოდუნება ან საყლაპავის დიაფრაგმალური ხვრელის თიაქარი. ორივე შემთხვევის დიაგნოსტირება მოითხოვს შესაბამის ინსტრუმენტულ კვლევებს.

გერდი შეიძლება, აბსოლუტურად უსიმპტომოდაც მიმდინარეობდეს და შეიძლება, გამოიწვიოს გარკვეული სიმპტომებიც. პასუხი კითხვაზე, თუ როდის უნდა ჩაითვალოს გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსი დაავადებად, მარტივია: თუკი მჟავე რეფლუქსი აზიანებს საყლაპავის ლორწოვანს და/ან იწვევს სიმპტომებს, რომლებიც პაციენტისთვის შემაწუხებელია, საქმე გვაქვს გასტრო-ეზოფაგალური რეფლუქსის დაავადებასთან.

ზოგადად სიმპტომები, რომლებიც გერდ-ისთვის არის დამახასიათებელი შემდეგია: გულძმარვა, მკერდუკანა წვის შეგრძნება, გულისრევის შეგრძნება, დისკომფორტი ყლაპვის დროს, პირის ღრუს წვის შეგრძნება და პირში ცუდი გემო. ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება განვითარდეს ხორხისა და მბგერავი იოგების დაზიანება. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად, დაუდგენელი გენეზის ხველების მიზეზად, სწორედ გერდი შეიძლება მოგვევლინოს.

კუჭის მჟავე შიგთავსის საყლაპავში ხშირი და ხანგრძლივი მოხვედრა იწვევს საყლაპავის ლორწოვანის დაზიანებასაც; მიუხედავად იმისა, რომ საყლაპავის ლორწოვანს აქვს დაზიანებული ლორწოვანის უჯრედების გასაოცარი აღდგენის უნარი, შეიძლება, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდეს საყლაპავის ლორწოვანის ანთება (ეზოფაგიტი), მისი ეროზირება, დაწყლულება, სისხლდენა, შეხორცებები და შევიწროებები; ასევე, მეტად არასასურველი დაავადება, როგორიც არის ბარეტის საყლაპავი და საყლაპავის სიმსივნე.

გერდის მკურნალობა მოიცავს, როგორც მედიკამენტურ ნაწილს, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან არამედიკამენტურ მართვას, რომელიც, როგორც წესი, მსუბუქად გამოხატული გერდის დროს უფრო ეფექტურია. უპირველესად, აქ იგულისხმება 1) ჭარბწონიანებში წონაში კლება, რათა შემცირდეს მუცლისშიდა წნევა, 2) ძილის დროს თავის ელევაცია მინიმუმ 45° კუთხით, 3) საკვების მიღება მცირე პორციებად, 4) თავის შეკავება იმ საკვებისგან, რომლებიც საყლაპავის ქვედა სფინქტერის მოდუნებას იწვევენ (კოფეინი, ალკოჰოლი, ნიორი, პიტნა, ზედმეტად ცხიმიანი საკვები, შავი ჩაი...), 5) სიგარეტის მოწევისაგან თავის შეკავება, 6) წელზე მჭიდროდ მოჭერილი ტანსაცმლის ხმარება, 7) ძილის წინ საკვების მიღებაზე უარის თქმა.

რაც შეეხება მედიკამენტურ მკურნალობას, გერდის მკურნალობა მჟავიანობის დამაქვეითებელი პრეპარატების გამოყენებას გულისხმობს. ამ მხრივ არსენალში გვაქვს სხვადასხვა ანტაციდი, H2 – რეცეფტორის ბლოკერები და რა თქმა უნდა, პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორები. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევიან ამ მხრივ პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორები, ეგრეთ წოდებული „პრაზოლები", მათ შორის კი გახანგძლივებული მოქმედების პრაზოლები, ისეთი როგორიცაა S-ომეპრაზოლი (ესომეპრაზოლი). პრეპარატის სპეციალური ფორმულა საშუალებას იძლევა პაციენტთან მჟავასუპრესიული სტატუსი ხანგძლივად შენარჩუნდეს. თუმცა, მკურნალობის ტაქტიკას, სპეციფიკას და მკურნალობის ხანგძლივობას განსაზღვრავს მკურნალი ექიმი.

**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ცნობილი აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობს, აღიარებული ლიდერია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. განუსაზღვრელია აკადემიკოს ფრიდონ თოდუას ღვაწლი ქართული მედიცინის განვითარებაში. მის მიერ დაარსებული კლინიკა მსოფლიოს ცნობილი სამედიცინო კლინიკების ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. რადიოლოგიის და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში, ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. 2014 წლიდან კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაიწყო ონკოლოგიური მიმართულების გაძლიერება - აშენდა ახალი კორპუსი, სადაც განთავსდა ონკოლოგიის (ქიმიოთერაპიული) და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტები. კლინიკაში დაინერგა უახლესი, მსოფლიო სტანდარტის შესატყვისი Varian-ის ფირმის 2 უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებელი TrueBeam-ით, რაც ქართველ პაციენტებს, რომლებიც ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ ევროპისა და მეზობელ ქვეყნებში ჩადიოდნენ, საშუალებას აძლევს დაზოგონ თანხა, ენერგია და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩაიტარონ სრულყოფილი, მაღალკვალიფიციური დიაგნოსტიკა და მკურნალობა. რა სიახლეებს სთავაზობს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ონკოლოგიურ პაციენტებს, ამის შესახებ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ონკოლოგიის დარგში, ქალბატონ მაკა მაღლაკელიძეს და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ მიხეილ ბარამიას გავესაუბრეთ.**

# კიბო დიაგნოზია და არა განაჩენი!

## ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ახალი ეტაპი კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში

**– ქალბატონო მაკა, როგორია ონკოლოგიური დაავადებების სტატისტიკა საქართველოში?**

– სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 12 000-ზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება. ეს საკმაოდ მაღალი ციფრია. მარტივი არითმეტიკული გამოთვლით გამოდის, რომ მარტო ჩვენს ქვეყანაში ყოველ საათში 1 ადამიანზე მეტს უდგინდება კიბოს დიაგნოზი. ეს, რა თქმა უნდა, მძიმე სტატისტიკაა, თუმცა ნამდვილად არ მინდა, შევაშინო მოსახლეობა – კიბოთი ავადობის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს შუალედური ადგილი უჭირავს მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ონკოლოგიური ავადობის დინამიკა კი, იგივე კანონზომიერებებს ექვემდებარება, როგორიც დანარჩენ მსოფლიოში – მისი მატება რაიმე, განსაკუთრებით მაღალი ტემპით არ გამოირჩევა. ყველაზე საგანგაშო კი ისაა, რომ ჩვენთან ავადმყოფთა დიდი ნაწილი ექიმს მიმართავს დაგვიანებულ სტადიაში, არადა ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში, მკურნალობის ეფექტურობა პირდაპირაა დამოკიდებული ადრეულ დიაგნოსტიკაზე. რაც უფრო ადრე იქნება დასმული დიაგნოზი და დროულად ჩატარდება მკურნალობა, მით უფრო მაღალია გამოჯანმრთელების და სრული განკურნების შანსი.

ონკოლოგია ყოველთვის იყო და, სამწუხაროდ, რჩება, გარკვეულწილად ტაბუდადებულ თემად. ადამიანების დიდი ნაწილი ონკოლოგიურ დიაგნოზს აიგივებს სასიკვდილო განაჩენთან. ეს ასე ნამდვილად არაა! დღეს ოცდამეერთე საუკუნეა და თანამედროვე მედიცინას ნამდვილად გააჩნია დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც, შესაძლებელია ამ მძიმე სენის დამარცხება. ამასთანავე, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იცნობს ონკოლოგიური დაავადების ნიშნებს და არ აქვს გაცნობიერებული ექიმისთვის დროულად მიმართვის აუცილებლობა. უპირველესად, უნდა დავძლიოთ შიშის ფაქტორი და გავაცნობიეროთ, რომ კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი. ეს არის დაავადება, რომელიც, როგორც ბევრი სხვა პათოლოგია, ექვემდებარება მკურნალობას.



**– რომელი ავთვისებიანი სიმსივნეებია უფრო მეტად გავრცელებული საქარველოში? რომელი სიმსივნეები გვხვდება უფრო ხშირად მამაკაცებში და ქალებში? და საერთოდ, შეიძლება თუ არა კიბოს თავიდან აცილება?**

– ჩვენს პოპულაციაში მამაკაცებში ყველაზე ხშირია ფილტვის კიბოთი ავადობა, ხოლო ქალბატონებში – ძუძუს და რეპროდუქციული ორგანოების სიმსივნური პათოლოგიები. სიმსივნური დაავადებები მოსახლეობის ყველა ფენაში გვხვდება და უდიდეს ზიანს აყენებს საზოგადოებას. სიმსივნეები ვითარდება არა მარტო უფროსი ასაკის მამაკაცებსა და ქალბატონებში, არამედ ბავშვებსა და ახალგაზრდებშიც. ამასთან, წლიდან წლამდე აღინიშნება დაავადების „გაახალგაზრდავების" ტენდენცია. თუმცა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, კიბო მეტწილად მაინც ხანდაზმული მოსახლეობის ხვედრია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მტკიცებით, 30%-ზე მეტი კიბოს შემთხვევების პრევენცია შესაძლებელია ძირითადი რისკფაქტორების თავიდან აცილებით, 30%-ში სწორად ჩატარებული მკურნალობა სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება. დანარჩენ შემთხვევებში, ჩვენ ვიბრძვით სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დარჩენილი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

**– რა არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ხდება ავთვისებიანი სიმსივნის ჩამოყალიბება ორგანიზმში?**

– სამწუხაროდ, კიბოს გამომწვევი ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს (ასეთ შემთხვევაში, კიბოს პრობლემა უკვე დიდი ხანია, დაძლეული იქნებოდა). ავთვისებიანი სიმსივნის ჩამოყალიბება ხდება უჯრედის ნორმალური განვითარების ციკლის დარღვევით. ეს დარღვევები ვითარდება მრავალი შიდა და გარე ფაქტორების, ეგრეთ წოდებული „კანცეროგენების" ზემოქმედებით.

**– ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, როგორც ვიცით, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია, რომელთან გამკლავებაც ძალიან რთულია - როგორც ფიზიკურად, ისე ფინანსურად. რას აკეთებს სახელმწიფო ასეთი პაციენტების დასახმარებლად? მისცა თუ არა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ პაციენტებს რეალური შეღავათი?**

– ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირად ღირებული პროცესია, რომელთან გამკლავებაც მართლაც ძალიან რთულია ფიზიკურად, მორალურად და ფინანსურადაც. ონკოლოგიურ პაციენტებს, როგორც წესი, სჭირდებათ საკმაოდ ბევრი და სერიოზული გამოკვლევა და მკურნალობის თვალსაზრისით კი, არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, არამედ დამატებით რადიოთერაპიის და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსი. თუ აქამდე, პაციენტების ძალიან დიდი ნაწილი, უბრალოდ, ვერ იტარებდა მკურნალობას, ამჟერად ჯანდაცვა ნამდვილად საყოველთაო გახდა – სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის, მიუხედავად სქესისა, ასაკისა და სოციალური კუთვნილებისა. მას შემდეგ, რაც ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწოფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე არავითარი ფინანსური მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. ეს რეალური შეღავათია. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პაციენტი აღარ არის შეზღუდული დაწესებულების არჩევაში. მკურნალობა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც აღჭურვილია ადეკვატური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო საშუალებებით, დაკომპლექტებულია შესაფერისად განსწავლული, მაღალკვალიფიციური კადრებით. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში უამრავმა, დიდმა თუ მცირე მასშტაბის კლინიკამ აიღო თავის თავზე ონკოლოგიური პაციენტის მკურნალობა. შედეგედად კი, პაციენტი ხშირად არაპროფესიონალიზმის მსხვერპლი ხდება.



**– ბატონო მიხეილ, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი აღიარებული ლიდერია რადიოლოგიისა და ქირურგიის მთელ რიგ მიმართულებებში. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი, უდიდესი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. არის თუ არა დღეს თქვენს ცენტრში ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის შესაძლებლობა?**

– ყოველ წელს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის 40 000-ზე მეტი პირველადი პაციენტი მომართავს. მინდა გითხრათ, რომ უკანასკნელ პერიოდში, ონკოლოგიურმა პათოლოგიამ მკვეთრად იმატა. 2014 წლიდან ჩვენ გადავწყვიტეთ ონკოლოგიური მიმართულების გაძლიერება – აშენდა ახალი კორპუსი, სადაც განთავსდა ონკოლოგიის (ქიმიოთერაპიული) და რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტები. ექიმი-ონკოლოგების მიერ ხდება თითოეული ონკოლოგიური პაციენტის დეტალური გამოკვლევა და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. ცენტრში, უნიკალურ, რადიკალურ და ორგანოშემანარჩუნებელ ონკოქირურგიულ ოპერაციებთან ერთად, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, აქვე ჩაიტარონ კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის ყველა კომპონენტი – ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია, ტარგეტული თერაპია. რადიაციული ონკოლოგიის განყოფილება აღჭურვილია Varian-ის ფირმის 2 უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლით TrueBeam-ით. მასში ინტეგრირებულია სპეციალური კომპიუტერული ტომოგრაფი 3D გამოსახულების მიღებისა და მკურნალობის ტექნოლოგიების სინქრონიზაციით, რომლის საშუალებით პაციენტს უტარდება ზუსტ გამოსახულებაზე დაფუძნებული სხივური თერ-

აპია. ეს უახლესი ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, გაცილებით დიდი სიზუსტით, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით, მოხდეს სამიზნე უბნის მაქსიმალური დასხივება. აპარატი ავადმყოფს უადვილებს სამკურნალო პროცედურებს, რადგან უახლესი ტექნოლოგიები უზრუნველყოფს დასხივების პროცედურის სწრაფ და ადეკვატურ ჩატარებას. თრუბიმის შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია.

– **თქვენს ინსტიტუტში მუშაობენ საუკეთესო ექიმები, რომლებიც თავიანთი დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან. მათი სახელები კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. თქვენი კლინიკა, ასევე, უპრეცედენტოა მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაც.**

– თამამად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია, ვთქვა, რომ აპარატურა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტშია, საუკეთესოა არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვისაც – დაწყებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობით, ულტრაბგერითი აპარატურით, რენტგენოგრაფიული დანადგარებით, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფებით, ენდოსკოპიური ტექნიკით და დამთავრებული, მართლაც რომ, უნიკალური საოპერაციო ბლოკებით თორაკო-აბდომინური, გინეკოლოგიური, მამოლოგიური, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული და ნეიროქირურგიული ჩარევისთვის. დღესაც კი გაგიჭირდებათ, ევროპაში და თუნდაც ამერიკაში, კლინიკების მოძიება, სადაც სამედიცინო ტექნიკის ასეთი კონცენტრაციაა – ფუნქციონირებს 4 კომპიუტერული და 4 მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი. მეტსაც გეტყვით, დგას საკითხი მეხუთე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის შეძენისა, რადგან ამ განყოფილებაში მუდმივად რიგია. პაციენტები ჩაწერის გარეშე ვერ ხვდებიან გამოკვლევაზე და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები ნდობას უცხადებენ ინსტიტუტს, ჩვენი კლინიკის ექიმებს. ბატონი ფრიდონი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ნდობას აქვს უდიდესი როლი. პაციენტისთვის გადამწყვეტი ექიმია – პროფესიონალი, რომელმაც, გამოკვლევის



შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე, სწორი დიაგნოზი უნდა დასვას. აქ შეცდომის უფლება არავის აქვს.

– **შეგიძლიათ თქვათ, რომ დღეს თქვენს ინსტიტუტში უკვე ყველა პირობაა შექმნილი ავადმყოფებისთვის სრულყოფილი ონკოლოგიური სერვისის მისაღებად? ხომ არ გეგმავთ უახლოეს მომავალში რაიმე სიახლეების დანერგვას?**

– თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არც ერთ სხვა დაწესებულებაში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა ჩვენს ინსტიტუტში. უკვე შევიძინეთ და გავუშვით ექსპლუატაციაში უნიკალური პათო-მორფოლოგიური ლაბორატორია; ვაფართოებთ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის დიაპაზონებს; ჩავერთეთ ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამაში, რაც შესაძლებლობას აძლევს 40-დან 70 წლამდე ქალბატონებს უფასოდ ჩაიტარონ ჩვენს ცენტრში მამოგრაფიული გამოკვლევა და მამოლოგის კონსულტაცია; 25-60 წლის ქალბატონებს – პაპ-ტესტი და კოლპოსკოპიური კვლევა. შეიძლება ითქვას, რომ დინამიკური განახლების პროცესში ვიმყოფებით და ნამდვილად არ ვაპირებთ შევჩერდეთ მიღწეულზე. ბატონმა ფრიდონმა სერიოზული ამოცანა დააყენა ჩვენი ინსტიტუტისა და ზოგადად, ქვეყნის წინაშე – გვინდა, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოდან უცხოეთში გამგზავრება. ჩვენ გვინდა, ჩამოვაყალიბოთ მკაცრი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიურ პაციენტებს გაეწევათ საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მკურნალობა და მაქსიმალური ყურადღება მიექცევა მკურნალობის ხარისხს. ონკოლოგია ძალზე სპეციფიკური და რთული დარგია. ყველა დაწესებულებას არ ძალუძს ამ სირთულეებთან შეჭიდება. დღეს ჩვენ ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გაგვაჩნია. ეს სერიოზული გამოწვევაა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამ ამოცანას ნამდვილად გაუმკლავდება.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 294-02-89, 234 -81-19**
**მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ№13.**

**თამუნა ნიჟარაძე**

(მე-14 გვერდიდან)

ით მხოლოდ სიეტლში ხდება, რადგან აქ ვართ და ამის გასაკეთებლად ფიზიკურადაა აქ ყოფნა საჭირო. თუმცა, ვგეგმავთ სხვა ქალაქებში გასვლასაც. საახალწლოდ, ნიუ-იორკში ვაპირებთ წასვლას და პროექციების იქ გაკეთებას. 2015 წლიდან, როგორც გიორგიმ გითხრათ, უკვე ელექტრონულ ბილბორდებს დავდგამთ და მასშტაბებსაც გავზრდით. სამომავლოდ, შესაძლოა, მსოფლიო მასშტაბებზე გავიდეთ.

– **მომხმარებელს ნებისმიერ ენაზე შეუძლია შეტყობინების გაგზავნა?**

– კი. წარწერის გაკეთება სხვადასხვა ენაზეა შესაძლებელი და ამ მხრივ, ჯერჯერობით ცვლილებები არ იგეგმება. მაგალითად, გუშინ უამრავი მესიჯი შემოვიდა ბრაზილიიდან და ძალიან ბევრი იყო ესპანურ ენაზე. არის ქართულიც, უკრაინულიც და სხვა.

– **ძირითადად, რომელი ქვეყნებიდან და რა შინაარსის შემცველი მესიჯები მოგდით?**

– რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზე ამერიკიდან შემოსული მესიჯებია. ბევრია დიდი ბრიტანეთიდან, ესპანეთიდან, ბრაზილიიდან. პრესაშიც დიდი გამოხმაურება გვაქვს. ლონდონში, ესპანეთში, გერმანიაში დაიწერა ჩვენს შესახებ და მომხმარებლებიც ძირითადად იქიდანაა. ძირითადად, სიხარულის და სიყვარულის გამომხატველი მესიჯებია. ბევრი წყვილი აგზავნის საკუთარ სურათებს საქართველოდანაც და ეს ძალიან მიხარია. პოლიტიკური ხასიათის მესიჯებიც ბევრია, საქართველოდანაც, უკრაინიდანაც. როცა რაიმე თემა აქტუალურია, ესემესებშიც მასზეა საუბარი. როცა ზიზღის გამომხატველი მესიჯი მოდის, იმის

# როგორ გამოიწვია ამერიკაში ბუმი ქართველი ბიჭების შექმნილმა ახალმა სოციალურმა ქსელმა და რა არის „დიპაბსი“

გათვალისწინებით, რომ ქუჩაში უამრავი ადამიანი დადის – ბავშვი თუ სხვა, ასეთ მესიჯს არ ვუშვებთ. ასევე, იბლოკება გინება და რასისტული მესიჯები. პოლიტიკური ხასიათის მესიჯები არ იბლოკება, თუ არაკორექტულ სიტყვებს არ შეიცავს, რადგან ყველას თავისი შეხედულება აქვს და მათ პატივს ვცემთ.

– **პროექცია ერთ ადგილას ხდება თუ რამდენიმე ადგილი გაქვთ შერჩეული?**

– გვაქვს ექვსი ადგილი და პარალელურ რეჟიმში ყველაგან ხდება მესიჯების გაშვება. ბევრი გამვლელი ხედავს ამას და უმეტესობა მერე თვითონაც აგზავნის შეტყობინებას.

**გიორგი**: მუდმივად ერთ ადგილას ვართ. უკვე თითქმის ყველა გამვლელმა იცის, რომ ყოველ საღამოს იქ რაღაც ხდება. ისეთი ადგილები გვაქვს შერჩეული, სადაც ბევრი ხალხი მოძრაობს. შებინდებისას, სამუშაო დღის დასასრულს ვიწყებთ, როცა ბევრი ხალხია ქუჩაში. თავიდან ყველა ჩერდებოდა და გვეკითხებოდა, რა ხდებაო. დიდი ინტერესი იყო და ძალიან ხშირად იღებდნენ სურათებს. ახლა უკვე ისინი გვცნობენ და კითხვებით აღარ მოდიან, უბრალოდ, ჩერდებიან, როცა მესიჯები გადის. თვითონაც მომხმარებლად იქცნენ.

**ქეთი**: როცა შეტყობინება მიდის ეკრანზე, იქვე მყოფი, ძალიან ბევრი ადამიანი ერთვება პროცესში. შეტყობინებებს აგზავნიან და საკმაოდ ემოციურია, როცა საკუთარ შეტყობინებას მომენტალურად ხედავენ კედელზე. ეს, ისეთ ემოციებს იწვევს, რომ არ არსებობს, კიდევ არ გამოაგზავნონ და ეს მნიშვნელოვანია, რადგან მრავალჯერადი მომხმარებლები ხდებიან.

– **სულ რამდენი ადამიანი მუშაობს ამ პროექტზე?**

**გიორგი**: მე, ბაქარ მარუაშვილი, ქეთი ქებულაძე და აბინავ საქსენი, რომელიც ინდოეთშია. ის პროგრამულად უზრუნველგვყოფს. რეალურად, ამ პროექტზე ოთხი ადამიანი ვმუშაობთ. მე და ბაქარი კლასელები ვიყავით. სკოლის შემდეგ მე საფრანგეთში წავედი, სადაც სარეჟისოროზე ვსწავლობდი. ბაქარი ამერიკაში წავიდა და იქ დაამთავრა უნივერსიტეტი. დაბრუნების შემდეგ, ერთად დავიწყეთ ამ ყველაფერზე მუშაობა.

**ქეთი**: ბიჭებს თითქმის დასაწყისში, წელიწად-ნახევრის წინ შევუერთდი. საკმაოდ შრომატევადი პროცესი იყო თავიდანვე. 12 საათამდე ვმუშობდით სამსახურში, სანამ დაცვა არ გამოგვაგდებდა და ასეთი რეჟიმით მივდივართ შედეგამდე.

**გიორგი**: პროდუქტის ტექნიკურ განვითარებას და დიზაინს მე ვხელმძღვანელობ. ბაქარი ბიზნესგანვითარებასა და კლიენტებთან ურთიერთობას. ქეთი სოციალურ ქსელში თუ სხვაგან – გავრცელებას. მარკეტინგსა და რეალურად, მომხმარებლების მოზიდვაზე, ის მუშაობს.

**ქეთი კაპანაძე**

**ნიჭიერი მომღერალი და ძალიან პოზიტიური, ენერგიული, ხალისიანი სოფი საკაკაშვილი მსმენელმა „X ფაქტორიდან" გაიცნო. ამ შოუმ სოფის ბევრი იმედგაცრუებაც მოუტანა და ბევრი დაუმსახურებელი კრიტიკა თუ შეფასებაც. სოფი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნიუ-იორკში იმყოფებოდა, სადაც ცხოვრებასა და სწავლის გაგრძელებას გეგმავს.**

# ვინ „გაათხოვა" ნიუ-იორკში სოფი საკაკაშვილი და რატომ გახდა ის ცოტა ხნით გაპრანჭული ვამპირი

**სოფი საკაკაშვილი:** ამერიკაში მანამდეც ვიყავი, ამიტომ ახლა დიდი ფუროორი არ მოუხდენია. ხალხი მწერდა: ჩვენც წაგვიყვანეო. აქედან ისე ჩანს: ამერიკაა, ნიუ-იორკია, მაგრამ აეროპორტიდან რომ გამოხვალ, ჯეიზი არ დაგხვდება იქვე და თავის ლეიბლში არ წაგიყვანს, არც თავზე დაგცვივდება მილიონები, როგორც აქ ჰგონიათ ხოლმე. შენ რა გენაღვლება, რა გედარდება – იყო ასეთი კომენტარები. თითქოს ამერიკაში რომ ჩახვალ, მაშინვე ყველაფერი კარგად იქნება. შესაძლებლობების ქვეყანა არის, მაგრამ თუ არაფერს გააკეთებ, არც არაფერი მოხდება. ძალიან ბევრი ქართველია და მათ არ აქვთ დალხინებული ცხოვრება, ბევრი სირთულის გადატანა უწევთ. იმდენს მუშაობენ - ქართული საზოგადოება ასე მარტივად ნუ უყურებს ამ ამბავს. იქ უფრო მეტს შრომობენ, უბრალოდ, ეს შრომა უფრო მეტად ფასდება. ასე რომ, მეც რაღაცეები მენაღვლება, მედარდება, ასეთი უდარდელიც არ ვარ. ვცდილობ, მხიარული ვიყო, მაგრამ მეც მაქვს მომენტები როცა რაღაცეები მედარდება.

**– რა გაარკვიე სწავლასთან დაკავშირებით?**

– შავი ზღვის უნივერსიტეტში ვსწავლობ. „X ფაქტორის" გამო ცოტა პრობლემები შემექმნა, ბევრი გაცდენა მქონდა, განცხადება დამაწერინეს. თუმცა, მერე ამერიკიდან გავიგე, რომ ჩემი განცხადება არც წაუკითხავთ. ახლა ჩამოვედი, რომ გავარკვიო ეს ამბავი, რადგან საბუთების გადატანა მიწევს, ტრანსფერი უნდა გავაკეთო. ვიმედოვნებ, შავი ზღვის უნივერსიტეტი პრობლემებს არ შემიქმნის... რაც შეეხება სწავლას, სახელმწიფო უნივერსიტეტში მინდა სწავლა. კერძო უნივერსიტეტებში სწავლა ძვირია, ჯერჯერობით ამის საშუალება არ მაქვს. ამ უნივერსიტეტს ნიუ-იორკის მასშტაბით სხვადასხვა ფილიალი აქვს და ერთ-ერთში ვისწავლი. ძალიან კარგი და ძლიერი უნივერსიტეტია. მუსიკალურ პერფორმანსზე გადამაქვს საბუთები, ანუ პირველი კურსიდან ვიწყებ. საქართველოში შეიძლება, სწავლისთვის ბებერი ვარ, მაგრამ იქ 20 წელი არაფერია. პირველად რომ ჩავედი, 18 წლის ვიყავი და როცა ვთქვი: სკოლა დავამთავრე, ახლა უნივერსიტეტში ვსწავლობ-მეთქი, გაუკვირდათ – რა გეჩქარებოდაო. ახლა თუ მოვაგვარებ ყველაფერს, სექტემბრისთვის, ალბათ, ნიუ-იორკში გავაგრძელებ სწავლას.

**– ახალ ცხოვრებას დაიწყებ, ბევრ რამეს ისწავლი და გამოცდილებას მიიღებ.**

– კი და მიხარია. 5-წლიანი პროგრამაა. ყოველი წლის ბოლოს სულ თეატრალური დადგმებია, კონცერტები, ბილეთები იყიდება, ხალხი მოდის. ამიტომ ვფიქრობ, საინტერესო იქნება. ახლა ერთადერთი, ჩემები მენატრებოდნენ და სულ ვეწუწუნებოდი დედას: აქ ძალიან ცივა-მეთქი. ერთ დღესაც მითხრა: ჩამოდი თბილისში, აქ ასე ძალიან არ ცივა, თან შენთვის რაღაც სიურპრიზი მაქვსო. ამით ჩამომიტყუა, თორემ დიდი ხანი არ ჩამოვიდოდი. მოკლედ, თბილისში რომ ჩამოვედი და დავიწყე ჩემოდნების ამოლაგება, მითხრა: არ ამოალაგო, მალე ისევ ჩალაგებო. სითბოში მივდივართ, დუბაიშიო. ისე გამიხარდა, არც კი გამიხსნია ჩემოდანი, წავედით დუბაიში მე, დედა და დედაჩემის მეუღლე. პირველად ვიყავი დუბაიში და მეგობრებმა რომ მკითხეს: როგორი იყოო, ერთი სიტყვით ასე ვუთხარი: ნიუ-იორკსაც აჯობა-მეთქი. შოკში ჩავვარდი, ისეთი ლამაზია, ისეთი მაღალი დონის ცხოვრებაა. თან, ასე მცირე დროში მოახერხეს ყველაფერი, სასწაულია. დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი.



რადგან „რიელიშენშიპი" გავაკეთე, ესე იგი, ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ეს არც დანიშვნას ნიშნავს და არც გათხოვებას

**– ნიუ-იორკში, ალბათ, ბებო შენზე განსაკუთრებულად ზრუნავს.**

– ძალიან მივლის, მე კი ნერვებს ვუშლი. მეუბნება ხოლმე: ნერვებს კი მიშლი, მაგრამ მაინც გიტანო. ჩემი გასალები მაქვს სახლის და როცა სადმე მივდივარ, კინოში ან კლუბში, აღარ ვაწუხებ ბებოს. თან 24-საათიანი კინოა და ეს ძალიან მომეწონა. ღამე თუ არ მეძინებოდა, მივდიოდი. ქართველი მეგობრებიც მყავს და უცხოელებიც. ისეთ დროს ჩავედი, მალე ყველამ მუშაობა დაიწყო და როცა მუშაობენ, შენთვის აღარავის სცალია. ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ჩემით ვირთობდი თავს: ხან სად დავდიოდი, ხან სად. კლუბური ცხოვრება დიდად არ მიყვარს, უფრო მეტად ფართებზე დავდიოდი. მანჰეტენზე მილიონერები ყველაფერს აღნიშნავენ: კარგ ამინდს, ზამთარი მოვიდა, მზე ამოვიდა – მოკლედ, ყველაფერი უხარიათ. რამდენჯერმე ვიყავი ასეთ ფართიზე. ჰელოუინზეც ვიყავი. ამ დღეს ბავშვებს სხვადასხვა კოსტუმს აცმევენ, ისინიც დადიან და კანფეტებს ითხოვენ. ეს ხომ ბოროტი სულების დღესასწაულია და კანფეტებს, სიტკბოს აძლევენ: მშვიდად, ტკბილად იყავითო. მე ვამპირი ვიყავი, ოღონდ ლამაზი, გაპრანჭული ვამპირი.

**სცენაზე რომ ვიდექი, ძლიერი ვიყავი, ძლიერად ვიდექი, მაგრამ ბევრი რამ გადავიტანე. ხალხისგან ვიღებდი ისეთ კრიტიკას, რაც არ დამიმსახურებია**

**– სადმე ხომ არ იმღერე, თუნდაც წვეულებაზე?**

– ამ პერიოდში არც მიმღერია. იმდენად დასტრესილი წავედი აქედან, რომ სურვილიც არ მქონია, ვისვენებდი. სცენაზე რომ ვიდექი, ძლიერი ვიყავი, ძლიერად ვიდექი, მაგრამ ბევრი რამ გადავიტანე. ხალხისგან ვიღებდი ისეთ კრიტიკას, რაც არ დამიმსახურებია. ის, რომ ადამიანი გვარის გამო იათვალწუნო – ეს ჩემთვის გაუნათლებლობას ნიშნავს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემს მიმართ დაუმსახურებელი იყო. დედა განსაკუთრებულად ნერვიულობდა, მთელი ჩემი ოჯახი განიცდიდა. რაც მთავარია, ვერ ვხვდებოდი, რატომ. გამარჯვებას არ ჰქონდა მნიშვნელობა, ფინალში მინდოდა მოხვედრა და მოვხვდი. უბრალოდ, ის მომენტი, რომ ადამიანები ვერ გიტანენ, საშინელ კომენტარებს გიწერენ და ვერ ხვდები, რატომ. მე მაგათი ახლობელი არ მომიკლავს, ცუდი არაფერი გამიკეთებია, ვიდექი და ვუმღეროდი. მიხარია, რომ სწორედ ამ პერიოდში წავედი ამერიკაში, იქაური გარემო დამეხმარა ბევრ რამეში. აქ რომ დავრჩენილიყავი, შეიძლება, უფრო მეტად დავსტრესილიყავი. აქ, სამწუხაროდ, თუ რამე გიჭირს, გიჟდებიან შენზე. მაგრამ, თუ ნორმალური ადამიანი ხარ, ნორმალურად ცხოვრობ – არ მოსწონხარ.

**– ემზადები უკვე ახალი წლისთვის?**

– ახალი წელი ადრე მიყვარდა, ახლაც მიყვარს, უბრალოდ, სულ უცნაური რაღაცეები ხდება ამ დღეს. რომ არ მოელი – ისეთები და ვერ ვიტყვი, რომ ეს მახარებს. ამიტომ, ვამბობ: არ მინდა, ეს ახალი წელი-მეთქი. პატარა ვიყავი, როცა ჩემმა მამიდაშვილმა მითხრა: თოვლის ბაბუა არ არსებობსო და ძალიან მეწყინა, ბევრი ვიტირე. ახლა ჩემი თოვლის ბაბუა ჩემი ოჯახის წევრები არიან – ფულს მაძლევენ, სურვილებს აღარ ვწერ. ძვირადღირებული სურვილები მაქვს ხოლმე და თან, ვიბუტები, თუ არ ამისრულებენ. თუმცა, ახლა აღარ მინდა ტელეფონი და ასეთი რაღაცეები, უფრო მოგზაურობა მიყვარს და მირჩევნია ფული მოგზაურობაში დავხარჯო.

**– თაყვანისმცემლების საქმე როგორ არის?**

– „ფეისბუქზე" „რილეიშენშიპი" გავაკეთე და ამას მოჰყვა სასწაული: გილოცავთ, ბედნიერებას გისურვებთ, მეგონა, გავთხოვდი. მეგობარი მირეკავდა: ეს რა გააკეთეო. საჭირო იყო და იმიტომ გავაკეთე-მეთქი. თურმე ბებიაჩემს ნათესაობა ურეკავდა: სოფი გაბედნიერდაო. ბებია დაშოკილი იყო. დაქალი ურეკავდა: ვაიმე, სოფიმ „რილეიშენშიპი" გააკეთაო. ბებიაჩემი ვერ ხდებოდა, რას ნიშნავდა და მოკლედ, ნერვიულობდა. მერე მოვხსენი, რადგან ერთი ამბავი ატყდა. ხვალ, ალბათ, ბავშვს გამაჩენინებდნენ. რადგან „რიელიშენშიპი" გავაკეთე, ესე იგი, ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ ეს არც დანიშვნას ნიშნავს და არც გათხოვებას.

**ნათია უტიაშვილი**

# სპორტული აზარტულობით – კინოსა და შოუ-ბიზნესში

***პირადი ღირსებები, რომლებიც საჭიროა კარიერისთვის, როგორც სპორტში, ასევე კინოში – თითქმის ერთნაირია და გასაკვირიც არაა, რომ სპორტსმენები ხშირად წარმატებებს სრულიად სხვა სფეროში აღწევენ. აი, რამდენიმე მათგანი, რომლებიც შესამჩნევი ფიგურები გახდნენ შოუ-ბიზნესში, პოლიტიკასა და კინოში, მანამდე კი, თავიანთი კვალის დატოვება სპორტშიც მოახერხეს***

**ტილ ლინდემანი** (Rummstein) – რამშტეინი 30 წლის წინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების საკმაოდ ძლიერი მოცურავე იყო. მონაწილეობდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატებზე და საგზური მოსკოვის ოლიმპიადაზეც მიიღო. მაგრამ, მუცლის კუნთების ტრავმამ და ნაწილობრივ, პოლიტიკურმა შეხედულებებმაც, ხელი შეუშალა. რომში ნაკრებთან ჩასული ლინდემანი, ქალაქის გაცნობის მიზნით, სასტუმროდან ღამე გავიდა და... სექს-შოფშიც შეიარა. შტაზის მიერ აღმზრდელობითი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, მასში სპორტული ენთუზიაზმი, როგორც იტყვიან, ჩაქრა.

**ანა სემიონოვიჩი** – როდესაც „ბლესტიაშჩის" სექს-სოლისტი სამი წლის იყო ფიგურულ სრიალზე შეიყვანეს და არცთუ ტყუილად – ორი ათეული წლის განმავლობაში ხშირად იყო საერთაშორისო ტოპ-სამეულში, გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; ვერცხლის მედალი აიღო რუსეთის ჩემპიონატში წყვილში რომან კოსტომაროვთან ერთად.

**დოლფ ლუნდგრენი** – 70-იან წლებში ლუნდგრენი სამჯერ გახდა გამარჯვებული შვედეთის ჩემპიონატზე კარატეში. მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში. 5 წლის შემდეგ ის ყველამ გაიცნო, როგორც მოკრივე, თუმცა ფილმში – „როკი 4". აქედან დაიწყო მისი სამსახიობო კარიერაც.



**ზემფირა** – 90-იან წლებში, მიუხედავად სიმაღლისა – ის მხოლოდ 172 სანტიმეტრია, რუსეთის იუნიორ კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი და ლიდერი იყო. გუნდიდან საუკეთესო გამთამაშებლის წასვლითა და შოუ-ბიზნესში გადასვლით, მან ძალიან დაწყვიტა გული მწვრთნელს.

# სერიალიდან – ბონდიანამდე

პირს ბროსნანი – ეს სიმპათიური ირლანდიელი მსახიობი, ქალაქ დროედში დაიბადა. მამამ ოჯახი მალე მიატოვა. პატარა პირსს ჯერ ბებია ზრდიდა, 11 წლისა კი დედასთან ერთად ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად. მომავალმა ვარსკვლავმა მუშაობა 16 წლის ასაკში დაიწყო ფოტოსტუდიაში, ხოლო 1973 წელს ლონდონის დრამატული ხელოვნების ცენტრში ჩააბარა და სამი წლის განმავლობაში ეუფლებოდა სამსახიობო ხელოვნებას. თამაშობდა ინგლისის თეატრებსა და ტელევიზიაში.




პირს ბროსნანი საყოველთაოდ ცნობილი 1981 წელს გახდა, როდესაც მან ამერიკულ ტელესერიალ The Manions of America-ში მიიღო მონაწილეობა და მალე შტატებში გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. NBC-ის დეტექტიურმა სერიალმა, „რემინგტონ სტილმა," კიდევ უფრო გაზარდა მისი პოპულარობა. მას სწორედ ამ დროს შესთავაზეს პირველად ჯეიმს ბონდის როლი, რომელზეც როჯერ მურმა თქვა უარი. 1986 წელს ბროსნანმა წინადადება მიიღო „ბონდიანას" კიდევ ერთი ფილმიდან – „ნაპერწკლები თვალებიდან". თუმცა, NBC-სთან კონტრაქტმა ხელი შეუშალა და ეს როლი ტიმოთი დალტონმა შეასრულა. 1990-იან წლებში ბროსნანმა საკმაოდ წარმატებულად განასახიერა როლები, თუმცა მათ შორის გამორჩეულია ჯეიმს ბონდი ფილმში – „ოქროს თვალები" (348 895 621-დოლარიანი შემოსავლით). უფრო მეტად შემოსავლიანი გამოდგა მის მიერ მეოთხედ შესრულებული ჯეიმს ბონდი, ფილმში – „მოკვდი, მაგრამ, ახლა არა", რომლის შემოსავალი 431 971 116 დოლარი იყო. ბევრი სპეციალისტი თუ, უბრალოდ, კინომოყვარული დღესაც ფიქრობს, რომ ჯეიმს ბონდი სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს. მის ბონდს უმაღლეს შეფასებას აძლევდა შონ კონერიც, რომელიც, სხვათა შორის, ასევე საუკეთესოდ ასრულებდა ამ როლს.

2009 წელს კი პირს ბროსნანმა მიიღო „ოქროს ჟოლო" მეორეხარისხოვანი როლის ცუდი შესრულებისთვის ფილმში – „მამა მია!"

1981 წელს გადაღებულ ფილმში – „მხოლოდ შენი თვალებისთვის" ბონდის „გოგონას" როლს პირსის პირველი ცოლი, კასანდრა ჰარისი ასრულებდა.

პირსის ვაჟი – შორი, ასევე მსახიობია და მთავარ როლს ასრულებს 2013 წელს გადაღებულ ფილმში „ამო".

კინოინდუსტრიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისთვის პირს ბროსნანს ჰოლივუდის დიდების ხეივანში ვარსკვლავი გაუხსნეს, ნომრით – 7083.

# წლის ყველაზე გავლენიანი ქალი ჩოგბურთელია

საერთაშორისო საქმიანი გაზეთის Financial Times-ის ვერსიით, 2014 წლის ყველაზე გავლენიანი ქალი, ჩინელი ჩოგბურთელი ლი ნა გახდა, რომელმაც სპორტული კარიერა გასულ სეზონში დაასრულა. ლი ნასთან ერთად ამ სიაში მოხვდნენ: ბრაზილიის პრეზიდენტობის კანდიდატი მარინა სილვა, რეჟისორი ლორა პოიტრისი, მწერალი ნაომი კლიაინი და შოტლანდიის პირველი მინისტრი ნიკოლა სტერჯენი.

სპორტული კარიერის განმავლობაში ლი ნა 9 ტურნირის გამარჯვებული გახდა, მათ შორის – ორჯერ „დიდი მუზარადის" – 2011 და 2014 წლებში. პროფესიულ კორტებზე ასპარეზობისას, დღეს ყველაზე გავლენიანმა ჩოგბურთელმა ქალმა, რომელიც WTA-ს რეიტინგში მეორე ადგილს იკავებდა, პრიზად 17 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

# სპორტსმენების ფოტოგრაფის გატაცება

ამერიკელმა ფოტოგრაფმა დინ ბრედშოუმ საინტერესო სურათების სერია შექმნა – „ოქროს წლები". მასში შესულია ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც სპორტის ვარსკვლავები გახდნენ.

დინ ბრედშოუ სარეკლამო ფოტოგრაფი და რეჟისორი – სანტა-მონიკაში ცხოვრობს, ფოტოებს კი ვენეციისა და კალიფორნიის სტუდიებში ქმნის. ამბობს, რომ გატაცებულია სიუჟეტური ფოტოგრაფიით. უყვარს ექსპერიმენტები და ცდილობს, „ვიზუალურად გააოცოს ადამიანები".

თავგადასავლები ფოტოგრაფიებში დინმა ცხოველების მიკროგადაღებებით დაიწყო. იზიდავდა ავსტრალიის რეპტილიები – ფორმითა და ფერებით. მოგვიანებით, მოგზაურობდა, საინტერესო სახეებს ეძებდა. მაგრამ, მალე მიხვდა, რომ სინამდვილეში, მას შექმნა იზიდავს. მისი ნამუშევრების უმეტესობა კონცეპტუალური ფოტოები და პორტრეტებია. პორტრეტების შექმნისას ფოტოგრაფი ყოველთვის ცდილობს, თავის პერსონაჟს რამე ისტორია მოუფიქროს. ფოტოგადაღებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შუქს და ამისთვის რამდენიმე წყაროს იყენებს – სამიდან ცხრამდე. საჭირო ეფექტის მისაღებად შემდგომ დინმა დამუშავების საკუთარი სტილი შეიმუშავა.

# განათობელი ბუცები „ადიდასისგან"

Adidas Hunt Pack-ის შეზღუდული გამოშვება ფეხბურთის ბუცების Adidas Predator-ის სერიის 20-წლიანი ეპოქის დასასრულს მიეძღვნა. მრგვალი თარიღის აღსანიშნავად, 2014 წელი დიზაინერებმა ბუცების 14 მოდელი გამოუშვეს. დიზაინს საფუძვლად დაედო სერიის სამი ყველაზე წარმატებული მოდელი, რომლებიც გამოვიდა – 1994, 1998 და 2002 წლებში. აღსანიშნავია, რომ ანათებს არა მარტო ბუცების ხელოვნური ტყავი, არამედ მთლიანად ძირი. მთლიანად Adidas Hunt Pack ხომ განკუთვნილია ფეხბურთის სათამაშოდ ყველანაირ მოედანზე – დაწყებული ბუნებრივი მინდვრიდან პარკეტით დამთავრებული.

გვერდი მოამზადა ლაშა გაბელიამ



# როგორ უნდა იძიოს შური მოღალატე ქმარზე ჭკვიანმა ქალმა და დააბრუნოს ოჯახში

**როცა საყვარელი ადამიანი გულს გტკენს, გიჩნდება სურვილი, შენც ზუსტად ისე მოექცე მას, როგორც თავად მოგექცა. ფსიქოლოგებიც ამბობენ, რომ ამ დროს შურისძიების მოთხოვნილება ბუნებრივია და ნორმალური. უბრალოდ, ბევრმა არ იცის, როგორ იძიოს შური ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოს. როცა გიყვარს, ძნელია, ცივი გონებით მიიღო გადაწყვეტილება, რადგან, ცუდისთვის მაინც ვერ იმეტებ იმას, ვინც სიცოცხლე ასე გაგიმწარა. თუმცა, გააჩნია ტკივილის სიმწვავესაც. შეიძლება, მან სიყვარული საერთოდ შთანთქოს და ბოროტებად აქციოს. ვისაც შეუძლია, მართოს თავისი ემოციები, ის ნებისმიერი სიტუაციიდან გამარჯვებული გამოვა...**

თათული *(36 წლის)*: არასდროს მქონია იმის პრეტენზია, რომ ვარ ჭკვიანი ქალი, არაფერი განსაკუთრებული. გულახდილად გეტყვით, საკუთარ თავსაც არ ვიცნობდით წესიერად, ჩემი შინაგანი შესაძლებლობების შესახებაც კი არ მქონდა წარმოდგენა. ჩვენ ხომ ძალიან ბევრ თვისებას კრიტიკულ სიტუაციაში ვავლენთ, განსაკუთრებით – ჩვეულებრივი ქალები. დიახ, ჩვეულებრივი ქალი ვარ, ჩვეულებრივი მოთხოვნილებებით, ემოციებით. ძალიან მაგრად და ღრმად დამჭრეს, ისე ღრმად, რომ ჩემში შურისმაძიებელი და ველური გააღვიძეს. ეს არ იყო ჩემი ბრალი, არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომლებსაც სხვების გრძნობებზე თამაში შეუძლიათ. მაგრამ, როცა მე თავად მომექცნენ ასე, ბუმერანგივით უკან დავუბრუნე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე დღესაც ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ისევ დაბრუნებულიყო ჩემს ცხოვრებაში.

**– ანუ, წავიდა და უკან მოაბრუნეთ?**

– ფაქტობრივად, ასე გამოვიდა. თუმცა, ეს მხოლოდ სათქმელად არის ადვილი. წარმოიდგინეთ ვულკანის ამოფრქვევა – სწორედ ასეთი რაღაც მოხდა ჩემში... ერთი წლის წინ ჩემმა ქმარმა სრულიად მოულოდნელად გამომიცხადა, რომ მიდიოდა ჩემგან. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

**– მანამდე რამდენ ხანს იყავით ერთად?**

– ხუთი წელი, წასვლა-მოსვლიანად – ექვსი. არ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი სიყვარულის შედეგად შეიქმნა ჩემი ოჯახი – ეს ყველაფერი ლირიკაა, მაგრამ, იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ერთად ვიყავით (ანუ, ხუთ წელს ვგულისხმობ, სანამ ჩემი ქმარი წასვლის განცხადებას გააკეთებდა), მე მისთვის აბსოლუტურად არაფერი შემინიშნავს. არც ეჭვიანი ვარ, მაგრამ, არც დებილი და სულელი. ამბობენ, შეყვარებული ქალი ყოველთვის გრძნობს, როცა მისი საყვარელი ადამიანის გულში ვიღაც სხვა შემოდისო. მე არაფერი მიგრძნია. ყველაფერი ძალიან კარგად იყო: მზრუნველი, ყურადღებიანი, თბილი და, უცებ – ასეთი განცხადება.

**– პირდაპირ გითხრათ, სხვასთან მივდივარო?**

– დიახ, ყოველგვარი შემზადებისა და შესავლის გარეშე. არაფერმა გაჭრა – არც თხოვნამ, არც მუდარამ, არც ცრემლებმა... ისტერიკა არ მომიწყვია – არ ვარ ეგ ტიპაჟი. ჩაალაგა თავისი ნივთები და წავიდა. ისეთი დარტყმა იყო ეს ჩემთვის, რომ შოკში ჩამაგდო... ისეთი შოკირებული ვიყავი, საერთოდ არაფერი მომიმოქმედებია... ერთი თვე მაინც, იმისი გარკვევაც ვერ შევძელი, ვისთან წავიდა. პრინციპში, ამას არც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მარტო დავრჩი; რომ საყვარელმა ადამიანმა ისე მიმატოვა, ერთხელაც არ მოუხედავს უკან. მერე ერთხელ დამირეკა: ჩემი წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ შვილს არ ვნახავ. შენ ჭკვიანი ქალი ხარ და, ვიცი, დაბრკოლებას არ შემიქმნი – მინდა, ახალი დედაც გაიცნოს და დაუახლოვდესო...

**ჩემი მიზანი უფრო მეტი იყო, ვიდრე მოღალატე კაცის გამწარება**

აი, მაშინ კი გავმწარდი და გამიჩნდა სურვილი, რომ შური მეძია ასეთი უსინდისობის გამო.

**– ქმარზე გეძიათ შური?**

– ჰო, მომინდა, მასაც ძალიან სტკენოდა და, კიდევ, მიმხვდარიყო, რა დაკარგა ჩემი სახით. იაფფასიანი კომედიის დადგმა არ ჩამიფიქრებია. ჩემი მიზანი უფრო მეტი იყო, ვიდრე მოღალატე, ორგული კაცის გამწარება. არ ვიცი, როგორ გამინათდა გონება, მაგრამ, მივხვდი – ჩემი ქმარი ისტერიკით კი არ უნდა დამეფრთხო, პირიქით, ახლოს უნდა მყოლოდა და ისე მემოქმედა.

**– ანუ, ის ქალი, ვის გამოც მიგატოვათ, საერთოდ არ გაინტერესებდათ?**

– არ მაინტერესებდა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ, ამ სურვილს ვძლიე, თორემ, დიდი სიამოვნებით ვწვდებოდი თმაში და გავწეწავდი. ქმარი რომ არ მყოლოდა დასაბრუნებელი, ზუსტად ასე მოვიქცეოდი.

**– ანუ, ქმარს წინასწარ აპატიეთ?**

– ამაზე საერთოდ არ მიფიქრია. ჩემი მიზანი იყო, მოღალატეს სამაგიერო მიზღვეოდა და დაბრუნებულიყო ოჯახში.

**– ამას მესაკუთრული განცდები არ ჰქვია?**

– არა. როცა ხუთი წელი ჩემ გვერდით ხარ და მე შენთვის ჰაერივით აუცილებელი ვხდები; როცა ჩემი დახმარებით გექმნება წარმატებული მომავალი; როცა ჩემზე გადის შენი მაღლა სვლის გზა, უფლება აღარ გაქვს, ისე მომექცე, როგორც სრულიად უცხო ადამიანს, რომლის განცდები არ გაინტერესებს და არ გადარდებს. ჩემი ქმარი არ იყო ჩემთან მართალი, ოღონდ, არ მითხრათ, რომ სიყვარული თავისას შვრება და რომ ჩემს ქმარსაც დიდმა სიყვარულმა ჩაადენინა ეს. რა სისულელეა. სიყვარული უნდა იცოდე. ხუთი წელი ერთი სხეული და ერთი სული ვიყავით და მაინც წავიდა... როგორ დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი დიდი და ახალი გრძნობის გავლენით გააკეთა?! მეცინება ამაზე. უბრალოდ, გონება აურია და მძაფრი ემოციები მოუნდა. კაცები ხომ ინსტინქტებით აზროვნებენ. მათ ძალიან აკლიათ სიღრმე, რაშიც არაფერია გასაკვირი, რადგან, კაცები ბიოლოგიურად ასე არიან მოწყობილები. შეიძლება, სწორედ ქალური ლოგიკის წყალობით, არ გავგიჟდი და გადავირიე მის ღალატზე, თუმცა, ვაღიარებ, რომ მისთვის გულისტკენა ძალიან მინდოდა. მოკლედ, თავი მაქსიმალურად ავიყვანე ხელში და მშვიდად შევხვდი, როცა მობრძანდა, ღიმილიც კი შევძელი. გაოგნდა, არ ელოდა. მივხვდი, რომ ცოტათი გაუტყდა კიდეც, იმ პონტში – აუ, რა ადვილად შემელიაო. მაგრამ, არ შეიმჩნია... ბავშვს მოეფერა და საჩუქრები მისცა. მერე მკითხა, შეიძლება, მაშინ მოვიდე და ვნახო, როცა მომინდებაო? რა თქმა უნდა-მეთქი. ესეც საკმაოდ უჩვეულოდ მოეჩვენა. ერთი თვის შემდეგ ჩემს ყურამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ ჩემს ამბებს იძიებდა. აინტერესებდა, ხომ არავინ მყავდა და მეც „ავმოქმედდი". ჩემი ერთი მეგობრის საქმროს ვთხოვე, ცოტა ხნით ჩემი შეყვარებულის როლი ეთამაშა და ისიც დამთანხმდა.

**– ავანტიურაზე წახვედით?**

– სხვანაირად არაფერი გამომივიდოდა. მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას. თამაშში დედაჩემიც ჩავრთე. წარმოიდგინეთ, როგორ შემიწყო ხელი, რომ ყველაფერი გამომსვლოდა. როცა ჩემი ქმარი მოვიდა, უთხრა: თათული, ალბათ, გათხოვდება და, კარგი იქნება, ხელს თუ არ შეუშლიო. სახეზე რომ შევხედე, კედელივით თეთრი იყო, ლამის გული გაუსკდა. ისე ვიცნობ, ეჭვის შეუტანლად გამოვიცა-

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ჯარის მეგობრებმა და ვის ეძებენ საქართველოში

*ალექსანდრე ივანეს ძე კარდაში ეძებს 62 წლის გივი კობერიძეს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ჯარის მეგობარს, 1952 წელს დაბადებულ გივი კობერიძეს. მე და გივი ერთად ვმსახურობდით №11668-ე სამხედრო ნაწილში, რომელიც მდებარეობდა საქართველოში, გომბორში. ეს იყო 1970-1972 წლებში. მას შემდეგ მეგობართან კავშირი დაკარგული მაქვს. ძალიან მინდა მისი მოძებნა და მეგობრობის გაგრძელება. თავად მე რუსეთში ვცხოვრობ. მაქვს ჩვენი მსახურობისდროინდელი ფოტო, რომელზეც გივი მარცხნივაა. თქვენი დახმარების იმედი მაქვს და წინასწარ გიხდით მადლობას იმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ.



**– მოგვიყევით თქვენი ისტორია.**

– მე და გივიმ ერთმანეთი ჯარში გავიცანით – 1970-1972 წლებში ერთად მოგვიწია სამხედრო სამსახურის გავლა გომბორში. ეს იყო №11668-ე სამხედრო ნაწილი. დავმეგობრდით და ბევრი საერთო გამოვნახეთ. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, თუ არ ვცდები, გივი ქუთაისში ცხოვრობდა, მე კი რუსეთიდან ვიყავი. მაქვს ერთად გადაღებული ფოტოც. იმედი მაქვს, მასაც კარგად ვახსოვარ და, თუ ამ წერილს წაიკითხავს, აუცილებლად გამომეხმაურება. დამოუკიდებლად მე ის ვერ ვიპოვე და გადავწყვიტე, ჩემი განაცხადი „ჟდი მენიაშიც“ განმეთავსებინა.



**– თქვენი სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ მართლაც დიდი დროა გასული. მაინც, როდის და რატომ გადაწყვიტეთ მისი მოძებნა?**

– შეიძლება, რთული დასაჯერებელია, მაგრამ, სამხედრო სამსახურის წლები ჩემი თაობის ხალხისთვის სულ სხვა მოგონებებს ტოვებს. სულ გახსოვს ის დრო და რა თქმა უნდა, ის ადამიანებიც გახსენდება, ვინც იქ გაიცანი და დაუმეგობრდი. ვცდილობ, ვიპოვო გივი, რადგან, ის ჩემი მეგობარია, მისი პოვნა კი მეგობრობის გასაგრძელებლად მინდა. მაინტერესებს, როგორაა, რა მოხდა მის ცხოვრებაში; მინდა, ოჯახებით ვმეგობრობდეთ.

**– როგორ ფიქრობთ, გივის თუ ახსოვხართ?**

– დარწმუნებული ვარ, ვახსოვარ. ვიცი, გივისაც გაუხარდება, როდესაც გაიგებს, რომ მას ვეძებ. ქართველები არაჩვეულებრივი ხალხი ხართ. მინდა, თუკი გივის ვიპოვი, შევხვდეთ ერთმანეთს. საინტერესო იქნება ჩვენი შეხვედრა ამდენი წლის შემდეგ. თუკი მატერიალურად შევძლებ, აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში მეგობართან შესახვედრად. როდესაც ჯარში ვმსახურობდით, ერთმანეთის დაკარგვას არ ვაპირებდით. უბრალოდ, ასე მოხდა – მე დავკარგე გივის ყველა კოორდინატი, მხოლოდ მისი ფოტო დამრჩა. მინდა, საახალწლოდ



ვიპოვო ჩემი მეგობარი და, დარწმუნებული ვარ, ამით მასაც გავახარებ.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ნი მისი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ, ამითაც არ დავკმაყოფილდი. მერე ვუთხარი, მინდა, ბავშვი ახალ მამას შევაჩვიო და, თუ ამას გაგებით არ მოეკიდები, სერიოზული პრობლემები გვექნება-მეთქი. ამან გამანადგურებლად იმოქმედა მასზე, ლამის გაგიჟდა. ეგოისტი ხარ და, შვილზე კი არა, საკუთარ თავზე ფიქრობ. ჯერ საბოლოოდ არც კი გავყრივართ ერთმანეთს, შენ კი უკვე სხვა კაცს

**უცერემონიოდ, ბარგით მომადგა, თითქოს სხვა ქალთან კი არა, მივლინებაში იყო წასული**

ხვდებიო. მე ისევ არ დამიკარგავს სიმშვიდე. უბრალოდ, გავიოცე: რატომ გაქვს პრობლემა. შენ ხომ იპოვე სიყვარული და არ გიფიქრია ბავშვზე, მით უფრო – ჩემზე; მე რატომ მდებ ბრალს ეგოიზმში, განსაკუთრებულად მოვიქეცი-მეთქი? ისეთი ეჭვიანობის სცენები მომიწყო, პირდაღებული ვუყურებდი და... მორჩა, იმ დღის შემდეგ ველარ მოვიშორე – სახლიდან ველარ ვაგდებდი, ერთი კვირის შემდეგ კი უცერემონიოდ, ბარგით მომადგა, თითქოს სხვა ქალთან კი არა, მივლინებაში იყო წასული. გამაოგნა მისმა უტიფრობამ და მოჩვენებითმა სიმშვიდემ. არც კი მკითხა, ვიღებდი უკან თუ არა. მერე იმ ქალმაც აუტეხა რეკვები – სერიოზულად იყო გამწარებული და ჩემს ქმარს ვუთხარი, თუკი მას არ დაამშვიდებ, სამუდამოდ წახვალ და უკან დაბრუნებაზე არც იოცნებო-მეთქი. ახლაც არ ვიცი, როგორ მოაგვარა იმასთან ურთიერთობა, მაგრამ, მე არავის შევუწუხებივარ. თუმცა, უკვე უზომოდ შემაწუხა ჩემი ქმრის ზღვარგადასულმა ყურადღებამ და ეჭვიანობამ, ერთ ნაბიჯზეც არ მტოვებს. გადამრია... უკვე მეშინია, რომ სულ ამ რეჟიმში ვიცხოვრებ. საკმარისია, ვინმეს შევხედო, ეგრევე გიჟდება. დღემდე არ უკითხავს, ვინ იყო ის კაცი, რომელზე „გათხოვებასაც“ ვაპირებდი. მაგრამ, ისე იქცევა, აშკარად ისევ ძალიან განიცდის და წვალობს. ღირსია... მან ეს აშკარად დაიმსახურა.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმარი ნამდვილი ტირანია. ისე მიშლის ნერვებს და მაგიჟებს, თვითონ სიმშვიდეს საერთოდ არ კარგავს. საშინელი ხასიათი აქვს, ირონიით არის სავსე. რა უნდა გავაკეთოთ, რომ მოეწონოს. სულ მთრგუნავს და მანერვიულებს, არასრულფასოვნების კომპლექსი გამიჩინა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რომ ცოტათი მაინც ვიგრძნო ბედნიერება ოჯახური ცხოვრებისგან. გავცილდე ამის გამო?**

**გამოხმაურება:** ზოგადად, ამ ტიპის მამაკაცები ნამდვილად არსებობენ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმითთვის, რომ ქალმა საკუთარ თავში პიროვნება ვერ დაინახოს, რადგან, მიაჩნიათ, რომ ასეთ ქალზე ზეგავლენის მოხდენა და მისი დამორჩილება ბევრად ადვილია.

გაშორება ყველაზე რადიკალური ზომაა. თქვენ უნდა ეცადოთ, გქონდეთ საკუთარი აზრი და მკვეთრად გამოთქვათ ის. ადრე თუ გვიან, თქვენი ქმარი ამას პატივს სცემს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ადამიანები ხშირად საუბრობენ ღვთის შიშზე და, საკუთარ შვილებსაც და სხვებსაც, განსაცდელის დროს მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი ღმერთმა დასაჯა, რადგან, არასწორად მოიქცნენ. გვსჯის თუ არა ღმერთი და რა არის ღვთის შიში – ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ მეორდება შთამომავალში წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვები და როგორ უნდა განიწმიდოს ადამიანმა საკუთარი გენეტიკა

– ბევრს ჰგონია, რომ აქვს ღვთის შიში, მაგრამ, სინამდვილეში, არ არის ასე. ძველ აღთქმაში სიბრძნე სოლომონისა გვაუწყებს: „დასაბამის სიბრძინისა შიში უფლისა არს." თანამედროვე ადამიანი ამ სიტყვებს რომ მოისმენს, შეიძლება, გაუკვირდეს და გაგება გაუჭირდეს. თუ ჩვენ ვართ ქრისტიანები და ახალი აღთქმიდან ვიცით, რომ ღმერთი სიყვარულია, მაშინ ყველაფერი ნათელი და გასაგები ხდება. შესაბამისად, ჩვენი შიში უნდა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ სიყვარულის ღმერთს რამე არ ვაწყენინოთ, ისე არ მოვიქცეთ, ისეთი ცხოვრების წესი არ გვქონდეს, რომ ღმერთისგან გაკიცხვა დავიმსახუროთ.

**– რას გულისხმობთ?**

– ძველ აღთქმაში ღმერთი იყო გარკვეული პიროვნება, რომელიც ებრაელებს მოუწოდებდა: „კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ," ანუ, არ დაუთმო არაფერი და, ერთს რომ შემოგარტყამენ, ორი შემოარტყი. სამწუხაროდ, ეს სწავლება ისევე გადმოვიდა დღეს კათოლოციზმში და, ზოგადად, იუდაიზმი და კათოლიციზმი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. კათოლიციზმი და ძველი აღქმა გვასწავლის: თუ ადამიანი კარგად იქცევა, მას ღმერთი ახალისებს, ეფერება, წყალობას აძლევს; მაგრამ, თუ ცუდად იქცევა – სჯის. ეს არ არის მართლმადიდებლური სწავლება. მართლმდიდებლობაში ღმერთი სიყვარულია და ღმერთს ყველა ერთნაირად უყვარს – ცოდვილიც და მართალიც. რუსთაველი კარგად წერს: მზე ნეხვსა და ვარდს ერთნაირად მოეფინებაო. ვერავინ იტყვის, რომ, როდესაც მზე ანათებს, ის ნაკლებად უნათებს ცოდვილებს, მართლებს კი კარგად – ეს არასწორი შეხედულებაა. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში იოანე ოქროპირი შეაგონებდა ქრისტიანებს – თქვენ მიემსგავსეთ იუდეველებსო, ანუ, ღვთის შიში გაქვთ იმიტომ, რომ ღმერთმა არ დაგსაჯოთო. მოწყალებას იმიტომ გავცემთ, რომ მერე ღმერთის მხრიდან საზღაური მივიღოთ. ეს ერთგვარი ბიზნესიც კი შეიძლება იყოს – მე ჩავდებ ამდენ თანხას და მერე ხუთმაგს მივიღებ. ასეთი დამოკიდებულება მართლმადიდებლობას არ გააჩნია. როგორც აღვნიშნე, ჩვენი შიში არის სიყვარულის მიმართ, რომ ჩვენ ისეთი ქმედება, ცოდვა არ ჩავიდინოთ, რომელიც ჩამოგვაშორებს ღმერთს. კათოლიკური ეკლესიის სწავლებით, ცოდვა არის უფლის შეურაცხყოფა, რაც არ არის სწორი. წარმოიდგინეთ, 7 მილიარდი ადამიანი ყოველდღე სცოდავს და, როგორი შეურაცხყოფილი ყოფილა ღმერთი. ადამიანი, რომელიც ცოდვას სჩადის, მართლმადიდებლური სწავლებით, საკუთარ თავს აზიანებს, ხდება სნეული, ავადმყოფი, ცოდვილი და ღმერთს ის ებრალება, თუმცა, ამ ადამიანის მიმართ სიყვარულს მაინც ამჟღავნებს. ასე რომ არ იყოს, მაშინ, ყველანი დასჯილები ვიქნებოდით, ღმერთს დაშორებულები და ეშმაკთან ურთიერთობაში. ძალიან ბევრი აცხადებს, რომ მას სწამს ღმერთი, მაგრამ, ის არაფერს ასრულებს, არც ეშინია ღმერთის და არც მცნებებს იცავს. ყველა ჩვენი ქმედება, ეკლესიაში დავდივართ თუ არა, ოჯახთან, მეგობრებთან ურთიერთობა, სიყვარულზე უნდა იყოს დაფუძნებული, თუ არ გვინდა, რომ ღმერთის უარყოფითი დამოკიდებულება გამომჟღავნდეს ჩვენზე. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანი ღმერთის რისხვას ვერ დაიმსახურებს.



**სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს არც ყოყმანი გააჩნია, არც კრძალვა, არც გაოგნება, არც აგონია და ისე გადის ამ სოფლიდან, რომ არც უფიქრია იმაზე, რომ მისი ცხოვრება იყო სირცხვილი**

**– მაგრამ, ძველ აღთქმაში არის საუბარი იმაზე, თუ როგორ განრისხდა ღმერთი.**

– ეს წერია, რათა გავიგოთ, რომ ჩვენი ეს ქმედება არ არის სწორი ღმერთის წინაშე. ადამიანის გონებისთვის გასაგებად წერია ის, რომ, როცა შენ რაღაცას დაუშავებ შენს თავს, ასევე დაუშავებ შენს ოჯახსა და შენს მომავალს. ყველა ცოდვა, ჩვენ მიერ აღსრულებული, არის ინიექცია საკუთარ გენეტიკაში. ჩვენი გენეტიკა დასნეულებულია მრავალი ცოდვით. სამწუხაროდ, ეს მძიმე ცოდვები ხშირად მეორდება; ჩვენ გადმოგვეცემა არა ცოდვა, არამედ, ამ ცოდვისკენ მიდრეკილება. ამიტომ, ღვთის შიშით, ცხოვრების წესით უნდა გავწმინდოთ ჩვენი გენეტიკა და მერე ჩვენი შვილები აღარ იქნებიან მძიმე ცოდვებისკენ მიდრეკილები.

**– რამდენი სახის შიში არსებობს?**

– იოანე დამასკელი ჩამოთვლის, თუ რამდენი შიში არსებობს, ესენია: ყოყმანი, კრძალვა, სირცხვილი, თავზარი, გაოგნება და აგონია. რა არის ყოყმანი: ეს არის შემდგომი მოქმედების შიში – რა მოჰყვება ჩვენს მოქმედებას, ანუ, ყოყმანი უნდა უძღოდეს შიშს და ეს უნდა დაიძლიოს ჩვენი სწორი გადაწყვეტილებით, რომ ჩვენი გადაწყვეტილება იყოს უფლის ნება; მეორე არის კრძალვა – ანუ, განკითხვის მოლოდინის შიში, ანუ, თუ ამას აღვასრულებ, შეიძლება, ადამიანების განკიცხვა დავიმსახურო. თუ დაფიქრდები, რომ შენს ქმედებას განკითხვა მოჰყვება, მაშინ ეცდები, აღარ გააკეთო ეს. თავზარის შიში – როდესაც ადამიანი არ ელოდება არაფერს და, ამ დროს, შეიძლება, ისეთი რამ მოხდეს; რომ მას თავზარი დაეცეს. ამიტომ, ადამიანი უნდა ეცადოს, არ გააკეთოს ისეთი რამ, რაც მომავალში მას თავზარს დასცემს; გაოგნება – ანუ, უჩვეულო მოვლენებისადმი შიში. ხშირად, როცა რამე სიზმარს, ფილმს ან საინფორმაციო გადაცემას ვნახავთ, ვამბობთ: გაოგნებული დავრჩი, გამაოგნა; და, ბოლოს – აგონიური შიში, როცა ადამიანი გარკვეულ ზღვრამდე მიდის და მერე ფიქრობს: ჯობია, ჩემი ცხოვრების წესი შევცვალოო. აგონიური შიში – ეს არის ზღვარზე ყოფნა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ზოგიერთი ისე გაატარებს ცხოვრებას, რომ არ ფიქრობს, ღმერთი არსებობს თუ არა, არსებობს თუ არა სიკეთე, სიყვარული, ბოროტება. როდესაც მას დაუდგება ამქვეყნიდან გასვლის ჟამი, იგი ჩახედავს სიკვდილს თვალებში, რაც არის აგონია; მაშინ მოეგება ის გონს, მოდის აზრზე, შედის ეკლესიაში და აცხადებს: „ასე აღარ შეიძლება ცხოვრება" – და ხდება მისი გამოსწორება. თუმცა, სამწუხაროდ, ბევრს არც ყოყმანი გააჩნია, არც კრძალვა, არც გაოგნება, არც აგონია და, ისე გადის ამსოფლიდან, არც უფიქრია იმაზე, რომ მისი ცხოვრება იყო სირცხვილი, იყო დამამცირებელი საკუთარი თავის მიმართ. ხანდახან ვიყოყმანოთ, სანამ ვიტყვით რამეს; დავფიქრდეთ, სანამ რამე უბედურება მოხდება ჩვენთან. სამწუხაროდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ გარდავიცვლებით, არ მივალთ აგონიამდე, კარგად ვიცხოვრებთ დიდხანს. მოვისმინოთ წმიდა მამების დარიგება. „ბრძენია ადამიანი, რომელიც ღვთის შიშით, სიყვარულის გათვალისწინებით ცხოვრობს. თუ შენი ღმერთი სიყვარულია, ისე არ უნდა მოიქცე, რომ ღმერთის სიყვარული დაკარგო."

სამწუხაროდ, ბევრი მშობელმა, იმის მაგივრად, რომ ღვთის შიში, ზნეობა ჩაუნერგოს თავის შვილს, მკაცრად ექცევიან მათ – ჩხუბით, ცემით, წყევლით, ბილწსიტყვაობით, ამას კი ამართლებენ იმით, რომ ძველ აღთქმაში რამდენიმე ადგილას წერია: ნუ დაგეზარებათ შვილის გაწკეპვლა, რადგან ამით შვილის სულს ჯოჯოხეთისგან იხსნითო. ნებისმიერ მშობელს, მოძღვარსა და მასწავლებელს თვითონ უნდა ჰქონდეს ღვთის შიში, სიყვარული და, ბუნებრივია, მერე მისი მრევლი, შვილებიც, მოსწავლეებიც, ღვთის სიყვარულით ივლიან. იუდას ეგონა, რომ არ აპატიებდა ქრისტე, არ ჰქონდა ამის გამო სინანული და ჩამოიხრჩო თავი. ასე ფიქრობს ბევრი ადამიანი, რომელიც მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის: აზრი არ აქვს ეკლესიაში მისვლას, აღსარების თქმას, ლოცვასო და შემდეგ ვარდებიან პესიმიზმში, სასოწარკვეთილებაში, საკუთარ თავს სიცოცხლეს ასალმებენ. საზოგადოების დიდ ნაწილს ღმერთი კომფორტი ჰგონია, არასწორია მათი დამოკიდებულება რელიგიისადმი. იმდენად მკვდარი აქვთ გრძნობები, რომ, უკვე აღარაფერი აოცებთ, აღარაფერი აკვირვებთ, ღმერთი კი ჯალათი ჰგონიათ. არადა, ჩვენი რწმენაა, სიყვარულით ვემსახუროთ სიყვარულის ღმერთს და არა შიშით.

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

### ღვთისმშობლის ხატი – „განგმირული“

ათონის მთაზე, ვათოპედის მონასტერში, მოღვაწეობდა მონასტრის მნე დიაკონი, რომელიც გულმოდგინებითა და ერთგულად უძღვებოდა სამონასტრო საქმეებს და ყველაფერს აწესრიგებდა. ერთხელ მან ტრაპეზზე დააგვიანა, ტრაპეზარმა კი დაგვიანებულს საზრდელი აღარ მისცა და უკმაყოფილოდ უთხრა, რომ დროზე მისვლა იყო საჭირო. უარით შეურაცხყოფილი დიაკონი ისე გამძვინვარდა, რომ კვლავ ტაძარში დაბრუნდა, დადგა ღვთისმშობლის ხატის წინ და შესძახა: „ღვთისმშობელო, როდემდე უნდა გემსახურო შენ?! ვმუშაობ, ვმუშაობ და ყოველივე ამის სანაცვლოდ არაფერი გამაჩნია, პურის ერთი ნატეხიც კი, რათა დაღლილმა ძალ-ღონე მოვიკრიბო!“ ამ სიტყვების შემდეგ მან ცვილის დანა ღვთისმშობლის ხატს ღაწვთან დასცა და განგმირა. ჭრილობიდან სისხლმა ერთბაშად იფეთქა. შეძრწუნებული მკვლელი ხატის წინაშე დაეცა, დაბრმავდა და კაენივით ცახცახმა და ძრწოლამ აიტანა. მონასტრის იღუმენი გულმოდგინედ ევედრებოდა უფალს ცოდვილის შეწყალებას. სამი წლის შემდეგ მას ეუწყა, რომ დიაკონს ცოდვა შეენდო, ხოლო სიკვდილის წინ თვით დიაკონს ღვთისმშობელი გამოეცხადა და ცოდვის შენდობა ახარა. ამასთან ერთად, ისიც უთხრა, რომ მისი მზაკვარი ხელი მაცხოვრის მეორედ მოსვლისას განისჯებოდა.

ათონური წესის თანახმად, დამნაშავე დიაკონის სამარე სამი წლის შემდეგ გახსნეს და ასეთი საოცარი რამ იხილეს: მიცვალებულის ძვლები თეთრად კამკამებდა, ხოლო მისი ხელი, რომლითაც მან ხატი განგმირა, გაუხრწნელი და გაშავებული დარჩენილიყო. იგი დღემდე ამ მდგომარეობაშია და მას მომლოცველებსაც აჩვენებენ.

### ღვთისმშობლის ხატი – ქსენოფის ოდიგიტრია

ათონზე, ქსენოფის სავანეში, დაბრძანებულია ღვთისმშობლის ხატი – ოდიგიტრია. ეს სასწაულმოქმედი ხატი უხსოვარი დროიდან ათონში იმყოფებოდა ვათოპედის მონასტერში, 1730 წელს კი იქიდან მოულოდნელად გაუჩინარდა. მონასტრის მამებმა ხატს ძებნა დაუწყეს და შეიტყვეს, რომ ის ქსენოფის სავანეში იყო დასვენებული, სადაც დაუყოვნებლივ გაგზავნეს ერთ-ერთი მამათაგანი და ხატი უკან, ვათოპედის მონასტერში გადმოაბრძანეს. მცირე ხნის შემდეგ იგი კვლავ გაუჩინარდა და ისევ ქსენოფის სავანეში გამოცხადდა, სადაც დღემდე იმყოფება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ ავირიდოთ თავიდან ძილის დროს მოგვრილი ცუდი სიზმრები?**

**პასუხი:** ძილის წინ შეინანეთ თქვენი ცოდვები, ილოცეთ და მოიხმეთ თქვენი მფარველი ანგელოზი, რომელიც გაღვიძებამდე დაგიფარავთ.

**კითხვა: სასურველია თუ არა ბავშვის ოთახში ხატის დადება?**

**პასუხი:** ძალიან კარგი იქნება, თუ ბავშვის საძინებელ ოთახში დააბრძანებთ ხატს ან მოაწყობთ ხატების კუთხეს. მართლმადიდებელ ოჯახებში ძველთაგან არსებობდა ტრადიცია – ბავშვის საწოლის თავზე მისი მფარველი წმიდანის ხატი ეკიდა, პატარებს სულ მცირე ასაკიდან აჩვევდნენ ხატთან დამოკიდებულებას, მასთან მოწიწებით მიახლებასა და მთხვევას.



**კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ლოცვის დროს უარყოფითი აზრები არ ანებებს თავს?**

**პასუხი:** ეკლესიის მამები ასეთ დროს ორგვარ რჩევას გვაძლევენ – ან არ უნდა შეწყვიტოთ ლოცვა და მთელი გულისყურით ჩაუღრმავდეთ მას, ან შეწყვიტეთ ლოცვა, მოიკრიბეთ ნებისყოფა, სთხოვეთ უფალს, რომ განგარიდოთ ბოროტი აზრები და ფიქრები და შემდეგ განაგრძეთ ლოცვა.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ორსული ქალისთვის მარხვის შემსუბუქება, ეს მას ცოდვაში ხომ არ ჩაეთვლება.**

**პასუხი:** ამ საკითხზე ორსული ქალი უნდა დაელაპარაკოს თავის მოძღვარს და მასთან შეთანხმებით, რასაკვირველია, შეიძლება მარხვის შემსუბუქება. ეს მას ცოდვაში არ ჩაეთვლება.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### დასჯილი მოძულე

კიევის ლავრაში სხვათა შორის ცხოვრობდა ორი ბერი – მღვდელ-მონაზონი ტიტე და დიაკონი ევარგი. რამდენიმე წელიწადს ისინი ისე მეგობრულად ცხოვრობდნენ, რომ სხვა ბერებს უკვირდათ მათი ერთობა... მაგრამ კაცთა ნათესაობის მტერი ძველი დროიდან სთესს ღვარძლს იფქლთა შორის! მან დათესა მათ შორის მტრობა, რისხვით და სიძულვილით ისე დააბრმავა ისინი, რომ ზიზღით უყურებდნენ ერთიმეორეს. ღვთის მსახურების დროს ერთი რომ საცეცხლურით აკმევდა ეკლესიაში, მეორე განზე მიდგებოდა, რომ საკმევლის სუნი არ ეგრძნო და თუ ეს ხანდახან თავის ადგილზე დარჩებოდა, პირველი რაც შეიძლება შორს გაუვლიდა. მათ შორის სიძულვილმა დიდხანს გასტანა. ისინი შეურიგებლად ბედავდნენ ღვთისადმი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას. ბევრი ურჩიეს მათ სხვა ბერებმა, რომ დაეტოვებინათ შური, მტრობა და ეცხოვრათ მშვიდობიანად და თანხმობით, მაგრამ ყოველმა რჩევამ ამაოდ ჩაიარა. ერთხელ მღვდელ-მონაზონ ტიტეს მძიმე ავადმყოფობამ დარია ხელი. მან დაკარგა გადარჩენის იმედი, დაიწყო ტირილი თავისი შეცოდების გამო და შეუთვალა თავის მტერს, რომ შერიგებულიყვნენ. ევარგიმ არც კი მოისმინა შენათვალი და დაუწყო მას საშინლად წყევლა. სხვა ბერებს ამის გამო გული სტკიოდათ და ძალით მიიყვანეს ევარგი მომაკვდავთან. ტიტემ დაინახა თუ არა თავისი მტერი, სხვების დახმარებით ადგა ლოგინიდან, დავარდა მის წინ და ცრემლით სთხოვდა შეცოდების მიტევებას. მაგრამ, ევრაგი ისეთი შეუბრალებელი იყო, რომ ზურგი შეაქცია მას და მრისხანედ წამოიძახა: „არც აქ და არც მომავალ ცხოვრებაში არ მინდა მაგის შერიგება“. ის გამოუსხლტა ბერებს ხელიდან და მიწაზე დაეცა.

ბერებს მისი წამოყენება უნდოდათ, მაგრამ როგორ განცვიფრდნენ, როცა ნახეს, რომ ის მკვდარია და ისე გაშეშებულიყო, რომ თითქოს რამდენიმე ხნის წინ მომკვდარაო. მათი განცვიფრება გაორკეცდა, როდესაც დაინახეს, რომ ტიტე იმავე დროს სრულიად განკურნებული წამოდგა ლოგინიდან თითქოს ავად არასოდეს ყოფილიყოს. ამ არაჩვეულებრივი შემთხვევით თავზარდაცემული ბერები გარშემოეხვივნენ ტიტეს და ერთიმეორეს ეკითხებოდნენ: „რას ნიშნავს ეს?“ ტიტემ უთხრა მათ: „როცა მძიმედ ავად ვიყავი, სანამ მე ცოდვილი გულძვირად ვიყავ ჩემს ძმასთან, ვხედავდი: ჩემგან გაბრუნდნენ ანგელოზნი და ტიროდნენ ჩემი სულის დაღუპვაზე, ხოლო ბოროტნი სულნი ხარობდნენ – აი, მიზეზი, ყველაზე უფრო რისთვის მოვინდომე შერიგება მისი. როცა ის აქ მოიყვანეთ, მე თავი დავუკარ და მან წყევა დამიწყო, მაშინ დავინახე: ერთმა მრისხანე ანგელოზმა დასცა მას ცეცხლის ალის ლახვარი და საცოდავი მიწაზედ მკვდრად დაეცა. იმავე ანგელოზმა მომკიდა მე ხელი და ამაყენა ცხედრისგან სნეულებისა“.

ბერებმა იტირეს ევარგის სასტიკი სიკვდილი და იმ დროიდან უფრო ყურადღებით იყვნენ, რომ არავის ერთმანეთში გულძვირობა არ ჰქონოდა. გულში ძვირის ჩანერგვა არის საშინელი ბიწიერება და იმდენადვე საძაგელ არს ღვთის წინაშე, რამდენადაც მავნებელი საზოგადოებაში. ქრისტიანენო! კაცი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. რა უპირატესობაა! მაგრამ დარწმუნდით, რომ გულში ძვირის მატარებელს არ აქვს ხატება და მსგავსება ღვთისა: ის უფრო მხეცს წააგავს, ვინემ კაცს.

„უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან, ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“ (მათე 6, 14-15).

„ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცის მკვლელი არს“ (1 იოანე 3,15).

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



## დაავადების დამარცხებაში სისხლის განწმენდა დაგეხმარებათ

ორგანიზმის განწმენდა გულისხმობს წიდების გამოდევნას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ღვიძლიდან, თირკმელებიდან და სისხლიდან. სისხლში არის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც გამოდევნილი უნდა იყოს ორგანიზმიდან და ესენია მიმოცვლის უსარგებლო და საზიანო პროდუქტები. თუ ორგანიზმში რაღაც წესრიგში არ არის, სისხლში მათი შემადგენლობა იზრდება, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას აუარესებს.

პირველად იმ ორგანოს უნდა უმკურნალოთ, რომლის გამოც არის ეს გამოწვეული. მაგრამ, პერიოდულად სისხლის განწმენდა რეკომენდებულია თუნდაც იმიტომ, რომ, ლიპიდური ბალანსის დარღვევისა და სისხლში ქოლესტერინის მომატების შედეგად, ის ზედმეტად სქელდება, ვეღარ ახერხებს უწვრილეს კაპილარებში გავლასა და უჯრედების კვებას ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით. ეს საშიშროება 35-40 წლის შემდეგ თითქმის ყველა ადამიანს ემუქრება.

ხალხურ მედიცინაში სისხლის განწმენდის რამდენიმე რეცეპტი არსებობს, მაგალითად: 2 ჭიქა ნატურალური ღვინო, 1 ჭიქა დანაყილი კამის თესლი, 2 სადილის კოვზი ვალერიანის დანაყილი ძირები თერმოსში ჩაყარეთ და დაასხით 2 ლიტრი მდუღარე წყალი. ერთი დღე-ღამის განმავლობაში ასე გააჩერეთ, შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, ერთი თვის განმავლობაში.

სისხლს კარგად წმენდს სამკურნალო ბალახებიც, რომელთაგან ზოგიერთს სხვა სამკურნალო თვისებებიც აქვს. კერძოდ, მინის ჭურჭელში ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, თავზე მჭიდროდ დაახურეთ და დადგით ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ თითო სადილის კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დილით და საღამოს, ერთი თვის განმავლობაში. ეს ნაყენი არა მარტო წმენდს სისხლს, არამედ ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის აღდგენას.

აადუღეთ 6 ჩაის ჭიქა წყალი, ჩაყარეთ მასში 1 ჩაის კოვზი ოროვანდის დაქუცმაცებული ფესვები და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე. დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი და კიდევ ადუღეთ 10 წუთი დაბალ ცეცხლზე. შემდეგ გადმოდგით, დაუმატეთ 2-2 ჩაის კოვზი მინდვრის სამყურა, ანწლის ნაყოფი და ბალის პიტნის ფოთლები, 5 წუთი გააჩერეთ დახურულ ჭურჭელში, შემდეგ კი გადაწურეთ. შეგიძლიათ, დაამატოთ ცოტაოდენი ნატურალური თაფლი. სვით ნახევარი ჭიქა, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში ერთხელ. ეს ნაყენი, გარდა იმისა, რომ სისხლს წმენდს, ასევე, კარგად მოქმედებს კუჭზე, ნერვულ სისტემასა და სისხლის მიმოქცევაზე.

სისხლის გასაწმენდად ეფექტურია წითელი ხილ-ბოსტნეულის ჭამა: მიირთვით შტოში, ჭარხალი, ალუბალი, ყურძენი, მაყვალი და ასე შემდეგ.

შტოში ამ მხრივ ყველაზე სასარგებლოა. კარგია შტოშის წვენის მიღების სამკვირიანი კურსი: პირველ კვირაში სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ; შემდეგ კვირაში – ნახევარი ჭიქა დღეში ორჯერ, მესამე კვირას კი – ნახევარი ჭიქა ერთხელ დღეში.

ნებისმიერი დაავადება გაცილებით უფრო სწრაფად იკურნება, თუ ერთდროულად სისხლსაც გაიწმენდთ. ამიტომ, სამკურნალო ნახარშებს დაუმატეთ სისხლის გამწმენდი ერთი ან ორი სახის ბალახეული, მაგალითად, მინდვრის სამყურა, ანწლის ყვავილი, ჭინჭარი. მათი დოზები კი იგივეა, როგორც სპეციალურ გამწმენდ ნაკრებში.

## აუცილებლად გაითავისუფლეთ ორგანიზმი შხამებისგან

ადამიანზე ყოველდღიურად ბევრი უცხო ნივთიერება ზემოქმედებს. ისინი ორგანიზმში სუნთქვის, საკვების, წყლის ან წამლის მეშვეობით ხვდებიან, რომელთაგან ბევრი მათგანი ძალიან მავნე და შხამიანია.

როცა ორგანიზმი ტოქსინების ნეიტრალიზაციასა და გამოდევნას ვერ ახდენს, ისინი ილექება, რასაც სამედიცინო ენაზე ინტოქსიკაცია ეწოდება. ტოქსინების შემოტევებისას ადამიანი უჩივის თავის ტკივილს, უღონობას, უხასიათობას, გულისრევის შეგრძნებას, ნაწლავების აშლილობას, სუნთქვის გაძნელებას, ძილის დარღვევას, გაღიზიანებას და ასე შემდეგ. ამ დროს თავს იჩენს ისეთი დაავადებებიც, რომლებიც ფარულად მიმდინარეობს.

შხამებისა და წიდებისგან ორგანიზმის განწმენდაში მცენარეები დაგეხმარებათ. მაგალითად, ნიტრატები, ქლოროფორმი და ქლორი ორგანიზმიდან კრაზანის, კალენდულას, უკვდავასა და ცაცხვის ნაყენებით გამოიდევნება; რადიონუკლეიდები კი – მწვანე ჩაის, ახალგამოწურული წვენების, მრავალძარღვას, ცირცელისა და ორკბილას ნაყენებით და, ასევე, წითელი ღვინის მეშვეობით; ტყვიის მარილები ეფექტურად გამოიდევნება ორგანიზმიდან შვიტას, ნახშირისა და ნივრის მიღებით.

შხამები ძალიან აზიანებს ღვიძლს, მის დაცვაზე ზრუნვა კი ყველამ უნდა შეძლოს. იმუნიტეტის გასაძლიერებლად ყველაზე კარგია ჭვავის ნაყენი – ის იცავს ღვიძლის უჯრედებს და მათ მუშაობას აქტიურებს.

იმისთვის, რომ ორგანიზმში შხამები არ დაგროვდეს ან მათი ზემოქმედებისგან დაიცვათ თავი, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

* რაც შეიძლება დიდხანს ისეირნეთ სუფთა ჰაერზე; ძილის წინ – მინიმუმ ნახევარი საათი;
* სწორად შეარჩიეთ საკვები რაციონი და ისე იკვებეთ, რომ ნაწლავებში ტოქსინების დაგროვება არ მოხდეს.
* აიმაღლეთ იმუნიტეტი;
* ორგანიზმის განწმენდის კურსი მცენარეული ნაყენებით წელიწადში რამდენჯერმე ჩაიტარეთ;
* ჭამეთ ბევრი ახალი ხილი, სეზონური ბოსტნეული, პარკოსნები და მარცვლეული;
* მოერიდეთ ზედმეტად ცხიმიანი საკვების მიღებას.

## რომელ საკვებს უნდა მიანიჭოთ უპირატესობა სადილზე და საუზმეზე

ჯანმრთელობის, ლამაზი გარეგნობის, სიმხნევისა და ხალისიანი გუნება-განწყობის შესანარჩუნებლად აუცილებელია სწორად იკვებოთ.

ყოველთვის მიანიჭეთ უპირატესობა ახალ ხილსა და ბოსტნეულს, იყიდეთ იმდენი, რამდენსაც მალევე მიირთმევთ, რადგან ერთი დღის განმავლობაში მაცივარში დებისგან მათში სასარგებლო ნივთიერებებისა და ვიტამინების დიდი ნაწილი იკარგება.

სადილი და ვახშამი სალათებით დაიწყეთ – ეს მოგიკლავთ შიმშილის გრძნობას.

თუ მოინდომებთ, იოლად შეძლებთ უარი თქვათ პურზე, საქონლის ან ღორის ხორცზე და მათ გარეშე გაძლოთ – ეს თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება.

ნუ მოამზადებთ რამდენიმე დღის მარაგს, რადგან წინა დღით მომზადებული და შემდეგ გაცხელებული საკვები სასარგებლო ნივთიერებებს კარგავს.

იდეალური საუზმეა ფაფა, ჯემი, შავი პური და ჩაი. დილით ჩაი უფრო აფხიზლებს და ენერგიით ავსებს ორგანიზმს, ვიდრე ყავა. სადილობა აუცილებელია, რადგან, ადამიანი, რომელიც არ სადილობს, ორმაგად ინაზღაურებს ამას ვახშამზე, ეს კი ორგანიზმისთვის არ ვარგა.

რაციონალური ვახშამი გამოგივათ, თუ დაძინებამდე ორი ან სამი საათით ადრე ბოსტნეულს, თევზსა და ორცხობილას მიირთმევთ. ჭამის დროს არ იჩქაროთ, რომ ზედმეტი საკვები არ მიიღოთ.

საუზმეზე, სადილობასა თუ ვახშამზე სუპების ჭამაც კარგია. მისი გადამუშავების დროს ორგანიზმი გაცილებით მეტ კალორიას ხარჯავს, ვიდრე თვითონ ამ საკვებშია, თან, სუპის ჭამის შემდეგ შიმშილის გრძნობა დიდხანს აღარ შეგაწუხებთ.

კვირაში სამი დღე საუზმეზე უცხიმო ყველი მიირთვით და უშაქრო ჩაი ან ხილის წვენი დააყოლეთ; ლანჩზე, შეგიძლიათ, უცხიმო იოგურტი და კვერცხი მიირთვათ და ერთი ჭიქა კეფირი დააყოლოთ.

სადილად ბოსტნეული, უცხიმო თეთრი ხორცი ან ორთქლზე მომზადებული კატლეტი მიირთვით; ვახშმის დროს კი – ერთი ჩაის ჭიქა თბილი რძე, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული. ეს ტკბილ ძილს მოგგვრით.

ასევე, ბევრი იმოძრავეთ – ხშირად იარეთ ფეხით სუფთა ჰაერზე და ივარჯიშეთ.

### ქრისტესისხლა აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას

ცდებით დადგინდა, რომ ქრისტესისხლას შემცველ პრეპარატებს აქვს ფუნქციის სტატიკური და ბაქტერიოსტატიკური მოქმედების თვისება ტუბერკულოზის ჩხირის მიმართ. მასში არსებული ნივთიერება ჰელიდონინი მორფინის მსგავსად მოქმედებს, ამიტომ მისგან დამზადებული პრეპარატების ექიმის რეკომენდაციის გარეშე, თვითნებურად მიღება არ არის სწორი, რადგან გადაჭარბებული დოზით მიღება ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლასაც იწვევს.

კლინიკურმა გამოკვლევებმა ისიც დაადასტურა, რომ ქრისტესისხლა აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, ამიტომ, რეკომენდებულია კიბოს ოპერაციის შემდგომ გამოსაყენებლად, მეტასტაზების განვითარების შესაფერხებლად. კვლევის დროს ქრისტესისხლას შემცველმა პრეპარატებმა კარგი შედეგი გამოიღო, ასევე, სიმსივნისწინა მდგომარეობის ანუ პოლიპოზების შემთხვევაში, განსაკუთრებით – გარეგნული სიმსივნეების მკურნალობის დროს.

### ხანში შესულმა ადამიანმა შავი ჩაი ხშირად უნდა სვას

ჩაი უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე პროდუქტია. ის ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე ზემოქმედებს.

* ჩაი საგრძნობლად ამცირებს მავნე ქოლესტერინის შეწოვას;
* ამაგრებს სისხლძარღვებს, ასუსტებს სახსრებისა და მყესების ტკივილს;
* ამცირებს გულის შეტევის ალბათობას;
* ელასტიკურობას ჰმატებს არტერიებს და წმენდს მას ქოლესტერინული, ეგრეთ წოდებული ფოლაქებისგან.
* ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას; აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხსნის დაღლილობას, ამაღლებს შრომის უნარს და ორგანიზმს ახალი სასიცოცხლო ძალებით ავსებს;
* საგრძნობლად ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას;
* ორგანიზმის სითხით მომარაგების საუკეთესო საშუალებაა; წყურვილსაც კლავს და, ამავდროულად, ქსოვილებს საჭირო თხევად გარემოსაც უნარჩუნებს.

ჩაი შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, მანგანუმს, ფოსფორსა და ფტორს. მის შემადგენლობაში, ასევე, შედის ტანინები, რომლებიც კბილის მინანქარს მჟავების დამშლელი ზემოქმედებისგან იცავს და ღრძილებს ამაგრებს.

ჩაის ყველაზე მნიშვნელოვანი მცენარეული თვისება კი ის არის, რომ მას შეუძლია ნიადაგიდან ამოწოვოს და შემდეგ თავად მოახდინოს ისეთ იშვიათ და სასარგებლო ნივთიერებათა სინთეზი, როგორებიცაა: ეთერზეთები, ალკოლოიდები, ამინომჟავები და ვიტამინები.

შავი ჩაის სმა აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის, რადგან ის ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, რითაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკას უწყობს ხელს.

გაციებისა და გრიპის საწინააღმდეგოდ, ქოლესტერინის დონის სტაბილიზაციის, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და ანტისიმსივნური ეფექტისთვის კი დალიეთ დღეში 3 ჭიქა მწვანე ჩაი.



**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ლურსმანი შემერჭო ფეხში და გავიკეთე აცრა. 1 წუთში უცბად დამიბნელდა თვალებში და გული წამივიდა. რომ მომასულიერეს, წამოვჯექი და 3-4 წუთში, ისევ გამიმეორა. დაბნეულები იყვნენ, სწორი პასუხი ვერ გავიგე. რისი ბრალია, თუ შეგიძლიათ, რომ ამიხსნათ? არის თუ არა შესაძლებელი კიდევ, რომ გამეორდეს?**

**პასუხი:** შესაძლოა, ასეთი რეაქცია უფრო ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა გამოიწვია. სასურველი იყო გაეზომათ არტერიული წნევა. საერთოდ, ტეტანუსის ანატოქსინი სუსტი რეაქტოგენური პრეპარატია. აცრილ პირთაგან ზოგს შეიძლება, პირველი ორი დღე, ღამის განმავლობაში განუვითარდეთ ხანმოკლე ზოგადი (სიცხის აწევა, შეუძლოდ ყოფნა) და ადგილობრივი (ტკივილები, ჰიპერემია, შეშუპება) რეაქციები. ძალზე იშვიათად შესაძლებელია, განვითარდეს ალერგიული რეაქცია (კვინკეს შეშუპება, ჭინჭრის ციება, პოლიმორფული გამონაყარი), ალერგიულ დაავადებათა უმნიშვნელო გამწვავება. განსაკუთრებით მგრძნობიარე პირთათვის დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით, საჭიროა მათზე სამედიცინო დაკვირვება 30 წუთის განმავლობაში. ასე რომ, სამომავლოდ, აცრით გამოწვეულ გართულებებს არ უნდა ელოდოთ.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ცოფის ვირუსით შეხებით დაინფიცირეება? მაინტერესებს რა იგულისხმება ფრაზაში: „ნერწყვის პირდაპირი მოხვედრა ლორწოვან გარსზე ან ახალ ღია ჭრილობაში".**

**პასუხი:** ეს გულისხმობს, რომ დაინფიცირება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ დაავადებული ცხოველის ნერწყვი მოხვდება ცხოველის თავდასხმის ობიექტის, ანუ, ამ შემთხვევაში – ადამიანის ლორწოვან გარსზე (მაგალითად, პირის ღრუ, თვალი) ან დაზიანებულ (გაჭრილ ან გაკაწრულ) კანზე.

**კითხვა: საღამოს იღლიის ფოსოში გაზომილი ტემპერატურა 35,6 გრადუსი, რისი მაჩვენებელი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** უნდა გამოირიცხოს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება. ამისათვის უნდა განისაზღვროს სისხლში TSH – ფარისებრმასტიმულირებელი ჰორმონის შემცველობა. შესაძლოა, დაბალი ტემპერატურა არ იყოს დაკავშირებული არანაირ დაავადებასთან. სანამ მიზეზის ძიებას დაიწყებთ, გაიზომეთ ტემპერატურა ორივე იღლიის ფოსოში (იღლიის მიდამოში ტემპერატურის გაზომვის ხანგრძლიობა 10 წუთით განისაზღვრება).

**კითხვა: ტანზე მიჩნდება სილურჯეები. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ზოგადად, სილურჯეები – სისხლჩაქცევები, რომლებიც ტრავმებთან არ არის დაკავშირებული, სისხლძარღვთა კედლის მომატებული განვლადობის შედეგია. სისხლძარღვთა კედლის მომატებული განვლადობა გვხვდება როგორც ინფექციური, ასევე, სისხლის სისტემის დაავადებების დროს. პირველ ყოვლისა, უნდა მიმართოთ ჰემატოლოგს და მიზეზის დასადგენად ჩაიტაროთ გამოკვლევები.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა ინფორმაციას სძალავდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3 და 7 წლის გოგონებს პოლიციელები კანფეტებისა და წითელი „ტუფლების" სანაცვლოდ

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრება ალსავსე იყო განსაცდელით, ფათერაკებითა თუ ცხოვრებისეული გამოცდებით. ისტორიამ ის თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველოს სიმბოლოდ შერაცხა.



ქაქუცა, იგივე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი დაიბადა 1888 წელს კახეთში, სოფელ მატანში. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე იყო დედისერთა ნინო მელვინეთუხუცესი, ილია მელვინეთუხუცესისა და ანა ავალიშვილის ქალიშვილი. მათ იქორწინეს 1913 წელს. ქაქუცას და ნინოს 2 ქალიშვილი შეეძინათ – ციცნა და ქეთევანი.

1921 წელს საქართველოს ეროვნული უბედურება დაატყდა თავს – რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო. მთავრობა უცხოეთში გადაიხვეწა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამშობლოში დარჩა და გადაწყვიტა, იარაღით ებრძოლა ქვეყნის გათავისუფლებისთვის. მოსალოდნელ ბრძოლებზე თბილისში მოლაპარაკა ილია ჭავჭავაძის დისშვილს, კოტე აფხაზს. შემდეგ კახეთში წავიდა და პირველი მებრძოლების ჯგუფი შეადგინა, რომლის წევრებსაც „საქართველოს შეფიცულები" ერქვათ. ასეთივე ჯგუფების შესადგენად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სანდო პირები დაგზავნა. საქართველოში ტერორი მძვინვარებდა. საეჭვო პირებს იჭერდნენ, განსაკუთრებით სამხედროებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი დასაჭერთა სიაში პირველი ეწერა. ის იძულებული გახდა, თავის შეფიცულებთან ერთად 1922 წლის 12 მარტს ტყეში გასულიყო.



აი, რას წერს ალექსანდრე სულხანიშვილი თავის მოგონებებში შეფიცულთა რაზმზე: „ფიცი გვქონდა დადებული, რომ საერთოდ არ უნდა დაგველია სასმელი. ჩვენ ეს წესი მტკიცე ტრადიციად დავდეთ და მიუხედავად იმისა, რომ იმდენი ლვინის მილება შეგვეძლო, რამდენსაც მოვისურვებდით, იშვიათად თუ მოჰქონდათ ჩვენთან, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თვითონ შევუთვლიდით. ღვინოს რომ მოგვიტანდნენ ხოლმე, მეტწილად დღესასწაულებზე, თითო ან ოროლა პაწია ყანწის მეტს არ შევსვამდით. ისეთნაირად გავატარეთ მთელი ჩვენი ბრძოლები, ეს ფიცი თითქმის არავის გაუტეხავს.



ასევე იყო ქალებთან დამოკიდებულებაშიც. შეფიცულებს ხშირად უხდებოდათ ოჯახებში შესვლა სანოვაგის ან საცვლების გამოსატანად. ვაი იმის დღეს, თუ რომელიმე მათგანი ცუდის თვალით შეხედავდა ვისიმე ცოლს, ქალიშვილს, ანდა დას. ამნაირად, ჩვენს რაზმში რიგიანად იყო დაცული დისციპლინა".

1922 წლის ივნისში ჩოლოყაშვილი პირველად შეება წითელ ჯარს, რამაც დასაბამი მისცა საქართველოს მრავალწლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის.



ამავე წელს აჯანყება დაიწყო ხევსურეთში. წითელმა არმიამ ხევსურეთი გადაწვა, მაგრამ ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის მოხელთება ვერ შეძლო. ამის შემდეგ ქაქუცა დროებით ჩეჩნეთში გადავიდა, რათა ჩრდილოკავკასიელებთან გაება კავშირი. ჩეჩნეთიდან რამდენიმე თვეში დაბრუნების შემდეგ, მას ისევ დაუწყეს დევნა. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაელუპა ძმა, დაუპატიმრეს ოჯახი, მათ შორის, მცირეწლოვანი შვილები. ალსანიშნავია, რომ ამ დროს გოგონები 3 და 7 წლისანი ყოფილან. ისინი სახლში დაურიგებიათ, არაფერი მოუყვეთ, მარტო ტყუილი უთხარით პოლიციელებსო. თურმე, ისინი ჰპირდებოდნენ: კანფეტებს მოგცემთ, წითელ „ტუფლებს" გიყიდით, ოღონდ მოგვიყევით მამა თუ მოდის ხოლმე სახლშიო.

ქაქუცას უთვლიდნენ: ცოლშვილს მოგიკლავთ, ციცნას ცეცხლს წავუკიდებთ, ქეთიას დავახრჩობთო... ქაქუცამ შემოუთვალა: მაგ ბინძური წესებით ნუ მეომებით, თორემ ქვას ქვაზე აღარ დავტოვებო! მოკლედ, სამივენი გადაიყვანეს მეტეხის ციხეში და ყველაზე გულისამაჩუყებელი მომენტია, რომ პატარა ქეთიას, თურმე ციხის სარკმელთან, რაფაზე აყენებდნენ. მას გისოსებს აქეთ მთელი ნათესაობა ტაშს უკრავდა, ქეთია კი მათ საკნიდან უმღეროდა და ცეკვავდა.

მოგვიანებით, ნინო ლავრენტი ბერიას დაუბარებია, რომელიც იმხანად არ იყო მაინცდამაინც დიდი და ცნობილი ჩინოვნიკი. მას ნინოსთვის უთქვამს: შენ დახვრეტა გემუქრება და ისევ და ისევ ბავშვების სასიკეთოდ, პატარები ჩვენ გადმოგვეციო. მათაც არ უნდოდათ ბავშვები ციხეში. ნინოს მოფიქრების დრო მისცეს. ნათესაობაში ჯანდიერის ქალი ყოფილა, მას უთქვამს: არაფრით არ დათანხმდე ბერიას წინადადებას, ბავშვებს ვერაფრით ვერ წაგართმევენო. ნინო ასეც მოიქცა. ცოტა ხანში კი ლენინის ბრძანებაც გამოვიდა, რომლის თანახმადაც, კონტრრევოლუციონერების ოჯახებზე შურისმაძიებლური ქმედებები უნდა შეწყვეტილიყო. ამის შემდეგ, ნინო ციხეში დარჩა, შვილიშვილები კი ილია მელვინეთუხუცესმა წაიყვანა. დაახლოებით ორ თვეში ილია სახლიდან გამოიყვანეს და დახვრიტეს. ბავშვები უპატრონოდ დარჩნენ. პატარები მალულად საქათმეში დამალა ილიას მოურავმა და გააფრთხილა: თუ ვინმე მოვიდა, უთხარით, რომ თქვენით შემოიპარეთ და დაიმალეთ ამ საქათმეშიო. გარკვეული ხნის განმავლობაში ასე მალავდა, – უზიდავდა პურს, გუდის ყველს... მთელ ნათესაობას გული უკვდებოდა და ბავშვების დახმარებას ვერავინ ბედავდა. ამის შემდეგ გამოჩნდა ილიას მეუღლე ანეტა. მან წაიყვანა ბავშვები თბილისში. მალე ნინოც გაათავისუფლეს.

1924 წელს ჩოლოყაშვილი მანგლისის მიდამოებში დაბანაკდა. ამავე წლის 24 აგვისტოს თბილისიდან მის ბანაკში გადავიდნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" და გენერალი ჭავჭავაძე. 28 აგვისტოს ქაქუცამ აჯანყების დროშა ჩაიბარა. 1924 წლის 29 აგვისტოს დაიწყო აჯანყება საქართველოს თავისუფლებისთვის, მაგრამ აჯანყება დამარცხდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი მებრძოლები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ.



1924 წლისთვის, ბოლო მომენტში მთელი დამკომი ქაქუცასთან ყოფილა ტყეში ასული და როგორც ალექსანდრე სულხანიშვილი ყვებოდა, შეუთავაზებიათ: ფული ამათ არ დაუტოვოთ, თან წაიღეთო. ქაქუცას უთქვამს: ისედაც ცდილობენ, რომ გაგვაშაონ, ბანდიტებს გვეძახიან და ათას სიბინძურეს გვაბრალებენ. ეს რომ გავაკეთოთ, შეიძლება, ვეღარც მოვიშოროთ სამარცხვინო ლაქაო. ამიტომ ქვეყნიდან საერთოდ უფულოდ გასულან.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი 30 თანამებრძოლთან ერთად ტრაპიზონში ჩავიდა, საიდანაც გეზი საფრანგეთისკენ აიღო. საფრანგეთში ის ცხოვრობდა საქართველოს ემიგრირებული მთავრობის რეზიდენციაში. ამის შემდეგ 6 წელი იცოცხლა საფრანგეთში. გარდაიცვალა 1930 წელს, 41 წლის ასაკში. ის ჯერ სენტ უანის სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ კი ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე გადაასვენეს.



სიკვდილის სარეცელზე მწოლიარემ მოითხოვა ქართული მიწა, ჯვარი და ხატები და ალექსანდრე სულხანიშვილს დაუბარა, ეს ნივთები მისი შვილისთვის გადაეცა. ქაიხოსროს სურვილი იყო, მისი ცხედარი დაეწვათ, რათა ფერფლი ოდესმე დამოუკიდებელ საქართველოში დაეკრძალათ.

გარდაცვალებიდან 75 წლის შემდეგ ასრულდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოცნება. 2005 წლის 21 ნოემბერს მისი ნეშტი მთაწმინდის მიწამ მიიბარა.

**ეკა სალაღაია**


გაციების პირველივე ნიშნებისას
მიიღეთ
ტაიქოლდი
პარაცეტამოლი,
ქლორფენირამინი,
ასკორბინი,
ფენილეფრინი,
კოფეინი
TaiCold
TaiCold
FOREST FRUITS
Powder for oral solution
TaiCold
with raspberry flavour
TaiCold
with honey and lemon flavour
კაფსულისა და ცხელი ჩაის ფორმით
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის
მისაღებად მიმართეთ ექიმს.
GMP

**ჩვენ გარშემო ბევრია გასათხოვარ-დასაოჯახებელი ქალ-ვაჟი, აი, ისეთები, რომ იტყვიან, თვალი მომცა, შენთვის მაყურებინაო. როგორც ეზოთერიკოსი და პარაფსიქოლოგი, ქალბატონი თამარი ამბობს, ბედის შეცვლა ნამდვილად შესაძლებელია, ანუ, ყველას შეუძლია, შეცვალოს ის, რაც მას დაბადების მომენტში შუბლზე ეწერება ბედ-იღბლის სახით. ეს კი წლის განმავლობაში კონკრეტულ დღეებშია შესაძლებელი, ამიტომ, ყურადღებით უნდა იყოთ, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვათ და წარმატება პირად ცხოვრებაში თავადვე დაგეგმოთ.**

# შესაძლებელია თუ არა იმის შეცვლა, რაც დაბადების მომენტში შუბლზე „დაგვეწერა“ და როგორ დავალაგოთ ცხოვრება ჩვენი სურვილით, წლის ბოლო კვირაში

**თამარი:** ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება ბედი, თუმცა, მისი უკეთესობისკენ შეცვლა თავადაც შეგვიძლია, ოღონდ, წლის განმავლობაში მხოლოდ განსაზღვრულ დღეებში. ამიტომ, ყურადღებით უნდა იყოთ, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვათ. სხვათა შორის, ასეთ დღეებს ჩვენი წინაპრებიც ითვალისწინებდნენ და მათგან ბევრი საინტერესო ინფორმაციაც გვაქვს შემორჩენილი.

**– კონკრეტულად, წლის რომელი დრო და დღეებია ბედ-იღბლის შეცვლისთვის მეტად აქტიური?**

– ბედის შესაცვლელად მეტად აქტიური დროა ზამთარი, კონკრეტულად კი – ახალ წლამდე დარჩენილი ბოლო კვირა, კერძოდ, 27, 28 და 29 დეკემბერი. თუ ადამიანი ელემენტარულ რიტუალს ჩაატარებს სწორედ ამ პერიოდში, საკუთარ ბედს სასიკეთოდ შეცვლის. სტუდენტობის დროს აჭარის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ვისვენებდი და იქ ერთმა ხანში შესულმა აჭარელმა ქალმა მასწავლა, რომ გასათხოვარმა გოგონამ არ უნდა გაიკეთოს მარგალიტის სამკაული, ასევე, უნდა ატაროს ჩანთით რკო, რათა თავისი მომავალი ბედით კმაყოფილი იყოს და სასურველი მეორე ნახევარი იპოვოს. რკოს უდიდესი ენერგეტიკული ძალა აქვს და მასთან სიახლოვე ხელს უწყობს ადამიანს, იყოს მიმზიდველი, სასურველი და ბედნიერი პირად ცხოვრებაში და წარმატებული კარიერაში. რკოს ტარება გასათხოვარ გოგონას არასასურველი შეხვედრებისა და ნაცნობობისგან დაიცავს. ზემოთ თქმულ დღეებში, ბედის უკეთესობისკენ შემობრუნებისთვის სპეციალური რიტუალიც უნდა ჩაატაროთ. ეს ძალიან ადვილია: 29 დეკემბერი რომ თენდება, დილის 7 საათზე, გამჭვირვალე ჭიქაში ონკანიდან ჩაასხით წყალი. ეს ჭიქა აუცილებლად ახალი უნდა იყოს და იქიდან არავის არ უნდა ჰქონდეს წყალი დალეული. შემდეგ, ისე, რომ არავის გამოელაპარაკოთ, ამ ჭიქაში ჩააგდეთ ერთი რკო და ჩაყარეთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი, დადგით თქვენი საწოლის ქვეშ, დაწექით და იფიქრეთ იმაზე, რომ გინდათ, იყოთ ბედნიერი, სასურველი და მიმზიდველი. მერე ადექით და შეუდექით თქვენს საქმეებს, ის ჭიქა კი საწოლის ქვეშ დატოვეთ. საღამოს, ზუსტად 7 საათზე, გამოიღეთ ჭიქა საწოლის ქვემოდან, ამოიღეთ რკო, კარგად მოურიეთ, რომ შაქარი გადნეს და დალიეთ. რკო ჩანთაში ჩაიდეთ და ყველგან ატარეთ, ჭიქა კი აუცილებლად შეინახეთ, რომ იქიდან წყალი სხვამ არ დალიოს. ასე თუ მოიქცევით, სულ მალე იგრძნობთ საპირისპირო სქესის ყურადღებას, პირად ცხოვრებაში ცვლილებას და უფრო თავდაჯერებული და ამაყი შეუდგებით საქმის კეთებას. ჩვენს წინაპრებს მიაჩნდათ, რომ რკო – გამრავლების, ხოლო შაქარი – სიტკბოს მომტანი იყო გასათხოვარი ქალებისთვის. ბევრს ვასწავლე ეს და ყველა მადლიერია. სამწუხაროდ, მისი ჩატარება მხოლოდ წელიწადში ერთხელაა მისაღები და სასურველი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.



**– რატომ მაინცდამაინც 29-ში? რამე, განსაკუთრებული მაგიური დატვირთვა აქვს ამ რიცხვს?**

– სწორად მიხვდით. რა თქმა უნდა, მაგიური ციფრია. 29 დეკემბერი ყველაზე ძლიერ ენერგეტიკულ დღედ ითვლება ეზოთერიკაში. ამ დღის ძველად მკითხაობდნენ და სჯეროდათ, რომ, თუკი რაიმე მინიშნებას მიიღებდნენ ზემოდან, ის აუცილებლად ახდებოდა. გასათხოვარ ქალს სწორედ ამ დღეს აქვს შანსი, თავისი ბედი ძირფესვიანად შეცვალოს.

**– ბევრს არ სჯერა, რომ ბედში ხელოვნური ჩარევა ნამდვილად შესაძლებელი და რეალურია.**

– გეთანხმებით, ბევრს არ სჯერა, მაგრამ, ცდა ნამდვილად ღირს. იმდენი ლამაზი, ჭკვიანი და საქმიანი ქალი დადის გაუთხოვარი, გული მიკვდება ხოლმე. ჩემი მხრივ, მათ ერთ დედაშვილურ რჩევას მივცემ: ნუ ისხდებიან გულხელდაკრეფილები და მისცენ საკუთარ თავს ბედნიერების უფლება სწორედ იმ დღეს, როცა ამის დიდი შანსია.

**– ვინც უკვე გათხოვილია, მაგრამ მეუღლესთან გამუდმებით კამათი და უსიამოვნებები აქვს, მათ რას ურჩევთ?**

– ზოგი თავად იქმნის პრობლემას, ზოგიც უმიზეზოდ იტანჯება. მათ, ვისაც უსიამოვნებები აქვს მეორე ნახევართან, ვურჩევ, შაქრითა და დაფნის ფოთლით მოაგვარონ ეს საკითხი – ეს საკმაოდ ადვილი მეთოდია ქმრის მოსარჯულებლად: ჩაასხით წყალი ახალ ჭიქაში იმავე დღეს, ანუ, 29 დეკემბერს, გამთენიისას, ჩაყარეთ მასში შაქარი და დაფნის ფოთოლი და დადგით საწოლის ქვეშ, სადაც ორივეს გძინავთ. საღამოს ჭიქა გამოიღეთ, შაქარი მორევით გაადნეთ, დაფნის ფოთოლი კი ამოიღეთ და იმ კარადაში

## 29 დეკემბერს მაგიური დატვირთვა აქვს და შეგვიძლია ამ დღეს ჩვენი ბედ-იღბალი უკეთესობისკენ შევცვალოთ

დადეთ, სადაც მეუღლის ტანსაცმელს ინახავთ. ნახევარი ჭიქა შაქრიანი წყალი კარს იქით გადაღვარეთ, რომ უარყოფითი ენერგია, რაც მან ამ დღეს დააგროვა, გარეთ გაიტანოთ, დარჩენილი ნახევარი კი მეუღლეს დაალევინეთ. გნებავთ, ჩაიში ან ყავაში გამოიყენეთ ეს წყალი – ამას მნიშვნელობა არ აქვს. ნახავთ, სულ ცოტა ხანში თქვენი მეუღლე შაქარივით თუ არ დატკბეს.

**– მართალია, რომ გასათხოვარმა ქალმა არ უნდა ატაროს ზოგიერთი მინერალისგან დამზადებული სამკაული?**

– სამკაულს უდიდესი ძალა აქვს და მათი არასწორი გამოყენება და ტარება ჩვენს ბედ-იღბალზე აისახება. შესაძლოა, სწორედ სამკაულის ენერგიამ მოახდინოს ისეთი ზემოქმედება ადამიანის აურასა და პირად ცხოვრებაზე, რომ მთლიანად შეცვალოს მისი ბედი. რაც შეეხება მარგალიტის სამკაულს, მას ყველაზე დიდი საფრთხის მოტანა შეუძლია, თუ, რასაკვირველია, არასწორად და არასასურველ ასაკში ატარებს ქალი. დღეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ ბუნებრივი მარგალიტი დროთა განმავლობაში იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ქვა კი არა, ცოცხალი ორგანიზმია. შესაბამისად, როცა ის კანს ეხება, ბრძოლას იწყებს, ეს კი იწვევს გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას ადამიანზე. თინეიჯერები ისედაც გაღიზიანებული ბუნებით გამოირჩევიან, რადგან მათი ფსიქიკა ჩამოყალიბებას სწორედ ამ ასაკში იწყებს. ამიტომ, არ არის სასურველი, მარგალიტის სამკაული გარდატეხის ასაკში ატაროთ. ასე რომ, გასათხოვარ ქალსა და თინეიჯერ გოგონას არ ვურჩევ მის ტარებას, მაგრამ, თუ გათხოვილი ხართ, გყავთ მეუღლე და ოჯახური ცხოვრება მოწყობილი გაქვთ, მარგალიტის სამკაულის ტარება კარგიც კია თქვენთვის, ოღონდ, უმჯობესია, მარგალიტი ოქროში იყოს ჩასმული. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, ყველა ადამიანი, განსაკუთრებით – ქალები, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთ ნივთებს ვეხებით, რომლებსაც გარკვეული მაგიური თვისებები აქვს. ეგრეთ წოდებულ „ქალების სამფლობელოდ“ აღიარებულ სამზარეულოში ყველა ნიუანსს უნდა მიაქციოთ ყურადღება და უნდა გახსოვდეთ, რომ იქ ყოველ ნივთს თავისი დამახასიათებელი უნიარ-თვისება გააჩნია. მაგალითად, ჭურჭლის ფერიც კი, ადამიანის ბედზე აგებს პასუხს.

**– ამ მხრივ რა უნდა გაითვალისწინოს გასათხოვარმა გოგონამ?**

– ყველა სეზონს თავისი მაგიური ფერის ჭურჭელი აქვს და ეს ეზოთერიკაში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. დიასახლისებმა უნდა გაითვალისწინონ და, შესაბამისად, ცვალონ ის სეზონურად: შემოდგომით ოქროსფერი ჭურჭლის გამოყენება, გარდა იმისა, რომ თავდაჯერებულობას შეგმატებთ, სითამამესაც შეგძენთ და დამოუკიდებლად შეძლებთ ბევრი საქმის მოგვარებას;

ზამთარში მუქი ფერის თეფშებისა და ჭიქების გამოყენება დადებითად იმოქმედებს თქვენს განწყობაზე – მოგცემთ ძალას, იმოქმედოთ მებრძოლი სულისკვეთებითა და შემართებით, ასევე, შეგმატებთ თვითრწმენასა და თავდაჯერებულობას;

გაზაფხულზე ადამიანში სასიცოცხლო ძალები და ენერგოტონუსი საგრძნობლად შემცირებულია, ამიტომ, ამ დროს მწვანე თეფშიდან ჭამა და წყლის, ჩაისა თუ წვენის მწვანე ფერის ჭიქიდან დალევა ამ პრობლემას მოგიგვარებთ. თავს მხნედ იგრძნობთ და არც საგაზაფხულო დეპრესია მოგეძალებათ;

აი, ზაფხულში კი – უფრო მეტად ვგრძნობთ სიყვარულის მოზღვავებას, ამიტომ, ამ დროს წითელი ფერის თეფში და ჭიქა დააბალანსებს თქვენს ენერგიას და ურთიერთობებს მეტად რომანტიკულ და სასიამოვნო ელფერს შესძენს.

**ნონა დათეშიძე**

## სად არის გამოსავალი

დღეს ძალიან ძნელია, დაალაგო შორს მიმავალი გეგმები. მით უფრო რთულია, შეინარჩუნო სიმშვიდე და წონასწორობა. შინაგანი ბალანსი მუდმივად ირღვევა. ჩვენ ძალიან ადვილად ვვარდებით ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ვირთულებთ სიტუაციას და ვიმძიმებთ მდგომარეობას. მაშინ ვიჩენთ სიმტკიცეს და პრინციპულობას, როცა ამისი აუცილებლობა საერთოდ არ არის. ვართ შეუწყნარებლებიც და სასტიკნიც... ჯიუტებიც და ზოგჯერ უგულოებიც. ვერთიანდებით არა ვილაცისთვის, არამედ ვილაცის წინააღმდეგ და ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალი არ არის. ემოციების ზეგავლენით ადვილად ვწყვეტთ კავშირებს. მერე კი ვნანობთ... დაელოდო, როდის მოგვარდება ყველაფერი თავისით, სისულელე და გულუბრყვილობაა. ხომ შეიძლება, საერთოდ დაგავიწყდეთ, რას ელოდებით და რატომ?!

აგრესია, შიში, უსიამოვნება – ეს ის ხაფანგია, რომელში გაბმაც ლუპავს ადამიანს... ანადგურებს მორალურად... ცხოვრება მხოლოდ მინუსებად იქცევა.. სტრესია ტემპიც, რომლითაც ვცხოვრობთ. თუმცა, არის ერთი დიდი პლუსი – ჩვენ და მხოლოდ ჩვენ, შეგვიძლია, სწრაფად დავალაგოთ პრიორიტეტები და გამოსავალიც სწორედ ეს არის. თუ იპოვით საკუთარ ადგილს ცხოვრებაში, თუ მიხვდებით, რომ მთავარი ღირებულება, ის ადამიანია, რომელიც გიყვართ, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

ცხოვრებას ძალიან ფილოსოფიურადაც ნუ შეხედავთ. მაგრამ სიმართლეა ის, რომ ქალები ოჯახისა და მისი სიმყუდროვის შემნახავ-გადამრჩენები არიან. ასევე, მათ ლავირების უნარიც შესწევთ... მამაკაცი კი სტრატეგია. მას მუდმივად აქვს სურვილი, გაზვენოს თავისი ძალა და სწორედ ამ ორი არსების განსხვავებულობა უნდა იქცეს მათი მყარი კავშირის მთავარ ხელის შემწყობად.

## ჯერ დარწმუნდი...

თუ ხედავთ, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად არის, გრძნობთ და ინფორმაციაც გაქვთ, რომ გღალატობენ, შეეცადეთ, მოიკრიბოთ ძალები და ღირსეულად, ნაკლები დანაკარგებით გამოხვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან. ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ არ მისცეთ საშუალება, ნეგატიურ ემოციები გაბატონდეს თქვენზე. ნერვიულობით ვერაფერს მიაღწევთ. მხოლოდ გაიუარესებთ და დაიმძიმებთ მდგომარეობას. ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიხვდებით, რომ არავინ ღირს თქვენს ნერვიულობად და სიცოცხლის ბედნიერი დღეების შესამცირებლად. როცა მომხდარის შესახებ შეიტყობთ, არავითარ შემთხვევაში არ აჩქარდეთ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხალისობენ და ერთობიან სხვების ცხოვრებით. უნებლიეთ, მათი მსხვერპლი შეიძლება, შეიქმნეთ. ამიტომ, ჯერ ყველაფერი კარგად გადაამოწმეთ და დარწმუნდით, რომ ნამდვილად გიღალატეს. ამის შემდეგაც არ ღირს აფეთქება და ემოციურ შოკში ჩავარდნა. სასწრაფოდ დაელაპარაკეთ იმ ადამიანს, რომელსაც თქვენი ჭეშმარიტად ესმის. ელაპარაკეთ ბევრი და ელაპარაკეთ ყველაფერზე, სანამ შვებას არ იგრძნობთ. სრული უფლება გაქვთ, ინერვიულოთ და განიცადოთ. ამას საკუთარ თავს ვერ აუკრძალავთ, მაგრამ უკიდურესობაში ნუ გადავარდებით.

მოუხმეთ საღ აზრს და შეეცადეთ, გაარკვიოთ, რატომ მოგექცათ საყვარელი ადამიანი ასე. მიზეზი ყოველთვის არსებობს, დასკვნაც ხომ უნდა გააკეთოთ. იქნებ, თქვენც დაუშვით შეცდომა... მომავლისთვის რომ გაითვალისწინოთ... კიდევ ერთი, აუცილებელი პირობა – იფიქრეთ იმაზე, რომ ერთი შანსი ყოველთვის უნდა მისცეთ მასაც და საკუთარ თავსაც, თუკი ამის მინიმალური შანსი მაინც არსებობს... დაბოლოს, ჯერ ყველაფერში კარგად დარწმუნდით...

## ძალიან მტკივნეული

ცოტა რამ თუ გატკენს ისე გულს, როგორც ღალატი საყვარელი ადამიანის მხრიდან. ეს არ არის ლოკალური მოვლენა, მას თან ახლავს იმედგაცრუება, აპათია, ნდობის გაქრობა და სიცარიელის განცდა. ის „შენიანად“ მიგაჩნია და უცებ აღმოჩნდება, რომ სულაც არ ყოფილა ისე, როგორც გეგონა... შინაური კი არა, უცხოზე უცხო ყოფილა, რომელმაც პირველივე შემხვედრზე გაგცვალა. არსებობს საშუალება, რომელიც ჭრილობებს შეგიხორცებს და ელემენტარულ სიხარულს დაგიბრუნებს? რომ აღარაფერი ვთქვათ, ბედნიერებასა და ცხოვრების ძველებურ რეჟიმში გაგრძელებაზე.

კოკო შანელმა თქვა: თუ არ გინდათ, რომ გული გეტკინოთ, თქვენი საიდუმლო გაანდეთ მხოლოდ შინაურ ცხოველს. ის ერთადერთია, ვინც არასოდეს გიღალატებთ და არც თქვენი საიდუმლოს შესახებ მოუყვება ვინმესო... როგორ ვიცხოვროთ? არ შევიყვაროთ? არ ვენდოთ? ვიყოთ მარტონი და თავი დავიმშვიდოთ იმით, რომ გულისტკენა ჩვენ არ გვემუქრება?!. ერთგვაროვანი პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს. ყველა თავად იღებს გადაწყვეტილებას... არჩევანიც მხოლოდ ჩვენზეა... გარემოებებიც სხვადასხვანაირი შეიძლება, იყოს... თუმცა, რაღაც რჩევის მიცემა, შეიძლება. ცოტათი აბსტრაქტულის, თუმცა მაინც რაციონალურის. ყოველ შემთხვევაში, გული ისე ძალიან მაინც აღარ გეტკინებათ.

არასოდეს გააკეთოთ ნაჩქარევი დასკვნა. შეეცადეთ, გადაწყვეტილება იქამდე არ მიიღოთ, სანამ არ დარწმუნდებით, რა მოხდა სინამდვილეში. კიდევ ერთიც – ისწავლეთ თქვენი ტკივილის მართვა და მისი ღირსეულად გადატანა.

## რა არ გყოფნის?

თითქმის არ არსებობს ქალი, რომლისთვისაც მამაკაცს თუნდაც ერთხელ მაინც არ ეკითხოს: „მაინც რა არ გყოფნით ქალებს? რა გინდათ სინამდვილეში?!..“ – პრობლემა კი ისაა, რომ მამაკაცები პრაქტიკულად და მარტივად აზროვნებენ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ, თუ კაცი არ არის ლოთი, არ ჩხუბობს და აქვს სამუშაო, ეს სრულიად საკმარისია მისი პარტნიორის ბედნიერებისთვის. რეალობა კი სხვანაირია. მართლაცდა, რა არ ჰყოფნის ქალს? დიახ, მამაკაცები პლანეტა „მარსიდან“ არიან, ხოლო ქალები პლანეტა „ვენერადან“, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთო ენის გამონახვა არ შეგვიძლია, ყოველ შემთხვევაში, ცდას წინ არაფერი უდგას. თუმცა, ისიც რეალობაა, რომ რაღაც საკითხებში ვერასოდეს შევთანხმდებით, მაგრამ, საუბრით უნდა მოვახერხოთ მოლაპარაკება...

უყურებს ზოგჯერ მამაკაცი ქალს (თავის ცოლს) და ფიქრობს: „მე სხვაზე დავქორწინდი, ეს ის ქალი აღარ არის... რა მოხდა, რატომ შეიცვალა? რატომ აღარ ჰგავს ჩემი ოცნების სიფრიფანა არსებას?..“ იქნებ, დროა, სიმართლეს თვალებში შევხედოთ: მამაკაცი, რომელიც რეალურად უფრთხილდება ურთიერთობას თავის მეუღლესთან, არ აცხოვრებს სტრესში; არ შეუქმნის ისეთ გარემოს, რომელშიც ქალი მუდმივად დაძაბული და გაღიზიანებული იქნება. ჭკვიანი კაცი იმასაც კარგად ხვდება, რომ წლები არც მას ალამაზებს.

კარგია, როცა მამაკაცის უნარს – წვრილმანებით გახადოს ქალი ბედნიერი და მიანიჭოს მას პატარ-პატარა სიხარულები – ქალის მხრიდანაც საპასუხო გულისხმიერება და მზრუნველობა ხვდება. ნურასოდეს იქნებით ხარბი და შურიანი – ეს ის ორი თვისებაა, რაც ქალს აბერებს და ამახინჯებს ნებისმიერ ასაკში...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# შეხვდით ახალ წელს ახალი იმიჯით!

### კანის გაწმენდა

ყველა ქალს სურს, რომ ახალი წლის ღამეს განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებოდეს და ამის მიღწევა სულაც არ არის რთული, თუკი თადარიგს ახლავე დაიჭერთ.

სახის წინასაახალწლო „გენერალური წმენდა“ დაიწყეთ პილინგით:

მგრძნობიარე ან ძალიან მშრალ კანს მოუხდება დელიკატური პილინგი რძის ან ნუშის მჟავით – ეს ნივთიერებები არ იწვევს გაღიზიანებას.

კომბინირებული და ცხიმიანი კანისთვის მიზანშეწონილია პილინგი სალიცილის მჟავით. პროცედურები ჩაიტარეთ დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე.

ახალ წლამდე დარჩენილი ორი კვირის განმავლობაში გამოიყენეთ AHA-მჟავების შემცველი ლოსიონები; შინაური საშუალებები, რომელთა კონცენტრაციაც არ აღემატება 5 პროცენტს, არ იწვევს გვერდით მოვლენებს; გარდა ამისა, აშორებს კომედონებს, აბაცებს მცირე ზომის პიგმენტურ ლაქებს და ანაზებს კანს.



### მინუს ზომა

ასევე შეუძლებელია თუნდაც რამდენიმე კილოგრამის მოკლება უშუალოდ დღესასწაულის წინა დღეებში და, თუ მაინც მოახერხეთ, გარწმუნებთ, რომ ეს ჯანმრთელობის ხარჯზე მოხდება, მაგრამ, თუ ერთი კვირით ადრე მაინც დაიწყებთ ამაზე ზრუნვას, თქვენი ტანსაცმელი ერთი ზომით მაინც შემცირდება.

კარგი ეფექტი აქვს მოდელირებულ მასაჟს შეფუთვასთან ერთად – ეს ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს გამოიტანს. სასურველ შედეგს რომ მიაღწიოთ, დეკემბრის ბოლომდე უნდა მიმართოთ სპეციალისტს აღნიშნული პროცედურის ჩასატარებლად.

ასევე, შეიძლება მოსინჯოთ აპარატული კოსმეტოლოგია, განსაკუთრებით – მრავალფუნქციური პროცედურები: პრესოთერაპია ხსნის შეშუპებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ჭიმავს კანს.

კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია LPG, რომლის დროსაც სპეციალური როლერებით ინტენსიურად მუშავდება პრობლემური ზონები, რაც ამცირებს კანქვეშა ცხიმოვან უჯრედებს. LPG-ის მასაჟის წყალობით, 4-5 სეანსის შემდეგ ცელულიტი ნაკლებად შესამჩნევი ხდება.

### ინტენსიური თერაპია

ახალი წლის ღამეს სახიდან დაღლილობისა და თვალების ქვეშ შავი რგოლების მოსხნაზეც ახლა უნდა დაიწყოთ ზრუნვა და ყოველ საღამოს გაიკეთოთ სპეციალური ნიღბები (ცხადია, ცნობილი და საიმედო ბრენდების პროდუქცია უნდა შეიძინოთ). თუ ახალ წლამდე ინტენსიურად გამოიყენებთ ღრმა მოქმედების საშუალებებს, აუცილებლად მიიღებთ სასურველ შედეგს, ოღონდ, ეს საშუალებები უნდა შეარჩიოთ არა თქვენი ასაკის, არამედ, კონკრეტული პრობლემების გათვალისწინებით.

### ნაოჭები და კანის მოდუნება

ეს ორი პრობლემა ერთმანეთიდან გამომდინარეობს, უფრო სწორად, როცა კანი კარგავს სიმკვრივეს და დუნდება, მაშინ ჩნდება ნაოჭები. მათ თავიდან ასაცილებლად უნდა გამოიყენოთ ის კოსმეტიკური საშუალებები, რომლებიც შეიცავს უჯრედების კარკასის აღმდგენ პეპტიდებს.

წვრილი ნაოჭების გაჩენა ხშირად კანის გაუწყლოების სიგნალია. ამიტომ, კანის მოვლის საშუალებებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა შეიცავდეს ჰიალურონის მჟავას – ყველაზე ძლიერ ჰიდრატანტს.

კიდევ ერთი ჯადოსნური საშუალებაა კოლაგენის შემცველი ნიღბები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ექსპრეს–პროცედურა, უშუალოდ დღესასწაულის წინა დღეებში, რადგან მათ მომენტალური ეფექტი აქვთ.

თქვენი ახალი იმიჯი ძალიან დაიჩრდილება, თუ თმასაც არ მიაგებთ სათანადო პატივს. პირველ ყოვლისა, ეგრეთ წოდებული „ბოლოჭამიები“ მოიშორეთ, შემდეგ კი 2-3-ჯერ გააკეთეთ დამატენიანებელი და აღმდგენი ნიღბები. განსაკუთრებული ეფექტი აქვს კერატინის, კერამიდების, ზღვის წყალმცენარეებისა და ნატურალური ზეთების შემცველ პროდუქტებს. სხვათა შორის, ამ ზეთების გამოყენება ცალკეც შეიძლება, ანუ, შეიზილეთ ნებისმიერი ზეთი თმის ძირებში და ღერების მთელ სიგრძეზე სავარცხლით გადაანაწილეთ, ან, რამდენიმე წვეთი შეურიეთ ნიღაბსა და კონდიციონერს, შემოიხვიეთ თხელი პირსახოცი (ცელოფანი საჭირო არ არის) და ნახევარი საათის შემდეგ გვირილის, ჭინჭრის ან დაფნის ნახარშით ჩამოიბანეთ. შამპუნის ნაცვლად გამოიყენეთ ათქვეფილი კვერცხის გული. თმისთვის ბზინვარების მისანიჭებლად გადაივლეთ ძმარგარეული გადადუღებული წყალი.

მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პროცედურებს სრულყოფილად ჩაიტარებთ, სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე.

დიეტის დაცვის პროცესი რომ გაიადვილოთ, წინასწარ განეწყვეთ იმისთვის, რომ ახალ წლამდე დარჩენილი დღეების განმავლობაში არაფერი არ უნდა მიირთვათ, ცოცხალი ან ოდნავ მოშუშული ხილისა და ბოსტნეულის გარდა. თითოეული ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს, კვებასა და კვებას შორის შუალედი კი – 1,5-2 საათს. გარდა ამისა, მკაცრად უნდა დაიცვათ ერთი წესი: არავითარ შემთხვევაში, არც ერთი ლუკმა არ უნდა მიირთვათ 18 საათის შემდეგ. თუ ძალიან მოგშივდათ, პატარა ყლუპებით დალიეთ წყალში გაზავებული რომელიმე ხილის წვენი (1 ჩაის კოვზი თაფლით), პროპორციით – 1:1; ან 1 ფინჯანი ნალექიანი ყავა (1 ჩაის კოვზი თაფლით). სასმელებიდან ნებადართულია: უშაქრო მწვანე ჩაი ლიმონით; გაზგასული მინერალური წყალი (შეგიძლიათ, მასშიც ჩააწუროთ ლიმონი) და, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი სასმელი წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

თუ იგრძნობთ, რომ ამ რეჟიმმა დაგასუსტათ, მენიუში დაამატეთ შავი (მწარე) შოკოლადის პატარა ნატეხი, 100 გრამი ხაჭო და 1 ჭიქა მაწონი.

რაც შეეხება ვარჯიშებს, ამ დღეებში ფიზიკური გადატვირთვა დაუშვებელია, რადგან, ორგანიზმი დასუსტებულია. ამიტომ, უნდა შემოიფარგლოთ საღამოს ერთსაათიანი მოციონებით, ცურვითა და მოკლე მანძილზე ველოსიპედით სეირნობით.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რა შემთხვევაში მექნება სასურველი კანი: წლების განმავლობაში ერთი და იმავე კოსმეტიკის გამოყენების დროს, თუ, პირიქით, მათი ხშირად გამოცვლის შემთხვევაში?**

**პასუხი:** თუ თქვენ კრემებს ყოველთვე ცვლით, საეჭვოა, სასურველ შედეგს მიაღწიოთ, რადგან, კანის მოვლის საშუალებების უმრავლესობას აქვს „დაგროვების“ ეფექტი; მეორე მხრივ, ეპიდერმისის მოთხოვნები დროდადრო იცვლება და, შესაბამისად, კოსმეტიკა, რომელიც, ვთქვათ, 5 წლის წინ ძალიან უხდებოდა თქვენს კანს, შესაძლოა, დღეს უსარგებლო აღმოჩნდეს. საშუალოდ კი, კოსმეტიკის შეცვლა რეკომენდებულია მინიმუმ 6 თვეში ერთხელ.

**კითხვა: რა ხანგრძლივობით არის მიზანშეწონილი აბაზანის მიღება? ძალიან მიყვარს სურნელოვანი ქაფით გაზავებულ წყალში საათობით წოლა, მაგრამ, მეშინია, ეს მავნებელი არ იყოს სხეულის კანისთვის.**

**პასუხი:** ზამთრის პერიოდში, სიცივის გამო, კანი (სახეზეც და სხეულზეც) ისედაც ზედმეტად შრება და განიცდის გაუწყლოებას, ცხელი წყალი კი ძალიან აშრობს კანს; ამიტომ, აბაზანას 15-20 წუთის შემდეგ უნდა შეელიოთ, თანაც, წყლის ტემპერატურა 38 გრადუსს (ცელსიუსით) არ უნდა აღემატებოდეს.

**კითხვა: ისე ხდება, რომ ყოველ საღამოს ვერ ვახერხებ სახიდან მაკიაჟის მოშორებას. ვიცი, რომ ეს კარგი არ არის, მაგრამ, მაინტერესებს, რა დონეზე დამიზიანდება კანი ასეთი „მოვლის“ შემთხვევაში?**

**პასუხი:** სტატისტიკის მიხედვით, ქალების 30 პროცენტი კვირაში ორჯერ მაინც იძინებს მაკიაჟით. თუ თქვენ ამას სისტემატურად აკეთებთ, დროა, მიიღოთ სასწრაფო ზომები. შეგახსენებთ, რომ მტვერი და ცხიმოვანი ჯირკვლების სეკრეტი დღის განმავლობაში კანის ზედაპირზე გროვდება, არ ატარებს ჰაერს, ამცირებს რეგენერაციის პროცესს და, შესაძლოა, ანთების პროვოცირებაც კი მოახდინოს. თუ საღამოობით ისეთი დაღლილი ხართ, რომ მაკიაჟის მოშორების თავი არ გაქვთ, გაიწმინდეთ სახე კოსმეტიკური ხელსახოცით ან გამწმენდი ლოსიონით მაინც და აუცილებლად წაისვით ღამის მკვებავი.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

### დავივიწყოთ ყველა პირადი პრობლემა და გასაჭირი

წარმომიდგენია, რა ლანძღვა-გინების კორიანტელს გამოუშვებენ ჩემკენ მკითხველები, როცა ჩემი წერილის შინაარსს გაეცნობიან. კიდევ კარგი, მისამართს არ ვწერ, თორემ, ალბათ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სახლში მომივარდებოდა და, ალბათ, შუაზე გამგლეჯდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც უნდა გამოვაცხადო, რომ ახალი წელი ჩემთვის სულაც არ არის ყველაზე საყვარელი და განსაკუთრებული დღესასწაული. თუ ჩემი არ გჯერათ, აბა, კარგად დაფიქრდით: რას ვზეიმობთ, დასასრულის მოახლოებას? რა, ასე არ არის? ყოველი გასული წელიწადი ხომ ერთი წლით გვაახლოებს დასასრულთან?

ვიცი, რომ ძალიან პესიმისტურად ჟღერს ჩემი სიტყვები და, შეიძლება, ვილაცამ მეტიჩრობაში ჩამითვალოს, მაგრამ, ყველა ოპტიმისტი ხომ ვერ იქნება?! მეორე მხრიდან რომ შევხედოთ ამ საკითხს, თავისთავად, რისგან შედგება ჩვენი ზეიმი? – ჩაზნექილი სუფრებისგან (აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ოჯახის სუფრა თითქმის ერთი და იგივე კერძებისგან შედგება და უკვე გული გერევა საცივისა თუ „ოლივიეს“ დანახვაზეც კი). მთელი ორი კვირის განმავლობაში სიმთვრალით გამოშტერებული, შენითლებულ-შეშუპებული მამაკაცებისა და გაზქურასთან ტრიალით დაღლილი, გამოუძინებელი დიასახლისების სახეებისგან. განსაკუთრებით კი, იცით, რა მაღიზიანებს წინასაახალწლო და ახალი წლის პირველიორი კვირის განმავლობაში? ახლავე გეტყვით და, იმედს ვიტოვებ, რომ ამაში მაინც დამეთანხმება თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი: მაღიზიანებს ვითომდა საზეიმოდ მორთული ჩემი დედაქალაქი: მთავრობის სასახლის წინ დადგმული გაურკვეველი წარმომავლობისა და გარეგნობის უზარმაზარი „მახინა“, რომელსაც, რატომღაც, „ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე“ დაარქვეს, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ზოგადად ხესთან და, კონკრეტულად – ნაძვთან; ქუჩებში ჩამოკიდებული უზარმაზარი ჭაღები, რომლებიც მოწყენით ბჟუტავენ, რადგან, დანაგვიანებული რუხი ქუჩებისა და მოქალაქეთა ასევე რუხი გამომეტყველების ფონზე, სულაც არ ეხალისებათ, იჩახჩახონ და ნაძალადევი, ხელოვნური მხიარულება მოჰფინონ დღესასწაულისთვის უცხო სიჩუმეს, რომელიც თბილისის დაცარიელებულ ქუჩებში გამეფებულა...

მაპატიეთ, ჩემო თანამოქალაქეებო, სევდიანი განწყობა თუ შემოვიტანე თქვენს გულებში ამ საახალწლო დღეებში, მაგრამ, ეს ყველაფერი იმიტომ დავწერე, რომ მინდა, საახალწლო დღეები და საახალწლო განწყობა მაინც იყოს სხვანაირი ჩემს თბილისში და მთლიანად საქართველოში.

ვზეიმობთ ახალ წელს? კი ბატონო, ვიზეიმოთ, ოღონდ, ასე ულიმღამოდ, ასე ფორმალურად, ასე გოიმურად კი არა, ვიზეიმოთ მთელი გულით, მთელი არსებით; თუნდაც ორი დღით დავივიწყოთ ყველა პირადი პრობლემა და გასაჭირი, კარი გამოვუკეტოთ დარდს და მწუხარებას; გამოვიდეთ გარეთ, ვიცინოთ, ვიმღეროთ მთელი ხმით და გავაცინოთ და ავამღეროთ ისიც, ვისაც სულაც არ ეცინება და ემღერება; ვიცეკვოთ და ვაცეკვოთ ისიც, ვისაც არ ემღერება; ნაცნობს და უცნობს მთელი გულით მივულოცოთ ახალი წლის დადგომა, ფართოდ გავუღიმოთ და იმედი ჩავუნერგოთ, რომ ხვალიდან ყველაფერი კარგად იქნება და, ეგებ, მართლაც შეიცვალოს მერე ყველაფერი; ეგებ ჩვენს ქუჩაზეც დადგეს გაზაფხული – მაშინ, მეც აღარ ვიქნები პესიმისტი; მაშინ ყველაზე მხიარული და ბედნიერი კაცი გავხდები და ჩემს ბედნიერებას მთელ საქართველოს გავუნაწილებ.

**პაატა, 30 წლის.**

### ამ ახალ წელს სასწაულს ველი

ბავშვობიდან მჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა არსებობდა და დამჯერ ბავშვებს ყველა ოცნებას უსრულებდა, თუმცა, ძალიან დიდი სურვილის მიუხედავად, ვერცერთხელ ვერ გავუგზავნე წერილი, რადგან, მე თვითონ არ ვიცოდი, სად და როგორ უნდა გამეგზავნა, მშობლებს კი ვერ ვეკითხებოდი, რადგან, მეშინოდა, არ დაეცინათ. ამიტომ ეს ოცნება განუხორციელებელი დამრჩა, ამის გაკეთების სურვილი კი დიდობაშიც გამომყვა, თუმცა, რა თქმა უნდა, თოვლის ბაბუის არსებობა აღარ მჯეროდა, მაგრამ, ახალი წლის ღამეს თუ არა, მეორე დღეს მაინც, სასწაულის მოხდენას ნამდვილად ყოველ 31 დეკემბერს ველოდი. მერე მივხვდი, რომ ეს სასწაული მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რაღაცას ძალიან-ძალიან მოვისურვებდი. ყველაზე დიდი სასწაული კი ის იქნებოდა, რომ რამდენიმე წლის წინ ოჯახიდან წასული მამა დაბრუნებულიყო და ისევ ერთ ოჯახად გვეცხოვრა. ისე შემიპყრო და ამიტაცა ამ სურვილმა, რომ დეკემბრის ბოლო რამდენიმე დღე მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი და ამ ფიქრებით დავიძინე 1 იანვრის გამთენიისას. სიზმარში რა ვნახე, არ მახსოვს, მაგრამ, მახსოვს, როგორ შემიხტა გული სიხარულისგან, როცა ძილში მამაჩემის ხმა ჩამესმა. ჯერ მეგონა, მესიზმრება-მეთქი და შიშით თვალებს ვერ ვახელდი, რომ ეს სიზმარი არ გამქრალიყო, მაგრამ, როცა თავზე ხელის გადასმა და შუბლზე კოცნა ვიგრძენი, მაშინვე დავაჭყიტე თვალები და, ჩემს სახესთან დახრილი მამას ალერსიანი მზერა რომ დავინახე, უცებ გამიარა მღელვარებამ და დიდი ადამიანივით მშვიდად ვუთხარი: ვიცოდი, რომ დღეს მოხვიდოდი. ეს მე დაგიძახე და ახლა არსად აღარ გაგიშვებმეთქი. მართლაც, მამა ჩვენგან აღარ წასულა და დღემდე ტკბილ ოჯახად ვცხოვრობთ.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. მაშინ 13 წლის ბავშვი ვიყავი, ახლა კი 23 წლის ვარ და სულ სხვა სასწაულს ველი – მინდა, ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდეს ბიჭი, რომელიც მთელი გულით შემიყვარებს. უფლისწული და თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი კი არ მინდა, ველი ჩვეულებრივ, ნორმალურ და წესიერ, ნამდვილ მამაკაცს, რომელსაც ვეყვარები ისეთი, როგორიც ვარ და მეყვარება ისეთი, როგორიც იქნება. ზოგი გოგოსთვის შეიძლება, ეს სულაც არ იყოს სასწაული და შეიძლება, ბევრმა დამცინოს კიდეც ამ წერილის წაკითხვისას, მაგრამ, იცინონ, რამდენიც უნდათ და, თუნდაც გამამტყუნონ, რომ ასეთ რამეს საქვეყნოდ ვწერ, მაგრამ, მე სულაც არ მრცხვენია არც ჩემი ოცნებისა და არც ჩემი გრძნობის. ვინც გამკილავს და გამამტყუნებს, თავისი ნებაა, რაც უნდა, ის უქნია, მაგრამ, მე სულაც არ მრცხვენია არც ჩემი ოცნების და არც ჩემი გრძნობების, რადგან მათში ცუდი არაფერი იმალება.

ვინც გამკილავს და გამამტყუნებს, თავისი ნებაა, რაც უნდა, ის უქნია, მაგრამ, ვინც გამიგებს, ვუსურვებ, მასაც ისევე აუხდეს ყველაზე მთავარი ოცნება, როგორც მე, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ეს სულ რაღაც ერთ კვირაში მოხდება.

**თათა, 23 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-50(729)**

„ელისოს თავისი მამიდაშვილი, ხუთი წლით უმცროსი ნინიკო გადაეკიდა და, როგორც იქნა, დაითახმა, ორკვირიანი შვებულება აელო სამსახურიდან და გუდაურში გაჰყოლოდა.

– აი, ნახავ, მერე მადლობას თუ არ მეტყვი, – უთხრა მანქანაში ნინიკომ და უკანა სავარძელზე დაწყობილ ნივთებს გადაავლო თვალი, ხომ არაფერი დამრჩაო, – მით უმეტეს, რომ თანრიგოსანი ხარ თხილამურებით სრიალში. როგორ ძლებ, აზრზე არა ვარ. მე



შენთან შედარებით ძლივს დავბობლავ და მაინც სულ აქეთ მომიწევს გული.

– თანრიგოსანი კი არა, იმდენი ხანია, არც ბაკურიანში ვყოფილვარ და არც გუდაურში, ასე მგონია, ველარ დავდგები თხილამურებზე, – თქვა ელისომ და უცბად იგრძნო, როგორი მონატრებული ჰქონია ეს ყველაფერი.

– დადგები, ნუ გეშინია. მთავარია, რომ გამოვლიტე შენი თავი ჩვენ ნაცრისფერ დედაქალაქს. რა გაძლებინებს, გოგო, თბილისში მთელი წელიწადი! რამდენი წელია, შვებულება არ აგიღია და არსად წასულხარ?

– ალბათ, სამი თუ ოთხი, – დამნაშავესავით უპასუხა ელისომ.

– მერე, ნორმალურობა ჰქვია შენს საქციელს? – გაბრაზდა ნინიკო, რადგან, გაახსენდა, რომ სწორედ ამდენი ხნის წინ გაშორდა ელისო ქმარს, – ის არ გეყო, რაც გაგამწარა და ახლა მთელი ცხოვრება იმ კრეტინს უნდა შესწირო?

– არავის არაფერს არ ვწირავ, უბრალოდ, ასე მოხდა, – ისევ იმართლა თავი ელისომ, – ცოტა დეპრესია, ცოტაც – სხვა მიზეზები და...

– მოკლედ, დამთავრდა შენი დეპრესია და მიზეზები, ახალ ცხოვრებას იწყებ! ასე რატომ უნდა დაიმარხო თავი ასეთმა ახალგაზრდა და ლამაზმა ქალმა? შენნაირი გარეგნობა რომ მქონდეს, კაცებს თვალებს დავათხრევინებდი, – რალაც ძალიან კეთილად თქვა ნინიკომ და გადაიკისკისა, – თუმცა, არც ახლა ვაკლებ. მაგრამ, ამჯერად შენთვის უნდა მოვიცალო.

– ჯერ საკუთარი ცხოვრება აიწყვე და მე მერე მომხედე, – ღიმილით უთხრა ელისომ, თან ჩანთა გახსნა, რომ მობილური ამოელო და უცებ შეჰყვირა: – ვაიმე! კატოსთვის ბილეთების მიცემა დამავიწყდა!

– რა ბილეთების? – შეწუხდა ნინიკო.

– გუშინ სალამოს კატოსთან ვიყავი და დეიდა ლიანამ მთხოვა, შენ კარგი ხელი გაქვს, ხუთი ცალი „ლოტოს“ ბილეთი გამიტარე, დანარჩენი ფულით კი სხვადასხვანაირი ლატარია მიყიდეო.

– ფული რამდენი მოგცა?

– ოცდაათი ლარი. არ ვართმევდი, მაგრამ, თავი მოიკლა – ლატარიის ყიდვა სხვისი ფულით არ შეიძლებაო. ციფრებიც თვითონ დამიწერა ფურცელზე. ამ დილით უნდა მიმეტანა და უცებ ამომივარდა თავიდან.

– გათამაშება როდის არის?

– სამშაბათს.

– დღეს შაბათია. არა უშავს, მანამდე რამეს მოვიფიქრებ. ბოლოს და ბოლოს, გუდაურიდან ვინმე წავა თბილისში და გავატანთ. ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ ვუყუროთ გათამაშებას და, თუ რამე მოიგო, შევატყობინოთ.

– არა, მთელი მუღამი იმაშია, რომ თვითონ უნდა გათამაშების ყურება. საწყალი ქალი, ამაზე აყოლებს გულს და, თან, სხვა რომ არაფერი შეუძლია, იმედი აქვს, რალაცას მოიგებს და ამით დაეხმარება რძალსა და შვილიშვილებს.

– ძალიან უჭირთ?

– ჰო, საკმაოდ. თან, მგონი, ბინა ჰქონდათ დაგირავებული და ბანკი ართმევს. ამაზე კატო არაფერს გვეუბნება – არ უყვარს, როცა ვინმეს ეცოდება; მაგრამ, ვხვდებით, რომ ასეა და, არ ვიცით, როგორ დავეხმაროთ. ისეთ მდგომარეობაში არიან, მაგათ ახლა ჯეკპოტი თუ უშველის, – ჩაფიქრებით თქვა ელისომ, – მაგრამ, ყველანაირი ლატარია სისულელე და აფერისტობა მგონია.

– შენ რა ლენინივით ლაპარაკობ, – გაეცინა ნინიკოს.

– ლენინი რა შუაშია? – ვერ მიხვდა ელისო.

– ლენინმა არ თქვა, ლატარია ოპიუმია ხალხისთვისო?

– ეგ რელიგიაზე თქვა იმ სატანამ, შე სულელო, – სიცილი აუტყდა ელისოს.

– ჰო?! მაგრამ, ლატარიაზეც თქვა რალაცა და ვერ ვიხსენებ. თუ გამახსენდა, გეტყვი.

– ერთი, ლენინის დედაც არ ვატირე? რაში მაინტერესებს, რაზე რა თქვა, უფრო სასიამოვნო თემა აღარ გვაქვს? – თქვა ელისომ და ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, – ფანჯარა ჩამოსწიე, უნდა მოვწიო.

– იცოდე, ეს ბოლო ღერი იქნება, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ თბილისში დავბრუნდებით. აქ ჯანმრთელი ცხოვრების წესია და შენც უნდა დაიცვა. პროტესტს არ მივიღებ! – მკაცრად გააფრთხილა ნინიკომ.

– შენ აღარ ეწევი? – გაუკვირდა ელისოს.

– უკვე ორი წელი ხდება და, იცი, რა კარგად ვარ? მართალია, ცოტა მოვიმატე წონაში, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისუფლად ვსუნთქავ. აღარაფერი მაწუხებს და, თან თვეში ას ორმოცდაათ ლარამდე ეკონომია გამომდის.

– მაგარია, – დაუფარავი შურით თქვა ელისომ, – მეც უნდა მოვბაძო!

უცებ ელისოს ტელეფონმა დარეკა. ნომერს რომ დახედა, ისე გაუხარდა, მთელი ხმით ჩასძახა ყურმილს:

– ჰო, ქეთა, გისმენ, ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობაა, ნუ გეშინია. ერთი კარგი სიურპრიზი მოგიმზადეთ, მაგრამ, ვერ მოვითმინე და დაგირეკე, რომ გაგახარო.

– რა სიურპრიზი?

– ორშაბათ დილას მე და ნათიაც მოვდივართ გუდაურში ბავშვებით და...

– ეგ ხომ ვიცოდი? ეგ რა სიურპრიზია?

– ჰო, მაგრამ, კატოც დავითანხმეთ და ისიც მოგვყავს შვილებთან ერთად.

– მართლა?! – გაუხარდა ელისოს, – როგორ მოახერხეთ?

– „შეთქმულება“ მოვაწყვეთ: მე, ნათია, რეზო, ივიკო, კატოს შვილები და დედამთილი „შევეკარით“ ერთმანეთს, მერე ერთიანი ძალებით შევუტიეთ და დაგვნებდა, – სიცილით უთხრა ქეთამ, – მაგრამ, რომ ჩამოვალთ, არ შეიმჩნიო, ვითომ არაფერი იცი.

– კარგი, ბატონო, არ შევიმჩნევ, – გაეცინა ელისოსაც, – მაგრამ, კაცმა შენ უნდა გაიგოს რამე საიდუმლო...

– მე არასდროს გამიცია საიდუმლო, – ცოტათი ეწყინა ქეთას, – უბრალოდ, ისე გამიხარდა, რომ გულში ველარ დავიტიე.

– ნუ გწყინს, გეხუმრე, – მოუბოდიშა ელისომ, – კარგი გოგო ხარ, რომ დამირეკე. აბა, თქვენ იცით, დროზე ჩამოდით, გელოდებით, – ელისომ ყურმილი გათიშა და ნინიკოს მიუბრუნდა, – კატოც მოჰყავთ ბავშვებით.

– გავიგონე. ისე კიოდა ეგ შენი ქეთა, მგონი, ტელეფონის გარეშეც მოგაწვდენდა ხმას.

– ჰო, ეგეთი ემოციურია, მაგრამ, უკეთილესი გოგოა.

– საერთოდ, ძალიან მაგარი დაქალები გყავს. სიმართლე გითხრა, ცოტათი მშურს კიდეც. მე არ მიმიღებთ თქვენს სასტავში? – ჰკითხა ნინიკომ და წინ გაჩერებულ მანქანას მიუსიგნალა.

– რატომაც არა. ჩვენ კარგ ხალხს უარს არ ვეუბნებით.

– მიღება როგორ ხდება, რამე გამოცდა უნდა ჩავაბარო თუ ტესტებს მომცემთ? – გაიხუმრა ნინიკომ.

– გამოცდაც და ტესტიც ის იქნება, როგორ მორგები ჩვენს დაუწერელ წესებს და როგორ შეგეთვისებიან გოგოები.

– ანუ, რალაც გამოსაცდელი ვადის მაგვარი იქნება?

– ჰო, ცოტა უხეშად თუ ვიტყვით, დაახლოებით ასე გამოდის. დროს კი არ ვნიშნავთ, უბრალოდ, ვთქვათ, ორი-სამი თვის შემდეგ თვითონვე მიხვდები, გახდი თუ არა „ჩვენიანი“ და ჩვენც ალმოვჩნდით თუ არა „შენიანები“. მოსულა?

– მოსულა, – გაუხარდა ნინიკოს, – მეც არ მყავს ცუდი მეგობრები, მაგრამ, ცოტა ისეთი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა...

– როგორი – „ისეთი“? – დაინტერესდა ელისო.

– როგორ გითხრა... თითქოს ყველანი კარგად ვართ ერთმანეთთან, არც ჩხუბი და უსიამოვნება მოგვსვლია არასდროს, არც ერთმანეთისთვის გვიწყენინებია, მაგრამ, რაღაცნაირი, „მერე მე არაფერი მომივა?“ ურთიერთობა გვაქვს, – ნინიკომ უცბად იუხერხულა, რომ თავის მეგობრებზე მთლად კარგ რამეებსაც არ ამბობდა და გაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ განაგრძო: – არ გეგონოს, რომ ჩემი გოგოები არ მიყვარს...

– არ მგონია, – გაუღიმა ელისომ, – მაგრამ, „მე არაფერი მომივა“ რას ნიშნავს?

– ახლა, ისე გამოვიდა, რომ ვჭორაობ მათზე, მაგრამ, იცი, რა მომენტები მაქვს ხოლმე ხანდახან? ასე მგონია, რამე ძალიან სერიოზული რომ გამიჭირდეს და ნებისმიერ მათგანს რომ დავურეკო, მოდი და მიშველე ან გამამხნევე მაინც-მეთქი, შეიძლება, არცერთი არ მოვიდეს.

– რატომ? – აღშფოთდა ელისო, – არცერთს არ ადარდებ?

– არა, როგორ არ ვადარდებ, ძალიანაც შეწუხდებიან, მაგრამ, შეიძლება, იმ მომენტში რაღაც საქმეს აკეთებენ, ვთქვათ, სადილს; ან, სახლს ალაგებენ, ან ქმარს უნდა გაჰყვნენ სადღაც და იმ საქმეს არ შეწყვეტენ.

– მერე, როგორ მეგობრობ ისეთ ადამიანებთან, ვისაც, პრაქტიკულად, ფეხებზე ჰკიდიხარ?

– არა, მთლად მასეც არ არის საქმე და, თან, მარტო ჩემ მიმართ კი არა, ერთმანეთის მიმართაც ასეთივე პოზიცია აქვთ და ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ, რის გამოც მე მუდმივად ვგრძნობ რაღაც დანაკლისს, სადღაც შიგნით, აი, აქ, – ნინიკომ გულზე მიიდო ხელი, – თუმცა, ძალიან, ძალიან მიყვარს და, ერთი დღეც რომ ვერ ვნახო, ყველა უზომოდ მომენატრება ხოლმე.

– ასეთი მოზომილი და გამოთვლილი მეგობრობის არ მწამს, მე ასეთებთან ვერ ვიდაქალებდი. საბედნიეროდ, ჩვენ სულ სხვა ურთიერთობები გვაქვს. ოფიციალურად არასდროს გამოგვიცხადებია, მაგრამ, ისე გამოვიდა, რომ მუშკეტერების პრინციპით ვცხოვრობთ.

– „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“? – გაეღიმა ნინიკოს, – ასეთი რამეები პატარა ბიჭებმა იციან ხოლმე.

– ჰო, პატარა ბიჭებმაც და ზოგჯერ დიდმა გოგოებმაც, – დაეთანხმა ელისო, მაგრამ, არ გითქვამს, შენ როგორი მეგობარი ხარ მათთვის..

– არ ვიცი, ეს, ალბათ, მათ უნდა ჰკითხო. ისე კი, ჩემთვის სხვა საქმე არ არსებობს, როცა მეგობარს უჭირს და დახმარებას ან თანადგომას გთხოვს. თუმცა, შეიძლება, მეც ბევრი რამ შემშლია.

– კარგი, აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი, – ელისომ კიდევ ერთი ღერი ამოიღო ჩანთიდან და მოუკიდა.

– რა გითხარი მე შენ? – თვალები გადმოუბრიალა ნინიკომ.

– დღესაც და, ხვალიდან აღარ მოვწევ, – პატარა ბავშვივით შეეხვეწა ელისო.

ნახევარი საათის შემდეგ გოგოები უკვე სასტუმროში იყვნენ და თავიანთ ნივთებს ალაგებდნენ.

– დღესვე წავიდეთ სასრიალოდ? – ჰკითხა ელისომ და თხილამურები ჰოლის კუთხეში მიაყუდა.

– დღეს ვეღარ მოვასწრებთ, ხვალ დილიდან კი, ალბათ, დაძინებამდე აღარ შემოვალთ ჩვენს ნომერში, – უპასუხა ნინიკომ და აბაზანისკენ გასწია, – თუ არ გეწყინება, ჯერ მე გადავივლებ წყალს.

თავი რომ მოიწესრიგეს და სახლიდან წამოღებული საუზმით წაიხემსეს, ნინიკომ მობილური მოიმარჯვა.

– ვის ურეკავ? – დაინტერესდა ელისო.

– ჩემი მეგობრები არიან აქ, გუშინწინ ჩამოვიდნენ და, მინდა, გაგაცნო. დავურეკავ და ყავა დავლიოთ ერთად.

– აქ კაფე არ არის?

– როგორ არ არის, მაგრამ, დღეს აქ დავლიოთ.

– ვინ მეგობრები, ისინი, წელან რომ მელაპარაკე?

– არა, სხვა სასტავია – ბიჭები, გოგოები... მოკლედ, გაიცნობ, რა. ბიჭები განსაკუთრებით კარგი ტიპები არიან, ჩემზე უფროსები, ნაღდი ქალაქელები, მობოჰემო-მოინტელიგენტო ტიპები, ოღონდ, ყველა საქმიანი და შემდგარი კაცია. მე მგონი, მოგეწონება. სხვათა შორის, ერთის გარდა, ყველა „ხალასტოია“ და, თუ კარგად მოიქცევი, ეგებ, შაჰის ცოლობასაც გამოჰკრა ხელი, – თვალი ჩაუკრა ნინიკომ.

– შენ ჩემს მაჭანკლობას აღარ უნდა დაანებო თავი? – ხუმრობით შეუწყრა ელისო, – ვეღარ გაიგე, რომ ამ საქმეში არაფერი გამოგდის? მე რომ ბედი მქონდეს, აქამდეც ვიპოვიდი ვინმეს, სხვების დაუხმარებლად.

– ეძიებდე და ჰპოვებდეო, არ გაგიგონია? არ ეძებ და სად უნდა გეპოვა? – შეეკამათა ნინიკო, – თანაც, თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან...

– კარგი, გეყოფა, ნუ შემაწუხე ამ ანდაზებითა და ბრძნული გამონათქვამებით, დარეკე, თუ რეკავ და დაუძახე, თორემ, ვეღარ ვითმენ, ისე მინდა ცხელი ყავის დალევა, – თქვა ელისომ და ნერწყვის ყლაპვით გადახედა გაწყობილ ფინჯნებს, მერე უცებ წამოდგა, „მინუტკაში“ წყალი ჩაასხა, ყავა ჩაყარა და სასწრაფოდ მოიდუღა თავისთვის, – იმათ მოსვლამდე გული წამივა, რომ არ დავლიო. როცა მოვლენ, ზა კამპანიუ, კიდევ დავლევ, – ფინჯანი ფრთხილად აიღო და დახარბებულივით მოსვა ქაფქაფა ყავა, მერე თვალები მინაბა და ნეტარებით წარმოთქვა: – ღმერთო ჩემო, რა კაიფია... – და ასე თვალებდახუჭულმა დაცალა ჭიქა, მერე ისევ სიგარეტი ამოიღო და ისე მადიანად გააბოლა, კინაღამ ნინიკოსაც წაუცდა ხელი.

***

ნინიკოს მეგობრები მართლაც კარგი ტიპები აღმოჩნდნენ და ელისომ უცებ იგრძნო, რომ თავისიანებს შორის მოხვდა. გოგოები ცოტას მეტიჩრობდნენ და იპრანჭებოდნენ – ცოტა „სვეცკური“ ეჭირათ, ბიჭები კი მართლაც „დასტოინად“ იქცეოდნენ, ყოველგვარი ზედმეტი „პაკაზუხობის“ გარეშე.

„გოგოებისა რა მოგახსენო, მაგრამ, ეს ბიჭები ჩემს სასტავსაც ძალიან მოეწონებოდა“, – გაიფიქრა ელისომ და უცებ დიდი მადლობის გრძნობა გაუჩნდა ნინიკოს მიმართ, აქ წამოსვლაზე რომ დაითანხმა.

გვიან ღამემდე ისხდნენ. ათას რამეზე ისაუბრეს, ცოტა იმღერეს, ცოტა დალიეს, მერე ბიჭებმა ისეთი ანეკდოტები მოუყვნენ გოგოებს, სიცილისგან ყველას ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები. ბოლოს დილის 9 საათზე სათხილამურო ტრასაზე დათქვეს შეხვედრა და დაიშალნენ.



– ხომ კარგები არიან? – კარის მიხურვისთანავე ჰკითხა ნინიკომ.

– ძალიან მაგრები. უკვე გიხდი მადლობას, აქ რომ წამომიყვანე. პირველივე საღამოს ვიგრძენი, როგორ მომეხსნა ბორკილები და როგორ ავფარფატდი ცაში, – კმაყოფილი ღიმილით უთხრა ელისომ და გადაკოცნა.

– ჯერ სადა ხარ, კიდევ ბევრჯერ მეტყვი მადლობას, – შეიფერა გახარებულმა გოგომ და ფინჯნები სააბაზანოში გაიტანა გასარეცხად. მერე ლოგინები გაშალა, ღამის პიჟამა ჩაიცვა და პატარა ბავშვივით შორიდან ისკუპა საწოლში.

– ისევ ისეთი გიჟი და გადარეული ხარ, როგორიც იყავი, – გაეცინა ელისოს, – მაგრამ, მინდა გითხრა, რომ სწორედ ამიტომაც მიყვარდი გამორჩეულად.

– მეც გამორჩეულად მიყვარხარ მთელ ბიძაშვილ-მამიდაშვილობაში, მაგრამ, მართლა არ ვიცი, რატომ, – თქვა ნინიკომ და რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ დაამატა: – ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან უპრობლემო და უკომპლექსო გოგო ხარ, ყოველთვის უგებ სხვებს და ადვილად შეგიძლია, აპატიო ადამიანს, ეს ყველაფერი ერთად კი ნამდვილად არ არის ცოტა.

– ამდენს ნუ მაქებ, თორემ, თავში ამივარდება და გავყოყოჩდები, – გაეცინა ელისოს, თუმცა, გულში მაინც ესიამოვნა მისი შეფასება.

– შენ არასდროს არ გაყოყოჩდები, – ნინიკო მხრებზე მოეხვია საწოლზე ჩამომჯდარ ელისოს, – რომ იცოდე, რა მშვიდად და კარგად ვგრძნობ თავს, როცა შენთან ერთად ვარ, ალბათ, გვერდიდან არ მომიშორებდი.

– კარგი, გეყოფა ხოტბის შესხმა, შე პატარა მლიქვნელო, თორემ, მართლა დავიჯერებ ყველაფერს და მერე ნახავ, რაც დაგემართება. ახლა კი დავიძინოთ, მართლა ძალიან დავიღალე.

ნინიკომ ლოყაზე აკოცა ელისოს, შუქი ჩააქრო და საბნის ქვეშ შეძვრა, ხუთი წუთის შემდეგ კი ოთახში ორი ახალგაზრდა ქალის მშვიდი ფშვინვა ისმოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# რა შეთანხმება ჰქონდათ სტალინსა და ჰიტლერს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან დაკავშირებით



რუსეთის სახელმწიფოს ბრძოლა ბალტიისპირეთის (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის) დაუფლებისთვის მეთექვსმეტე საუკუნიდან, კერძოდ, ივანე მრისხანის (1533-1584) მეფობის დროიდან იწყება. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა და იოსებ სტალინის ეპოქაში დასრულდა. თუ როგორ, ამ თემაზე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით ვისაუბრებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ივანე მრისხანემ ოცდახუთწლიანი ომი აწარმოა ბალტიისპირეთის დაპყრობისთვის, ევროპის სახელმწიფოებმა მოახერხეს რუსეთის უკუგდება. სამაგიეროდ, ოცდაერთწლიანი ომის (1700-1721) შემდეგ, პეტრე დიდმა შეძლო ბალტიისპირეთის დაპყრობა. დღევანდელი ლიტვა, ლატვია და ესტონეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ 1917 წლამდე. 1918 წელს, ევროპის სახელმწიფოების მხარდაჭერით, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს. შექმნილ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა, ეცნო ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა. ცხადია, იოსებ სტალინი არასოდეს შეჰგუებია ბალტიისპირეთის დაკარგვას. ის მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულებას შეეწირა. ამ ხელშეკრულების „დამატებითი საიდუმლო ოქმის" ძალით, აღნიშნული იყო, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შემთხვევაში, ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი, ამავე დროს, იქნებოდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ინტერესთა სფეროს საზღვარი. იქვე აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანია სცნობდნენ ლიტვის ინტერესს ვილნოს (ვილნიუსის) ოლქზე. 1939 წლის 28 სექტემბერს დაიდო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრების შესახებ, ხოლო 29 სექტემბერს, ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულების დამატებით საიდუმლო ოქმებს. დამატებითი საიდუმლო ოქმის ძალით, ლიტვის ტერიტორია საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდ გამოცხადდა – ლიტვის ტერიტორიის მცირე ნაწილი (სამხრეთ-დასავლეთი ლიტვა) გერმანიის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული. ეს დათმობა სტალინისთვის მიუღებელი იყო (მოგვიანებით, 1941 წლის 10 იანვრის საბჭოთა კავშირ-გერმანიის კიდევ ერთი საიდუმლო ოქმის ძალით, გერმანიის გავლენის სფეროდ აღიარებული ლიტვის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, გერმანიამ საბჭოთა კავშირს დაუთმო 7,5 მილიონ დოლარად).

გერმანიასთან მოლაპარაკების პარალელურად, სტალინი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბალტიის სახელმწიფოებთან. 1939 წლის 28 სექტემბერს დაიდო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის, 5 ოქტომბერს – საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის, 10 ოქტომბერს – საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის.

გერმანიისგან მიტოვებული ბალტიის სახელმწიფოები იძულებული გახდნენ, საბჭოთა კავშირთან დაედოთ ისეთი კაბალური ხელშეკრულებები, რასაც ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა შეეწირა. სამივე ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეები ვალდებული იყვნენ, ერთმანეთისთვის აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება. კიდევ უფრო დამღუპველი იყო ხელშეკრულების ის პუნქტი, რომელიც ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს ავალდებულებდა, საბჭოთა კავშირის გარდა, სამხედრო პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულება არ დაედო სხვა რომელიმე ქვეყანასთან; არ დაკავშირებოდნენ ისეთ ქვეყანას, რომელიც მტრულად იქნებოდა განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ. ხსენებულმა ხელშეკრულებებმა სხვა მხრივაც შელახა ბალტიის სახელმწიფოთა ინტერესები: ბალტიისპირეთში კუნძულებზე – საარემას და ჰიუმააზე, ქალაქებში პალდისკიში, ლიეპაიაში, ვენსპილსში განლაგდა საბჭოთა კავშირის წითელი არმიის გარნიზონები, სამხედრო-საზღვაო ბაზები და სამხედრო აეროდრომები. ეს, პრაქტიკულად, ნიშნავდა, რომ მომზადდა საფუძველი ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაციისთვის.

**იოსებ სტალინი არასოდეს შეჰგუებია ბალტიისპირეთის დაკარგვას. ის მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა**

სტალინი იძულებული იყო, დაეცვა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ვილნოს (ვილნიუსის) ოლქს ეხებოდა. ამიტომ იყო, რომ 1939 წლის 10 ოქტომბრის საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების ძალით, ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი საბჭოთა მხარემ ლიტვას გადასცა. გადაცემისას ოლქის ტერიტორიაზე 457 ათასი კაცი ცხოვრობდა. მათ შორის 100 ათასი ლიტველი. მოსახლეობის უმრავლესობას კი შეადგენდნენ პოლონელები, ბელორუსები და ებრაელები.

1940 წელი ევროპაში ნაცისტური გერმანიის გამარჯვებებით აღინიშნა – 22 ივნისს საფრანგეთმა გერმანიის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანია განაგრძობდა ომს ინგლისის წინააღმდეგ. გერმანიის წარმატებები ძალას მატებდა ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი პატრიოტების ბრძოლას მოსალოდნელი საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ. ცხადია, ბალტიის ქვეყნები იმედებს გერმანიის გამარჯვებაზე ამყარებდნენ. სტალინი საბაბს ეძებდა, ბალტიისპირეთის დაპყრობისთვის. 1940 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ლიტვის მთავრობას ბრალი დასდო წითელი არმიის მიმართ პროვოკაციულ ქმედებებში, ასევე, ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის მცდელობაში. სტალინი კატეგორიულად ითხოვდა ლიტვის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში წითელი არმიის დამატებითი ძალების განლაგებას. მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ გერმანია ბალტიის ქვეყნებს ვერ დაიცავდა, 1940 წლის 14 ივნისს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა თანხმობა განაცხადეს წითელი არმიის დამატებითი კონტინგენტის შეყვანაზე. ცხადია, იოსებ სტალინის გადაწყვეტილება ბალტიის ქვეყნების ტერიტორიაზე წითელი არმიის შეყვანის თაობაზე, შეთანხმებული იყო ადოლფ ჰიტლერთან. ასე რომ, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ბედი საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმებით გადაწყდა. 1940 წლის ივლისში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის პარლამენტებმა, მოსკოვის მხრიდან სამხედრო მუქარის პირობებში, იძულებული გახდნენ, თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა წყობილება გამოეცხადებინათ და თხოვნით მიემართათ მოსკოვისთვის საბჭოთა კავშირში შესვლის თაობაზე. ასე აიძულა იოსებ სტალინმა ადოლფ ჰიტლერისგან მიტოვებული ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, ხელი აეღოთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე და ევროპის სუვერენული სახელმწიფოებიდან საბჭოთა რესპუბლიკებად გადაქცეულიყვნენ. ყოველივე ამას, ომი და სისხლისღვრა, იმხანად, არ მოჰყოლია. მაგრამ, სულ მალე, ბალტიის ქვეყნებში დაიწყო ფართომასშტაბიანი რეპრესიები. ათასობით პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ინტელიგენციის წარმომადგენელი შეიპყრეს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას გადაასახლეს. ეროვნულ ძალთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ევროპაში გადახვეწა. პოლიტიკური ტერორი განსაკუთრებით გაძლიერდა ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების წინ.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**☎: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ჩომახაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩომახი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ჩომახიძე, ჩომახია, ჩომახიშვილი.**

„ღოუბნელი ნინია **ჩომახაშვილი** 1818 წელს ნათლავს შიოს ვაჟს. მიმრქმელია პეტრე გოგოლაშვილი".

**ჩომახაშვილები** ქვემო ქართლში მემამულე აზნაურები იყვნენ და ორბელიანთა შტოგვარად მიიჩნევიან.

საქართველოში 455 **ჩომახაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 172, გურჯაანში – 111, თეთრი წყაროში – 105. არიან სხვაგანაც.

69 **ჩომახიშვილი**.

### შაყულაშვილი

გვარი **შაყულაშვილი** ენათესავება გვარ **შახულაშვილს**. როგორც **შაყულაშვილის**, ასევე, **შახულაშვილის** ადრინდელი გვარი იყო ჭილიმუზაშვილი.

გვარი **შაყულაშვილი** გვხვდება ონისა და ბორჯომის რაიონების ტერიტორიებზე, არიან სხვაგანაც. საკუთარი სახელი **შაყულა** კი მომდინარეობს სპარსულიდან – **შაჰყული**, რაც შაჰის მონას ნიშნავს.

**შაყულაშვილები** იყვნენ ქვემო ქართლის მემამულეები; ასევე, ვანში იყვნენ უყმო აზნაურები.

საქართველოში 984 **შაყულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 396, ბორჯომში – 300, გორში – 153. არიან სხვაგანაც.

### ყალანდრიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყალანდარი**. სავარაუდოდ, სახელი ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვიდან **ყალანი**, რაც გადასახადს, ბეგარას ნიშნავს.

1666 წელს ყმის წყალობის წიგნში მოიხსენიება **ყალანდარ** თუმანიშვილი, რომელიც გიორგი ბატონიშვილს მანუჩარ თუმანიშვილისთვის უბოძებია.

1721 წელს ენაგეთში მოიხსენიება ვინმე **ყალანდარიშვილი.**

საქართველოში 37 **ყალანდარიშვილი** ცხოვრობს: თელავში – 22, თბილისში – 12, ახმეტაში – 3.

### ხოჯაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხოჯა.** ის სპარსული წარმოშობისაა და ქართულად საპატიო წოდების აღმნიშვნელია.

ამავე ძირისაა გვარები: **ხოჯავანიშვილი, ხოჯივანიშვილი, ხოჯევანიშვილი, ხოჯვანიშვილი და ხოჯავა.**

ისტორიული გადმოცემის მიხედვით, **ხოჯივანიშვილის** საგვარეულოს წინაპარი, სახელად იოანე, მასწავლებელი ყოფილა. მესხეთში თურქთა ბატონობის დროს იოანეს **ხოჯას** ეძახდნენ, რაც გვარის წარმოშობას დაედო საფუძვლად.

ავთანდილ და სულხან **ხოჯაშვილები**, ისტორიული საბუთების მიხედვით, მებატონეები იყვნენ და ჰყავდათ ყმები.

1721 წელს მაწევანში მოიხსენიება უყმო აზნაური **ხოჯაშვილი**.

საქართველოში 110 **ხოჯაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 55, თიანეთში – 18, ქუთაისში – 14. არიან სხვაგანაც.

### სალრიშვილი-სალირაშვილი

**სალრიშვილი სალირაშვილის** ადრინდელი გვარი იყო – ასე იყვნენ ჩაწერილი 1873 წლის აღწერამდე.

**სალირა** მამაკაცის საკუთარი სახელი იყო საუკუნეების წინ. **სალირ** კოლონკელისძე მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში". **სალირა სალირაშვილი** მოიხსენიება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანში.

**სალირი** ნასესხები სიტყვაა, შემდგომში გაქართულებული. გვარი **სალრიშვილი (სალირაშვილი)** ქართულად რომ ვთარგმნოთ, გვექნება ყრუაშვილი, თუმცა, ეს გვარიც არსებობს.

ფუძით **სალირა** გაწყობილია გვარები**: სალარაია, სალარაძე, სალირაშვილი, სალირიშვილი, სალირაძე, სალირიძე, სალრიშვილი.**

საქართველოში 170 **სალრიშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 70, ვანში – 44, თბილისში – 29. არიან სხვაგანაც.

656 **სალირაშვილი**: თბილისში – 278, გორში – 72, დუშეთში – 68. არიან სხვაგანაც.

### კორძაძე-კორძაია

1840-იან წლებში **კორძაძეებს** უცხოვრიათ იმერეთში, კერძოდ, სოფლებში: ბზვანი, გუბი, ვანი, ტობანიერი, ყუმური, შუამთა.




სულხან-საბას უწერია: „**კორძა(ი)** – იღლიათა და საზარდულთა ჯირკუალი."

ამავე ფუძისაა გვარი **კორძაია**. **კორძაიები** ერთ დროს თავადები იყვნენ. იოანე ბაგრატიონი **კორძაიებს** ოდიშის თავადთა შორის მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი არიან გვარად კურტნისძეები – „ქართლიდან მოსულნი და ამათნი რომელნიმე თავადნი არიან და რომელნიმე აზნაურნი (ახლა მათში თავადნი არ არიან)."

„**კორძაია** სეხნია, სანავარდოში მცხოვრები, მას თავის სახლიკაცებთან: მამუკა, აზნაგებ, თანდარუხ **კორძაიებთან** ერთად უნდა მიერთმია მთავარეპისკოპოს სვიმონ ჩიჯავაძისთვის თითო ზუთხი, როცა იგი სანავარდოში ჩაბრძანდებოდა" (მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანების მინაწერი).

1750-1780 წლებშია შედგენილი სათავდებო წიგნი, რომელსაც ზალიკა **კორძაია** აძლევს ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს (მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევარი).

**კორძ** ფუძე უფრო ადრე გვხვდება სვანურ გვარში – **კორძიანი**. „არღუნ **კორძიანს** ჰყავს ძმა კიმშონ (მოკლული), ძმისწული დუდილა. სეტის ხევს და მის „შესავალ" ფაჩიანს მოახსენა „გარდაწყვეტილების" დაწერილი თავისი ძმის, კიმშონის სისხლის დაურვების შესახებ" (მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების მიჯნა).

გადმოცემით, იფარსა და წვირმში მცხოვრებ **კორძაიათა** ერთი შტო სამეგრელოდან მიგრირებულთა შთამომავალია, ხოლო მეორე შტო წარმოშობით გვარად კვერზიანები არიან. ძველად **კორძაიები** ჭილაძეების აზნაურები იყვნენ.

ჯერ კიდევ დასადგენია **კორძაია-კორძაძეთა** ნათესაობა.

საქართველოში 1 613 **კორძაძე** ცხოვრობს: ვანში – 646, თბილისში – 269, ქუთაისში – 240.

1 131 **კორძაია**: თბილისში – 288, ხელვაჩაურში – 158, მესტიაში – 125. არიან სხვაგანაც.

### ნინუა-ნინუაშვილი

გვარის ფუძეა ქალის საკუთარი სახელი **ნინო. ნინო** ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახელია საქართველოში და უძველესი დროიდან დღემდე გვხვდება. ნინო ერქვა ქართველთა განმანათლებელს, ქრისტიანობის გამავრცელებელს მეოთხე საუკუნეში. სიტყვის ეტიმოლოგია დაუდგენელია. **ნინოს** მოფერებითი ფორმებია: **ნინიკო, ნინუკა, ნინუცა, ნუცა**. მისგანაა ნაწარმოები გვარები – **ნინოშვილი, ნინუა**.

ასევე, იყო გვარი **ნინუაშვილი. „ნინუაშვილი** შიო, ნულში მდებარე მისი მამული მოხსენიებულია ზემო ქართლის საკომლეების ნუსხაში" (მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს).

საქართველოში 1 681 **ნინუა** ცხოვრობს: თბილისში – 442, სამტრედიაში – 402, სენაკში – 291. არიან სხვაგანაც.

### ჩოკოშვილი

აზნაური **ჩაკაშვილების** წინაპრები კახეთიდან გადმოსულები არიან თეიმურაზ მეფის დროს, 1629 წელს და „საციციანოს გერდის წინ მოსახლენი ძველად **ჩოკაშვილთაგანნი** მდაბალნი აზნაურნი და ცნობილნი დროსა ვახტანგ მეფისასა, რომელთაცა **ჩოკას** მაგიერ გაუგვარდათ **ჩოკაშვილობა** და არიან მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა".

ისტორიულ წყაროებში, ასევე, თავადის ციციშვილის აზნაურად გვხვდება **ჩაკაშვილი**.

„თავად ჯანდიერისშვილს, მეფემან მისცა ჯილდოდ თავადობა გვარად ჯანდიერობისა წელსა ქრისტეს აქეთ 1628-სა და სახასოთაგან კახეთსა შინა მამული და ყმა და არიან აწ მცხოვრებნი კალაურსა შინა. ხოლო ახმეტას მცხოვრებნი იწოდებიან **ჩოკაშვილებად** ამავე ჯანდიერთა გვარისა და არიან აზნაურნი".

საქართვლეოში 452 **ჩოკოშვილი** ცხოვრობს. საგარეჯოში – 240, თბილისში – 106, გურჯაანში – 71, არიან სხვაგანაც.

### საყევარიშვილი

**საყევარიშვილი** გვხვდება ფორმით – **საყევარაშვილი, საყევარიშვილი.**

**საყევარი (საყევრისა)** გუთნის თავის, ხარების წინ უღლის მისაბმელი პანი, ჯაჭვი ან ძელია. სავარაუდოდ, ეს დასდებია გვარს საფუძვლად.

1823 წელს ამ გვარს დოკუმენტებში ვხვდებით სოფელ კუმისში, დღევანდელ გარდაბნის რაიონში და ერტისში, დღევანდელ თეთრი წყაროს რაიონში.

„ოთარი ნინიას ძე **საყევარაშვილი**, მეუღლე მარიამი, ძმები ვანო, იოსები, პეპანა, არაქელა, გიორგი, სიმონი, დავითი, ასლანი და ტასო. დედა თალალა, მოიხსენიება, 1823 წელს, აღწერით ერტისში".

საქართველოში 28 **საყევარიშვილი** ცხოვრობს. გარდაბანში – 17, თბილისში – 7, ბოლნისში – 4.

68 – **საყევრიშვილი**: თბილისში – 38, გარდაბანში – 29, მცხეთაში – 1.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ირინა გაფრინდაშვილი: „მარნეულის სასურსათო ქარხნის მთავარ მიზანს იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება წარმოადგენს“

## 2015 წელს ქარხანა ტრადიციული რეცეპტებით დამზადებულ სხვადასხვა პროდუქტის წარმოებას გეგმავს

*M ნიშნით გამოშვებული პროდუქცია მომხმარებელმა უკვე დიდი ხანია, აღიარა. უგემრიელესი მჟავეული, ტკბილეული, საწებლები და ტომატისგან დამზადებული სხვადასხვა პროდუქცია გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდება. მისი ძირითადი მომწოდებელი „მარნეული აგროა“, სადაც ყოველწლიურ-*



„მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი

*ად ხდება ახალი, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. აღსანიშნავია, რომ 100 პროცენტით ქართულმა პროდუქტმა უკვე მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა იმპორტი. ქარხანა, რომელიც ევროპული სტანდარტების მქონე დანადგარებითაა აღჭურვილი, ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, 50-ზე მეტი დასახელების ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს.*

*„სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე, ის პოტენციალიც განადგურდება, რაც დღეს არსებობს ქვეყანაში. „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ შვიდწლიანმა საქმიანობამ ეს ნათლად დაგვანახვა,“ – აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი.*

*2014 წელი „მარნეულის სასურსათო“ ქარხნისთვის გამორჩეული იყო. გაიზარდა პროდუქციის წარმოება; ამის მაგალითია სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები, კომპანიამ კიტრის მწნილისა და ტომატ-პასტის ასორტიმენტის ზრდასთან ერთად, კომპოტების გამოშვებაც დაიწყო.*

*„საწარმოს შექმნის დღიდან, ჩვენი მიზანია ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლება. მომხმარებელს ვაძლევთ საშუალებას, აირჩიოს 100 პროცენტით ქართული პროდუქცია. ამ დროისთვის ქარხანა 50-ზე მეტი დასახელების პროდუქციას უშვებს. 2014 წელს გაყიდვების მაჩვენებელი 15 პროცენტით გაიზარდა, შესაბამისად, იზრდება წარმოებაც. შარშანდელთან შედარებით, „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა კიტრის მწნილისა და ტომატ-პასტის სარეალიზაციო ქსელში შეტანა. მნიშვნელოვანია, რომ ქარხნის ტომატ-პასტას ქართული ბაზრის 35 პროცენტი უკავია,“ – განმარტავს საწარმოს ხელმძღვანელი.*

**– ქალბატონო ირინა, როგორც აღნიშნეთ, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიზანი იყო იმპორტირებული პროდუქციის ქართული ნაწარმით ჩანაცვლება, ამისთვის კი აუცილებელია წარმოების მოცულობის გაზრდაც. როგორი იყო ამ მხრივ 2014 წელი?**

– სულ მალე იმპორტირებულ პროდუქციას სრულად ჩავანაცვლებთ ქართული პროდუქციით – ამის მიღწევა არის შესაძლებელი. კომპანიის გაყიდვები დღითი დღე იზრდება და ასორტიმენტსაც სულ უფრო მეტად ვაფართოებთ. „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს ახალ პროდუქტებს. შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან უკვე ყველას შეუძლია, დააგემოვნოს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიერ წარმოებული ახალი პროდუქტი – ლეჩო. წელს მისი წარმოებაც გაიზარდა. 2013 წლიდან კი ქარხანა უკვე კომპოტებსაც უშვებს. 2014 წელს, მართალია, ასორტიმენტში დიდი ცვლილებები არ შეგვიტანია, რადგან აქცენტები გავამახვილეთ ყველაზე მოთხოვნად პროდუქციაზე, თუმცა, ვცდილობთ, მომხმარებელს ყოველწლიურად ახალი პროდუქცია შევთავაზოთ და 2014 წელს ვცადეთ კიდეც სხვადასხვა მიმართულებით ექსპერიმენტების ჩატარება. სამომავლოდ „მარნეულის სასურსათო ქარხნისგან“ სიურპრიზებს კიდევ უნდა ველოდოთ.

შეიძლება ითქვას, ჩვენ ჩვენი წილი იმპორტი ჩავანაცვლეთ. რაც უფრო მეტი ქართული საწარმო იქნება ქვეყანაში, მით მეტად დაიკავებს ქართული პროდუქცია იმპორტირებული პროდუქციის წილს ქართულ ბაზარზე.

ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ, მაქსიმალურად გავზარდოთ მოსავლიანობა და ქარხნის წარმოება: 2013 წელთან შედარებით, კიტრის მოსავლიანობა 45 პროცენტით გაიზარდა და, შესაბამისად, გაიზარდა წარმოებაც; ასევე, გაორმაგებულია პომიდვრის მოსავლიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია – იმპორტირებული პროდუქცია ნაწილობრივ ჩანაცვლებულია. მომხმარებელი ყიდვისას უპირატესობას ადგილობრივ წარმოებას ანიჭებს და ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია.

მიუხედავად მაჩვენებლების ზრდისა, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება გრძელვადიანი და რთული პროცესია. დაკონსერვებული საკვები პროდუქტის 85 პროცენტი საქართველოში უცხოეთიდან შემოდის და მხოლოდ 15 პროცენტია ადგილობრივი წარმოება; ამიტომ, ჩვენ გვჯერა რომ ეროვნულ პროდუქტს ძალიან დიდი მომავალი აქვს საქართველოს ბაზარზე.



მარნეულის უგემრიელესი პროდუქცია

**– თქვენი პროდუქცია 2013 წელს ექსპორტზეც გავიდა, ანუ, კომპანიამ უცხოურ ბაზრებზე ოპერირება ლონდონში პოზიციების გამყარებით დაიწყო. 2014 წელი თუ იყო ამ მხრივ გამორჩეული?**

– მოცემულ ეტაპზე „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ მაინც ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, ამიტომაც, 2014 წელი ამ მხრივ არ ყოფილა გამორჩეული,

თუმცა, ექსპორტის მიმართულებით კვლავაც განვაგრძობთ მუშაობას. ამისი მაგალითია ის საერთაშორისო გამოფენები, რომლებშიც ვიღებთ მონაწილეობას. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, ქართული პროდუქცია ათასობით უცხოელმა დააგემოვნოს.

2014 წელს სამ მნიშვნელოვან გამოფენაში მივიღეთ მონაწილეობა: თებერვალში ვიმყოფებოდით დუბაიში და ვმონაწილეობდით საერთაშორისო გამოფენაზე – Gulfood 2014, რომელზეც წარმოდგენილი იყო ჰოლდინგში შემავალი კომპანიების – „მარნეულის სასურსათო ქარხნისა" და „წყალი მარგებელის" პროდუქცია. Gulfood-ი კვების მრეწველობის სფეროში უმსხვილესი გამოფენაა, რომელიც ყოველწლიურად, 5 დღის განმავლობაში არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში იმართება. გამოფენაზე წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 4 500-ზე მეტი კომპანიის 20 000 ბრენდი, ხოლო დამთვალიერებელთა რაოდენობა 80 000-ს აღწევს. ჩვენი კომპანიები წელს პირველად ესწრებოდნენ გამოფენას საკუთარი სტენდით, სადაც დაინტერესებულ დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ „მარნეულისა" და „წყალი მარგებლის" პროდუქცია. გამოფენა წარმატებული გამოდგა როგორც „მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის," ასევე, „წყალი მარგებლისთვის." შეხვედრები გაიმართა მსხვილ სავაჭრო ქსელებთან და საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიებთან.



ირინა გაფრინდაშვილი

სექტემბერში ვიმყოფებოდით ლატვიაში, RigaFood 2014-ზე. ეს არის ბალტიისპირეთში ყველაზე დიდი გამოფენა კვების მრეწველობაში. ლატვია პოსტსაბჭოური ქვეყანაა. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული პროდუქცია და ჰქონდათ კონკრეტული მოთხოვნები: ტყემალი, საწებლები, აჯიკა და მურაბები. ოქტომბერში ვმონაწილეობდით ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში, სასმელებისა და კვებითი მრეწველობის მე-15 საერთაშორისო გამოფენაში (The 15th Western China International fair). ჩენგდუს გამოფენის ძირითადი მიზანია, წარმოაჩინოს თითოეული მონაწილე ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული შესაძლებლობები. ღონისძიება შესაძლებლობას იძლევა, დამყარდეს კონტაქტი ადგილობრივ ბაიერებთან და მოხდეს ქართული პროდუქციის მასშტაბური პოპულარიზაცია. მნიშვნელოვანია ისეთ სერიოზულ სავაჭრო-ეკონომიკურ ღონისძიებაში მონაწილეობა, როგორიც არის Western China International fair. ამ გამოფენის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლება, ჩვენი პროდუქცია 400 000-მდე ვიზიტორს გავაცნოთ, საიდანაც პროფესიონალი თრეიდერების რიცხვი 20 000-ზე მეტია. შესაბამისად, ბუნებრივად გამორჩეული ქართული პროდუქციის ხარისხისა და გემოს შეფასების საშუალება უფრო ფართო აუდიტორიას ეძლევა.

**– რაც შეეხება, 2013 წელს კიტრის მწნილის წარმოებას „მარნეულის სასურსათო ქარხნამ" რეკორდული მაჩვენებელი დააფიქსირა – 2 მილიონი ქილა კიტრის მწნილი ერთ სეზონზე... როგორ შეაფასებთ 2014 წლის წარმოებას?**

– შარშანდელთან შედარებით, 2014 წელს მიღებული ნედლეულის რაოდენობა და ქარხნის წარმოება საკმაოდ გაზრდილია. წელს განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება კიტრის წარმოებაზე. საკმაოდ საინტერესო პროდუქტი აღმოჩნდა ტყემალი. გაიზარდა მისი ჩაბარებაც და წარმოებაც.

ქარხანა ნედლეულით მარაგდება ადგილობრივი 150-მდე ფერმერიდან და საკუთარი მეურნეობა „მარნეული აგროდან." „მარნეული აგრო" „მარგებელი ჰოლდინგის" ნაწილია, რომელიც ერთ-ერთ წამყვანი კომპანიაა სოფლის მეურნეობის სფეროში. კომპანია ფლობს მიწის საკუთრებასა და ჩითილების წარმოების სასათბურე მეურნეობას გარდაბანსა და მარნეულში. „მარნეულ აგროს" მოჰყავს ბოსტნეული და ჰოლდინგში შემავალ „მარნეულის სასურსათო ქარხანას" ნედლეულით ამარაგებს, ეს კი იმის გარანტიაა, რომ ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი არის ქართულ მიწაზე მოყვანილი. ჩვენი პოლიტიკა ასეთია: პროდუქციის მიწოდება ჩვენივე მიწებიდან უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, დაგეგმარება აგროსა და ქარხანას შორის ერთობლივად იწყება. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი ნედლეულით პროდუქციის წარმოება უპირველესად ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ნატურალური, 100 პროცენტით ქართული პროდუქცია შეიძინოს.

**– 2014 წელი თუ იყო გამორჩეული მნიშვნელოვანი ვიზიტებით?**

– „მარნეულის სასურსათო ქარხანას" ესტუმრნენ სხვადასხვა ქვეყნების ელჩები. 2014 წლის დასაწყისში ქარხანას ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი ეწვია. იგი ადგილზე გაეცნო ქარხნის მუშაობას, საწარმოში არსებულ მდგომარეობას და დააგემოვნა ადგილობრივი პროდუქცია. ასეთი სახის ვიზიტები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი ჰოლანდიის საელჩოდან; წლის განმავლობაში ქარხანას არაერთხელ ესტუმრა შვეიცარიის საელჩოს დელეგაცია შვეიცარიის ელჩის ხელმძღვანელობით. 2014 წელს გაგრძელდა სოფლის მეურნეობის ტურებიც. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი თვალით დაინახოს საწარმოო პროცესი – მიწიდან ქილამდე.

**– 2013 წელს პირველად ჩატარდა ქვეყანაში „მწნილისა და მურაბის ფესტივალი," და ამ მხრივ 2014 წელი გამორჩეული იყო, რადგან, რეგიონებშიც გახვედით....**

– ეს იყო მართლაც პირველი შემთხვევა, როდესაც დედაქალაქში „მარნეულის მწნილისა და მურაბის ფესტივალი" გაიმართა. მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, „მარგებელი ჰოლდინგის" პროდუქცია დაეგემოვნებინათ. წელს ფესტივალი 12 დიდ ქალაქში გაიმართა, რომელიც „თბილისობის" დღესასწაულზე დედაქალაქში დასრულდა. ვიზიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ „მარნეულის სასურსათო ქარხნის" პროდუქცია. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ახლოს მისულიყავით მომხმარებელთან და მათთვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენი პროდუქცია 100 პროცენტით ქართულ ნედლეულზეა დამზადებული. აღნიშნული ფესტივალი ტრადიციად იქცა და 2015 წელსაც გაგრძელდება.



მარნეულის უგემრიელესი პროდუქცია

**– რა გეგმები გაქვთ 2015 წელს?**

– მომავალი წლისთვის ვგეგმავთ, მაქსიმალურად გავზარდოთ მიღებული ნედლეულის რაოდენობა და წარმოების მოცულობა, რათა უზრუნველვყოთ ფართო ასორტიმენტისა და სტაბილური მიწოდების შესაძლებლობა. 2015 წელი იქნება გამორჩეული – გაიზრდება საექსპორტო პოტენციალიც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგეგმება ტრადიციული რეცეპტებით დამზადებული სხვადასხვა პროდუქტის წარმოებაც.

**ამერიკაში მცხოვრები ქართველი მომღერლის, კომპოზიტორის, მსახიობისა და მხატვრისთვის, ნუცა შანშიაშვილისთვის, გასული წელი დასამახსოვრებელი, პოზიტიური და ემოციებით სავსე აღმოჩნდა. როგორც თავად ამბობს, ბოლო სამი წელიწადია, მის ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია და ამისთვის ღმერთის მადლიერია. მან, ახლახან დაასრულა რუსი მღვდლის ლექსებზე მუსიკის შექმნა და დისკის გამოსაცემად ემზადება. როგორ ემზადება ახალი წლის შესახვედრად, რის გამო იჭახუნებდა მუცელზე შამპანურის ჭიქას და რას ელის ის მომავლისგან, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რატომ ლოცულობდა რუსი მღვდელი მისთვის უცნობი ქართველი მომღერლის ღედობაზე და რა სასწაულის მომსწრე გახდა ნუცა შანშიაშვილი

**– ნუცა, როგორც გავიგეთ, მოსკოვიდან გქონდა საკმაოდ საპასუხისმგებლო შეთავაზება, რაზეც სიამოვნებით დათანხმდი. ახლა კი პრეზენტაციისთვის ემზადები. იქნებ, გვითხრა, კონკრეტულად ვისგან იყო ეს შემოთავაზება და რას უკავშირდება?**

– დიახ, მოსკოვიდან შემიკვეთეს ახალი სიდის ჩაწერა. რუსი მღვდლის მიერ დაწერილ ლექსებზე უნდა დამეწერა სიმღერები. როგორც მითხრეს, ის მღვდელი, მსახიობ ნიკიტა მიხალკოვის ნათესავია, უნიჭიერესი პოეტი და სხვა, მეტი მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ჩემმა რუსმა მეგობარმა უამბო ჩემ შესახებ, ისიც დაინტერესდა და შემომთავაზა ეს პროექტი. დამიჯერეთ, თავიდან, ცოტა დავიბენი, რადგან მეგონა, რადგან მღვდელი იყო, მხოლოდ რელიგიურ თემებზე ექნებოდა ლექსები დაწერილი. მაგრამ, შევცდი. რომ წავიკითხე, მასში იმხელა სიყვარული და სინათლე დავინახე, მივხვდი, კარგი სიმღერები გამოვიდოდა. დავიწყე მასზე მუშაობა. ისე სწრაფად დავწერე მუსიკა, თითქოს უფალმა გამიხსნა ტვინი და ჩამილაგა მასში ასი ლექსის, ასი მელოდია. ერთ კვირაში დავწერე ეს ყველაფერი, საწაული იყო. მერე გამოირკვა, რომ ეს მღვდელი თურმე ჩემზე ლოცულობდა, მაგრამ არ მიცნობდა.

**– ეს როგორ, გავიგოთ?! თუ არ გიცნობდა, შენზე რატომ ლოცულობდა?**

– სანამ ორსულად დავრჩებოდი ნიკალაზე, მანამდე ულოცია ჩემს დედობაზე. ნიუ-იორკში მყავს ჩემი მამაო და მან მითხრა: ისრაელში და რუსეთში მყავს ნაცნობი მღვდლები, დავურეკე, ჩამოვიდნენ და ერთად ვლოცულობთ, რომ დედა გახდე და აუცილებლად მოხდება სასწაულიო. მოკლედ, მე მაშინ მადლობა გადავუხადე, მაგრამ არც კი მიკითხავს, ვინ იყვნენ ის მღვდლები. გაირკვა, რომ ვის ლექსებზეც დავწერე სიმღერები, თურმე ის რუსი მღვდელი ლოცულობდა ჩემზე – უცნობი ადამიანის ბედნიერებაზე. სასწაული არ არის? თავადაც რომ გაიგო, გაოცდა. მითხრა, ერთი წლის წინ, ნინო შანშიაშვილზე ვლოცულობდი და რას წარმოვიდგენდი თუ შენ იყავიო. ნინო ჩემი ეკლესიური სახელია. სხვათა შორის, თავიდან მის ლექსებზე, რომანსები დავწერე. მაგრამ, რომ მოვასმენინე ჩემს პროდიუსერს, შემიკრიბა მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსთა ჯგუფი და მათი დახმარებით, ეს მუსიკა გადავაკეთეთ ჯაზურ მუსიკას შეზავებულ რომანსულ სტილში. გამოვიდა, აბსოლუტურად სხვა მიმდინარეობა და სტილი მუსიკაში. ვინც ეს პროექტი მოისმინა, გაოცდა. ახლა დისკის მასშტაბური პრეზენტაციისთვის ვემზადებით, რომელიც სავარაუდოდ, ზევრ ქვეყანაში გაიმართება, რადგან დაინტერესება დიდია.

**– რა დაარქვით დისკს და სად იქნება მისი პრეზენტაცია?**

– „ნაზი სიტყვების მუსიკა" – ვფიქრობ, ასე დავარქვა დისკს. თუმცა, ეს ბოლო ვარიანტი არ არის. სულ მიწერ-მოწერაში ვარ, რომ შევათანხმო სიახლეები. ვხუმრობ ხოლმე, მგონი, სულ გადავირიე – ერთ ღამეში 6 საათი მოსკოვში ვარ, 6 საათი ამერიკაში და ამ ორ ქვეყანას შორის გავიჭედე-მეთქი *(იცინის)*. სავარაუდოდ, პრეზენტაცია ამერიკასა და რუსეთში იქნება და შემდეგ სხვა ქვეყნებში. ასე რომ, რუსი მღვდლის, არტემ ვლადიმიროვის ქართველი კომპოზიტორი გავხდი. ეს პირველი პრეცენდენტია. სხვათა შორის, შეყვარებულია საქართველოზე. ისეთ ლექსებს უძღვნის ჩვენს ქვეყანასა და შოთა რუსთაველს, რომ ძალიან გულის ამაჩუყებელია. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ეს მე შევიგრძენი ამერიკაში. მე დამევალა ამ მისიის რეალიზება და ქართველმა მომღერალმა, რუსი მღვდლის ჩანაფიქრი ავაჟღერე. ვფიქრობ, რომ სწორედ 2014 წელს ჩაიწერა ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი სიდი ჩემს ცხოვრებაში. ამ იდეაზე ათწლეულებია, ვოცნებობ და ამიხდა.



**რუსი მღვდლის, არტემ ვლადიმიროვის, ქართველი კომპოზიტორი გავხდი და ეს პირველი პრეცედენტია**

**– გამოდის, რომ 2014 წელი, შენს ცხოვრებაში გარდამტეხი, პოზიტიური სიახლეებით იყო სავსე და დიდი ხნის ოცნებები აგიხდა?**

– ასეა. სხვათა შორის, ეს ახალი სიდი ჩემი სულიერების გამომხატველია. თანაც მე ვარ სიმღერების კომპოზიტორიც და შემსრულებელიც. 2014 წელს, ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია. რეალურად, ოცნებები ამიხდა. ისე, რომ ვაკვირდები, ბოლო წლებია, საკმაოდ დასამახსოვრებელი ფაქტები ხდება ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად: 2011 წელს ბროდვეის კონცერტი, 2012 წელს ახალი სიმღერების პრემიერა, 2013 წელს ნიკალას დაბადება, 2014 წელს ახალი სიდის ჩაწერა და გამოშვება. თან, ვაცნობიერებ, რომ უფრო წინ მივიწევ და ამისთვისაც უფლის მადლიერი ვარ.

**– გამელიმა პატარა ნიკალაც ხელოვნების მიღწევებს რომ მიათვალე. მისი დაბადება, ალბათ, უფრო მეტი სტიმულია შენთვის, მეტი იშრომო და ცხოვრებაში უფრო მეტს მიაღწიო?**

– რასაკვირველია, ნიკალა ჩემი ცხოვრების აზრი და ღმერთის დიდი საჩუქარია. მაგრამ, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რომ ჩემი შვილია, და პატარა ძმა მგონია *(იცინის)*. დედაო, რომ დაიძახებს, მაშინ ვხვდები, მისი დედა რომ ვარ, თორემ რომ დარბის, ასე მგონია ჩემი პატარა ძამიკოა *(იცინის)*. ისე მიყვარს, სიცოცხლეს მივცემ ჩემს შვილს რომ დასჭირდეს. სამი მეტრის სიმაღლის, ზარდღალა და ლამაზი ნაძვის ხე დავუდგით სახლში და დარბის მის გარშემო. მითხრეს, წელს მწვანე და ცისფერი დომინირებსო და მწვანე ნაძვის ხეც ამ ფერის ბურთებითა და ნათურებით მოვრთე. ბევრი ვიფიქრე საჩუქრებზე – დიდებისთვის კი შევარჩიე ადვილად, მაგრამ ნიკალასთვის გამიჭირდა. ვერ გადავწყვიტე, რა მეყიდა და ბოლოს სათამაშო ვუყიდე, ყუთი დიდი ფერადი ლენტებით გავუფორმე და ნაძვის ხის ქვეშ დავუდე. სხვათა შორის, ახალ წელს ყოველთვის აქტიური განწყობა მაქვს და მიყვარს მზადება, საჩუქრების შერჩევა, ნაძვის ხის მორთვა, სუფრის გაწყობა. რაც შეეხება სუფრას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ვცხოვრობთ, ყოველთვის ქართული კერძებით ვხვდებით ახალ წელს. ჩურჩხელა, გოზინაყი და საცივი თუ არ იდო სადღესასწაულო მაგიდაზე, ისე როგორ იქნება? ქართული სამზარეულო აღმოვაჩინე და იქ ვყიდულობ ყოველთვის მზა, ტრადიციულ კერძებს. არ დამავიწყდება ის ახლი წელი, როცა ნიკალასთან ერთად, პირველად შევხვდით. ანუ, როცა ორსულად ვიყავი, მე და ჩემმა ქმარმა, რომანტიკული და განუმეორებელი ახალი წელი მოვიწყვეთ. დალევა არ შეიძლებოდა და შამპანურის ჭიქას გაბერილ მუცელზე „ვიჭახუნებდი" – ნიკალა, საყვარელო, ჩემო სიხარულო, გილოცავ ახალ წელს-მეთქი *(იცინის)*. შარშან კი უკვე ჩვენთან იყო და ზეიმობდა. წელს აცნობიერებს ახალ წელს და ისიც ელის ჩვენთან ერთად ოცნებების ახდენას. მინდა, 2015 წელი მაქსიმალურად გამოვიყენო – ვიშრომო, უფრო მეტი შევქმნა და იყოს მშვიდობა მსოფლიოში. წელს პირველად მიწევს, რომ ახალ წელს სახლში ვხვდები, ოჯახის წევრებთან ერთად. არ მეჩქარება კონცერტზე და ეს უკვე ბედნიერებაა. თბილისში რომ ვცხოვრობდი, ყოველთვის მე ვიყავი ყველას მეკვლე, რადგან კარგი ფეხი მაქვს. აქაც, რამდენიმე მეგობარი მეხვეწება, შენ მოდი მეკვლედო და მათ ხომ არ ვაწყენინებ? *(იცინის)* თუ ჩემი ფეხი ადამიანებს ბედნიერებას და სიკეთეს მოუტანს, იქ მეკვლედ მისვლას არავის დავზარდები. მინდა, ყველას კარგი ხასიათი დაებედოს. ზოგადად, მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი, შენი თავით კმაყოფილი ხარ, ჩათვალე, რომ ბედნიერი ხარ. ამიტომ, ყველას ამას ვუსურვებ.

**ნონა დათეშიძე**

# გარემო, რომელსაც მარტივად შეიძენ

*„თითოეული ჩვენგანისთვის სამყარო სხვა არაფერია, თუ არა გარემო, რომელსაც აღვიქვამთ და ეჭვი, რომ, შესაძლოა, არსებობს კიდევ რაღაც სხვა, რაც ჩვენი აღქმის მიღმაა“.*

*შესაძლებელია, ეს ვარაუდი, რომელიც თომას გედმა გამოთქვა, უფრო მეტად გაგიმტკიცდეთ, როდესაც თბილისის ახალ უბანს – დირსის აღმოაჩენთ. გარემო, რომელიც მდინარე მტკვარსა და ჩოლოყაშვილის ქუჩას შორის დაგხვდებათ, რადიკალურად განსხვავდება იმ თბილისური რეალობისგან, რაც აქამდე გინახავთ.*




*ეს არის პატარა, ევროპული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც არც მანქანის გამონაბოლქვია და არც მტვერი; ეზოები დაქსელილია ველოსიპედის ბილიკებით; ბავშვებისთვის დგას ფერადი სათამაშო ატრაქციონები. უფროსებისთვის – ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები.*

*ხოლო, როდესაც კორპუსებს აავლებთ თვალს, ევროპიდან მოულოდნელად აღმოჩნდებით ამერიკაში, ვინაიდან, ეს ცათამბჯენები ევროპის და, მით უმეტეს – თბილისის არქიტექტურისათვის, ნამდვილად უცხოა. დირსიში უკვე თერთმეტი 18, 20 და 26-სართულიანი კორპუსი დგას.*

*მოკლედ, თუკი ორთაჭალისა და ისნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროზე ბოლო ორი წლის განმავლობაში არ გაგივლიათ, იქ ყველაფერი შეცვლილი და გადასხვანაირებული დაგხვდებათ. დირსის სახით თბილისში კიდევ ერთი ახალი უბანი აშენდა – საბავშვო ბაღებით, კომერციული ობიექტებით, მშენებარე სკოლითა და სავაჭრო ცენტრებით.*

*თუკი ერთხელ ნახავთ და მოიხიბლებით, სავარაუდოა, რომ დაინტერესდებით ფასითაც. სწორედ ფასისა და საგადასახადო პირობების გასარკვევად ვესტუმრეთ კომპანია „ას ჯორჯიას“ დირექტორს და დეტალების დაზუსტება ვთხოვეთ.*

**– თბილისში ბევრს საუბრობენ დირსიზე. ბოლო დროა, საცხოვრებელი კომპლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ, რამდენად ხელმისაწვდომია ის მობინადრეებისთვის?**

– დირსი ნამდვილად არის გარემო, რომელიც თბილისს აკლდა – დასრულებული, გარემონტებული ბინები მოპირკეთებულ და გამწვანებულ ეზოებში. ერთი შეხედვით, ყველაფერი იმდენად მასშტაბური და პომპეზურია, რომ, შეიძლება, გაიფიქროთ კიდეც, ეს ელიტური კლასის საცხოვრებელია და მასობრივად ხალხი აქ ბინას ვერ იყიდისო. თუმცა, ეს მცდარი შეხედულებაა. დირსიში ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება 900 დოლარია. ბუნებრივია, ჩვენ ვგეგმავთ ფასის მატებას ახალი წლიდან, ვინაიდან ეს მართლაც არარეალურად დაბალი ფასია უკვე დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული უძრავი ქონებისთვის, თუმცა, ფასის გარდა, ჩვენს კომპლექსში უამრავი საინტერესო აქცია მოქმედებს, რაც მობინადრეს ბინის შეძენას უმარტივებს.

ჩვენ გვინდოდა, დირსიში ბინის შეძენის მსურველებისთვის ისეთი გადახდის სისტემა შეგვეთავაზებინა, რომელიც ხელსაყრელი და მოქნილი იქნებოდა. სწორედ ამიტომ განვახორციელეთ ერთ-ერთი იპოთეკური პროექტი და გავაფორმეთ ხელშეკრულება „ვითიბი“ ბანკთან. პროექტმა ნამდვილად გაამართლა. იპოთეკურ სესხს ბანკი 10 წლამდე ვადით, წლიური განაკვეთით 11-დან 13 პროცენტამდე გასცემს. პირველადი მინიმალური შენატანი 30 პროცენტია, თუმცა, ამ პირობებში განსაკუთრებული ის არის, რომ სესხის აღება და ბინის შეძენა განურჩევლად ყველას შეუძლია, მთავარია სურვილი, პირადობის მოწმობა და პირველადი მინიმალური შენატანი, – 30 პროცენტი – ბინა უკვე თქვენია და, რაც მთავარია, მისი მშენებლობაც დასრულებულია – ეს არის დირსის იპოთეკის მთავარი უპირატესობა.

**– ჩემთვის ცნობილია იმის შესახებაც, რომ თქვენ იპოთეკა პირადობის მოწმობის გარეშე, უფრო მეტად ხელსაყრელი და მოქნილი გახადეთ. კონკრეტულად რა დაუმატეთ ამ პროდუქტს?**

– ახალ წელს არ გვინდოდა, ბაზარზე სტანდარტული, ჩვეული აქციით გამოვსულიყავით. გვსურდა, მომხმარებლისთვის რამე განსაკუთრებული შეგვეთავაზებინა. მართალია, მარტივი იპოთეკა პირადობის მოწმობით თავისთავად უკვე არაჩვეულებრივი შეთავაზებაა, თუმცა, იმ მობინადრეებს, ვისაც პირველადი შესატანი 30 პროცენტი ამ ეტაპზე არ აქვთ, შემდეგ აქციას ვთავაზობთ: ბინის შეძენის მსურველს შეუძლია, დირსიში უძრავი ქონება ამ დროისათვის მინიმალურ ფასად – ერთი კვადრატული მეტრი 900 დოლარად შეიძინოს პირველადი 0-პროცენტიანი შენატანით, გააფორმოს კონტრაქტი და 6 თვის შემდეგ დატვირთოს ის „ვითიბი“ ბანკის მარტივი იპოთეკით. რეალურად, მობინადრეს შანსი ეძლევა, დაჯავშნოს ბინა მინიმალურ ფასად და 6 თვის განმავლობაში მოაგროვოს პირველადი შენატანი – 30 პროცენტი. აღნიშნული აქცია 20 იანვრამდე გაგრძელდება.

**– ცნობილია, რომ, გარდა ამ საახალწლო აქციისა, დირსიში სხვა გადახდის სისტემებიც მოქმედებს.**

– ბუნებრივია, დირსიში კვლავ მოქმედებს ბინის შეძენის სხვა სისტემებიც, კონკრეტულად კი – შიდა განვადება 1 წლამდე ვადით და „რესპუბლიკა ბანკის" 15-წლიანი იპოთეკა.

ამ შემთხვევაში, იპოთეკური სესხი შემოსავლების ანალიზით, ჩვეული პროცედურების მიხედვით მტკიცდება, თუმცა, მინიმალური პირველადი შენატანი გაცილებით დაბალია 20 პროცენტი. წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 9-დან 11 პროცენტამდეა. აღნიშნული პროდუქტი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს დირსის მომავალ მობინადრეებში.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

23-24 დეკემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„მიზანთროპი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: მანანა აბრამიშვილი, ლელა ახალაია, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, კახა კუპატაძე, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ლაშა ჯუხარაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

23 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„თამაში მაგიდასთან"** - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ონისე ონიანი, ელენე ფირცხალავა, ზაზა კაკაბაძე, ლუკა ზირაქაძე, სპეციალური მოწვევით - ქეთევან კანტიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24-25 დეკემბერი, **ოთხშაბათი, ხუთშაბათი** 20.00 - **„კაცები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: დიმიტრი ტატიშვილი, თემო კილაძე, ზაზა გოგუაძე, ზურა ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, ვასიკო ოდიშვილი, ლელა მებურიშვილი, ანა სანაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„თეთრი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გია ბურჯანაძე, თამუნა ბუხნიკაშვილი, ქეთი ჩხეიძე, კატო კალატოზიშვილი, პაატა ინაური, თამარ სხირტლაძე, დავით დვალიშვილი, ალეკო მახარობლიშვილი, თეკო ჩუბინიძე, ლიკა ქობულაძე, ეკა მახარობლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სახლი ღრუბლებში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ვანო იანტბელიძე, გია აბესალაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ათვინიერებენ მიმინოს"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: პეტრე ჩარგეიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966.**

23 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

26 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 120 წუთი;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„პროცესი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ანუკა გრიგოლია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჰელადოსი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი „ართ-ჰოლი". რეჟისორი: გოგა პიპინაშვილი. მონაწილეობენ: ნანა შონია, თემურ გვალია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„7 პ.პ."** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

28 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„თავისუფალი წყვილი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, პაატა ბარათაშვილი, ვანო დუგლაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

23 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ხვალ შობაა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, გიორგი შანიძე, გუგა კახიანი, ანა ნიკოლაშვილი, კახა შარტავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„საძაღლე"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობს: სლავა ნათენაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

28 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ნავიგატორი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ლილი ხურითი, ბადრი ბეგალიშვილი, გიორგი გასვიანი, ნანა ხურითი, ედემ ხვიჩია, ნიკოლოზ წერედიანი, დავით ბერაძე, ბესარიონ ქარჩავა, იზოლდა ბოკუჩავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

26 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მოძღვრის აღსარება"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორები: ირაკლი გოგია, ბექნუ ქაფიანიძე. მონაწილეობენ: ბექნუ ქაფიანიძე, მარინა ხარჩილავა, გიორგი გასვიანი, ანდრია გველესიანი, ჯაბა ჯაფარიძე, გიორგი ჭუმბურიძე, გიგი მიგრიაული. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

27 დეკემბერი, **შაბათი** 14.00 - **„რაპუნცელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ლაშა გოგნიაშვილი. მონაწილეობენ: სოფია სებისკვერაძე, ანდრეა გველესიანი, გვანცა კანდელაკი, გიორგი მიგრიაული, თამთა პატაშური, ჯაბა ჯაფარიძე, გიორგი ჭუმბურიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

28 დეკემბერი, **კვირა** 14.00 - **„პეპი გრძელიწინდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორები - ირაკლი გოგია, ლაშა გოგნიაშვილი. მონაწილეობენ: სოფია სებისკვერაძე, თამთა პატაშური, გიორგი ცხადაძე, მაია ვაწაძე, შორენა ზუბიაშვილი, ვასილ შიხაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, ნელი ბადალაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ანდრია გველესიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182.**
**ტელ.: 234-80-90.**

22-23-24 დეკემბერი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, ლაშა რამიშვილი, გიორგი ყველაშვილი, სალომე ყიფიანი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

25-26 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ჩიპოლინო"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: ანა ზამბახიძე, იური ვასაძე, მარინა ჯოხაძე, მანანა ტატიშვილი, თინა მერკვილაძე, ლაშა რამიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ყველაშვილი, ანა

ჯავახიშვილი, ანა ქურთუბაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
27-28 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„იყო და არა იყო რა... ანუ საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: სოფო ხალვაში, თიკა ფაცაცია, არჩილ სოლოღაშვილი, სალომე ყიფიანი, ტატო ჩახუნაშვილი, თორნიკე გოგრიჭიანი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი.*

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

22, 25 დეკემბერი, **ორშაბათი, ხუთშაბათი** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
23, 27 დეკემბერი, **სამშაბათი, შაბათი** 12.00, 15.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
23 დეკემბერი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
24, 28 დეკემბერი, **ოთხშაბათი, კვირა** 12.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*
24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 13.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 15.00, 17.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
26, 28 დეკემბერი, **პარასკევი, კვირა** 12.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
26 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„რომეო და ჯულიეტა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*
27 დეკემბერი, **შაბათი** 13.00, 15.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
27 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
28 დეკემბერი, **კვირა** 14.00, 16.00 - **„ახალი წლის ღამის კოსმიური სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
28 დეკემბერი, **კვირა** 15.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
28 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

24 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 18.00 - **„მდგმური"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ქიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
25-26 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00, 14.00 - **„საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: ლევ გავრილოვი, სლავა ნათენაძე, მიხეილ არჯევანიძე, კარინა ყენია, აპოლონ კუბლაშვილი, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*
27-28 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 12.00, 14.00 - **„მოროზკო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ლინდა უბრონავიჩუტე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ივანე ქურასბედიანი, ნინა ნინიძე, მიხეილ ამბროსოვი, ვალენტინა ვოინოვა, მედეა მუმლაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## თბილისის საკონცერტო დარბაზი
**მელიქიშვილის ქუჩა №1. სალარო: 298-76-82.**

23-24 დეკემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„ვანოს შოუს", „კომედი შოუს" და „ქერის უბნის" კონცერტები** - (ბილეთის ფასი: 15, 20 ლარი)
25 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **მორის ჯანაშვილის კონცერტი** - (ბილეთის ფასი: 20, 30, 40, 50 ლარი)
26 დეკემბერი, **პარასკევი** 17.00 - **„ვანოს შოუს", „კომედი შოუს" და „ქერის უბნის" კონცერტები** - (ბილეთის ფასი: 15, 20 ლარი)
27 დეკემბერი, **შაბათი** 16.00, 19.00 - **იუმორინა** - (ბილეთის ფასი: 10, 15, 20, 25 ლარი).

## ცირკი
**გმირთა მოედანი 1. ტელ.: 298 30 35.**

26 დეკემბერი, **პარასკევი** 16.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი)
27-28 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 17.00 - **საახალწლო საცირკო წარმოდგენა** - (ბილეთის ფასი: 10, 15, 20, 25, 30 ლარი)
27-28 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 12.00, 16.00, 18.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი).

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 22 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 02.00 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00, 02.40 "სამოთხის ვაშლები" 12.40, "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.30 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "არენა" 23.30 მხ/ფ **"აპოლი 13"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 2.00, ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა - დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.30 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 23.30, **სერიალი "მდუმარენი"** 1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.05, 04.20 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35, 19.03 სერ. **"ბოშა ქალი"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 მხ/ფ **"უნივერსალური აგენტი"** (დ.ლუნდგრენი) 00.00 მხ/ფ **"მქადაგებელი ტყვიამფრქვევით"** (კ.ბეიკერი) 02.15 მხ/ფ **"მწერალი მოჩვენება"** (კ.კეტრელი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 დ/ფ "ნათელი იგი" 13.25 კონცერტი - ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს(დათო ალადაშვილი) 15.05 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 15.25 სპექტაკლი **"ბნელ ოთახში"** 16.45 დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.50 ამბიონი 22.25 დ/ფ "ვარძია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "წმინდა ათონელი მამები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ელენე,ტროას დედოფალი"** I სერ. 01.10 ნიამორი.

## სამშაბათი 23 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15, 00.40 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00, 01.20 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა"** 14.20 "პოპ-კულტურა" 15.00, 21.00 ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** 17.00, დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 "ტელებლოგი" 18.30 ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** 19.30 "სიტყვების თამაში" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.40 მხ/ფ **"ზოგჯერ დიდი ნეტარება"** 02.50 "პოპ-კულტურა".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 23.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 2.00, ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა - დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნესკონტაქტი 13.30 **სერიალი "კარმა"** 14.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 15.35 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 16.00 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 17.40, 22.00, 1.30 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 **სერიალი "სხვისი სხეული"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 23.30, **სერიალი "მდუმარენი"** 1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 "ID".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.10, 04.00 ქრონიკა. 10.05 სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ.**"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ.**"უდანაშაულო"** 17.35, 19.03 სერ.**"ბოშა ქალი"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ **"პრიცის ოჯახის ღირსება"** 02.20 მხ/ფ **"უნივერსალური აგენტი"**.

06.10 საგალობელი 06.15 ნიამორი 06.35 მხ/ფ **"ელენე,ტროას დედოფალი"** I სერ. 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10,19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ვარძია" 11.05 პატერიკი 11.10 "წმინდა ათონელი მამები" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** 13.30 კონცერტი - ვაჟა აზარაშვილი 14.40 ამბიონი 15.05 სახლი ღვთისა (აფხაზეთი) 15.20 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.45 მხ/ფ **"ანა და მეფე"** I ნაწ. 16.00 დ/ფ "ფარავნის მორჩილნი" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მოკ./ფ **"ქორწილი"**, **"ქოლგა"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე 23.30 დ/ფ "მრავალთათვის საკეთილო" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ელენე,ტროას დედოფალი"** II სერ. 01.10 ნიამორი.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**22 – 28 დეკემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 17.00 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30 - **„მადაგასკარის პინგვინები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.30, 22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 22.15 - **„მანდარინები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00, 20.10 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.00 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

18.00 - **„მადაგასკარის პინგვინები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.15 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„ინტერსტელარი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 20.00 - **„აუტანელი ბოსები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

14.30 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.00 - **„მადაგასკარის პინგვინები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„შიმშილის თამაშები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 20.15 - **„მადაგასკარის პინგვინები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.15 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

22.30 - **„აუტანელი ბოსები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.00 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.30, 22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 15.00, 17.15 - **„მადაგასკარის პინგვინები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„ცელქი ბავშვები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„აუტანელი ბოსები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*

13.00, 16.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D (რუსულად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

19.30, 22.30 - **„ჰობიტი: ხუთი არმიის ბრძოლა"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ლაბა („ხალადეცი") – „ოცნება"







**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი საქონლის ხორცის ფილე, 500 გრამი ღორის ხორცის მხრის ნაწილი, 2 ცალი ღორის ფეხი, ღორის ყურები (2 ცალი), 2 ცალი სტაფილო, 1, 5 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ხორცეული მოათავსეთ დიდ ქვაბში (6-ლიტრიანი ზომის მაინც უნდა იყოს), დაასხით წყალი და ხარშეთ 5 საათი, ძალიან დაბალ ცეცხლზე. მარილი და პილპილი უყავით, როცა ხარშვის დასრულებამდე 30 წუთი დარჩება. სტაფილო და ხახვი ცალკე მოხარშეთ.

ხუთი საათის შემდეგ ამოიღეთ ბულიონიდან ხორცი და ბოსტნეული და აცადეთ, ცოტა გაცივდეს.

მოამზადეთ ფარში: სტაფილო დაჭერით თხელ ფირფიტებად, ხახვი ბადეზე გახეხეთ, ხორცი წვრილად დააქუცმაცეთ (ხელით), დაუმატეთ დანაყილი ნიორი, ძალიან ცოტა ბულიონი და კარგად ამოურიეთ.

ფარში გადაანაწილეთ სპეციალურ თასებში ან ღრმა თეფშებზე და მოათავსეთ მაცივარში 12 საათის განმავლობაში. ამ დროის გასვლის შემდეგ თქვენი უგემრიელესი ლაბა მზად არის.







# ნამცხვარი „რძიანი"



**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი კვერცხი (ცომში), 130 გრამი შაქარი (80 გრამი – ცომში; 50 გრამი – კრემში), 120 მილილიტრი რძე (20 მილილიტრი – ცომში, 100 მილილიტრი – კრემში), 100 მილილიტრი ზეთი – ცომში, 4 სადილის კოვზი ფქვილი – ცომში, 2 სადილის კოვზი კაკაო (ცომში), 4 სადილის კოვზი თაფლი (2 სადილის კოვზი – ცომში; 2 სადილის კოვზი – კრემში), 1 ჩაის კოვზი საფუარი (ცომში), 2 შეკვრა ვანილი (1 – ცომში, 1 – კრემში), 200 მილილიტრი შესქელებული რძე (კრემში), 200 მილილიტრი არაჟანი ან ნაღები, 1 შეკვრა ჟელატინი (25 გრამი კრემში).

**მომზადების წესი:** კვერცხი გაყავით გულებად და ცილად. ცილა ათქვიფეთ ღრუბელივით. გულები ათქვიფეთ ცალკე, შაქართან ერთად. დაუმატეთ ვანილი. შიგვე ჩაუმატეთ რძე, ზეთი, თაფლი, კაკაო და ფქვილი, რომელშიც წინასწარ შეურევთ საფუარს. ბოლოს დაუმატეთ ათქვეფილი ცილა და ხელახლა ათქვიფეთ. გამოაცხვეთ ორ ნაწილად. ძალიან ფრთხილად ამოიღეთ ფორმიდან, რომ არ გაგიტყდეთ. ისეთი ნაზია, პირში დნება. გამოცხობას სულ 10-13 წუთი დასჭირდება 180 გრადუს ტემპერატურაზე.

მოამზადეთ კრემი: შესქელებულ რძეში შეურიეთ 50 მილილიტრი რძე და თაფლი. ჟელატინი ჩაალბეთ 2 სადილის კოვზ წყალში. როცა გაფუვდება, შეურიეთ 50 მილილიტრი რძე, დადგით ცეცხლზე და შეათბეთ, თან ურიეთ (არ აადუღოთ). სულ რომ გადნება, შეურიეთ შესქელებულ რძეს. ცალკე ათქვიფეთ არაჟანი შაქართან და ვანილთან ერთად და ნელ-ნელა შეურიეთ შესქელებულრძიანი მასა.

კრემი შედგით მაცივარში, რომ გასქელდეს – ასე უფრო ადვილად წაუსვამთ ბისკვიტს.

ჯერ პირველ ფენას წაუსვით კრემი, დააფარეთ მეორე ფენა და მოათავსეთ მაცივარში მინიმუმ სამი საათით. ზემოდან შეგიძლიათ მოასხათ შოკოლადის მინანქარი.

გლაზური: ალუმინის ჭურჭელში ერთად მოათავსეთ 1 სადილის კოვზი კაკაო, 1 სადილის კოვზი შაქარი, 4 სადილის კოვზი რძე. მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე და ოდნავ შეგრილების შემდეგ დაუმატეთ 50 გრამი კარაქი.

# ხორცის ღვეზელი – „გახსნილი“





**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი კარტოფილი (ცომისთვის), 200 გრამი ფქვილი – ცომისთვის, 3 ცალი კვერცხი (1 ცომში, 2 – შიგთავსში), 50 გრამი კარაქი (ცომში), 500 გრამი ღორის ხორცის ფილე ან ფარში, 2 ცალი ბულგარული წიწაკა და 1 ცალი მოზრდილი პომიდორი (შიგთავსში), 2 ცალი მომცრო თავი ხახვი (შიგთავსში), 100 მილილიტრი ნაღები (33-პროცენტიანი – შიგთავსში), 100 მილილიტრი რძე (შიგთავსში), 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა. ცოტა მაგარი ყველი, მწვანილი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ, დაჭერით ძალიან წვრილად და მოხარშეთ მარილიან წყალში, შემდეგ წყალი გადაწურეთ და ჩაზილეთ. ჩაუმატეთ კვერცხი, კარაქი და ძალიან კარგად აურიეთ. შეურიეთ ფქვილი და მოზილეთ ცომი. ძალიან რბილ და ნაზ ცომს მიიღებთ, არც ხელებზე მიგეკრობათ. ჩადეთ ცხიმწასმულ ფორმაში, ნაპირები ამოუწიეთ და მოათავსეთ მაცივარში, სანამ შიგთავსს მოამზადებთ. ხორცი (თუ ფარშს არ იყენებთ), დაჭერით ძალიან წვრილად, ბულგარული წიწაკა – კუბიკებად. პომიდორს გადააცალეთ კანი და დაჭერით. ხახვი დააქუცმაცეთ, ყველი კი მსხვილკბილა სახეხზე გახეხეთ. ბულგარული წიწაკა ოდნავ მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ ხორცი, მოხრაკეთ და უყავით მარილი. ხახვი მოშუშეთ ცალკე ტაფაზე ფერის შეცვლამდე. დაუმატეთ ბულგარული, ხორცი და გააცივეთ. ეს ყველაფერი მოათავსეთ ცომზე. ზემოდან მოაყარეთ პომიდორი, ცალკე ერთმანეთს შეურიეთ ნაღები, რძე, ტომატ-პასტა და კვერცხი. ეს ნარევი ცოტა ათქვიფეთ, უყავით მარილი და პილპილი, მოასხით ღვეზელს და, სურვილისამებრ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი. აცხვეთ  40 წუთი, 200 გრადუსზე. გამოიღეთ, მოაყარეთ ყველი და შეაბრუნეთ აირღუმელში კიდევ 10-15 წუთით. უგემრიელესია.

# დაბეგვილი ხორცი კარტოფილით





**საჭირო ინგრედიენტები:** 3 კბილი ნიორი, 1 ცალი ხახვი, 200 გრამი ქამა სოკო, 10 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 300 გრამი საქონლის ხორცი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, 30 მილილიტრი ზეთი, ორეგანო, ქონდარი, შავი პილპილი, ესტრაგონი, შაურმის სუნელი – 1 ჩაის კოვზი, სოიის სოუსი, მარილი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად სათითაოდ კარგად დაბეგვეთ, მოასხით სოიის სოუსი და მოაყარეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი, მარილი, ორეგანო, ქონდარი, შავი პილპილი, ესტრაგონი და შაურმის სუნელი.

მოასხით ორი დიდი კოვზი მაიონეზი, ამოურიეთ კარგად, მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში და შედგით მაცივარში 1-2 საათის განმავლობაში.

სოკო დაჭერით მსხვილ ნახევარმთვარეებად. მოათავსეთ გამოსაცხობ ტაფაზე და ზემოდან გადააფარეთ მარინადში ჩაწყობილი ხორცი. მოასხით თასში ჩარჩენილი მარინადი და მოაყარეთ ხახვი. კარტოფილი დაჭერით ფირფიტებად და ხორცს გარშემო შემოუწყვეთ. კარტოფილი სათითაოდ დანამეთ ზეთით, მოაყარეთ სუნელები, ცოტა მარილი, შავი პილპილი, ესტრაგონი და დანაყილი ნიორი. კერძი მოათავსეთ ცხელ აირღუმელში. ერთი საათის შემდეგ გამოიღეთ, მოაყარეთ გახეხილი ყველი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში 20-30 წუთით. ფანტასტიკურია.



# ქათმის ფილე მოტკბო-მომჟავო სოუსში – თიკა ფაცაციასგან



*ძალიან მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი და საჭმელების კეთება, მით უმეტეს, როცა სადღესასწაულო დღეებია. ქათმის ფილე მოტკბო-მომჟავო სოუსში უგემრიელესი, მარტივი მოსამზადებელი კერძია და, თან, ნებისმიერ სუფრას ამშვენებს.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 350 გრამი ფრინველის ფილე, 1 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, 125 გრამი სტაფილო, 1 თავი წითელი ხახვი, 5 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 175 გრამი დაკონსერვებული ანანასი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 150 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 1 სადილის კოვზი წითელი ღვინის ძმარი, 75 მილილიტრი კეტჩუპი, 1 სადილის კოვზი თაფლი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი თქვენთვის სასურველი ზომის კუბიკებად დაჭერით; წიწაკა ოთხად, ხოლო ხახვი რვა ნაწილად დაანაწევრეთ; სტაფილო და ჯანჯაფილი გახეხეთ. ანანასი გადაწურეთ და ისიც კუბიკებად დაჭერით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დაუმატეთ ხორცი, მოაყარეთ მარილი და მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ. ხორცი ამოიღეთ და ამავე ცხიმში ჩაყარეთ ხახვი, სტაფილო, წიწაკა და 3-4 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაუმატეთ ჯანჯაფილი და ოდნავ მოშუშეთ. ძმარი, ფორთოხლის წვენი, კეტჩუპი და თაფლი ერთმანეთში აურიეთ, ჩაუმატეთ დანარჩენ ინგრედიენტებს და შუშეთ 1 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ ხორცი და ანანასი და კერძი საშუალო ტემპერატურაზე 5 წუთის განმავლობაში შუშეთ, ბოლოს კი დაუმატეთ მარილი და წიწაკა.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# მხალეულის წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 3 კბილი ნიორი, 1 ცალი მოზრდილი კარტოფილი, 1 ჩაის კოვზი მარილი, 3 ჭიქა ქათმის ბულიონი, 2 დიდი კონა სხვადასხვა მხალეული და მწვანილი, ლიმონი – სერვირებისთვის, შავი პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** დაჭრილი ნიორი მოშუშეთ ზეთში 1-2 წუთის განმავლობაში, დაუმატეთ საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი, მარილი და ერთად მოშუშეთ. 5 წუთის შემდეგ დაასხით ბულიონი და 1,5 ჭიქა წყალი. როდესაც ადუღდება, ცეცხლს დაუწიეთ და 5 წუთი ადუღეთ. დააყარეთ დაჭრილი მხალეული და რამდენიმე წუთი ადუღეთ, შემდეგ კი შეანელეთ პილპილით და მიირთვით ლიმონთან ერთად.



# მანდარინის მაფინები

**საჭირო ინგრედიენტები:** 120 გრამი დარბილებული კარაქი, 100 გრამი შაქარი, 2 პაკეტი ვანილი, 1 ცალი ლიმონი, 2 ცალი კვერცხი, 180 გრამი ფქვილი, 2 სადილის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 4 სადილის კოვზი რძე, 300 გრამი მანდარინის რბილობი, 80 გრამი შაქრის პუდრი, 1 სადილის კოვზი დაფქული ფსტა.

**მომზადების წესი:** შაქარი, კარაქი, ვანილი და ლიმონის ცედრა კარგად ათქვიფეთ, დაუმატეთ თითო-თითო კვერცხი და თქვიფეთ მანამ, სანამ ერთგვაროვან მასად იქცევა. შეურიეთ ფქვილში არეული გამაფხვიერებელი, რძე და დაჭრილი მანდარინი (შეგიძლიათ, მანდარინი წინასწარ ბლენდერითაც დააქუცმაცოთ). ცომი მოათავსეთ მაფინის ქაღალდჩაფენილ ფორმებში და 175 გრადუსზე გახურებულ ღუმელში დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში აცხვეთ. შაქრის პუდრი და ლიმონის წვენი აურიეთ, წაუსვით მზა მაფინებს და ფსტით მორთეთ.

**თუ ფანტაზია გაქვთ და ცოტა სიმარჯვესაც გამოიჩენთ, სასარგებლო, პრაქტიკულ და ლამაზ ნივთებს დაამზადებთ. ჩვენც დაგეხმარებით.**

## მცურავი მანათობელი კაკლები

გატეხეთ კაკალი ისე, რომ შუაზე გაიყოს. სანთელი გახეხეთ და მოაგროვეთ. დაგჭირდებათ ხის ჩხირები, მაკრატელი და ბამბის ძაფი. დააკვირდით სურათებს. ჩხირს შეაბით ძაფი, ძაფის ერთი ბოლო კი ჩაუშვით კაკალში, კაკლები სათითაოდ ამოავსეთ სანთლის ფხვნილით, კარგად ჩატკეპნეთ და შემდეგ ჩხირები მიაჭერით ისე, რომ ძაფი ამოწვერილი დარჩეთ. ლამაზ თასში ჩაასხით შეფერილი წყალი (უმჯობესია, სურნელოვანი ვარდის წყალი გამოიყენოთ), ჩაუშვით მასში კაკლები და ძაფს ცეცხლი მოუკიდეთ. მცურავი კაკალი-სანთლები ძალიან ლამაზი და ორიგინალურია თქვენი ბინისთვის.



## თარო-უჯრები

დაგჭირდებათ ნებისმიერი ფორმისა და ზომის ქილები, ასევე, მარწუხები („ხამუტები“). კიდევ ხის ან ლამინატის გრძელი ფიცარი. დახედეთ სურათებს. აბაზანისთვის მშვენიერი, ორგინალური თარო-უჯრა გამოვა.



* თუ ლიმონს გვერდით უმწიფარ ბანანებს მიუწყობთ, სწრაფად დამწიფდება.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 24 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.40**, "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** დოკ/ფილმი: "იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** მხ/ფ **"ამავე დროს მომავალ წელს"** **00.00** მხ/ფ **"გამოცხადება"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** "ნანუკას შოუ" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა - დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დამივიწყებ"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** უცნობი ისტორიები **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.30, 2.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.55** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.45 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.00, სერიალი "მდუმარენი"** **2.50** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.40**ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35, 19.03** სერ.**"ბოშა ქალი"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** EMERGENCY **01.00** მხ/ფ **"მონტანას ცა"** (ჯ.კორბეტი) **02.50** მხ/ფ **"პრიცის ოჯახის ღირსება"**.

**06.10** საგალობელი **06.15** ეთნოგრაფიული ჩანახატი **06.30** მხ/ფ **"ელენე,ტროას დედოფალი"** II სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "ჩვენი საგანძური" . გვანცელაძე **10.50** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ./ფ **"ქორწილი"**, **"ქოლგა"** **13.30** კონცერტი - ქართული სული **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.25** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ლუკას სახარება"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **02.00** ნიამორი.

## ხუთშაბათი 25 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.30** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00, 03.10** "სამოთხის ვაშლები" **12.40**, "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** "ეს საქართველოა" **17.30** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **18.30** ტ/სერ. **"კრიმინალური კვალი"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"ბასკერვილების ძაღლი"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **23.55** აჭარა ბეთის გათამაშება **00.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა - დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დამივიწყებ"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **23.30, სერიალი "მდუმარენი"** **1.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45, 02.40, 04.25** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ.**"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო"** **17.35, 19.03** სერ.**"ბოშა ქალი"** **20.55** სერ.**"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად – თოქ შოუ **23.45** შალვა რამიშვილის შოუ **01.00** მხ/ფ **"საშობაო ამბავი"** **02.50** მხ/ფ **"მონტანას ცა"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **07.05** ეთნოგრაფიული ჩანახატი **07.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **07.30** დ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ჩვენი საგანძური". გვანცელაძე **11.00** ამბიონი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ლუკას სახარება"** **13.30** ივერიის ეკლესია **13.45** კონცერტი - პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილი **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.20** კონცერტი - ერისიონი **17.00** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **17.25** დ/ფ "ჩემო პატრიარქო" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"ადგილის დედა"** **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი სპირიდონ ტრიმიფუნტელი" **21.35** მწვანე არქიტექტურა **22.25** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "იმედი საქართველოისა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები პარიზში.

## პარასკევი 26 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.40** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00, 02.20** "სამოთხის ვაშლები" **12.40, 03.20** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **16.00** "მოამბე" **17.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"კრიმინალური კვალი"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **23.30** მხ/ფ **"მაკარტური"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დამივიწყებ"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა "ID" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.30** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვა-

სიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინ-ფაქტი 18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა" 23.30, სერიალი "მდუმარენი" 1.45 ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 "უცნობი ისტორიები".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00, 04.00 ქრონიკა. 10.05 სერ."სიცოცხლის სიყვარული" 11.20 სერ."სილა" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ."უდანაშაულო" 17.35, 19.03 სერ."ბოშა ქალი" 20.55 სერ."დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00 რეაქცია 00.00 მხ/ფ "ამანათები წარსულიდან" (ა.ჟირარდო) 02.10 მხ/ფ "საშობაო ამბავი" (პ.კრუსი).

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 მწვანე არქიტექტურა 10.05 ღვთის სახლი 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 14.00 მოკ./ფ "ადგილის დედა" 13.20 კონცერტი -ანდრია ბოჩელი 15.05 სახლი ღვთისა (აფხაზეთი) 15.20 მხ/ფ "თხუნელა" 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "მალე გაზაფხული მოვა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "რაზიკაშვილები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "მე დევიდი ვარ".

## შაბათი 27 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" 09.00 ან/ფ "დათვი იოგი" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – "უჩინმაჩინის ქუდი" 14.00 კალათბურთი. სუპერლიგა: "დინამო" – "სოხუმი" 16.30 ქართ. მხ/ფ "ექსპრეს-ინფორმაცია" 18.00 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 19.00 "ეტალონი" 21.00 ტ/სერ. "ფრანგული სოფელი"22.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.00 "წითელი ზონა" 00.00 მხ/ფ "ჩარლი უილსონის ომი" (ჯ.რობერტსი) 01.40 "ეტალონი" 02.40 მხ/ფ "ბერძენი მაგნატი" (ჟ.ბისე).

08.30 მხ/ფ. 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 ვინ დაამარცხებს ვასოს 15.30 ნიჭიერი 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 22.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.30 რა? სად? როდის? 01.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 03.30 მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "მაგიის რაინდები" 9.00 სერიალი "რვაფეხა" 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა 11.50, 14.50, 18.35 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.05 სერიალი "10 წლის შემდეგ" 15.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 18.45 სერიალი "სხვისი სხეული" 20.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 21.00 თოქ-შოუ სუბიექტური აზრი 22.00 "CLUB 11" 23.00 გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 0.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20 მხ. ფილმი "სიესტა".

07.30 სერ. "სონის შანსი" 4 სერ. 08.00 მხ/ფ "ჯორჯი და გველეშაპი" 10.15 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 ვაკანსია 12.00 სერ. "რობინ ჰუდის თავგადასავალი" 9 სერ. 13.00 კულინარიული დუელი 14.40 სერ."უდანაშაულო" 17.35, 19.03 სერ."ბოშა ქალი" 20.55 სერ."დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00, 23.00, 00.00 სერ. "შუა ქალაქში - 6" 7-8-9 სერ. 01.00 მხ/ფ "გრინ ქარდი" 03.00 მხ/ფ "მეგობრები ბავშვებთან ერთად".

06.10 მხ/ფ "მე დევიდი ვარ" 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 07.45 ღვთის სახლი (აფხაზეთი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "ჩვენი საგანძური" . გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართ. მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ "მალე გაზაფხული მოვა" 13.25 დ/ფ "ლიგურკე" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - "დონ ჟუანი" (მაყვალა ქასრაშვილი) 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ევრომასტერი 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 დ/ფ "დაგვიანებული ქორალი" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ლელოს შემობრუნება" 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "დიდი ვალსი".

## კვირა 28 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" ანიმაცია "ტომი და ჯერი და შერლოკ ჰოლმსი" 09.00 მხ/ფ "ფიფქია" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "ლოლა ვინ ხარ შენ ლოლა" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 13.30 მხ/ფ "სიღარიბესა და სიმდიდრეში" 15.30 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 ქართ. მხ/ფ "რაჭა ჩემო სიყვარულო" 18.00 მხ/ფ "ცხოვრება ისეთი როგორიც არის" 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "ფრანგული სოფელი" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 მხ/ფ "რეი" 01.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 02.30 მხ/ფ "სიღარიბესა და სიმდიდრეში".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 "სახლი" 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.30 სოციალური ცელი 01.00, 03.30 მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი "მაგიის რაინდები" 9.00 სერიალი "რვაფეხა" 10.00 NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება 11.30 უცნობი ისტორიები 11.55, 14.50, 17.50 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 21.00 (ახალი ამბები) 12.30 "თეკუნას კულინარიუმი" 13.10 გადაცემა "ID" 13.35 "CLUB 11" 15.30 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 17.00 "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" 18.30 "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება 19.00 სერიალი "სხვისი სხეული" 20.00 "ფული და სურვილები" 20.30 "აბების" კვირის ანეკდოტები 21.30 სერიალი "10 წლის შემდეგ" 23.00 ოთარ ტატიშვილის შოუ 0.00 სერიალი "მდუმარენი" 2.20 მხ. ფილმი "მსხვერპლი როკ-ენ-როლისთვის".

07.30 სერ. "სონის შანსი" 5 სერ. 08.00 მხ/ფ "80 დღე დედამიწის გარშემო" 10.00 სტუმრად იუმორინასთან 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "რობინ ჰუდის თავგადასავალი" 13.00 EMERGENCY 14.35 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 17.35 ცეკვავენ ვარსკვლავები 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ქ/სერ. "ფსიქოპათთა თამაშები" 9 სერ. 00.00 მხ/ფ "შოუპოლიკი" (ჯ.კუზაკი) 02.00 მხ/ფ "გრინ ქარდი" (ჟ. დეპარდიე) 04.00 მხ/ფ "მეგობრები ბავშვებთან ერთად".

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.25 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ "დედუნა" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ევრომასტერი 16.05 ერთსულოვნების სალონი 17.00 ეპოქის სახლები 17.25 დ/ფ "კაბადოკიის წმინდა ქვები" 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 "ჩვენი ამბავი" 19.30 მხ/ფ "ნეილონის ნაძვის ხე" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ./ფ "უსახელო უფლისციხელი" 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "კილიმანჯაროს თოვლიანი მთა".

## ვერძი

უარი თქვით რისკსა და ავანტიურულ გეგმებზე. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ახალი კონტაქტები მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. ნუ დაძაბავთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ეჭვიანობის გამო და ნუ იქნებით ზედმეტად დამოუკიდებელი.

## კურო

მატერიალურ დოვლათს მოგიტანთ ერთობლივი და არა დამოუკიდებელი მუშაობა. სასწრაფოდ გაწყვიტეთ კავშირი არასასიამოვნო ხალხთან. ამ პერიოდში თქვენი ენერგია დაქვეითებულია, ამიტომ, არ გირჩევთ მოგზაურობას, სასიყვარულო კავშირებს. აკონტროლეთ ქცევები.

## ტყუპები

კარგია ახალი ნაცნობობა, გადაადგილებები და გართობა, ასევე, იმიჯის შეცვლა; ახალი ნაცნობობა კი, შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. მოზღვავებული ენერგია გამოიყენეთ მშვიდად და მოახმარეთ საქმეების დასრულებას. ერიდეთ რისკს.

## კირჩხიბი

შეიცვლება თქვენი შეხედულებები. პირად ცხოვრებაში ცვლილებები ნეგატიურად აისახება თქვენზე. მოსალოდნელია შემოსავლების შემცირება. მეტი დრო დაყავით სახლში. არ გირჩევთ მოგზაურობას. კარგია უცხოელებთან კონტაქტი.

## ლომი

შეამცირეთ დროსტარება და გართობა, რათა თავი აარიდოთ უსიამოვნებებს. გაიზრდება თქვენი ამტანობა და ინტუიცია. კარგია იმიჯის შეცვლა, ცოდნის ამაღლება. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან და დროულად დაასრულეთ სამსახურის საქმეები.

## ქალწული

გააკონტროლეთ ემოციები, ერიდეთ რისკსა და ინტრიგებს. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს და ნურც ნურაფერს დაგეგმავთ. მოსალოდნელია საყვარელ ადამიანთან სიტუაციის დაძაბვა, ამიტომ, ამისთვის მზად იყავით. მეგობრები ყველანაირად დაგიდგებიან მხარში.

## სასწორი

მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდია. ყურადღება მიაქციეთ საქმეს და მეტი პასუხისმგებლობით მიუდექით მას. არ არის გამორიცხული, თქვენმა უყურადღებობამ საყვარელი ადამიანი გაალიზიანოს და ამის გამო კამათიც მოგივიდეთ. მასთან ყოფნისას აკონტროლეთ სიტყვები, რათა გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ.

## მორიელი

არ არის რეკომენდებული ახალი საქმის დაწყება. შესაძლოა, მოგიწიოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ცვლილებები დადებითად აისახება თქვენს ცხოვრებაზე. კარგია ახალი ნივთების შეძენა. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. საყვარელი ადამიანის მიმართ კი მეტი ტაქტი და სიყვარული გამოხატეთ.

## მშვილდოსანი

შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილება, რაც თქვენს კარიერულ და პირად ცხოვრებას სერიოზულად შეცვლის. წარმატების მისაღწევად, გირჩევთ, კოლეგებთან ურთიერთობები დაათბოთ. კარგია მოგზაურობა.

## თხის რქა

შეგეცვლებათ აზრები, შეხედულებები და მიზნებიც. წარმატებისთვის გამოიყენეთ საჭირო მომენტი და ისე იმოქმედეთ. დროა, დაალაგოთ პირადი ურთიერთობები. განმარტოვდით და კარგად გააანალიზეთ თქვენი ცხოვრება.

## მერწყული

ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს. გართულდება ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან საერთო ენის გამონახვა. ნუ იქნებით განსაკუთრებულად მომთხოვნი. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მოთოკეთ ნერვები.

## თევზები

ბევრი საქმის გაკეთებას შეძლებთ, თუ იმოქმედებთ დამოუკიდებლად. გაიზრდება გადაადგილებების რიცხვი. დადებითად წარიმართება ფინანსური მდგომარეობა. არ გარისკოთ და ყველა წვრილმანი კარგად აწონ-დაწონეთ. არ აჰყვეთ მელანქოლიას და უმიზეზოდ ნუ გააბრაზებთ საყვარელ ადამიანს.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 22 დეკემბერი, 01:50 სთ.**

## ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა, შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, აგრესიის, შეცდომების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა. ატარეთ ყვითელი, მწვანე, ლურჯი ან თეთრი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ გირჩევთ მოგზაურობას. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ოპტიმიზმი, შრომისუნარიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა. ისწავლეთ თავის დაჭერა რთულ სიტუაციებში. იმუშავეთ ბევრი. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ყვითელი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, მწვანე იასპი, ოპალი ან აქატი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ფინანსურ ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## ოთხშაბათი

მოერიდეთ კონფლიქტებს, რეფორმების გატარებას და მეგობრებთან საქმის გარჩევას. ასევე, მოერიდეთ მსხვილ კაპიტალდაბანდებებს. ატარეთ ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ძოწი, ტოპაზი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საზოგადოებრივი საქმიანობა, გართობა, სამეცნიერო კვლევა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, დიეტის დაწყება. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია ახლი იდეების რეალიზება, რეფორმატორული ცვლილებები, მეგობრული კონტაქტები. ატარეთ წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ძოწი ან ციტრონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია გართობა, ინტელექტუალური განვითარება, სამეცნიერო კვლევა, სარემონტო სამუშაოები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, დიეტის დაწყება. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

## პარასკევი

სიყვარულის, პატიების, მონანიებისა და ქველმოქმედების დღეა. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. აკონტროლეთ ფანტაზიები. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, იურისტებთან კონტაქტი, სასიყვარულო კავშირები, კაპიტალდაბანდება, მოგზაურობა. ატარეთ ფირუზისფერი, ყვითელი, მწვანე, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, გიშერი, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ნუ მოუყვებით სიზმარს სხვებს. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის.***

## შაბათი

აკონტროლეთ სიტყვები, მოერიდეთ ტყუილს. ატარეთ მწვანე, ყვითელი, იისფერი, ფირუზისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, ალექსანდრიტი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია დიეტის დაწყება, იურიდიული საქმიანობა, სასიყვარულო კონტაქტები. სუსტდება ნაღვლის ბუშტი, ელენთა, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## კვირა
### გეომაგნიტური დღე

ეცადეთ, არ ჩაერიოთ სხვების საქმეებში და აკონტროლოთ ემოციები. ნუ ატკენთ გულს ახლობლებს, მოერიდეთ კამათს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი, ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვარჯიში, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა. სუსტდება თავი, ნერვული სისტემა, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

# დადებითი ენერგიის მოსაზიდად აუცილებელია, სახლიდან გაიტანოთ ძველმანი და გამოუსადეგარი ნივთები

ხშირ შემთხვევაში, წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი არა ადამიანის საქმიანობა, არამედ, იდუმალი ძალებისა და ვარსკვლავების განწყობის დამსახურებაა. თითოეული ადამიანი სამყაროს ნაწილია და მისი სასიცოცხლო ენერგიის ზეგავლენას ყოველთვის განვიცდით.

საცხოვრებელი ბინა ადამიანის სხეულს ჰგავს. მასში ყოველ წუთს მიმდინარეობს ენერგიათა ცვლა და ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სახლის (ბინის) ფორმას. უნდა იცოდეთ, როგორი ზომისა და ფორმის სახლი (ბინა) მოგიტანთ სამომავლოდ წარმატებას. ტრაპეციის ფორმის ბინაში ან ოთახში ცხოვრება ძალიან რთულია, რადგან, იქ მეტი უიღბლობაა, ფულიც თავისთავად გაედინება და ბარაქას ვერ ნახავთ. თუ სამკუთხედია, სიმდიდრეს ვერასდროს დააგროვებთ. არც გრძელი ფორმის ოთახები და სახლია სასურველი. ოთხკუთხედი ან ოვალური საცხოვრებელი კი მეტად კარგი და სასიკეთოა.

ასევე, როცა სახლში რამე ნივთს უცვლით ადგილს, ამით აუცილებლად იცვლება ცხოვრებაში რაღაცას. თუ ინტუიცია კარგად გაქვთ განვითარებული, ზუსტად მიხვდებით, რა ნივთი სად დადოთ, რა შეცვალოთ თქვენ გარშემო და როგორ გაიუმჯობესოთ ამით ცხოვრება.

ვერცხლის ნივთები ადვილად იღებს სახლში უარყოფით ენერგეტიკულ დარტყმებს და, ასევე, იწოვს უარყოფით ენერგიებს. მთელ სიბინძურეს, რომელსაც ადამიანი თავისდაუნებურად იღებს გარემოსთან ურთიერთობისას, ვერცხლი ანეიტრალებს.

თუ ისეთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული, რომ ვერცხლი თქვენთვის მისაღები ლითონია, აუცილებლად ატარეთ მისი სამკაულები. ასევე, ნებისმიერი ადამიანისთვის კარგია, სახლში ჰქონდეს ვერცხლის პატარა ფიგურები – ამით საცხოვრებელ ბინაში დადებითი ენერგიის შედინებას დაეხმარებით. სავსე მთვარის დროს, შეგიძლიათ, ეს ვერცხლის ფიგურები ღია ცის ქვეშ დააწყოთ, თუნდაც აივანზე, რათა ისინი მაქსიმალურად „დაიტუმბოს“ და „აივსოს“ მთვარის ძალითა და ენერგიით.

საცხოვრებელში ნებისმიერ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ოჯახში დადებითი ენერგიის მოსაზიდად აუცილებელია ძველმანი, გამოუსადეგარი ნივთების თავიდან მოშორება, რადგან, თავისუფალ სივრცეში მეტი დადებითი ენერგიის ცირკულაცია ხდება. ასევე, სისუფთავე და წესრიგი სახლში დადებითი ენერგიის შემოდინებას უწყობს ხელს.

გირჩევთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ ოთახების მოწყობა-გალამაზებას, ყველა ნივთს კი თავისი ადგილი მოუჩინეთ, რათა მეტი სიმშვიდის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ენერგია და ატმოსფერო შექმნათ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა**: **დავიბადე 1987 წლის 1 ივლისს, საღამოს 22 საათზე. მინდა უცხოეთში წასვლა. თუ მირჩევთ იქ კარიერის გაგრძელებას?**

**პასუხი**: თუ ორმაგი ძალისხმევა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა არ გამოავლინეთ, ისე წარმატებას ვერ მიაღწევთ. საერთოდ, პროფესიული თვალსაზრისით, თქვენთვის უკეთესია ისეთი სფეროები, როგორიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე. რაც შეეხება უცხოეთს, თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოს. ამიტომ, თქვენთვის მთავარია ოჯახის შექმნა, სტაბილურობა ნათესავებთან ურთიერთობაში და პატრიოტიზმი. დროებით კი, მაგალითად, ცოდნისა და კაპიტალის დასაგროვებლად, კარგია შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, შოტლანდია, ჰოლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, ნორვეგია, დანიის ჩრდილოეთი ნაწილი, მექსიკა, კუბა.

**კითხვა**: **მე დავიბადე 1986 წლის 21 მაისს, დილის 6 საათზე, ჩემი რჩეული კი – 1988 წლის 10 თებერვალს. გაგვიმართლებს თუ არა სამომავლოდ ურთიერთობა სასიყვარულო-ოჯახური თვალსაზრისით?**

**პასუხი**: ურთიერთობა თქვენ შორის, საერთო ჯამში, მისაღებია როგორც წლების, ასევე თვეების მიხედვით. ხასიათში ბევრი მსგავსებაა, რაც სამომავლოდ, ჰარმონიულ ურთიერთობას გპირდებათ ოჯახსა და სიყვარულში.

**კითხვა**: **ჩემი და დაიბადა 2006 წლის 21 ოქტომბერს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია დედამიწაზე და რომელ პროფესიაში ელის მეტი წარმატება ასტროლოგიური მონაცემების მიხედვით?**

**პასუხი**: თქვენი დის კარმული მისიაა, იყოს მომავალში აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი; ასევე, – ლიდერი, უშიშარი, მებრძოლი. სადაც შევა, სიმშვიდე და ჰარმონია შეიტანოს. შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება. პროფესიებიდან კი მისთვის კარგია და წარმატების მომტანი: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, საიუველირო ბიზნესი, არქიტექტურა, დიზაინი, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, იურისპრუდენცია, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, პროფესიული დიპლომატია, ტურისტული ბიზნესი.

**კითხვა**: **დავიბადე 1980 წლის 18 იანვარს, ღამის საათებში, ჩემი რჩეული კი – 1987 წლის 20 იანვარს, დილის საათებში. როგორ შევეწყობით ერთმანეთს?**

**პასუხი**: თქვენი ურთიერთშეწყობა საშუალოა. წლების მიხედვით, ეს, შეიძლება, შევაფასოთ ხუთბალიანი სისტემიდან სამი ბალით. დასავლური კალენდრით ორივე „თხის რქა“ ხართ. აქედან გამომდინარე, ურთიერთგაგება იქნება, მაგრამ, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებიც არის მოსალოდნელი. თუ შეძლებთ თვითკონტროლს, დათმობას, მაშინ ურთიერთობა ოთხი ბალით შეფასდება.

**კითხვა**: **ჩემი ძმა დაიბადა 1999 წლის 17 აპრილს. გთხოვთ, გვითხრათ, რა არის მისი კარმული მისია და რომელ პროფესიებში ელის წარმატებები?**

**პასუხი**: რაც შეეხება კარმულ-კოსმიურ მისიას, მისთვის აუცილებელია ხასიათში ისეთი თვისებების გამოვლენა, როგორებიცაა: აქტიურობა, ინიციატივიანობა, ენერგიულობა; უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭი; ამავდროულად, უნდა იყოს უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების ადამიანი; ეყრდნობოდეს კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს; შეეძლოს შუამავლის როლის შესრულება ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის. მისი კარმული მისია უცხოეთია. ამიტომ, იქ გამგზავრება და ცოდნის, კაპიტალისა და გამოცდილების დაგროვება დაეხმარება სამშობლოში წარმატებების მიღწევაში. პროფესიებიდან კი მისთვის მისაღებია: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო-საგამომცემლო ინდუსტრია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია და იურისპრუდენცია.

# ადამიანის „მეგობარი" ბაქტერიები

პრობიოტიკები ცოცხალი „მეგობარი" ბაქტერიებია, რომელთა განსაზღვრული რაოდენობით მიღება სასარგებლო გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სიტყვას გააჩნია ბერძნული წარმოშობა და ნიშნავს pro – თვის, bios – სიცოცხლე ანუ სიცოცხლისთვის. ორგანიზმში ბაქტერიათა რაოდენობა 10-ჯერ აჭარბებს ადამიანის უჯრედების რიცხვს და აღწევს 100 000 000 000 000. ჯანმრთელი მოზრდილი ადამიანის მიკროფლორის შემადგენლობა პრაქტიკულად არ იცვლება. საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვადასხვა ნაწილის ლორწოვანი გარსის ზედაპირზე ან მის სანათურში ნაწლავის მიკროფლორით ფორმირდება მრავალფეროვანი და დინამიკური ეკოსისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმულ ფუნქციონირებას.

1965 წელს ფრანგმა პროფესორებმა ლილმა და სტილუელმა პირველად გამოიყენეს ტერმინი „პრობიოტიკი", რომელიც ანტიბიოტიკებისგან განსხვავებით, ხელს უწყობდა სხვა მიკროორგანიზმის გამრავლებას. 1981 წელს პროფესორმა ჰანსონმა დაამტკიცა, რომ საკეისრო კვეთით დაბადებულ ახალშობილებს გააჩნიათ უფრო ნაკლები შემცველობა ლაქტო- და ბიფიდობაქტერიებისა, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობიდან მიღებულ ახალშობილებს. ბუნებრივ ძუძუთა კვებაზე მყოფ ახალშობილთა მიკროფლორაში ჭარბობს ბიფიდობაქტერიების შემცველობა.

პრობიოტიკები ნაწლავის სანათურში წარმოდგენილია ბიფიდობაქტერიებით, ლაქტობაქტერიებითა და კოკური ფლორით. თითოეულ ადამიანს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მკაცრად განსაზღვრული გენოტიპის მქონე ბაქტერიული შემადგენლობა. სწორედ აქედან გამომდინარე, ერთი ადამიანისთვის რომელიმე ბაქტერიის ნაკლებობა ან სიჭარბე ფეკალურ მასაში არ ნიშნავს მეორისთვის დისბიოზს.

ამერიკის გასტროენტეროლოგთა ასოციაციის მონაცემებით, ჯერ კიდევ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რომელი პრობიოტიკური შტამები გამოიყენონ სხვადასხვა გასტროინტესტინალური დაავადების დროს. AGA-ს რეკომენდაციით მათი გამოყენება მიზანშეწონილია შემდეგი ნოზოლოგიების დროს:

- *გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი*
- *ინფექციური დიარეა*
- *ანტიბიოტიკასოცირებული დიარეა*
- *H.pilori–ის ერადიკაციული თერაპია.*
- *C. dificile-თი გამოწვეული დიარეის პროფილაქტიკა*
- *ხანგრძლივ ქიმიოთერაპიულ მკურნალობასთან ერთად.*

პრობიოტიკები საქართველოში მედიკამენტების, კვებითი დანამატებისა და კვებითი პროდუქტების სახითაა წარმოდგენილი.

WGO მსოფლიოს გასტროენტეროლოგთა ასოციაციამ, WHO – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და FDA – ამერიკის საკვები პროდუქტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების კონტროლის დეპარტამენტმა პრობიოტიკებს მიანიჭა GRAS – უსაფრთხო პროდუქტების სტატუსი.

ჩვენს ბაზარზე ერთ-ერთი გავრცელებული პრობიოტიკური შტამის – B.clansis-ის შემცველი მედიკამენტია ენტეროჯერმინა. ის ტუტე გარემოს მოყვარული გრამდადებითი მიკროორგანიზმია; არაპათოგენურ ბუნებაში ფართოდ გავრცელებული ადამიანის „მეგობარი" ბაქტერიაა. აქვს სპორების წარმოქმნის უნარი რეზისტენტულია ფიზიკური და ქიმიური ფაქტორებისადმი. ენტეროჯერმინას ანტიმიკრობული მოქმედება განპირობებულია: 1. ანტიმიკრობული სუბსტანციის პროდუქტებით, 2. B-2 ვიტამინის წარმოქმნის სტიმულაციით, 3. აქტიური გრამპოზიტიური პათოგენების საწინააღმდეგო აქტივობით. 4. წვრილ ნაწლავში გადასვლისას BClausis სპორები ღვივდება და იწყებს აქტიურ მოქმედებას.

ენტეროჯერმინას გააჩნია: უსაფრთხოების კარგი პროფილი დადასტურებული 50-წლიანი გამოცდილებით; რეზისტენტულია ანტიბიოტიკებისადმი; ახასიათებს კარგი სტაბილურობა; ადვილად შესანახი და მისაღებად მოსახერხებელია; არანაირი გემო არ აქვს; ხელსაყრელია მთელი ოჯახისთვის.

**ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის ამბულატორიულ დიაგნოსტიკური დეპარტამენტისა და კლინიკა „კურაციოს" პედიატრიული სამსახურის უფროსი ექიმი: პედიატრი**

**თემურ მიქელაძე**

**თბილისის ერთ-ერთმა ელიტურმა სექსმუშაკმა ფულიან კლიენტს სპერმა მოჰპარა და ჩაინერგა. როცა ეს ისტორია გავიგე, გადავწყვიტე, გადამემოწმებინა, რამდენად რეალური შანსია მოპარული სპერმით შვილის გაჩენა. აღმოჩნდა, რომ ამის თეორიული შანსი მართლა არსებობს, თუმცა, იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც კონსულტაცია გავიარე, მითხრეს, რომ მათ პრაქტიკაში მსგავსი ჩანერგვა არასდროს განუხორციელებიათ. საინტერესოა ამგვარი ქმედების სამართლებრივი შეფასება, ანუ, სჩადის თუ არა დანაშაულს ქალი, რომელიც მამაკაცს სპერმას ჰპარავს; მაგრამ, თუ ნემსის ქურდი ქურდია, სპერმის ქურდი რატომ არ შეიძლება, ქურდი იყოს?! მამაკაცებს (განსაკუთრებით – ფულიანებსა და ჯიშიანებს) კი ვურჩევ „შემთხვევით" ქალებთან ნახმარი პრეზერვატივი ჯიბეში ჩაიდონ და თავად გადააგდონ ნაგვის ურნაში, თორემ, 9 თვეში, შეიძლება, უცნობმა შვილმა კარზე „მიუკაკუნოს."**

# როგორ მოიპარა ქართველმა სექსმუშაკმა სპერმა და აპირებს თუ არა ის მამაკაცის დაშანტაჟებას

**– სიმართლე გითხრათ, თქვენთან მოსვლამდე გადავამოწმე, მართლა შეიძლებოდა თუ არა შვილის ამგვარი გზით გაჩენა და, აღმოჩნდა, რომ თეორიულად ეს შესაძლებელია, თუმცა პრაქტიკული შედეგიც სახეზეა – თქვენი სახით. თქვენ რა ინფორმაცია გქონდათ დაფეხმძიმების ასეთი მეთოდის შესახებ, ან, საიდან გაგიჩნდათ აზრი, რომ ნახმარი პრეზერვატივი ამ მიზნით გამოგეყენებინათ?**

– სადღაც წავიკითხე, რომ უცხოეთში ერთმა ქალმა ასე გააჩინა შვილი და მეც დავინტერესდი. ამის შემდეგ მივედი ერთ-ერთ ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრში, სადაც დეტალურად ამიხსნეს, როგორ უნდა მოვქცეულიყავი.

**– როგორც მითხრეს, სპერმას 24-საათიანი საინკუბაციო პერიოდი აქვს, ანუ, 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი მისი გადაადგილება და გამოყენება.**

– დიახ, მაგრამ, სპერმა გადაადგილებისას არ უნდა გაცივდეს, ანუ, აუცილებელია მისი გადატანა სხეულით მოხდეს.

**– ეგ რას ნიშნავს?**

– იმას, რომ აუცილებლად თბილად უნდა იყოს. მე, მაგალითად, სპერმით სავსე პრეზერვატივი მკერდში ჩავიდე და ისე მივიტანე სამედიცინო პუნქტამდე, რომელიც სტერილურად შეინახეს და გაყინეს.



სანამ ბავშვი ერთი წლის არ გახდება, არაფრის თქმას არ ვაპირებ, რადგან, ვიცი, ის აუცილებლად გაბრაზდება და დაიწყება გაწევ-გამოწევა, მომთხოვს „დეენემის" ანალიზის გაკეთებას, ამიტომ, მანამდე მაინც, მეც მშვიდად მინდა ვიყო და ჩემი შვილიც

**– გამოდის, რომ მაშინვე არ მოხდა ჩანერგვა?**

– არა. მანამდე გამოკვლევები და მკურნალობის კურსი ჩავიტარე, მოვემზადე და ამის შემდეგ გავიკეთე ჩანერგვა. საბედნიეროდ, პირველივე ცდაზე დავორსულდი და შემინარჩუნდა ნაყოფი. თავიდან მინდოდა, ტყუპები გამეჩინა, მაგრამ, მერე გადავიფიქრე.

**– უთხარით, რომ დონორმა, ანუ, პოტენციურმა მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა?**

– რა თქმა უნდა, ამას ვერ ვეტყოდი, ამიტომ, ვთქვი, რომ ჩემი პარტნიორი ცნობილი ადამიანია, რომელსაც ოჯახი ჰყავს, ყველა იცნობს და ის არავითარ შემთხვევაში არ მოვა აქ, მაგრამ, ძალიან გვინდა, საერთო შვილი გვყავდეს-მეთქი.

**– მართლა ცნობილი ადამიანია?**

– დიახ. თანაც, საკმაოდ ცნობილი და შეძლებული, მაგრამ, ჯერ არ იცის, რომ შვილს მისგან ველოდები.

**– თქვენი ფეხმძიმობის ამბავს როგორ შეხვდა?**

– ჩვენ არ ვართ საყვარლები, უბრალოდ, ასე ვთქვათ, ჩემი ერთ-ერთი კლიენტია, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩემთან და, სხვათა შორის, დღემდე მეხმარება ფინანსურად.

**– მისმა ფინანსურმა მდგომარეობამ ხომ არ განაპირობა თქვენი ასეთი საქციელი?**

– სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც გადავწყვიტე, რომ ასე მოვქცეულიყავი. ამ მიზეზის გარდა, კარგი ოჯახის შვილია, თანაც, გარეგნობით ისეთია, მისნაირები უნდა გამრავლდნენ, მართლა საჯიშე ტიპია და, მესამე ფაქტორი იყო მისი ფინანსური მდგომარეობა.

**– ანუ, შვილი უზრუნველი სიბერისთვის?**

– რატომაც არა? ახალგაზრდობაში ასეთ რაღაცეებზე არ ვფიქრობდი, მთლიანად საკუთარ სიამოვნებაზე ვიყავი გადართული, ყოველთვის კარგი პარტნიორები მყავდნენ, მაგრამ, სანამ ფასი არ დავიდე, მანამდე ვერ დამაფასეს. იყო დრო, როცა უაზრო ერთგულებაზე ვიყავი ჩაციკლული და მუდმივ ურთიერთობას ვეძებდი. სწორედ ამ ძებნა-ძებნაში ავირტყი ბოზის იარლიყი და, რაღა დამრჩენოდა, თუ არა ფასის დადება იმაზე, რასაც მანამდე სიყვარულსა და გრძნობებს ვეძახდი?!

**– ეს გულგატეხილი და გაბოროტებული ქალის პოზიციაა?**

– გულგატეხილის – შეიძლება, მაგრამ გაბოროტება არაფერ შუაშია, პირიქით, კეთილი გავხდი. თუ ადრე ვტანჯავდი კაცს და მანამდე არ ვნებდებოდი, სანამ კარგ საჩუქრებს არ გამიკეთებდა და არ დავრწმუნდებოდი, რომ მისთვის ძვირფასი ვიყავი, ახლა უკვე ყველას ვაძლევ შესაძლებლობას, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, წვალების გარეშე დატკბნენ ჩემით.

**– გამოდის რომ, მომავალში შვილს იარაღად გამოიყენებთ?**

– ცუდად ჟღერს, მაგრამ, ასეც შეიძლება ითქვას, თუმცა, უფრო ვიტყოდი, რომ სასიამოვნოს სასარგებლო შევუთავსე. ორმოც წელს როცა გადავცდი, მაშინ მივხვდი, რომ შვილი აუცილებელია, სულ რომ ხეირი ვერ ვნახო იმ კაცისგან, არც ეგ არის პრობლემა, სამაგიეროდ, მეყოლება შვილი, რომლზეც ვიზრუნებ, მოვუვლი და ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცემა. ახლა სულ სხვანაირად ვუყურებ ცხოვრებას, რაც, ალბათ, ასაკის ბრალიც არის და დედობის შეგრძნებისაც.

**– გინდათ, თქვათ, რომ ორმოცი წელი უაზროდ იცხოვრეთ?**

– რატომ ასეთი მწარე შეფასება?! მე არ მიმაჩნია, რომ აქამდე უაზროდ ვიცხოვრე. მომწონდა, როგორც ვცხოვრობდი, არაფერს ვნანობ და არ მგონია, რომ ორმოცი წელი წყალში გადავყარე. პირიქით, ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მივიღე და ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც მსიამოვნებდა. გართობასა და დროსტარებაზე უარს არც დღეს ვამბობ, უბრალოდ, ადამიანებს გვაქვს ცხოვრების ეტაპები, რომლებსაც ყველა ჩვენნაირად გავდივართ. ეს ახალი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში და უზომოდ ბედნიერი ვარ.

**– რომ გათხოვილიყავით და შვილი ისე გაგეჩინათ, არ გიფიქრიათ?**

– მაშინ, როცა ამაზე ვოცნებობდი, ჩემში ყველა სექსუალურ პარტნიორს ხედავდა. როცა მეგონა, სერიოზული ურთიერთობა მქონდა ადამიანთან და ეს ის იყო, ვისთან ერთადაც ვისურვებდი ცხოვრებას, ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ მას მხოლოდ გასართობად ვუნდოდი, ცოლად კი სხვები მოჰყავდათ. რამდენიმე ასეთი იმედგაცრუების შემდეგ ტვინში ეს „ფუნქცია" გამეთიშა და, როცა ბედმა კარზე მომიკაკუნა, კარი აღარ გავუღე.

**– როგორ მიხვდით, რომ ის თქვენი ბედი იყო?**

– წლების შემდეგ, მან იგივე მითხრა, რასაც მაშინ, უცოლობის პერიოდში მეუბნებოდა და მერეც მზად იყო, ცოლად მოვეყვანე, მაგრამ, უკვე გვიანი იყო. მე აღარც „ის თამრო" ვიყავი და აღარც სურვილი მქონდა, ჩემ გამო ვინმეს ოჯახი დანგრეოდა; თან, მარტოობას შევეჩვიე და დღეს უკვე საერთოდ აღარ მაქვს გათხოვების სურვილი. აწი მომვლელს თუ გავიჩენ, თორემ, ქმარს ნამდვილად ველარ ავიტან სახლში.

**– როდის აპირებთ, ბავშვის მამას გაუმხილოთ საიდუმლო?**

– სანამ ბავშვი ერთი წლის არ გახდება, არაფრის თქმას არ ვაპირებ, რადგან, ვიცი, რომ ის აუცილებლად გაბრაზდება – დაიწყება გაწევ-გამოწევა, მომთხოვს „დეენემის" ანალიზის გაკეთებას... ამიტომ, მანამდე მეც მშვიდად მინდა ვიყო და ჩემი შვილიც.

**რომან საყვარელიძე**

# რა გახდა ვარკეთილში 19 წლის ბიჭის მკვლელობის მიზეზი და რას ამბობენ მეგობრები მომხდართან დაკავშირებით

***15 დეკემბერს, ღამით, ვარკეთილში, 19 წლის დავით ხარაზიშვილი მეგობარი გოგონას მამამ მოკლა. შემთხვევის ადგილზე არასრულწლოვანი გოგონას ძმა და ბაბუაც იმყოფებოდნენ. გარდაცვლილს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდეგ კი ცივი იარაღით, ზურგის არეში მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა. დავით ხარაზიშვილის ახლობლების თქმით, მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა. ახალგაზრდა საავადმყოფოში მიყვანამდე დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, 15 წლის გოგონა გარდაცვლილის შეყვარებული იყო, თუმცა, ამას არ ადასტურებენ დავით ხარაზიშვილის ნათესავები.***

**გიორგი ელიზბარაშვილი** *(გარდაცვლილის ბიძა):* „გოგოს, რომელსაც დათო შეხვდა, პირადად იცნობდა. სიმართლეს არ შეესაბამება გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს გოგონა მისი შეყვარებული იყო; უბრალოდ, ისინი მეგობრობდნენ, შესაძლოა, ერთმანეთი მოსწონდათ, თუმცა, სტატუსი არ ჰქონდა მათ ურთიერთობას. მათ შორის რაიმე კონფლიქტის შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის. ამ გოგოს მამამ, ბიძამ და ძმამ დათოს მობილური ტელეფონი წაართვეს. ის ცდილობდა, სახლამდე დაჭრილს მოეღწია, რომ ვინმესთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი, თუმცა, შუა გზაზე სისხლისგან დაიცალა. მხოლოდ მანქანის გაღება და გაჩერება მოასწრო. ის მანქანიდან გადმოვარდნილი იპოვეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველას დააკავებენ, ეს იყო ჯგუფური მკვლელობა“.

***როგორც ცნობილია, დავით ხარაზიშვილი გოგონასთან შესახვედრად დედის მანქანით წავიდა. ამბობენ, რომ მას არასრულწლოვანთან კონფლიქტი არ ჰქონია.***

***მომხდართან დაკავშირებით კომენტარს აკეთებენ გარდაცვლილის მეგობრები.***



**გიორგი ბაბოშვილი**: „ვიცი, რომ ამ გოგომ მისწერა „ფეისბუქზე“, საქმე მაქვს და მნახეო. დათო წავიდა შესახვედრად და სადღაც გავიდნენ მანქანით. როგორც გაირკვა, ჯავახეთის ქუჩაზე შეხვდნენ ამ გოგოს ბაბუას, მამასა და ძმას. სწორედ აქ მოხდა დათოს მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, რომლის დროსაც დანით დაჭრეს და გარდაიცვალა“.

**გიორგი რიჟამაძე**: „შეყვარებულები არ ყოფილან, არასწორი ინფორმაციაა. დათო ისეთი ადამიანი იყო, ვერ შეძლებდა, ვინმესთვის რამე დაეშავებინა. თქვეს, რომ ეს გოგო მანქანაში ეჯდა, როდესაც დაჭრესო. სინამდვილეში რა მოხდა, არ ვიცით, ჩვენც გავრცელებულ ინფორმაციას ვეყრდნობით. ვინც დათოს იცნობდა, დარწმუნებული ვარ, მასზე ცუდს ვერავინ გაიფიქრებს. ვერ გადმოვცემ, ისეთი ადამიანი იყო. როგორ გაიმეტეს სასიკვდილოდ? ყოველთვის მეგობრებთან ერთად იყო. ქუჩაშიც იშვიათად გამოდიოდა. როცა ბიჭები ვთხოვდით, გამოდი, სადმე გავიდეთო, გვეუბნებოდა, რომ მასთან ავსულიყავით. ერთად თუ წავიდოდით, მხოლოდ რაღაც საღამოზე. ძირითადად სახლში იყო. არ უყვარდა გარეთ ხეტიალი. მას არ უნდა შემთხვეოდა ასეთი რამე. მაგ გოგოსთან დაკავშირებით ძმაკაცებთან არასდორს ლაპარაკობდა“.

**ნოდარ ხიდაშელი**: „მართლა არ ვიცი, რის გამო შეიძლებოდა, ეს ჩაედინათ. შეყვარებულები იყვნენ თუ არა, ესეც არ ვიცი. ჩემთვის ცნობილია, რომ რაღაც ურთიერთობა ჰქონდათ. ეს გაიგეს მშობლებმა და, მას შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად იცით. ერთი ჭრილობა მიაყენეს ზურგში და მოკლეს“.

**გიორგი ბაღუშვილი**: „ამ გოგოს მიუწერია „ფეისბუქზე“, საქმე მაქვს, ლაპარაკი მინდა შენთანო. დეტალები არაა ჩვენთვის ცნობილი, თუმცა, როგორც ვიცით, შემთხვევის ადგილზე ის გოგოც იმყოფებოდა“.

***ამ დროისათვის დაკავებულია მხოლოდ არასრულწლოვანი გოგონას მამა. ძმა და ბაბუა კი, ახლობლების ინფორმაციით, ჯერ დააკავეს და შემდეგ გაათავისუფლეს. მეგობრები დათოს იხსენებენ როგორც უწყინარ, კარგ ადამიანს. ის ფოტოების გადაღებით იყო გატაცებული.***

***შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ 1979 წელს დაბადებულმა კახა. ფ-მ, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით ზურგის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა 1995 წელს დაბადებულ დავით ხარაზიშვილს. მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის, სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.***

# რატომ მოკლა არასრულწლოვანმა გოგონამ 35 წლის მამაკაცი და რის საფუძველზე გაათავისუფლეს ის

***თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე, არასრულწლოვანმა გოგონამ 35 წლის მამაკაცი მოკლა. როგორც უწყებაში აცხადებენ, გოგონას თავს მამაკაცი დაესხა, მან კი, თავდაცვის მიზნით, თავდამსხმელს, დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.***

***როგორც იმ უბნის მცხოვრებლები ამბობენ, დანაშაული დაახლოებით ღამის 3 საათზე მოხდა. მოკლული 35 წლამდე იქნებოდა. მისი ვინაობა მათთვის უცნობია; ასევე, არ იციან მიზეზი, რის გამოც გოგონამ მამაკაცი სასიკვდილოდ გაიმეტა. მათივე ინფორმაციით, დაჭრილმა თავდაპირველად ტაქსი გააჩერა და დახმარება ითხოვა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციას, გოგონა მომხდართან დაკავშირებით დაკითხეს და, მოგვიანებით, ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.***

**თამაზ ჭიღაძე** *(ადგილობრივი მცხოვრები):* „რომ გადმოვიხედე, სამართ-



ალდამცველები მუშაობდნენ, სურათებს იღებდნენ. მერე ტაქსის მძღოლს შევეკითხე, შენ დაარტყი-მეთქი? არა, მე გამომიძახეს, ველარ ჩაჯდა მანქანაში და აქვე გარდაიცვალაო. ყვირილიც არავის გაუგია“.

**ჯუმბერ თოდაძე** *(ადგილობრივი მცხოვრები):* „ვიკითხე, რაში იყო საქმე. მითხრეს, რომ ბიჭია დაჭრილი, ტაქსი გააჩერა და, ვიდრე სასწრაფო მოვიდოდა, გარდაიცვალაო, სხვა არაფერი ვიცი“.

**თინა ბეჟანია** *(ადგილობრივი მცხოვრები):* „როგორც გავიგე, ახალგაზრდა კაცი მოკლეს. თავად არ მინახავს არაფერი, მეც ხალხისგან მოვისმინე. კიდევ თქვეს, რომ გოგონას მოუკლავს. არც ერთს არ ვიცნობ, ჩვენს უბანში არ ცხოვრობენ“.

***ექსპერტ-კრიმინალისტები შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ და ქუჩაც გადაკეტილი ჰქონდათ. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა, რა მუხლით, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აკონკრეტებს და არც დამნაშავისა და გარდაცვლილის სახელებს ახმაურებენ.***

**გვერდი მოამზადა**
**ნინო სანებლიძემ**

**მას შემდეგ, რაც ანა ზუბაშვილი „მის საქართველო“ გახდა, თითქმის ნახევარი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მის სამოდელო კარიერაში არაერთი წარმატება იყო. თუმცა, „იმიჯ-ცენტრის“ მოდელის კარიერა ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. „მის საქართველოს“ შემდეგ კი, მისი სამოდელო გამოცდილება უკვე შანხაიში გაგრძელდა.**

# რით დაამახსოვრა „მის მსოფლიოზე“ ყველას თავი ანა ზუბაშვილმა და რომელი მულტფილმის რეჟისორის შთაგონების წყაროდ მიიჩნევდნენ მას

**ანა ზუბაშვილი**: „მის საქართველომდე“ საკმაოდ წარმატებული სამოდელო კარიერა მქონდა, ევროპის ქვეყნებში ვმოგზაურობდი, ვმუშაობდი, როგორც მოდელი. თუმცა, ამ კონკურსმა ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა, უფრო მრავალფეროვანი, დატვირთული გახადა. კონკურსიდან ცოტა ხნის შემდეგ, აზიის ერთ-ერთი ცნობილი სააგენტოდან, რომელსაც ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაში აქვს, მომივიდა შემოთავაზება. დღეს აზია მოდის ეპიცენტრად მიიჩნევა. ცნობილი ბრენდები იქ აწარმობენ თავის პროდუქციას. ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე, რომ აზიის სამოდელო ბაზარზე მუშაობა მომიწევდა.

**– როდის და სად გაემგზავრე?**

– „მის საქართველოს“ ჩატარებიდან ერთ თვეში გავემგზავრე შანხაიში. იქ მუშაობით დიდი გამოცდილება მივიღე. ზოგადად, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გვქონდა. მოდელები საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით, ძალიან კარგ ბუქერებთან ერთად. დღეში მინიმუმ, 5 ან 8 ქასთინგი გვქონდა. ჩემთან ერთად იყო „ელიტ მოდელ ლუქის“ გამარჯვებული, ანასტასია იგონინა და რა თქმა უნდა, ამან უფრო გაგვიადვილა იქ ყოფნა. ქასთინგების შემდეგ სამუშაო გვქონდა, სულ გადარბენებზე ვიყავით. გვიღებდნენ ჩინეთში ცნობილი ჟურნალებისა და კატალოგებისთვის. გადამიღეს „ფოლკსვაგენის“ რეკლამისთვის – ამან კი ჩემი გამოცდილება ერთი-ორად გაზარდა, გაამრავალფეროვნა. ამ რეკლამისთვის გერმანელებთან მომიწია მუშაობა და შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო სამუშაო იყო. სატელევიზიო რეკლამაა და ერთი სული მაქვს როდის ვნახავ. რაც მთავარია, ამ სამუშაოზე ძალიან ბევრი გოგონა ოცნებობდა. დიდი ქასთინგი გაიმართა და საბოლოოდ, მე ამირჩიეს – ეს ჩემთვის კიდევ დიდი ბედნიერება იყო.



აზიის ქვეყნებში ძალიან უყვართ გოგონები თოჯინის გარეგნობით, ვარდისფერი ლოყებით, ჩინური თვალებით და ხშირად ცდილობდნენ, ასეთი იმიჯი გაეკეთებინათ ჩვენთვის

**– შენი უცხო გარეგნობა, განსაკუთრებით კი ულამაზესი თმა, რომელიც საქართველოში სავიზიტო ბარათად იქცა, ალბათ, შანხაიშიც გეხმარებოდა.**

– სხვათა შორის, ჩინეთის სუპერვარსკვლავს, ერთ-ერთ მსახიობს მამსგავსებდნენ. ქასთინგებზე რომ მივდიოდი, მცნობდნენ: შენ ანა ხარ საქართველოდან, ყველა შენზე ლაპარაკობსო. ფოტოებში კი, ვნახე ის ქალბატონი ოდნავ მგავდა თვალებით, მეტი – არაფრით. რაც შეეხება თმას, მხოლოდ მე ვიყავი „რიჟა“ და ალბათ, ამითაც გამოვირჩეოდი. ეს ქასთინგებზე მეხმარებოდა. ჩასვლიდან დაახლოებით ერთ კვირაში, უკვე ყოველდღე მქონდა სამუშაო. ძალიან საინტერესო და სახალისო გადაღება მახსენდება, სადაც თავზე თეთრი პარიკი დამახურეს, „ჰელოუ კიტის“ სამოსი მეცვა. შემდეგ იგივე კატალოგისთვის გადამიღეს შავი პარიკით, თვალები დამიწვრილეს, მოკლედ, ჩინელს დამამსგავსეს. ზოგადად, აზიის ქვეყნებში ძალიან უყვართ გოგონები თოჯინის გარეგნობით, ვარდისფერი ლოყებით, ჩინური თვალებით და ხშირად ცდილობდნენ, ასეთი იმიჯი გაეკეთებინათ ჩვენთვის. სამი თვის განმავლობაში ვიყავი შანხაიში და შეიძლება ითქვას, დრო საკმაოდ საინტერესოდ გავატარე. კმაყოფილი ვარ როგორც მიღებული გამოცდილებით, ასევე, ანაზღაურებითაც. იქაურ კერძებზე ხომ გადავირიე, ხალხიც არაჩვეულებრივია, ქალაქი – თავისთავად.

**– ჩვენებებზეც გამოდიოდი?**

– გამოვდიოდი – პოდიუმი სრულიად განსხვავებული სცენაა, განსაკუთრებული შეგრძნებებით. როდესაც პოდიუმზე გამოვდივარ, მავიწყდება ყველაფერი, თითქოს სხეულში ცეცხლი მენთება და დავფრინავ, როგორც ჩიტი. შანხაიში პოდიუმზე ჩინეთის ცნობილ მოდელებთან ერთად გამოვდიოდი, რომელთაც სიარულის ძალიან საინტერესო მანერა ჰქონდათ. მე, რა თქმა უნდა, ესეც შევისწავლე და ჩემი ცოდნაც ამ მხრივ კიდევ გაიზარდა. თუმცა, ჟურნალებისთვის მუშაობაც ძალიან საინტერესო იყო. იქ ყველა პროფესიონალია და მათთან მუშაობით სერიოზულ გამოცდილებას იღებ. ყველა დეტალს, ნიუანსს დიდ ყურადღებას აქცევენ. ჟურნალებისთვის უნდოდათ ფეშენ-გარეგნობა, ფეშენ-სტილი, ჩაცმულობა, პოზები – შესაბამისად. სერიოზული სამუშაო იყო, დატვირთულიც.

**– მახსოვს, კონკურსზე ავტომობილი მოიგე. აიღე მართვის მოწმობა, დადიხარ უკვე?**

– ჯერჯერობით არ ამიღია მართვის მოწმობა, რადგან როგორც კი „მის საქართველოზე“ გავიმარჯვე, მალევე გავემგზავრე შანხაიში. ახლა ჩამოვედი „მის მსოფლიოდან“. ისეთი ცუდი შეგრძნებაა, როცა ავტომობილი გყავს და მხოლოდ უყურებ, ვერ ატარებ. ტარება ვიცი, ზოგჯერ ჩუმად, ისე შეუმჩნევლად ვატარებ, რომ არავის დაუფიქსირებია – თან, წესებს არც ვარღვევ. მაგრამ, აუცილებლად ავიღებ მართვის მოწმობას.

**– ცოტა ხნის წინ „მის მსოფლიოზე“ იმყოფებოდი.**

– „მის მსოფლიო 2014” 14 დეკემბერს გაიმართა ქალაქ ლონდონში. მოსამზადებელი პერიოდი 24 დღე გრძელდებოდა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული პერიოდი. უპირველეს ყოვლისა, სიხარულით, ბედნიერებით და შემდეგ – რეპეტიციებით, საქველმოქმედო, საშობაო საღამოებით, ინტერვიუებით, გადაღებებით. მე თავს გამარჯვებულად მივიჩნევ, რადგან შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი, რომლებიც უკვე საოცრად მენატრებიან. ზუსტად ვიცი, რომ მათთან ურთიერთობას არავითარ შემთხვევაში არ შევწყვეტ. მივიღე დიდი გამოცდილება და გავიცანი უამრავი პატივსაცემი ადამიანი. კონკურსზე 121 ქვეყნის წარმომადგენელი იყო. რაოდენ უცნაურად და დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, პირველივე დღიდან ძალიან დავახლოვდით და საბოლოო ჯამში, MISS WORLD FAMILY გავხდით. მე „მის ლატვიასთან“ ერთად ვცხოვრობდი. საოცარი გრაფიკი გვქონდა: დილის 5-6 საათზე ვდგებოდით მოსამზადებლად და საუზმის დასრულებისთანავე, გვეწყებოდა გადაღებები, ინტერვიუები, შიდა კონკურსები. ჩვენგან მხოლოდ პუნქტუალობას ითხოვდნენ, გვიკრძალავდნენ სასტუმროს გარეთ საკუთარი ინიციატივით გასვლას. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს საცურაო კოსტიუმზე თინათინ მაღალაშვილმა იზრუნა, ხოლო საღამოს კაბებზე – „მარიონელამ“, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

**– როგორი იყო შენ მიმართ დამოკიდებულება?**

– ჩასვლის დღიდან, ყველა კონკურსანტმა და ორგანიზატორმა იცოდა, რომ მე „მის საქართველო“ ვიყავი. ჩემი გარეგნობის გამო, ადვილად დამიმახსოვრეს და სულ ცდილობდნენ, გამარჯობის თქმა დაესწროთ და ამით აეღნიშნათ, რომ მიცნობდნენ. ინგლისელები ყველაზე თბილი ხალხია – საოცრად თავაზიანები, სულ იღიმებოდნენ, კომპლიმენტებით გვანებივრებდნენ. მადლობა ღმერთს, ერთი წუთითაც არ მიგრძნია, რომ ვინმე ჩემზე რამით მეტი იყო, პირიქით, თავს საქართველოს ღირსეულ წამომადგენლად მივიჩნევდი. გარდა ამისა, მამსგავსებდნენ მულტფილმ the brave-ის გმირს, მერიდას. მეკითხებოდნენ, მე ხომ არ ვიყავი რეჟისორის შთაგონების წყარო. საბოლოოდ, გაიმარჯვა სამხრეთ აფრიკამ. ყველას ძალიან გაგვიხარდა, ნამდვილად დაიმსახურა. წელს ყველაზე მაგარი „მის მსოფლიო“ იყო. მთავარ ორგანიზატორს, ჯულია მორლეის დაბადების დღე ჰქონდა და თითქმის ყველა „მის მსოფლიო” იყო მოწვეული, მათ შორის, აიშვარია რაიც. რომ გავიგე, ჩამოდიოდა ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ამასთანავე, კონკურსის დასკვინითი ნაწილი the vamps-ის სიმღერით დასრულდა, რომელიც ძალიან ცნობილი ჯგუფია.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ყველაფერი ძველებურადაა, არავინ გამოჩენილა. ბევრი გეგმა მაქვს და ამისთვის დროც არ მრჩება, ამიტომ, ჯერ არავის დავუინტერესებივარ.

**– და როგორი უნდა იყოს ბიჭი, რომ დაგაინტერესოს?**

– ადრე ვთქვი და ახლაც ვიტყვი: ისეთი უნდა იყოს, როგორიც „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არიან. თუ ვიპოვი ასეთს, ძალიან კარგი იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# ვინ ხარ მისთვის?!

*ხართ მისთვის ერთადერთი ქალი, რომლის გვერდითაც ის დარჩენილი ცხოვრების გატარებას ისურვებდა? თქვენი ერთად ყოფნა დღესასწაულია და ბედნიერებაა ორივესთვის? – გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს და ყოველი დადებითი პასუხისთვის დაწერეთ 1 ქულა, მერე შეკრიბეთ და ნახეთ პასუხები:*

**1. სამსახურის დამთავრების შემდეგ ორივე მაშინვე სახლისკენ მიდიხართ, რომ საღამო ერთად გაატაროთ?**

**2. ცდილობთ, თქვენს საყვარელ ადამიანს კომფორტული გარემო შეუქმნათ, მაგალითად, მოუმზადოთ რამე გემრიელი ან უყიდოთ საყვარელი სასუსნავი?**

**3. გიკოცნიათ ერთმანეთისთვის ბოლო დროს სახალხოდ?**

**4. ერთმანეთს ხშირად ეფერებით?**



**5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ პარტნიორებმა (ცოლ-ქმარმა) ერთმანეთის გარეგნობაზე უნდა იზრუნონ?**

**6. არის თქვენი მეორე ნახევარი ნებისმიერი კამპანიის სული და გული?**

**7. ხშირად ელაპარაკებით ერთმანეთს ინტიმურ თემებზე?**

**8. შეგიძლიათ, დამოუკიდებლად უყიდოთ მას ქვედა საცვალი და სთხოვოთ, თქვენც შეგარჩევინოთ შესაფერისი საცვლები?**

**9. ეუბნებით ერთმანეთს, რომ, როცა ერთად ხართ, ყველგან ძალიან კარგად გრძნობთ თავს?**

**10. სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილები გიყვარდათ?**

**11. იღებთ სიამოვნებას მასთან ფიზიკური სიახლოვით?**

**12. სერიოზულად გაბრაზდებით მასზე, თუკი ის ქუჩაში ერთ საათს გალოდინებთ?**

**13. შეგიძლიათ, თამამად მოუყვეთ თქვენს პარტნიორს თქვენი სექსუალური ფანტაზიების შესახებ?**

**14. მოუყვებით თუ არა მას თქვენი სურვილების შესახებ და სთხოვთ, ერთად განახორციელოთ ისინი?**

**15. ხშირია თქვენ შორის კონფლიქტები თუ სწრაფად აგვარებთ გაუგებრობებს?**

**16. შეგიძლიათ, თამამად გაიხადოთ პარტნიორის თვალწინ?**

**17. გიხარიათ, როცა მარტო მიდიხართ მივლინებაში, რომ გარემო შეიცვალოთ და მოგენატროთ ერთმანეთი?**

**18. მიგიღიათ ერთად შხაპი ან აბაზანა? ფიქრობთ, რომ ეს ბუნებრივი და ნორმალურია?**

**19. როცა სტუმრად მიდიხართ, ცდილობთ, იქ თავი ყველას მოაწონოთ?**

**20. გიყვართ ექსპერიმენტები და არ გეშინიათ თამამი გადაწყვეტილებების?**

**21. როცა პარტნიორი გსაყვედურობთ ან შენიშვნას გაძლევთ, თქვენ ამას ხმამაღლა აპროტესტებთ?**

**22. გქონიათ თუ არა ინტიმური სიახლოვე დღისით და მიგაჩნიათ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია?**

**23. ხშირად უყურებთ ეროტიკულ ფილმებს ერთად?**

**24. ყოველთვის აქცევთ საუბრისას ყურადღებას თქვენი პარტნიორის სახის გამომეტყველებას?**

**25. ეთანხმებით თუ არა იმას, რომ ურთიერთობაში მთავარი სულიერი სიახლოვე და ურთიერთგაგებაა და უსიტყვოდ უნდა გესმოდეთ ერთმანეთის?**

**26. ფიქრობთ, რომ სენტიმენტები, სასიყვარულო სცენები აუცილებელია ჰარმონიული ურთიერთობისთვის?**

**27. იწვევენ თქვენს ინტერესს ადამიანები, რომელთა ცხოვრების სტილი განსხვავდება თქვენი ცხოვრების სტილისგან?**

**28. კომფორტულად გრძნობთ თავს ძალიან „გახსნილ“ სამოსში უცხო ადამიანებს შორის?**

**29. მოგწონთ, როცა გარშემო მყოფები მოწონებით გიყურებენ და ინტერესით გაკვირდებიან?**

**30. სექსუალურობა ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა და თანდაყოლილი ნიჭია?!**

**დათვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:**

*0-დან 10 ქულამდე: თქვენი ინდივიდუალურობა და ხიბლი მაშინვე არ არის შესამჩნევი, რაც ცოტათი გირთულებთ ცხოვრებას. ნუ მალავთ თქვენს შინაგან პოზიტიურ ემოციებს. თქვენი პარტნიორი ვერ ხვდება, როგორი ხართ სინამდვილეში. თუ მოახერხებთ, „გაიხსნათ“, შეუდარებელი გახდებით მისთვის.*

*11-20 ქულა: თქვენი პარტნიორი ფიქრობს, რომ მისთვის ნამდვილი აღმოჩენა ხართ. ნუ მოერიდებით, გასცეთ გრძნობა და ემოცია – ეს ყველაფერი ორმაგად დაგიბრუნდებათ უკან.*

*21-30 ქულა: თქვენი პარტნიორისთვის შეუცვლელი მანამდე ვერ იქნებით, სანამ თავს არ დაანებებთ თამაშს. ის ცდილობს, თქვენთან უფრო ახლოს მოვიდეს, მაგრამ ამით აშინებთ. გინდათ, დიდხანს იყოს ის თქვენთან?! – მაშინ, იყავით გულწრფელი.*

## რა მოხდა ამ დღეს

**22 დეკემბერი**

1216 – რომის პაპამ, ჰონორიუს მესამემ, დაამტკიცა დომინიკელ ბერთა ორდენი, რომელიც მომავალში ინკვიზიციის მთავარი დამრტყმელი ძალა გახდა.

1882 – ედუარდ ჯონსონმა გამოიგონა ნაძვის ხის ელექტროგირლანდები.

1933 – მარკუს ვან დერ ლიუბეს სიკვდილი მიუსაჯეს ბერლინის რაიხსტაგის დაწვისთვის.

1989 – რუმინეთში დაემხო ჩაუშესკუს რეჟიმი.

**23 დეკემბერი**

1888 – ვინსენტ ვან გოგმა საფრანგეთის ქალაქ არლიში ნერვული შეტევის ნიადაგზე მოიჭრა მარცხენა ყური.

1947 – ამერიკელმა მეცნიერებმა – უილიამ შოლკმა, უოლტერ ბრატეინმა და ჯონ ბარდინმა შექმნეს პირველი ტრანზისტორი.

1953 – დახვრიტეს ლავრენტი ბერია.

**24 დეკემბერი**

1726 – სამხრეთ ამერიკაში დაარსდა ქალაქი სან ფელიპე-ი-სანტიაგო დე მონტევიდეო (ურუგვაის ამჟამინდელი დედაქალაქი).

1866 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რასისტული ორგანიზაცია – „კუ-კლუქს კლანი“.

1871 – კაიროში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდას“ პრემიერა.

**25 დეკემბერი**

336 – პირველი დოკუმენტურად დადასტურებული შობის დღესასწაული რომის იმპერიაში.

1066 – უილიამ დამპყრობელი გახდა ინგლისის მეფე; ინგლისში დამკვიდრდა ნორმანთა დინასტია.

1989 – ნიკოლაი და ელენა ჩაუშესკუების დახვრეტა რუმინეთში.

1991 – საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა მიხაილ გორბაჩოვი.

**26 დეკემბერი**

1606 – ლონდონში პირველად დაიდგა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“.

1825 – დეკაბრისტების უიღბლო აჯანყება სანკტ-პეტერბურგში.

1865 – ჯეიმს მეისონმა გამოიგონა ჩაიდანი სასტვენით.

1946 – ლას-ვეგასში გაიხსნა პირველი სამორინე – „ფლამინგო“.

**27 დეკემბერი**

1871 – ლონდონში, „ბროლის სასახლეში,“ მსოფლიოში პირველად მოეწყო კატების გამოფენა.

1979 – რუსებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება ავღანეთში.

**28 დეკემბერი**

418 – რომის პაპმა ბონიფაციუსმა, პირველმა რომის მღვდელმთავართაგან, თავი გამოაცხადა ყველა ქრისტიანის სულიერ მამად.

1869 – უილიამ ფინლი სემპლმა მიიღო პატენტი საღეჭ რეზინზე.

1895 – კინემატოგრაფის დაბადების დღე. ამ დღეს ძმებმა ლუიმერებმა პარიზში წარმოადგინეს ფილმი – „მატარებლის შემოსვლა სადგურზე“.

1908 – სიცილიაში ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ქალაქი მესინა.

1973 – პარიზში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის რომანი – „არქიპელაგი გულაგი“.

# როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №27-20(729)

პირველმა შოკმა რომ გაუარა, კოტემ გაიღიმა, ფეხი ფეხზე გადაიდო და დაუპატიჟებელ სტუმარს სიძულვილით მიაჩერდა:

– ესე იგი, კრიმინალი პრესკონფერენციის მოწყობას გეგმავს. საინტერესოა, ძალიან საინტერესო... მაინც, რა გგონია, შენ უფრო მოგისმენენ და დაგიჯერებენ თუ მე? რაც შეეხება ჩემს ცოლს, ვერც მაგით შემაშინებ, ისედაც ვაპირებდი ამ დღეებში მისთვის ყველაფერი მეთქვა.

– ჰო? ძალიან გამბედავი გამხდარხარ, ადრე ასეთი არ იყავი. მახსოვს, როგორ აცეცებდი თვალებს შეშინებული ვირთხასავით, როცა შენს ბიზნესპარტნიორსა და მფარველს ყოვლად უკადრისი მეთოდებით იშორებდი გზიდან. ისიც ხომ არ შეგახსენო, როგორ დაამთავრა სიცოცხლე იმ უბედურმა?

კოტეს წარბი არ შეუხრია ამ სიტყვების მოსმენისას. სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა, თითებს კი მელოდიურად აკაკუნებდა მაგიდის გაპრიალებულ ზედაპირზე.

– ისევ ისეთი იდიოტი ხარ, როგორიც იყავი. სულ ტყუილად გგონია, რომ რამე ისწავლე. მოდი, ასე შევთანხმდეთ: რაღაც თანხას მოგცემ, ოღონდ, იმიტომ არა, რომ შენი მეშინია. მაგ ნაბოდვარს არავინ დაიჯერებს. უბრალოდ, ძველი ნაცნობობის ხათრით; თან, ვითვალისწინებ ციხიდან ახალგამოსული კაცის მდგომარეობას და ამიტომ გეხმარები. ორი ათასი დოლარი გეყოფა იმისთვის, რომ დაიბანო, დაივარცხნო, წესიერი ტანსაცმელი იყიდო და ადამიანს დაემსგავსო, მერე რაღაც სამსახურის შოვნასაც შეძლებ, რაც მე ნაკლებად მაინტერესებს.

დიმიტრი ჭარხალივით გაწითლდა:

– ორი ათას დოლარად გინდა თავიდან მომიშორო, თანაც, ჩემი დუმილი იყიდო? დამცინი? მაგიტომ ვიჯექი თხუთმეტი წელი ციხეში?

– თხუთმეტი წელი იმიტომ იჯექი, რომ



ამდენი მოგისაჯეს და ეგ ჩემი ბრალი სულაც არ არის.

– რა?! შენ არ მითხარი, რომ იმ ქალს უნდა დავჯახებოდი?

– მერე, კი არ უნდა მოგეკლა, იდიოტო, მხოლოდ უნდა შეგეშინებინა, შენ კი რა გააკეთე? – იფეთქა კოტემ, – ხომ იცოდი, მის მიმართ როგორი დამოკიდებულებაც მქონდა, რატომ იფიქრე, რომ გამიხარდებოდა, თუ მოკლავდი? რეგვენო! სიამოვნებით ჩემი ხელით დაგახრჩობდი მაგისთვის...

– იმიტომაც არ გააკეთე არაფერი, რომ ნაკლები მოესაჯათ? შენ კი დამპირდი, რომ...

– ჰო, დაგპირდი, თუ ყველაფერს ისე გააკეთებდი, როგორც მე გითხარი. შენ პირველმა დაარღვიე პირობა, ასე რომ, პრეტენზიები არ მიიღება.

– კოტე, ნუ ცდილობ, მოთმინება დამაკარგვინო...

– ჩემი მოთმინების ფიალის ავსებისაც გეშინოდეს... – წარბი შეიკრა კოტემ, – აიღე, რასაც გაძლევ და აქედან დამეკარგე. საკუთარ თავს დააბრალე, რომ ახლა ჩემ გვერდითა კაბინეტში არ ზიხარ. არადა, შანსი გქონდა, რომელიც ვერ გამოიყენე.

– ქალის მკვლელობასთან ერთად, მისი ქმრის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტიც მე შემომტენეს. ამაშიც ხომ შენი ხელი ერია?

კოტემ მხრები აიჩეჩა – ვერ გაიგებდი, ეთანხმებოდა თუ უარობდა.

– მოკლედ, მე ამდენი დრო არ მაქვს. თანახმა ხარ ჩემს შემოთავაზებაზე თუ არა?

– რომ არ დავთანხმდე? – მოსინჯა დიმიტრიმ ნიადაგი.

– შენი გადასაწყვეტია. მაშინ, ვერაფერს მიიღებ და ეგ იქნება. სულ რომ თავდაყირა დადგე, შანტაჟის რა ფორმასაც არ უნდა მიმართო, ორასი ათას დოლარს ჩემგან ვერ მიიღებ.

– ნაძირალა და საშიში კაცი ხარ, კოტე კიტია.

კოტემ გაიცინა:

– ციხეში მაგის გარდა ვერაფერს მიხვდი?.. ცუდია... თუმცა, თუ ადამიანი უჭკუოა, უჭკუოდვე დარჩება.

– ხუთი ათასი დოლარი მაინც მომეცი. მანქანას ვიყიდი და ვიტაქსავებ.

– ორი ათასი დოლარი და არც ერთი თეთრით მეტი, – ჯიუტად გაიმეორა კოტემ – ახლავე გაძლევ, იცოდე.

– სამი ათასი...

– ფუ, მევაჭრები? რა საზიზღრობაა! მაგრამ, მოგცემ სამი ათასს, ოღონდ, გაფრთხილებ: თუ ჩემს სიახლოვეს კიდევ გამოჩნდები, აღარ დაგინდობ. მიცნობ და, იცი, რისი გაკეთებაც შემიძლია.

– ჰო, ამის მაგალითები მაქვს, – დიმიტრის რიხი და შემართება სადღაც გაქრა და აკანკალებული თითებით ხარბად ითვლიდა ასდოლარიანების კუპიურებს, კიტიამ რომ დაუწყო წინ...

– შეიძლება, ზოგჯერ შემოგიარო ხოლმე? – ჰკითხა ზიზღით მომზირალ კოტეს, ფულის თვლას რომ მორჩა და ჯიბეში ჩაიკუჭა, – ისე, სალაპარაკოდ.

– არა! ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

– შენ ხომ ცოლს ყოველთვის ღალატობდი... მე კი პირველად რომ ვნახე, ვიფიქრე, ასეთი ლამაზი ქალი ჩემი რომ ყოფილიყო, ვერასდროს ვუღალატებდი-მეთქი.

– არ გინდა სენტიმენტები და ჩემს ცოლსაც შეეშვი – ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავს.

– ჰო, შენ ერთხელ მითხარი, რომ ის ქალი გიყვარდა, მაგრამ, ისიც ხომ გაიმეტე...

– გეყოფა! ფული ხომ აიღე, წადი და უკან აღარ მობრუნდე... აღარასოდეს.

დიმიტრიმ თავი დააქნია და ადგა, მაგრამ, კართან მისული ისევ შემობრუნდა.

– კიდევ რამის თქმას თუ აპირებ, გაფრთხილებ, ჩემს მოთმინების ფიალას ერთი წვეთიღა აკლია და იმასაც დაკარგავ, რაც მოგეცი...

– დაგმშვიდობებოდი, მინდოდა... თუმცა, შენ ეს არაფერში გჭირდება.

– არც შენ გჭირდები, დამიჯერე...

დიმიტრი რომ წავიდა, კიტიამ რევოლვერი ისევ სეიფში შეინახა და დარეკა:

– ზურაბ, მე ამ დოკუმენტებს გავეცანი. მოკლედ, ჩემი ორი მაღაზიის გაყიდვა მინდა.... არა, ისინი ქალბატონ ელენეს არ ეკუთვნის.... არც ჩემზეა გაფორმებული, მაგრამ, ის ტიპი პრობლემას არ შექმნის... კარგი, შენ კლიენტი ნახე, დანარჩენს მე მოვაგვარებ... კი, მეჩქარება, თუმცა, იაფად გადაგდებასაც არ ვაპირებ... კიდევ რა აქტივები მაქვს? ჰო, მიწა, ვიცი... არა... მაგ ბინას დროებით თავი დავანებოთ, შეიძლება, დამჭირდეს...

***

ლენუკას ვიღაც ემოციურად, აჟიტირებული ელაპარაკებოდა მობილურით, როცა კოტე მისაღებ ოთახში, ცოლი სალონს რომ ეძახდა, შევიდა და სავარძელში ჩაეშვა. ლენუკამ ქმარს გაუღიმა და ტელეფონს ჩასძახა: – კარგი, კარგი, მერე დამირეკე... გამაოცე, მაგრამ, ისღა დამრჩენია, მოგილოცო..

– კოტე, ისეთ რაღაცას გეტყვი, გაგიჟები, – ლენუკა სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა კოტეს და მხარზე ჩამოეყრდნო.

– მეც უნდა გითხრა რაღაც... – მძიმედ, ენის ბორძიკით თქვა კაცმა.

– მართლა? უკვე გაიგე? კი მაგრამ, საიდან? მეგონა, პირველს მე დამირეკა.

– ვის უნდა დაერეკა ან რა უნდა გამეგო? მე სერიოზულ თემაზე უნდა დაგელაპარაკო.

– რაზე? ალბათ, სანდროს შესახებ... იცი, რა ვიფიქრე? თუ ასე უნდა, წავიდეს ლონდონში. ფულიც არ არის პრობლემა. ბოლოს და ბოლოს, იმ ბინას გავყიდით, მაინც ტყუილად არის. არც ვაქირავებთ და არც არავინ ცხოვრობს შიგ.

– იმ ბინას არ გავყიდით! – მოულოდნელად აფეთქდა კაცი, – არავითარ შემთხვევაში! მაგაზე არც მელაპარაკო. და, საერთოდაც, მინდა, სიმართლე იცოდე: მე მთელი ცხოვრება შენ გღალატობდი, ცოლად მოყვანის პირველივე დღიდან... თიკოსთანაც გიღალატე, შენს დაქალთან – ორი წლის განმავლობაში იყო ჩემი საყვარელი, ევროპაშიც მყავდა რამდენჯერმე და მანქანაც მე ვუყიდე...

– გეყოფა! – შეჰკივლა ლენუკამ და ყურებზე აიფარა ხელისგულები, – გეყოფა! საკმარისია! ვიცოდი, რომ ნაძირალა იყავი! ვიცოდი, რომ სულ გყავდა ვიღაც – მაგის მიხვედრას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა, ნა-

ირ-ნაირი სუნამოების სურნელით გაჟღენთილი პერანგებით ბრუნდებოდი სახლში და ისედაც გატყობდი, რომ აღარ გიყვარდი, თუკი საერთოდ გიყვარდი ოდესმე... მაგრამ, თიკო?!. ეს უკვე მეტისმეტია, თიკო როგორ ჩაიწვინე ლოგინში?! თიკოს დასავით ვენდობოდი... არადა, თურმე, ორი წელი იყო შენი საყვარელი და ორი წელი მაყრიდით თვალებში ნაცარს ორივე! მე არ ვიცი, ამას რა ჰქვია... – ლენუკას თვალები ცრემლებით აევსო და კოტეს პირველად შეებრალა ცოლი.

– მარტო მე არ ვარ დამნაშავე. თიკოსაც არ გაუწევია დიდი წინააღმდეგობა, თუ გინდა, სიმართლე იცოდე, – ჩაილაპარაკა თავის გასამართლებლად.

– გული მერევა შენზე... მინდა, მძულდე და, ალბათ, შეგიძულებ კიდეც, მაგრამ, ახლა ვერაფერს ვგრძნობ, გარდა აუტანელი ტკივილისა... არ გაპატიებთ ამას!

– და... რას იზამ, თიკოს მიუვარდები და თმაში ჩაავლებ ხელს, მე კი გამეყრები? – დაუფარავი ინტერესით იკითხა კიტიამ.

– თიკო გათხოვდა... – ჩამწყდარი, ჩაკარგული ხმით ჩაილაპარაკა ლენუკამ, – სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, როცა მოხვედი... ბეჟანს გაჰყვა – იცი შენ ბეჟანი. ჰმ, სასაცილოა, რომ ეგეც მე გავაცანი... ესე იგი, ჩემთან როცა იყო და ვილაცის ზარზე გარბოდა, შენ ბრძანდებოდი ის „ვილაც“?

– ლენუკა, ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? ხომ ხედავ, ყველაფერი გითხარი.

– რატომ მითხარი? სინდისმა შეგაწუხა? შენ რომ სინდისი გქონოდა, აქამდეც არ იქნებოდი ის ჩუმად... რაღა მაინცდამაინც დღეს გაიღვიძა? კოტე, ვიცი, რომ შენს არაკაცობას საზღვარი არ აქვს, მაგრამ, ამჯერად უნდა მითხრა, რაშია საქმე, რა ჩაიფიქრე? მითხარი, ხომ ხედავ, მშვიდად გელაპარაკები...

– შეყვარებული ვარ... – ხანმოკლე დუმილის შემდეგ, ყოყმანით თქვა კაცმა და საკუთარ თითებს ჩააშტერდა.

ლენუკამ ჯერ განცვიფრებით შეხედა ქმარს, მერე კი ისტერიული სიცილი აუტყდა.

– ჰა, ჰა! შეყვარებული ვარო... იცი კი საერთოდ, რას ნიშნავს სიყვარული, რა არის ეს, რა გრძნობაა? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... ესე იგი, ორი წელი დაგჭირდა იმის მისახვედრად, რომ თიკო გიყვარს. აი, ბეჟანი შენზე გაცილებით სწრაფი აღმოჩნდა – სამ კვირაში გადაწყვიტა, ეს ქალი მიყვარსო და ცოლადაც შეირთო. დილით წასულან საქორწინო მოგზაურობაში... ახლა შენ რა გეშველება? გაგიფრინდა ჯულიეტა, შე უდღეურო რომეო...

კიტია ბოლომდე უხმოდ უსმენდა ცოლის მონოლოგს და მისკენ ერთხელაც არ გაუხედავს. ლენუკა სიგარეტის მოსაკიდებლად რომ გაჩუმდა, ხმადაბლა წარმოთქვა:

– მე თიკოსთან ყველაფერი დავამთავრე. სხვა შემიყვარდა...

ლენუკამ ზიზღით გადახედა ქმარს:

– შენ ავად ხარ... შემორჩენილი ჰორმონების მობილიზაციას ცდილობ და, რადგან იცი, რომ ეს დროებითია, გამწარებული დონჟუანობ... ვინ არის?

– არ იცნობ... ეს მართლა არ არის ის, რასაც შენ ფიქრობ...

– მე რასაც ვფიქრობ? შე უბედურო, შენ რომ ჩემი ფიქრების ან, ზოგადად, ქალის ფიქრების მიხვედრა შეგეძლოს, რაღა გიჭირდა? ვერ ნახე, თიკომ როგორ გამოგიყენა და მიგაგდო? – გათხოვდა გოგო! დარწმუნებული ვარ, ამ ახალსაც შენი „გამოწველა“ აქვს გადაწყვეტილი. თან გყავდა, ხომ, ირლანდიაში...

– ლენუკა მე ის მიყვარს და ჯერ არაფერი გვქონია...

– ეგ არის და დავიჯერე, რომ ხელიდან გაუშვებდი... მეზიზღები!.. როგორ ვიცხოვრე შენთან ამდენი წელი?

– ახლა გათავისუფლებ. მეც აღარ შემიძლია ტყუილში ცხოვრება. თან, გამუდმებით მასზე ვფიქრობ.

– საერთოდ არ გრცხვენია, ამას რომ მეუბნები? სულ დაკარგე სირცხვილი? – იწივლა ლენუკამ.

– მე ახლა ჩავალაგებ ჩემს ნივთებს და იმ ბინაში გადავალ... აღარ შეგაწუხებ...

– უნამუსო! ასე იოლად ვერ დამიძვრები! მე არასდროს დავთანხმდები განქორწინებაზე.

– ეგ მხოლოდ დროის საკითხია, საყვარელო, – გაეღიმა კოტეს, – ველაპარაკე უკვე ჩემს ადვოკატს, მაინც გაგვყრიან.

– არაფერს მოგცემ, უკაპიკოტ დაგტოვებ!.. – მიაძახა ლენუკამ.

– მაგაზეც ვიფიქრე. ნუ ღელავ, ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება. მზად ვარ, ჩემი ქონების ნაწილს შეველიო კიდეც.

– ასე ძვირად გიღირს ის ძუკნა? – ისტერიულად აყვირდა ლენუკა, – კახპა! მითხარი, ვინ არის!

– საჭიროდ არ მიმაჩნია, გითხრა მისი ვინაობა, მით უმეტეს, რომ არ იცნობ.

– სანდრომ თუ იცის შენი ამჩატების ამბავი? გადარიე, ხომ, ბიჭი. იმის მაგივრად, რომ შვილის ბედნიერებაზე ფიქრობდე, პირადი ცხოვრების მოწყობით ხარ დაკავებული.

– მე მაქვს ამისი უფლება. მინდა, დარჩენილი წლები იმ ადამიანის გვერდით გავატარო, ვინც მიყვარს.

– ეგოისტი ხარ და ყოველთვის ასეთი იყავი. მეც ყოველთვის ფეხებზე გეკიდე და ყველა, მათ შორის – სანდრო...

– ჩემი და ჩემი შვილის ურთიერთობაში ნუ ჩაერევი. სანდრო უკვე კაცია, ავუხსნი და გაიგებს.

– როგორ არა, გაიგებს... ხელის მომკიდედაც დაგიდგება ქორწილში, – დასცინა ლენუკამ, – მალე განახავ, მიტოვებული და რქებდადგმული ისევ ჩემთან რომ მოხოხდები და პატიებას მთხოვ.

– ეგ არ მოხდება, – კოტე საძინებელ ოთახში გავიდა, კარადიდან ჩანთა გამოიღო და ტანსაცმლის ჩალაგებას შეუდგა.

– იცოდე, თუ ახლა წახვალ, უკან ველარასდროს მობრუნდები. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვისაც, რომ სანდრომ შეგიძულოს!

– ვიცი, ცდას რომ არ დააკლებ, – ჩაეცინა კოტეს, – ეჭვი არ მეპარება მაგაში.

– ნუთუ აღარაფერი გაღელვებს, სულ არაფერი?

– მხოლოდ ის, რომ შენთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ვერ მოვახერხებ. ყოველთვის ჩემს მტრად დარჩები, – ამოიოხრა კაცმა.

– მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, ჩემს დაქალს რომ იწვენდი ლოგინში, არამზადა! წადი, დროზე წადი, შენი ყურება აღარ შემიძლია!

კოტემ ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო, რგოლიდან რამდენიმე გასაღები მოხსნა



და ლოგინზე დააწყო.

– აქ ამ ბინისა და წყნეთის სახლის გასაღებია, ორივეს შენ გიტოვებ.

– მე კი არა, შენს შვილს უტოვებ, დეგენერატო! მძულხარ, მძულხარ, მძულხარ! – ფეხები ისტერიულად დააბაკუნა ლენუკამ.

– წყალი დალიე, ლენუკა, დამშვიდდები... – კოტემ ჩანთას მოჰკიდა ხელი და გასასვლელისკენ გაემართა.

– დაიცადე, ეს გრჩება, – იწივლა ქალმა, ელექტროსაპარსი მთელი ძალით გაუქანა და ესროლა. კოტემ თავის გაწევა მოასწრო, საპარსი კედელს მოხვდა და ნაწილებად დაიშალა. კაცს არც უფიქრია მისი იატაკიდან აკრეფა, ცოლს საყვედურით შეხედა და კარი გაიჯახუნა. ლენუკა რამდენიმე წამი გაშეშებულივით იდგა, მერე ოთახში შევარდა, მობილური აიღო და სანდროსთან დარეკა, ბიჭმა რამდენიმე ზარის შემდეგ უპასუხა.

– სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე, სანდრო! ჰო, ძალიან ცუდად ვარ, ძალიან... მამაშენი სახლიდან წავიდა... სულ წავიდა... მშორდება... გემუდარები, როგორც კი მოახერხებ, მაშინვე წამოდი... ეს შენც გეხება... შეყვარებულია... ვინ და მამაშენი. დანარჩენს აქ მოგიყვები. ჰო, სწორედ ახლა გაიხურა კარი. ყოველთვის უსინდისო იყო, მაგრამ, აქამდეც თუ მივიდოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი... ჩამოდი, შვილო... მარტო ვარ და ძალიან უბედური... რაღაც უნდა ვიღონოთ... ეგ ისეთი არამზადაა, ყველაფერს იღონებს, რომ ცარიელები დაგვტოვოს... უნდა ჩამოხვიდე!

...საკეტში მძიმედ გადატრიალდა გასაღები. დაგუბებული, მძიმე ჰაერი შესვლისთანავე დაეტაკა კოტეს და თავბრუ დაახვია. ჩანთა იატაკზე დადო და ფანჯარა გამოაღო, მერე ყველა ოთახი შემოიარა, ყველა ფანჯარა გააღო და მძიმე ხავერდის ფარდებიც ბოლომდე გადასწია... ხარბად სუნთქავდა ცივ ჰაერს და გრძნობდა, რომ მხრებიდან სიმძიმე მოეხსნა – ახლა უკვე შეეძლო, დაერეკა დიანასთვის და როგორმე მასთან ჩამოსვლაზე დაეთანხმებინა, ან, ბილეთი აეღო და თავად გადაფრენილიყო ლონდონში. კონკრეტულად რას ეტყოდა, ჯერ მოფიქრებულიც არ ჰქონდა, მაგრამ, ერთში მტკიცედ იყო დარწმუნებული – დეას გარეშე ცხოვრებას ველარ შეძლებდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა**: **რა ტემპერატურაა სასურველი სინგონიუმისთვის?**

**პასუხი**: კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. უფრო მაღალი ტემპერატურის პირობებში მცენარეს მაღალი ტენიანობა სჭირდება. მიწა მთელი წლის განმავლობაში ტენიანი უნდა იყოს, ოღონდ, მორწყვიდან მორწყვამდე შეშრობა უნდა აცადოთ.

**კითხვა**: **როგორ გავამრავლო ეონიუმი?**

**პასუხი**: ამ მცენარის გასამრავლებლად საჭიროა მოაცალოთ როზეტები და ტენიან, ქვიშიან ნიადაგში ჩარგათ. როდესაც გაიზრდება, მყარად რომ იდგეს, მოზრდილ და მძიმე ქოთანში მოათავსეთ.

**კითხვა**: **ვერაფრით ვერ გავზარდე კალათეა. მაინტერესებს მიზეზი, ან, მირჩიეთ, რა პირობები შევუქმნა, რომ გაიზარდოს?**

**პასუხი**: კალათეა უნდა მოარიდოთ ორპირ ქარს. ამ მცენარეს, ასევე, არ მოსწონს სიცხე და სიმშრალე. თუ მზის გულს მოარიდებთ და ფესვებს ხშირად დაუტენიანებთ, კალათეა მშვენივრად გაიზრდება და პრობლემებს აღარ შეგიქმნით. ფოთლების სიხასხასის შესანარჩუნებლად ხშირად გაწმინდეთ ხოლმე, კერძოდ, წვიმიანისას მცენარე ამოაყირავეთ და ფოთლები წყლიან ჯამში გაავლეთ.

**კითხვა**: **რომელ მცენარეს მირჩევდით ჩაბნელებულ ადგილებში დასადგმელად?**

**პასუხი**: ერთი შეხედვით, შეიძლება, შეუძლებელი გეჩვენოთ ისეთი მცენარის პოვნა, რომელიც ბინის იმ ადგილას იხარებს, სადაც განათება სუსტია ან სულ არ არის, მაგალითად, კიბის ქვეშ ან ჰოლში. მაგრამ, დიდი და მუქი ფოთლების მქონე ზოგიერთი მცენარე მიჩვეულია ბუნებაში მაღალ მეზობლებთან ცხოვრებას და ამიტომ ის მშვენივრად ეგუება ოთახის ჩაბნელებულ კუთხეებს. ასეთი მცენარეებია: დრაცენა, ასპიდისტრა, ადიანტუმი და მონსტერა.

**კითხვა**: **რისთვის არის საჭირო ნერტერას დანამვა?**

**პასუხი**: დანამვა საჭიროა მცენარის ნაყოფის განვითარებამდე. ეს პროცესი მას უფრო მოუმატებს ტენს. რაც ხელს შეუწყობს ნერტერას ყვავილობასა და კენკრის სწრაფად დამწიფებას. ყვავილობის პერიოდშიც და განსაკუთრებით – ზაფხულში, მცენარის ნიადაგი ტენიანი უნდა იყოს.

**კითხვა**: **როგორ იტანს მანდევილა სიმშრალეს?**

**პასუხი**: მანდევილას ნიადაგი არასდროს მშრალი არ უნდა იყოს. ზრდის პერიოდში რეგულარულად უნდა მორწყათ ხოლმე. მას მიწა ყოველდღიურად უნდა შეუმოწმოთ, რომ არ გამოშრეს. მართალია, ზამთარში იშვიათად სჭირდება მორწყვა, მაგრამ, ნიადაგი ამ დროსაც არ უნდა იყოს მშრალი. ტენი მანდევილას მარადმწვანე ფოთლების შენარჩუნებაში უწყობს ხელს.

**კითხვა**: **ფინიკის პალმაზე ჩრდილი ცუდად ხომ არ მოქმედებს? ვამჩნევ, რომ კარგად ვერ ხარობს.**

**პასუხი**: თუ თქვენ ჩრდილში გიდგათ ეს მცენარე, ის მართლაც ვერ გაიხარებს. მისი გამძლე ფოთლები მზეს იტანს, მაგრამ ჩრდილს – ვერა, ამიტომ, კარგად განათებულ ადგილას უნდა დადგათ. გირჩევთ, რომ ფინიკის პალმა ზამთრის ბაღში გადაიტანოთ.

**კითხვა**: **ბინაში მაქვს საკმაოდ კარგად გახარებული სენეციო. მეშინია, რომ ზამთრის სიცივემ არ დააზიანოს. ხომ ვერ მეტყვით, რა ზომები მივიღო?**

**პასუხი**: სენეციოს სითბო და მზეზე ყოფნა ნამდვილად მოსწონს. საერთოდ, მისთვის კარგია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ეცადეთ, რომ ზამთარში 10 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურაზე არ ამყოფოთ, რათა ზედმეტმა სიცივემ მცენარე არ დააზიანოს. გრილ დღეებში ერიდეთ მის ხშირ მორწყვას.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა საკითხები უნდა განემარტოთ ნაფიც მსაჯულებს პროცესში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის მიღებამდე და ვინ უნდა მისცეს მათ ეს განმარტებები?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ პროცესის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს: ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს; მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს; უდანაშაულობის პრეზუმპციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება; რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას; რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები; რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს; რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით; რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით; თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს; რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით; რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისთვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას, ბოლოს კი სხდომის თავმჯდომარე განმარტებას ამთავრებს ნაფიცი მსაჯულებისათვის იმის შეხსენებით, რომ მათ დადეს ფიცი.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს მოწმის სასამართლოში წარმოდგენას და შეუძლია თუ არა მოსამართლეს, თავისი ინიციატივით გამოიძახოს მოწმე?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების გამოცხადება სასამართლოში; ამასთან, თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რა უფლებებით სარგებლობს ნაფიცი მსაჯული საქმის სასამართლო განხილვის დროს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, თავის წერილობითი მიმართვაზე მიიღოს: სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის შესახებ; წინასწარი



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ; სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ; მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ; მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

# როგორ შეიძლება გახდეს აირბაგი სერიოზული ავარიის მიზეზი

*ძალიან ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს ჩვენს ავტომობილებში ჩამონტაჟებული აირბაგები, რომლებიც, ზოგჯერ გვიცავს, ზოგჯერ კი სერიოზულ ავტოსაგზაო შემთხვევებს იწვევს. როდის არის ყველაზე ეფექტური აირბაგის მოქმედება და რა უნდა ვიცოდეთ დამცავი საშუალებით აღჭურვილი მანქანის ყოლის შემთხვევაში, ამის გარკვევას პროფესიონალ მრბოლელთან,* ***მევლუდ მელაძესთან*** ***შევეცადეთ:*** უდავოა, რომ ავტომობილში ჩამონტაჟებული აირბაგი უსაფრთხოებას ზრდის – უამრავი ტესტით, ექსპერიმენტით არის შემოწმებული მისი ავკარგიანობა. აირბაგის გამოგონება მანქანების წარმოებაში რევოლუციის ტოლფასი იყო, მაგრამ, „პირველყოფილი“ აირბაგები ძალიან ბევრ უბედურ შემთხვევას იწვევს. იყო შემთხვევები, როდესაც აირბაგმა წინა სავარძელზე მჯდარი ბავშვი მოკლა, მას ისეთი სიმძლავრით დაეჯახა. ამის შემდეგ უკვე დაიწყო ამ მოწყობილობის დახვეწა და იდეალურობამდე მიყვანა. როდესაც ავტომობილი რაღაცას ეჯახება, მანამ, სანამ ინერციით წინ წასული ჩვენი სხეული ავტომობილის რომელიმე დეტალს შეეჯახება, გაშლილი აირბაგი ამ ინერციას ასწრებს და დაჯახებამდე იკავებს ადამიანს.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– რა არის აირბაგი, რისგან შედგება ის?**

– ეს არის საკმაოდ ძლიერი, სქელი ქსოვილი, შეიძლება ითქვას, ბრეზენტის მსგავსი, ოღონდ, უფრო დახვეწილი. ის გარკვეული სახეობის გაზით იბერება, რომელიც ნელ-ნელა იწყებს დაჩუტვას. იმისთვის, რომ გაზი დროზე ადრე არ გამოიპაროს ბალიშიდან, ის გარკვეულ ფხვნილსაც შეიცავს, რომელმაც, შეიძლება, თავბრუც დაგვახვიოს. ალბათ, ყველას გვითამაშია, სველი პირსახოცით, ბოლოს რომ შემოიქნევ და ძალიან მტკივნეულად მოგხვდება; ასევეა აირბაგი, როდესაც შენც წინ ხარ წანეული, მაშინ „გემრიელად” გეფინება სახეზე, სხვა შემთხვევაში კი, სახეზე პატარა სილურჯეებს დაგვიტოვებს. ეს იმის ბრალიცაა, რომ საქართველოში ძველი, გარემონტებული ავტომობილებით დავდივართ, ასეთ დროს კი აირბაგის სენსორები ირევა და მას უჭირს დარტყმის სიმძლავრის გამოცნობა. ძალიან ბევრი მძღოლი ანთებული აირბაგებით დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდნავი შეხებაც კი საკმარისია მისი ამოქმედებისთვის, ან, პირიქით, შეიძლება, საერთოდ არ გაიხსნას.

**– როდის მოქმედებს აირბაგი ცუდად?**

– აირბაგი უპრობლემოდ ეხმარება ჩვენს უსაფრთხოებას, მაგრამ, ის არასწორად არ უნდა გამოვიყენოთ. პირველია ის, რომ, როდესაც ჩვენ ღვედი არ გვაქვს შეკრული, დარტყმა არასწორი კუთხით ხდება. არ მბეზრდება იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეკრული ღვედი თუნდაც ქალაქში მოძრაობისას. ასეთ შემთხვევაში, დარტყმის დროს, შეიძლება, გვერდზე გადავარდეთ და, გარდა ამისა, აირბაგმა იმდენად შეგიცვალოთ მიმართულება, რომ სავალალო შედეგებამდე მიხვიდეთ. გვერდიდან დარტყმა ძალიან ცუდ შედეგებს იძლევა. თუ, ვთქვათ, დარტყმა გვერდიდან იყო, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება, გავითიშოთ და ავტომობილმა კონტროლის გარეშე განაგრძოს სვლა მანამ, სანამ რაღაც არ გააჩერებს, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემას შექმნის. მცდარია ის მოსაზრება, რომ, თუ ღვედი არ შეიკარი, აირბაგი არ იხსნება. აირბაგი ნებისმიერ შემთხვეაში იხსნება, უბრალოდ, ღვედი მის სწორად მუშაობას უწყობს ხელს.

კიდევ ერთი რაღაც უნდა დავამატო ღვედთან დაკავშირებით: ზოგს, უბრალოდ, „უტყდება“ ღვედის შეკვრა; ზოგი ამბობს, ისე სწრაფად არ დავდივარ, რომ ღვედი მჭირდებოდესო. ეს ძალიან არასწორი მიდგომაა. თბილისში, მინიმუმ, 50 კილომეტრ საათში სიჩქარით ყველა დადის, მით უფრო – სანაპიროზე. ვთქვათ, ჩვენ ამ სიჩქარით მივდივართ სანაპიროზე და საპირისპირო მხარეს იმავე სიჩქარით მოდის ავტომობილი, რომელსაც შემთხვევით რომელიღაც სავალი ნაწილი გაუფუჭდა და, იმის მაგივრად, რომ გვერდით ჩაევლო, პირდაპირ ჩვენ გვეჯახება – „მკვდარ დარტყმას” ახორციელებს, ანუ, ცხვირი ცხვირშია. გამოვიდა, რომ მისმა ორმოცდაათმა და ჩვენმა ორმოცდაათმა, ასი კილომეტრ-საათი სიჩქარე შეადგინა, რაც საკმაოდ დიდი სისწრაფეა ადამიანისთვის. გვერდიდან შეტაკება იმდენად საშიში არ არის – შეიძლება გავარტყათ რაღაცას, შემოგვაბზრიალოს, და კიდევ რაღაცას შევეჯახოთ, მაგრამ, საბოლოო დარტყმა დაბალ სიჩქარეზე ხდება. ამიტომ, მწარმოებლები ცდილობენ, რომ უსაფრთხოება მანქანის წინა მხრიდან დარტყმის დროს გაზარდონ, რადგან, მსგავსი შეჯახებისას, შესაძლოა, ორმაგი სიჩქარე აღმოჩნდეს. შესაბამისად, აირბაგიც ისეა მოწყობილი, რომ პირდაპირი დარტყმის დროს მოქმედებს ზუსტად. ავტომობილის წინა მხარეც კარგადაა გამაგრებული. ამიტომ, როდესაც ან მოვცურდებით, ან სხვა რამე გამოუვალი მდგომარეობა იქნება, როდესაც უკვე შეჯახება გარდაუვალია, მაქსიმალურად ეცადეთ, დარტყმა წინა მხრიდან განახორციელოთ – ამ დროს აირბაგიც კარგად იმოქმედებს.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

კითხვა: **რამდენად სარისკოა ბაზარში ლეკვის ყიდვა?**

**პასუხი**: ნამდვილად სარისკოა, რადგან, ბაზარში არასტერილური გარემოა და ათასი გადამყიდველის ხელში გადადის ძაღლი. ასე რომ, ჯობია, ცხოველი ვეტერინარის თანდასწრებით, ან შერჩევით შეიძინოთ. ასევე, ასეთ ადგილებში სათუოა სუფთა ჯიშის შეძენაც, რადგან ბაზარში ყველა ტიპის ძაღლი იყიდება – ჯიშიანიც და უჯიშოც. ამიტომ, ამ საქმეში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ კომპეტენტური პირის რეკომენდაცია და მისი თანდასწრებით შეიძინოთ ლეკვი.

კითხვა: **მაინტერესებს, ადამიანის სხეულის რა ნაწილზეა უფრო საშიში ძაღლის ნაკბენი?**

**პასუხი**: თუ ძაღლი დაგკბენთ, უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოთ ეს. საშიში ადგილები კი სხეულზე ნამდვილად არსებობს და ესენია: ხელის თითები, ცხვირ-სახე, თავი, გამრავლების ორგანოები, ნერვული დაბოლოებები. დანარჩენი კი მეორე კატეგორიის დაინფიცირებად ითვლება.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ქერტლი გაუჩნდა და ვერაფრით ველარ მოვაშორე. თუ შეიძლება, მითხარით, რა უჩენს ძაღლს ქერტლს და როგორ უნდა მოვაშოროთ?**

**პასუხი:** ერთი მხრივ, ქერტლის დროს ცხოველის გარეგნულ შესახედაობას არ აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იმავე დაავადების შემთხვევაში, შეიძლება, სხვადასხვა ცხოველს ქერტლი სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სახით გაუჩნდეს. ქერტლი არ არის ცალკე დაავადება, ეს არის სხვადასხვა დაავადების სიმპტომი, მაგალითად: პარაზიტული, სოკოვანი, ბაქტერიული, ენდოკრინული, ონკოლოგიური, ვირუსული დაავადებების, ასევე, კერატიზაციის დარღვევის შემთხვევაში, ცუდი მოვლა-შენახვის პირობებში და ასე შემდეგ. რაც შეეხება მკურნალობას, უმჯობესია, სპეციალისტს მიმართოთ, რომელიც ცხოველს დაათვალიერებს, სათანადო დიაგნოზს დაუსვამს და მკურნალობასაც დაუნიშნავს.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-50(729)**

– ახლა ცოტა შორიდან დავიწყებ, – თქვა ლიადოვმა, გააბოლა და განაგრძო, – თქვენი ოპერაციის პარელელურად, ჩემი განყოფილება ერთ ოპერაციას ატარებდა ლენინგრადში. კერძოდ კი – ზორბეგ შილბანის ბანდაში. ჩანერგილმა აგენტმა წარმატებით იმუშავა და ძალიან ძვირფასი ინფორმაციები მოიპოვა. ერთი სიტყვით, ისეთი აბლაბუდა გავაბით, რომ



შილბანი და მისი ბანდიტები დღე-დღეზე უნდა გაგვება და გაგვენეიტრალებინა. თუმცა, ყველაფერი ჩაგვეშალა. ჩვენი აგენტი, სრულიად შემთხვევით, ავარიაში დაიღუპა და მთავარი სადავე გავუშვით ხელიდან. ახლის ჩანერგვა არანაირად არ გამოვა. ამას დრო სჭირდება. ნაჩქარევი მოქმედება კი ყველაფერს წყალში ჩაყრის და სამომავლო პერსპექტივასაც დავკარგავთ. ახლა მთავარს გეტყვით: დაღუპვამდე ორი დღით ადრე, ანუ ამ ერთი კვირის წინ, ჩემს აგენტთან ბოლო შეხვედრა მქონდა და როდესაც ანგარიშს მაბარებდა, ვინმე კალმარის სახელი ახსენა.

– კალმარის? – იკითხა გამრეკელმა.

– კი. კალმარის. მისი თქმით, ეს კალმარი რუზგენ ჩოჩიანის „კრიშაა.“ თურმე, ჩოჩიანს უხსენებია ერთადერთხელ შილბანთან მისი სახელი და ასე უთქვამს: ისეთი დამპალი და ტრაკია, რომ ახალშობილსაც კი მოკლავსო. ჩემი აგენტი და შილბანი ერთად იკეთებდნენ ხოლმე წამალს და კაიფში ზორბეგს ენა ეხსნებოდა, ყველაფერს ფქვავდა.

– ეს გასაგებია, მაგრამ, ჩოჩიანი რატომ ეტყოდა შილბანს ასეთ რამეს? – ჰკითხა გამრეკელმა ლიადოვს.

– ჩემი ვარაუდით, იმიტომ, რომ შესაძლოა, რუზგენმა თავი დაიზღვია და შილბანს გაანდო კალმარის ვინაობა. კალმარს კი უთხრა, რომ თუკი ის მის მოკვლას შეეცდებოდა, მაშინ მას მისი კაცი გაშიფრავდა. ვიმეორებ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ვარაუდია, მაგრამ საკმაოდ საფუძვლიანი. ამის საფუძველს კი, თუნდაც ვახტანგ პატარიძისა და ნონა ბუთბას მკვლელობები მაძლევს.

– პატარიძე, პატარიძე, ეგ ნაძირალა. ძალლი მიაკვდა სულში. მაგან დააყენა „ჟუკები“ და ოპერაციაც ამის გამო ჩაიშალა. რაც მთავარია, გივის სიკვდილიც მის კისერზეა, – თქვა გამწარებულმა გამრეკელმა.

– დარწმუნებული ვარ, რომ პატარიძე კალმარმა მოკლა. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ პატარიძე კალმარის დავალებით მოქმედებდა. ბოლოს კი თავიდან მოიშორა. შეეშინდა, რომ ის „ჟუკებზე“ გაიშიფრებოდა და ჯაჭვი გაწყვიტა.

– ნონა ბუთბას რაღას ერჩოდა თუ, რა თქმა უნდა, ნონაც მისი მოკლულია.

– დარწმუნებული ვარ, ნონაც მან მოკლა. ეტყობა, ნონამაც იცოდა, ვინაა კალმარი და თავი დაიზღვია. ჩემი აზრით, კალმარი ჩოჩიანის მოშორებასაც ფიქრობს, ან ფიქრობდა და ხელი შეეშალა. მოკლედ, ის, ჯერჯერობით უხილავი კაცი, ძალიან სასტიკი და დაუნდობელია. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ყველას სასიკვდილო საფრთხე გველოდება. ის არც მოწმეებს ტოვებს ცოცხალს და არც პოტენციურ მტრებს. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. რაც შეიძლება, მალე გავშიფროთ და სასიკვდილო დარტყმა მივაყენოთ.

– მაინც, რას ფიქრობ, პავლე, ვინ უნდა იყოს კალმარი? რა სფეროში მოღვაწეობს, უფრო სწორად, სად მუშაობს, თუ საერთოდ მუშაობს სადმე, – თქვა გამრეკელმა.

– ძნელი სათქმელია. თუმცა, ამაზეც ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს უხილავი კალმარი შეიძლება, ჩვენი კოლეგაც კი იყოს.

ლიადოვის სიტყვებმა გამრეკელს ფანტომი გაახსენა და წარსულის მოგონებები ამოუტივტივდა გონებაში, მაგრამ არაფერი უთქვამს. ზვიადაურმა კი, პაუზით ისარგებლა და თქვა:

– ჩოჩიანის სახლში რომ სარკიანი საიდუმლო ოთახი აღმოჩნდა, ის ვიღაც კალმარი ნამდვილად იქ იჯდა ხოლმე და ადამიანებს აკვირდებოდა. გივიმ მითხრა, – ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვიღაც უხილავი თვალი მაკვირდებოდაო.

– მახსოვს, – თქვა გამრეკელმა, – ეს მაშინ იყო, როცა გივი ჯაფარიძე შილბანმა ჩოჩიანს გააცნო.

– თუ თქვენი ვარაუდი სწორია, კალმარზე ჩოჩიანის ან შილბანის მეშვეობით შეიძლება, გავიდეთ. ჩოჩიანი თუ დაიმალა, შილბანი ხომ ლენინგრადშია? მოდით, ჩუმად გავიტაცოთ და ძალით დავაფქვევინოთ ყველაფერი, – თქვა ზვიადაურმა.

– ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ შეუძლებელია, – ჩაეცინა ლიადოვს.

– რატომ? – ჰკითხა ზვიადაურმა.

– გუშინ შილბანის გვამი იპოვეს მოიკაში. გუშინწინ კი – „კრესტებში“ კნუტი მოკლეს... ასე რომ, ჩემო ძვირფასებო, ხიფათი გვიახლოვდება და მობილიზებულები უნდა ვიყოთ. ღმერთმა უწყის, ვინ, საიდან, რას გვიმზადებს. თანაც, ძალიან არეული დროა და ყველა ჯურის ნაძირალა ამ ეგრეთ წოდებულ არაფორმალებს ამოეფარა. თქვენ ეს არ უნდა გიკვირდეთ. თქვენთან ისინი ყველაზე მეტად აქტიურობენ, თქვა ლიადოვმა.

სისხლი მაქვს გამშრალი. ცეკას პირველი მდივანი დღეში ასჯერ მირეკავს და მდგომარეობის ანალიზს მთხოვს. ხვალ დილით კი თავისთან დამიბარა, – თქვა გამრეკელმა.

– მდგომარეობის ანალიზი უნდა გააცნოთ? – ჰკითხა ზვიადაურმა გამრეკელს.

– არ მგონია, – თავი გააქნია მინისტრმა, – ვფიქრობ, პირველს ამჯერად სულ სხვა რამ აინტერესებს.

– მაინც, რა, ბატონო მერაბ?

– რა ვაჟა და ის, ორი მილიონი მანეთი, რომელიც მე ჩვენი ოპერაციისთვის გამოვიტანე დახურული ფონდიდან.

– მერე რა, ბატონო მერაბ. რა უნდა გითხრათ... ფული ოპერაციისთვის იყო საჭირო და პირადი საჭიროებისთვის ხომ არ გამოგიყენებიათ? თანაც, მილიონ-ნახევარი თქვენთან არ არის სეიფში.

– ნახევარი მილიონის ანგარიშს მომთხოვს.

– იმით ხომ ჰეროინი შევისყიდეთ და წილები ჩოჩიანის ბანდიტებმა გაინაწილეს. ასე იყო დაგეგმილი და ოპერაცია რომ არ ჩაგვშლოდა, იმაზე მეტს ამოვიღებდით, რაც დაიხარჯა. დავიჯერო, ამას ვერ გაიგებს პირველი მდივანი?

– რომ არ ჩაგვშლოდა – ერთია, მაგრამ, ხომ ჩაგვეშალა, თანაც, აქ სხვა რამეშია საქმე. პოლიტიკის სუნი უდის. ერთი სიტყვით, ნუ გაგიკვირდებათ, რომ თანამდებობიდან გადავდგე.

– რას ამბობთ, ბატონო მერაბ, რა დროს გადადგომაა, – თქვა ზვიადაურმა.

ლიადოვმა კი დაამატა:

– მე სულაც არ გამიკვირდება ეს. ჩვენთან, მოსკოვშიც ძალიან აიმღვრა წყალი და ვინ ვის ნიშნავს, თვითონაც არ იციან. თუმცა,

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

უკეთესის იმედით ვიყოთ, – ლიადოვმა პაუზა გააკეთა. მასპინძელს შეხედა და უთხრა, – არა და, ჩემო მერაბ, სულაც არაა სასურველი ახლა შენი გადადგომა და ყველანაირად ეცადე, თანამდებობა შეინარჩუნო. ისინი ძლიერდებიან და ჩვენ თუ დავსუსტდით, მათი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება.

– მარტო ჩემზე არაა ეს დამოკიდებული, – მხრები აიჩეჩა გამრეკელმა.

ლიადოვიც და ზვიადაურიც გამრეკელთან დარჩნენ ღამით. დილით ლიადოვი მოსკოვში გაფრინდა. ზვიადაური სამინისტროში წავიდა. მერაბ გამრეკელი კი გენერლის ფორმაში გამოეწყო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაემართა პირველ მდივანთან შესახვედრად.

პირველმა მდივანმა გამრეკელს ნახევარი საათი ალოდინა. შემდეგ ის კაბინეტში მიიწვიეს და რესპუბლიკის პირველმა პირმა შინაგან საქმეთა მინისტრს უთხრა:

– პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, ამხანაგო მერაბ.

– გადავიდეთ, ამხანაგო მდივანო. გისმენთ.

პირველ მდივანს ჩაეცინა და გამრეკელს უთხრა:

– მე გისმენთ, გენერალო.

– რა გაინტერესებთ, მკითხეთ და მოგახსენებთ.

– რა და, დახურული ფონდიდან გამოტანილი ორი მილიონი მანეთის ბედი. სიგნალი მომივიდა, რომ ის ფული უმიზნოდ გაიფლანგა.

მერაბ გამრეკელმა კარგად უწყოდა, რომ ეს ეგრეთ წოდებული სიგნალი, პირველ მდივანს მისმა თანაშემწემ მიაწოდა. თანაშემწე კი რამდონიას სიმამრი იყო. სწორედ იმ რამდონიასი, რომელიც მრავალი წლის წინ მერაბ გამრეკელის ძალისხმევით მოხსნა ძველმა მინისტრმა ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან. გენერალმა ჩაშლილი ოპერაციის შესახებ დეტალურად მოუყვა პირველ მდივანს და ბოლოს უთხრა:

– წარუმატებლობის მიუხედავად, მილიონნახევარი მანეთი და საკონტროლო შესყიდვის შედეგად მოპოვებული ჰეროინი, სეიფში მაქვს შენახული. ყველა ოფიციალური დოკუმენტიც თან ერთვის და ვინც ფიქრობს, რომ ფული ტყუილად გაიფლანგა, რბილად რომ ვთქვათ, ცდება.

– ნახევარი მილიონი მანეთი არცთუ ისე მცირე თანხაა, რომ ქარს გავატანოთ. მით უმეტეს, რომ ეს ფული ბოროტმოქმედებს ჩავარდნიათ ხელში და საკუთარი სიძლიერისთვის გამოიყენებენ. რა გამოდის? იმის მაგივრად, რომ მათ ვებრძოლოთ და დავასუსტოთ, ფულს ვუხდით და ვაძლიერებთ?

– ფული ფულია, ამხანაგო მდივანო, მაგრამ ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტია, შეუფასებელი. ამ ბრძოლას ისეთი ვაჟკაცი შეეწირა, რომელიც ჩვენს სამშობლოს უანგაროდ ემსახურებოდა.

– გასაგებია, ჩემო კარგო, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ეს ოპერაცია ცუდად იყო დაგეგმილი. თქვენივე თანამშრომელმა გაგყიდათ და გამოდის, რომ თქვენს უწყებაში ყველაფერი ვერაა წესრიგში. თქვენ ხართ ამაზე პასუხისმგებელი და სხვას რას ერჩით?

– პასუხისმგებლობას თავიდან არ ვიცილებ. თუმცა, ვერ დაგეთანხმებით, რომ ოპერაცია ცუდად იყო დაგეგმილი. პირიქით. მაგრამ, შეიძლება ითქვას, არ გაგვიმართლა. ასეთი რამ კი ხდება ხოლმე.

– მოკლედ, ასე მოვილაპარაკოთ. ერთი თვის ვადას გაძლევთ, რომ რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციაზე კონტროლი დავამყაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთმანეთთან დაშორება მოგვიწევს და თქვენს ადგილზე სხვას დავნიშნავ. ახლა კი თავისუფალი ხართ. ნახვამდის.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

სამინისტროში დაბრუნებულმა გამრეკელმა ვაჟა ზვიადაური გამოიძახა და პოდპოლკოვნიკს უთხრა:

– პირველმა მდივანმა ერთი თვის ვადა მომცა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გასაკონტროლებლად. ერთი სიტყვით, ერთ თვეში ახალ მინისტრს დანიშნავს და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ცხონებული გივის ცოლ-შვილისა და ჩვენი უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

– რას ამბობთ, ბატონო მერაბ, რა ახალ მინისტრს. თქვენზე უკეთესს ვის იპოვის, ან ჩვენ რა პროცესები უნდა გავაკონტროლოთ. თუ პირველი მდივანი მიტინგებსა და არაფორმალურ მოძრაობას გულისხმობს, ეს ხომ „კაგებეს" კომპეტენციაა და ჩვენ ჩვენს საქმეს კარგად ვუძღვებით.

მინისტრს ჩაეცინა და ზვიადაურს მიუგო:

– პირველი მდივანი მიზეზს ეძებს ჩემს მოსახსნელად და ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული. თორემ, მან მშვენივრად იცის, თუ ვის რა ევალება და ვინ რას და როგორ ასრულებს. სიმართლე გითხრა, კარგიცაა, რომ შეცვლას მიპირებს.

– რატომ?

– იმიტომ, ჩემო ვაჟა, რომ სამომავლოდ კარგს ვერაფერს ვხედავ. ყველაფერი ისეა მიშვებული, კარგი არაფერი მოხდება და როცა ასეთ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ხარ, აუცილებლად გაგხვევენ დიდ შარში. არარსებულ დანაშაულს დაგაბრალებენ და განტევების ვაცადაც გამოგიყენებენ. ამიტომ, ასეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩაიგდო თავი. კიდეც რომ არ გამათავისუფლონ, ჩემით წავალ.

– სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ.

– მაგალითს მოგიყვან, – თქვა გამრეკელმა და გააბოლა, – ავიღოთ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. ხალხი არაფორმალ ლიდერებს უჭერს მხარს. ეს მხარდაჭერა სულ მალე კიდევ უფრო გაიზრდება და ასპროცენტიანი გახდება. შესაბამისად, გაიზრდება გამოსვლების მასობრიობა. მიტინგების სიდიდეს, თან მოჰყვება რადიკალური მოთხოვნები. პირდაპირ გეტყვი, ერთ მშვენიერ დღეს მავანი გამოვა და იტყვის, საბჭოთა კავშირს გამოვეყოთო. დაიწყება აქციები და აი, სწორედ ამ დროს მოგვთხოვენ აქტიურ ჩარევას. რა არის ეს ჩარევა? რა და მიტინგების დაშლა, ძალის გამოყენება. ჰოდა, ასეთ დროს აუცილებლად შეტაკება მოხდება. დარწმუნებული ვარ, რომ სისხლიც დაიღვრება და ამ სისხლს ჩვენ დაგვაბრალებენ. ასეთ დროს კი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მინისტრს ეკისრება და ნამდვილად არ მსურს, სისხლიანი მინისტრის იარლიყით ვიცხოვრო. ამიტომ, ერთი თვის შემდეგ, ყველა შემთხვევაში დავტოვებ თანამდებობას. დღესვე წავიდოდი, მაგრამ, ჩვენს უსაფრთხოებას უნდა მივხედო და მომავალმა მინისტრმა მოაგვაროს დანარჩენი. პირველი მდივანი ვერც კი ხვდება, თუ რა შარში უნდა გაებას და ეს რომ იცოდეს, ახლავე გადადგებოდა.



– ბოდიში, ბატონო მერაბ, მაგრამ, ხომ არ გეშლებათ? ვითომ, მართლა ასე მოხდება?

– თავს დავდებ, რომ კი, – ჩაეცინა მერაბ გამრეკელს, – მეტსაც გეტყვი. დარწმუნებული ვარ, სულ მალე იმ ნაძირლების მასა, ვისაც ჩვენ დღეს ვდევნით, ხვალ-ზეგ უკვე სრულიად ლეგალურად გამოვა ასპარეზზე. ზოგიერთი პატრიოტის გვირგვინს დაიდგამს. ზოგი ბიზნესმენობას ამოეფარება და ასე შემდეგ. სინამდვილეში კი, იმავე სიდამპლესა და სისაძაგლეს ჩაიდენენ, რასაც მთელი ცხოვრება აკეთებდნენ. დარწმუნებული იყავი, რომ არც ჩვენ დავავიწყდებით და ყოველნაირად შეეცდებიან შურისძიებას. ამიტომ, მათ შემოტევებს მომზადებულები უნდა დავხვდეთ. სწორედ ამისთვის მინდა ეს ერთი თვე და ამის სათქმელად მოგიწვიე აქ.

– გისმენთ, ბატონო მერაბ. რა უნდა გავაკეთო? – უთხრა ზვიადაურმა გამრეკელს.

– უპირველესად, გივი ჯაფარიძის ცოლშვილის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ. პავლე ლიადოვს უნდა ვუთხრათ, რომ ჯაბასა და თეას საცხოვრებელი ადგილი შეუცვალოს და მოსკოვს მოაშოროს. მათი იქ ყოფნა დღესდღეობით ძალიან სახიფათოა. ამიტომ, ხვალვე მოსკოვში გადაფრინდები და გენერალს კონფიდენციალურად დაელაპარაკები. მათი ადგილსამყოფელი უნდა იცოდეს პავლე ლიადოვმა და შენ.

– გასაგებია, – მშვიდად მიუგო გამრეკელს ზვიადაურმა.

– ახლა მეორე, – გენერალმა პაუზა გააკეთა და თქვა, – ჩვენ, ანუ იმ ხალხმა, ვინც ბოლომდე ვენდობით ერთმანეთს და ეჭვი არ გვეპარება ერთმანეთისადმი ერთგულებაში, ჩვენი დაცვის საიმედო ბაზა უნდა შევქმნათ. როგორც უკვე გითხარი, მომავალში დიდი სირთულეების წინაშე დავდგებით და ამ ყველაფერს მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

– გისმენთ, ბატონო მერაბ, ყურადღებით გისმენთ. რა ბაზაზეა ლაპარაკი.

– უპირველესად, მთელი ჩვენი საიდუმლო არქივი უნდა გადავმალოთ, რომელიც ჩვემს პირად სეიფში ინახება და სადაც შავი სამყაროს წარმომადგენლების აგენტურული საქმიანობაა დაფიქსირებული. მომავალში უმეტესი მათგანი ასპარეზზე გამოვა და ამ კომპრომატს თავის დასაცავად და ჩვენს სასარგებლოდ



გამოვიყენებთ, თუკი დაგვჭირდება. მეორე – არსებობს გაუფორმებელი, მსუბუქი შეიარაღების არსენალი. ეს არსენალი არასანქცირებული ოპერაციებისთვისაა განკუთვნილი და არასდროს გამომიყენებია, რადგან მსგავსი მეთოდებით არ გვიმუშავია. ამ არსენალის ნაწილი უნდა გადავმალოთ. ნაწილს კი სიით გადავაბარებ ჩემს მომავალ კოლეგას. მესამე – ჯერ კიდევ შენი თანამდებობა მეკავა, როდესაც მოსკოვში ერთი ოპერაცია ჩავატარეთ. ერთმა გადმობირებულმა „ვალუტჩიკმა“ თავისი კოლეგების კვალზე გამიყვანა და ოცი კილოგრამი ოქრო ამოვიღეთ. ისე მოხდა, რომ ამოღებული ოქრო დაიკარგა. შემდეგ გავარკვიე, რომ ეს ოქრო რამდენიმე პაგონიანმა მაღალჩინოსანმა გაინაწილა. „ვალუტჩიკები“ კი დახოცეს და ასე წაშალეს კვალი. ერთი სიტყვით, საქმე ისე მოაწყვეს, რომ ოქრო მათ არავინ მოსთხოვა და ვერც იმათი მხილება მოხერხდა. მოკლედ, ძალიან სუფთად იმუშავეს. მოგვიანებით, იმ პაგონიანთა ბანდამ ჩემი აგენტი გაშიფრა და თავდასხმა მოუწყვეს, რომ ბოლო მოწმეც თავიდან მოეშორებინათ. მძიმედ დაჭრილმა აგენტმა მოასწრო ჩემთვის ეთქვა, რომ მას კიდევ ოცდაათი კილოგრამი ოქრო ჰქონდა გადამალული. ის, ანუ აგენტი ამ ოქროთი უცხოეთში გაქცევას აპირებდა. მან ოქროს ადგილმდებარეობა მითხრა და გარდაიცვალა. გადავამოწმე და ოცდაათი კილო ოქრო მართლაც ადგილზე დამხვდა. წესით, ეს ოქრო უნდა ამომეღო და სახელმწიფოსთვის ჩამებარებინა, მაგრამ არ გავაკეთე. ამ შემთხვევაში ვიშიფრებოდი და იმ პაგონიანი მაღალჩინოსნების სამიზნე ვხდებოდი. ამიტომ, ოქროს ხელი არ ვახლე, თუმცა, არც პირადი საჭიროებისთვის გამომიყენებია. შენ ის ოქრო უნდა ჩამოიტანო და ყველაფერთან ერთად გადამალო. სამომავლოდ დაგვჭირდება, – თქვა გამრეკელმა და მცირე პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო, – სიმართლე გითხრა, სინდისი მქენჯნიდა ამ წლების განმავლობაში და რამდენჯერმე ანონიმურადაც კი მინდოდა ამ ოქროს დაბრუნება. თუმცა, ეს არ გავაკეთე და დარწმუნებული ვარ, სწორადაც მოვიქეცი. ჩათვალე, რომ ის ღმერთმა გვაჩუქა და გამოგვადგება. რას იტყვი, თანახმა ხარ ამ ყველაფერზე?

– თანახმა ვარ, ბატონო მერაბ.

– რატომ ხარ თანახმა, ჩვენ ხომ უკანონობას ჩავდივართ? ჩვენი უპირველესი მოვალეობა კი – კანონის დაცვაა.

– იმიტომ ვარ თანახმა, ბატონო მერაბ, რომ თუკი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ვარაუდობთ, ჩვენ, პატიოსანი ხალხი ალმოვჩნდებით ბესპრეძელშჩიკების დატყმის ქვეშ და ყველაფერი ეს საკუთარი ოჯახებისა და პატიოსანი ხალხის დასაცავად გვჭირდება. სწორად გავიგე?

– აბსოლუტურად სწორად, – მიუგო გამრეკელმა ზვიადაურს და დაამატა, – მეოთხე: ამ ყველაფრის მცველი იქნები შენ და შენვე უნდა შეარჩიო შესანახი ადგილი. სასურველია, თბილისიდან მოშორებით გააკეთო ეს. შეძლებ?

– შევძლებ. მე ხომ ახმეტიდან ვარ წარმოშობით და იქ დედაჩემი ცხოვრობს. არის იქ ერთი საიმედო ადგილი და ყველაფერს იმ ადგილას გადავმალავ, ისე, რომ ეშმაკიც ვერ იპოვის, – მიუგო ზვიადაურმა.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ხვალ მოსკოვში შეხვდები ლიადოვს. შემდეგ, ოქროს მატარებლით წამოიღებ. დანარჩენს მე დაგახვედრებ აქ და როგორც კი სამალავს მოაწყობ, ყველაფერს იქ გადავზიდავთ.

– გასაგებია, ბატონო მერაბ, – თქვა ზვიადაურმა და გენერალს ჰკითხა, – შეიძლება, ერთი რამე გკითხოთ?

– რა თქმა უნდა.

– ბატონო მერაბ, კიდევ ვინაა ჩვენთან ერთად?

– ამ ეტაპზე – კოტე სოხაძე, ნოე ბუცხრიკიძე და გულბათ მარგიანი. შემდეგ კი, ვნახოთ. თქვენ ოთხს საკუთარი თავივით გენდობით და სხვებს ჯერ ვაკვირდები.

– კარგი. წავალ, თუ მეტი საქმე არ გაქვთ ჩემთან.

– თავისუფალი ხარ, ვაჟა. ამიერიდან მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებს. აბა, შენ იცი. შენი იმედი მაქვს.

– არ იდარდოთ, ბატონო მერაბ. არასდროს გილალატებთ და ყველაფერი კარგად იქნება, – მიუგო ზვიადაურმა მინისტრს და კაბინეტიდან გავიდა.

ვაჟა ზვიადაური რომ გაისტუმრა, მერაბ გამრეკელმა კოტე სოხაძე გამოიძახა და უთხრა:

– რა ქენი?

– ყველაფერი რიგზეა, მერაბ. ჩემი ხელით გავამზადე კონტეინერი და მხოლოდ გადამალვაღა უნდა, – მიუგო მინისტრს მისმა მოადგილემ და ჰკითხა, – შენ რა ქენი?

– ველაპარაკე ვაჟას და თანახმაა. სამალავი ახმეტაში გვექნება. მამისეულ კარმიდამოში საიმედო ადგილი ჰქონია და ყველაფერს იქ გადავმალავთ.

– ოქროზე რა ხდება?

– ხვალ ვაჟა მოსკოვში მიფრინავს ლიადოვთან შესახვედრად და ოქროსაც ის წამოიღებს მატარებლით.

– ლიადოვიც საქმის კურსშია?

– ჯერჯერობით არა.

– რატომ, არ ენდობი?

– როგორ არა. მაგრამ, ჯერ არაა საჭირო მისთვის ამის გამხელა. რა გვეჩქარება, ვნახოთ, როგორი „რასკლადი“ გადაეწყობა. ლიადოვის ჩართვას ყოველთვის მოვასწრებთ და მოვლენებს ჯერ ნუ გავუსწრებთ წინ.

– აბა, რატომ აგზავნი ვაჟას ლიადოვთან?

– გივი ჯაფარიძის ცოლ-შვილის უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ახლა ისინი ლიადოვს მოსკოვში ჰყავს გადამალული, მაგრამ ეს ძალიან საშიშია. მინდა, მოსკოვიდან მოშორებით გაიყვანოს და შემდეგ მომავალი გვიჩვენებს, – მიუგო გამრეკელმა და ჰკითხა, – ნოეს და გულბათს ელაპარაკე?

– კი.

– რა თქვეს?

– ჩვენ გვერდით დგანან. შენ, რა სხვა პასუხს ელოდი?

– არა, მაგრამ საქმის კურსში ხომ უნდა ჩაგვეყენებინა ისინი.

– მოკლედ, აქ ყველაფერი რიგზეა. შენ რა ჰქენი? რა გითხრა ამხანაგმა პირველმა მდივანმა? – ირონიით თქვა კოტე სოხაძემ.

– ამხანაგი პირველი მდივანი მოხსნას მიპირებს და ერთი თვის ვადა მომცა სიტუაციის კონტროლზე ასაყვანად.

– მდაა, – გაეცინა სოხაძეს, – ესე იგი, ვერ ხვდება, თუ რა შარში უნდა გაეხვეს.

– ვერა.

– მოკლედ, რას ვშვრებით?

– როგორც შევთანხმდით. ბაზას შევქმნით, ყველაფერს დავაბინავებთ და მე თვითონ გადავდგები.

– ესე იგი, ყველაფერი გეგმით მიდის.

– კი ბატონო, მასეა.

– ძალიან კარგი. თუ აღარ გჭირდები, მაშინ, წავალ.

– წადი და არაფერი შეიმჩნიო. ამ დღეებში ხუთივე შევიკრიბოთ და შევეჯერდეთ. მოდუნდი და ჩვეულებრივად იმუშავე.

ვაჟა ზვიადაური მეორე დღეს მოსკოვში გაემგზავრა. ოთხ დღეში კი უკან დაბრუნდა და მინისტრს ეახლა.

– რა ქენი, ვაჟა, როგორ ჩაიარა შენმა ვოიაჟმა? – ჰკითხა გამრეკელმა ზვიადაურს.

– თეა და ჯაბა ვოლოგოგრადში არიან. პირადად ჩავიყვანე და დავაბინავე. ოცდაათი კილოგრამი ოქრო კი კაბინეტში მაქვს შენახული.

– ძალიან კარგი. არქივი და იარაღით სავსე კონტეინერი უკვე გამზადებულია. ნამგზავრი ხარ და დაისვენე. შემდეგ ახმეტაში გაემგზავრე და სამალავი მომამზადე. კვირის ბოლოს კი მე, შენ, კოტე სოხაძე, გულბათ მარგიანი და ნოე ბუცხრიკიძე შევიკრიბოთ და შევეჯერდეთ.



არატრადიციული მედიცინა

ბიოენერგეტიკოსი, გინესის 14-გზის მსოფლიოს რეკორდსმენი, ადამიანი-მაგნიტი კურნავს შინაგანი ორგანოების დაავადებებს, ნერვულ პრობლემებს, ხსნის დეპრესიას, თავის ტკივილს და გათვალვას, წმენდს ნეგატიური ენერგიისგან და გადასცემს პოზიტიურს, შველის ქრონიკულ დაღლილობას და უძილობას, ახალგაზრდავებს ორგანიზმს, მკურნალობს პროსტატას.

პროცედურები – აუზში გოგირდის წყლით.
ბიოენერგეტიკული მკურნალობა ხელებით
რეგისტრაციის ნომერი №B12132016

– გასაგებია.

– რა დრო დაგჭირდება სამალავის მოსამზადებლად?

– ხვალისთვის უკვე მზად იქნება. კონტეინერი და არქივი რა მოცულობისაა?

– ორივე „მოსკვიჩის“ ფურგონში მოთავსდება, ოქროს ზოდების ნერჟავეიკიან ყუთთან ერთად.

– რით და როდის გადავზიდოთ?

– რადგან სამალავი ხვალ იქნება მზად, მაშინ ზეგვე. კოტე სოხაძეს ლილოში დილის ცხრა საათზე დახვდი. ოქროც დამიტოვე... დატვირთული გამოიყვანე ფურგონიანი „მოსკვიჩით“.

– გასაგებია. ჩავალ და ოქროს ამოვიტან.

– მოიცადე. ჯერ ცხონებული გივი ჯაფარიძის ცოლ-შვილის ამბავი დაწვრილებით მომიყევი. როგორ არიან ჯაბა და თეა?

– ჩემს ნათლულს რა უჭირს. სამი წლისაა, ჯერ და ბევრი არაფერი გაეგება, რაც ხდება. თუმცა, მამას კითხულობს. დედამისს ეუბნება – მამიკო როდის წამიყვანს მაიმუნების სანახავად ზოოპარკშიო.

გენერალს თვალზე ცრემლი მოადგა და საკუთარი მამა გაახსენდა. ამოიოხრა და თქვა:

– მაიმუნებით სავსე ზოოპარკი არაა ეს ქვეყანა? თეა?

– აი, თეა კი ძალიან ცუდადაა. ერთბაშად მოტყდა. ვეღარ ვცნობ. არა და, იცით, რა მაგარი გოგო იყო? ჯაბა აცოცხლებს, თორემ ვინ იცის, რას ჩაიდენდა.

– მარტო ცხოვრობენ?

– არა, ბატონო მერაბ. ერთ ხანში შესულ ქალთან.

– ხანში შესულ ქალთან?

– დიახ. ძალიან მაგარი ქალია, ძველი მზვერავი. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების ზურგში მუშაობდა. გენერალ პავლე ლიადოვის ერთი დაღუპული თანამშრომლის დედაა – ვარვარა სერგეევნა ფირსოვა. ქალიშვილობის გვარი ანდრეევაა. ქმარიც მზვერავი ჰყავდა, მაიორი იური ფირსოვი და ფაშისტების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. ვიტალი ფირსოვს კი, მათ ვაჟს, კარგად ვიცნობდი. უცოლო იყო და ერთი ციმბირული ბანდის უფროსმა მოკლა ირკუტსკში. გივიც კარგად იცნობდა მას და სხვათა შორის, სწორედ, გივიმ იძია მასზე შური. ცოფიანი ძაღლივით მოკლა. მთელი მჭიდი დააცალა.

– შური იძია?

– დიახ. პავლე ლიადოვი კინაღამ გადაირია ამის გამო და გივის არ ელაპარაკებოდა. ლიადოვმა გივის იმ ბანდიტის მოტაცება დაავალა და იმიტომ. გივის კი ნერვებმა უმტყუნა და ის ნაძირალა ჩააძაღლა. ეს ყველაფერი კარგად იცის ვარვარა სერგეევნამ. თეასა და ჯაბას ისე უვლის, როგორც საკუთარ რძალსა და შვილიშვილს.

– კარგი. გასაგებია. ახლა ოქრო ამომიტანე და საქმეს მიხედე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ, კაბინეტში მარტო დარჩენილ მერაბ გამრეკელს მაგიდაზე ოქროს ზოდებით სავსე, უჟანგავი ფოლადის ყუთი ედგა. მან ეს ყუთი უზარმაზარ სეიფში ჩაკეტა. შემდეგ კოტე სოხაძეს დაურეკა და თავისთან დაიბარა.

– რა ხდება, მერაბ? – ჰკითხა სოხაძემ გამრეკელს.

– ვაჟამ ოქრო ჩამოიტანა და სეიფში მაქვს ჩაკეტილი. ხვალისთვის სამალავს გაამზადებს და ზეგ დილით ყველაფერი იქ უნდა გადაზიდოთ. ზვიადაური ცხრა საათზე ლილოში დაგვხვდება და ახმეტაში წაგიყვანს. სადაა „მოსკვიჩი“?

– სახლის გარაჟში მიყენია.

– საღამოს შემომიარე და ოქროს გაგატან.

– კარგი.

– კვირის ბოლოს კი, ყველანი შევიკრიბოთ და დავილაპარაკოთ. ჩემთან, წყნეთში ავიდეთ აგარაკზე, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს.

– ნოე და გულბათი საქმის კურსში არიან?

– კი. ორივე კვირას ჩამოვა თბილისში.

– გასაგებია. წავედი და საღამოს შემოგივლი, – უთხრა კოტე სოხაძემ მერაბ გამრეკელს და მინისტრის კაბინეტი დატოვა.



***

კვირას, მერაბ გამრეკელი და მისი ოთხი უახლოესი თანამშრომელი დილიდანვე შეიკრიბნენ მინისტრის წყნეთის აგარაკზე. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, გენერალმა სტუმრებს უთხრა:

– წუხელ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე. ორ კვირაში თანამდებობიდან მივდივარ და 19 თებერვალს მინისტრი აღარ ვიქნები.

სოხაძემ და ზვიადაურმა წინასწარ იცოდნენ მინისტრის ეს გადაწყვეტილება და ხმა არ ამოუღიათ. გულბათ მარგიანისა და ნოე ბუცხრიკიძისთვის კი ეს სიახლე იყო და ორივეს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

– კი მაგრამ, რატომ, მერაბ, მოხდა რამე? – ჰკითხა გენერალს გულბათმა.

– იმიტომ, ჩემო გულბათ, რომ სისხლიანი ხელები არ შემაწმინდონ, – მიუგო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს გამრეკელმა.

– ვერ ვხვდები, – მხრები აიჩეჩა გულბათმა.

– ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს და აუცილებლად რაღაც მოხდება. სახალხო გამოსვლები კიდევ უფრო გაიზრდება და წესრიგის დამყარებას მოგვთხოვენ. ამას ძალის გამოყენება დასჭირდება და აუცილებლად დაიღვრება სისხლი. თუნდაც თქვენთან, აფხაზეთში რა ხდება, ხომ ხედავ?

– ნუ იტყვი. სისხლი მაქვს გამშრალი. ერთი მიტინგი არაა დამთავრებული, მეორე რომ იწყება და ასე, დაუსრულებლად. ფიზიკურად ხალხი არ მყოფნის ყველგან გასაგზავნად, – თქვა მარგიანმა.

– ეს მხოლოდ დასაწყისია. ყველაფერი უარესობისკენ წავა. მთავრობის ბრალია ეს და შედეგებზე ჩვენ მოგვთხოვენ პასუხს. ამიტომ, დროზე უნდა ავიცილოთ თავიდან ეს შარი.

– ბატონი მერაბი მართალია, – ჩაერთო ნოე ბუცხრიკიძე, – ქუთაისში არაფორმალები მართავენ სიტუაციას და უკვე ჩვენც ფეხებზე ვკიდივართ. არადა, მათ შორის ბევრი პრისტუპნიკია და სიტუაციას სათავისოდ იყენებენ. დაიჭერ ვინმეს? ჭიანჭველებივით შემოგესევიან. მიტინგს მიტინგზე მოგიწყობენ და მუშაობას არ გაცლიან. კარგია, თქვენ თვითონ რომ წამოწიეთ ეს თემა. მეც გადავდგები.

– მაშინ, მეც, – თქვა გულბათმა. სოხაძეს და ზვიადაურს შეხედა და ჰკითხა:

– თქვენ?

– თავისთავად, – ერთხმად, ღიმილით მიუგეს გულბათს კოტემ და ვაჟამ.

გენერალმა, გულბათს და ნოეს ცეკას პირველ მდივანთან გამართული საუბრის შინაარსიც გააცნო და ნოე ბუცხრიკიძემ თქვა:

– ეტყობა, ვერ ხვდება პირველი მდივანი, თუ რა შარში უნდა გაეხვეს. თორემ, ჩვენზე ადრე გადადგებოდა.

მერაბ გამრეკელს ყოველთვის მოსწონდა ნოეს საზრიანობა. ხშირად მათი აზრები ფრაზებითაც კი ემთხვეოდა ერთმანეთს. ამიტომ, ბუცხრიკიძეს ღიმილით უთხრა:

– როგორც ხშირად, ახლაც ზუსტად ის თქვი, რასაც მე ვფიქრობ. მართალი ხარ, მართალი. მაგრამ ეს მისი პრობლემაა. ჩვენ კი ჩვენსას მივხედოთ.

– აბა, თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მერაბი ამბობს, ჩვენ გვექნება აწი პრობლემები, თუ გვექნება, – თქვა მარგიანმა და დაამატა, – თუკი ვინმე მაგარი პრისტუპნიკი იყო, ყველა ჩვენ დავიჭირეთ. თუ ისინი ახლა ერისკაცები გახდნენ, შემოგვიბრუნდნენ იქნება და შურისძიება მოინდომონ ჩვენზე.

– ჰა, გულბათ, ხომ არ გეშინია? – ეხუმრა მარგიანს კოტე სოხაძე.

– ბოლომდე დავუდგები, რისი უნდა მეშინოდეს, – თქვა გულბათმა.

– ჯერ არა, მაგრამ მომავალში მართლაც არსებობს ამის საშიშროება, – სიტყვა აილო ისევ მერაბ გამრეკელმა, – ამიტომ, თავის დაცვა, ბოლომდე დადგომა და მოგერიება რომ შევძლოთ, ამისთვის ზომები მივიღეთ. კოტე და ვაჟა საქმის კურსში არიან და ნოეს და გულბათის გასაგონად ვამბობ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ვაჭრის მიერ გადამალული 5 მილიონად შეფასებული ბრილიანტი „ნიანგის ცრემლი“ „კაგებემ“ რაიკომის ჭაღში აღმოაჩინა



## „ნიანგის ცრემლი“

– გაყიდულია! – საზეიმოდ გამოაცხადა აუქციონის წამყვანმა და უზარმაზარი ხის ჩაქუჩი მუხის მაგიდას დაარტყა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნიკალურ ოცდათორმეტკარატიან ბრილიანტს, სახელწოდებით „ნიანგის ცრემლი“, ახალი მფლობელი ჰყავდა.

1916 წლის 12 იანვარს მოსკოვის „ტორგოვიე რიადში“ გამართულ აუქციონზე, სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, გრაფ იური დემიდოვის ბრილიანტების კოლექციის მშვენება – „ნიანგის ცრემლიც“ იყო გამოტანილი. ქვას ცრემლის ფორმა ჰქონდა და სწორედ სიდიდის გამო უწოდეს მას ეს სახელი. ბრილიანტი 1811 წელს აღმოაჩინეს ჩრდილოეთ ურალში, წახნაგები კი მას ცნობილმა იუველირმა, ფომა ფროლოვმა გაუკეთა. მაშინ ფროლოვს ამ სამუშაოს შესრულებაში სამი ოქროს მანეთი გადაუხადეს. ქვამ კი საპატიო ადგილი დაიკავა დემიდოვის კოლექციაში. 105 წლის შემდეგ „ნიანგის ცრემლის“ ახალი მფლობელი ვაჭარი კუზმა პლოტნიკოვი გახდა, რომლის მამაც ქართველი დიმიტრი ქართველიშვილის უკანონო შვილი იყო და რომელიც პურპროდუქტებით ვაჭრობდა. მას რუსეთში მაღაზიების ქსელი ჰქონდა. მან ქვაში 71 ათასი ოქროს მანეთი გადაიხადა და თავის ახალაშენებულ სასახლეში შეინახა სხვა ძვირფასეულობასთან ერთად. ორი წლის შემდეგ, 1918 წლის თებერვალში, პლოტნიკოვს სასახლეც ჩამოართვეს ბოლშევიკებმა და სხვა ქონებაც, ძვირფასეულობასთან ერთად. ვაჭარმა ცოლშვილთან ერთად გაქცევა მოახერხა და გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში დასახლდა. 1919 წელს პლოტნიკოვის ყოფილ სასახლეში კომუნისტებმა „კრასნი არბატის“ რაიონული კომიტეტი შეასახლეს და სახელმწიფო დაწესებულების სტატუსი მიანიჭეს. საგულისხმოა, რომ „ნიანგის ცრემლი“ არც „ჩეკას“ მიერ ჩამორთმეულ პლოტნიკოვის ძვირფასეულობაში აღმოჩნდა და არც თავად გაქცეულ ვაჭარს წაუღია თან. ეს თავად ცნობილი ბრილიანტის მფლობელმა აღიარა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში, სადაც ის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვდა და საბჭოთა მთავრობას ლანძღავდა...

## ფაშისტი დივერსანტი

1942 წლის 2 თებერვალს მოსკოვის კომენდანტურის პატრულმა „კრასნი არბატის“ რაიკომის შენობასთან 50-55 წლის მამაკაცი კომენდანტის საათის დარღვევისთვის დააკავა და რაიონულ კომენდანტურაში მიიყვანეს. დაკავებულს ოლეგ სივკინზე გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა და აცხადებდა, რომ ქარხნის ღამის ცვლიდან სახლში ფეხით ბრუნდებოდა. მას აგრეთვე ჰქონდა ნებართვა, რომელიც უფლებას აძლევდა, კომენდანტის საათის დროს მოსკოვში დაუბრკოლებლად გადაადგილებულიყო. სწორედ ამ საბუთმა დააეჭვა პატრული. საქმე ის იყო, რომ 1 თებერვლიდან ახალ საბუთებს გასცემდნენ და ძველი აღარ ფუნქციონირებდა. ამიტომ, დაკავებული „ენკავედეს“ რაიონულ განყოფილებაში გადაიყვანეს დაკითხვაზე. ოლეგ სივკინმა გამომძიებელს დაკითხვისას განუცხადა, რომ სინამდვილეში ის ყოფილი ვაჭარი კუზმა პლოტნიკოვი იყო და რომ ის წინა დღით გერმანიიდან ფარულად ჩამოვიდა მოსკოვში.

– დივერსიის ჩასატარებლად, ხომ? – დაასკვნა გამომძიებელმა და თვალები აენთო.

– არა, „ნიანგის ცრემლისთვის“, – ამოილუღლუღა გაშიფრულმა პლოტნიკოვმა.

ნახევარი საათის შემდეგ დაკავებული პლოტნიკოვი ლუბიანკაზე გადაიყვანეს. იქ მისი იდენტიფიკაცია მოახდინეს, მისი საქმე ამოსწიეს და გამომძიებელმა მას ჰკითხა:

– სადაა „ნიანგის ცრემლი“?

– ჩემს სასახლეში. სწორედ იქ ამიყვანა პატრულმა.

– სად გაქვთ დამალული ძვირფასი ქვა?

– წამიყვანეთ და გაჩვენებთ. თქვენ ვერ იპოვით, – მიუგო ყოფილმა ვაჭარმა.

პლოტნიკოვი გამომძიებლისა და ოთხი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით „კრასნი არბატის“ რაიკომის შენობაში მიიყვანეს.

– მეორე სართულზე ავიდეთ, ბრილიანტი იქ არის, – უთხრა ჩეკისტებს პლოტნიკოვმა და მარმარილოს კიბეებს აუყვა. დერეფანს რომ გაუსწორდნენ, ყოფილმა ვაჭარმა მარცხნივ შეუხვია. ათიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, კედელში ჩადგმულ, უზარმაზარ ბროლის სარკესთან შეჩერდა.

**ბრილიანტი „ნიანგის ცრემლი“ 1916 წელს 71 ათას ოქროს მანეთად იყიდა დიმიტრი ქართველიშვილის შვილიშვილმა**

– რას გაჩერებულხარ? – შეუღრინა გამომძიებელმა დაკავებულს.

პლოტნიკოვმა ნაბიჯი წინ გადადგა, ვითომ გზა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ, უცებ სარკისკენ გადახტა, მთელი ტანით შეამტვრია და საიდუმლო კიბეებზე დაშვება სცადა. თუმცა, ერთ-ერთმა ბადრაგმა მას ნაგანიდან ესროლა, ტყვია კეფაში გაარტყა და ადგილზევე მოკლა.

– სამწუხაროა, – თავი გადააქნია გამომძიებელმა, როცა დარწმუნდა, რომ პლოტნიკოვი მკვდარი იყო, – ბრილიანტის ამბავი მოგვატყუა, გაქცევა უნდოდა. ის ფაშისტი დივერსანტი იყო და სამტროდ იყო ჩამოსული...

## ფირმის მენეჯერი

1968 წელს მოსკოვში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი ცნობილი ფირმის წარმომადგენლობა გაიხსნა. ფირმაში 20 თანამშრომელი მუშაობდა, მათ შორის იყო 54 წლის ნორმან შულცი, რომელსაც მენეჯერის თანამდებობა ეკავა. წესისამებრ, ახალგახსნილი გერმანული ფირმის ყველა თანამშრომელი „კაგებეს“ ყურადღების ქვეშ მოექცა და თითოეულ მათგანს უთვალთვალებდნენ, მათზე დოსიეებს ადგენდნენ და ამოწმებდნენ, ჰქონდათ თუ არა მათ კავშირი სპეცსამსახურებთან. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მენეჯერმა შულცმა, რომლის საქციელიც უცნაურად მოეჩვენათ ჩეკისტებს. ეს რესპექტაბელური მამაკაცი ხშირად ტრიალებდა ხოლმე „კრასნი არბატის“ რაიკომთან და, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის გულდასმით სწავლობდა შენობას. არადა, იმ მიდამოებში არანაირი საიდუმლო ობიექტი არ მდებარეობდა, რასაც შეიძლებოდა, რომ სპეცსამსახურების ინტერესი გამოეწვია.

1968 წლის 14 მაისს მოთვალთვალე ლეიტენანტმა მაქსიმ კოტოვმა თავის უფროსს მოახსენა:

– ამხანაგო მაიორო, ობიექტი დღეს შენიღბული იყო – ეცვა ტიპური საბჭოთა მოქალაქის სამოსი და რაიკომის შენობაში შევიდა. მე უკან შევყევი. მან რაიკომის მდივნის კაბინეტში შეღწევა სცადა, თუმცა, მდივანმა რომ არ შეუშვა, მობოდიშა და უკან დაბრუნდა.

ამ პატაკის შემდეგ საბჭოთა კონტრდაზვერვამ ნორმან შულცზე მუშაობა გააძლიერა და დადგინდა, რომ ის სინამდვილეში ანტონ პლოტნიკოვი იყო, ვაჭარ კუზმა პლოტნიკოვის უფროსი ვაჟი. ამოსწიეს ძველი საქმეები და „კაგებეში“ ივარაუდეს, რომ ატაშე შულცი მამის მიერ გადამალულ „ნიანგის ცრემლს“ ეძებდა. ცნობილი ბრილიანტი კი 1968 წლისთვის 5 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

– აი, თურმე, რას ეძებს ატაშე შულცი, – გაეცინა კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ ბულგაკოვს, როდესაც შულცის წარმომავლობა დადგინდა და ხელქვეითებს დაავალა, რომ მისი არცერთი მოძრაობა არ გამოჰპარვოდათ.

საბჭოთა კონტრდაზვერვა ხუთი თვის განმავლობაში თვალს არ აცილებდა შულც-პლოტნიკოვს. 1968 წლის 28 ოქტომბერს კი, ღამის 22 საათსა და 45 წუთზე, „კაგებეს“ ოპერმუშაკებმა დააფიქსირეს, რომ ობიექტმა „კრასნი არბატის“ რაიკომის შენობაში შეაღწია.

შულცი ფეხაკრეფით ავიდა რაიკომის შენობის მეორე სართულზე (ფეხსაცმელებზე მას მუზეუმის ჩუსტები ჰქონდა ამოცმული, რომ არ ეხმაურა), შემდეგ გასაღებების აცმა ამოიღო, ჯერ ერთი კარი გახსნა, შემდეგ მეორე და რაიკომის მდივნის კაბინეტში შეაღწია. ღამის სტუმარმა ჩაბნელებულ ოთახში მაგიდა შუაში გააჩოჩა და ზედ სკამი დადგა. შემდეგ სკამზე ავიდა, ფანარი აანთო და ბროლის უზარმაზარ ჭაღს დაუწყო თვალიერება, რომელიც არასდროს შეუცვლიათ. შულცმა ჭაღის ერთ-ერთი საკიდი შუშა მოხსნა და ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ ჯიბეში ჩაიდო, სკამიდან ჩამოვიდა და გასასვლელისკენ გაემართა. ამ დროს კაბინეტში ჭაღი აინთო და გაოგნებულ შულცს მაიორ ლოსევის ხმა მოესმა:

– პლოტნიკოვ, ბრილიანტი ჩაგვაბარეთ!

ღამის სტუმარი გაქვავებული იდგა. შემდეგ ჯიბიდან ბრილიანტი ამოიღო და მოულოდნელად გადაყლაპა...

„კაგებემ“ ატაშე შულცისგან „ბუნებრივი“ გზით დაიბრუნა ძვირფასი ქვა, რომელიც დღემდე კრემლში, ალმასის ფონდში ინახება. ატაშე შულცი კი ქვეყნიდან გააძევეს...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ გახდა არასრულწლოვანი გოგონა ინვალიდი მოძალადის მსხვერპლი და რაზე ვერ დაითანხმა მან გაუპატიურებული გოგონა



15 წლის გოგონას გაუპატიურებისა და გარყვნილი ქმედებისთვის 34 წლის სიმონ დ-შვილს ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასამართლო პროცესი, თემის დელიკატურობიდან გამომდინარე, დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა. მიყენებული მუხლის თანახმად ბრალდებულს 15 წლამდე პატიმრობა ელოდა. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ის პირველად მოხვდა საბრალდებო სკამზე, სოციალურად დაუცველი და თანაც, ინვალიდი იყო, საბოლოოდ, განსასჯელს მხოლოდ ცხრა წლით პატიმრობა შეეფარდა. სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდა თავად განსასჯელი, რომელიც აცხადებდა, რომ ინვალიდისთვის ცხრაწლიანი პატიმრობა ძალიან რთული იყო. თუმცა, მას ინვალიდის სტატუსმა ვერ უშველა. თავიდან განსასჯელმა, იმისთვის რომ, პატიმრობისგან თავი დაეხსნა, გოგონას ცოლად შერთვა შესთავაზა. თუმცა გოგონა, რომელიც ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იყო, მას ამაზე არ დათანხმდა.

სიმონ დ-შვილის დაკავების შემდეგ, გამოძიებამ მისი დაკითხვა ორ კვირაზე მეტხანს ვერ შეძლო. მას შემდეგ, რაც მის მიერ, არასრულწლოვანი, მშობლებისგან მიტოვებული გოგონას მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებები გახმაურდა, გოგონას დაცვა რამდენიმე მამაკაცმა სცადა. ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ სიმონ დ-შვილს, რომელსაც კბილებიც კი ჩამტვრეული ჰქონდა. მოგვიანებით ის თანასოფლელების სისხლის სამართლებრივ დასჯას მოითხოვდა. ნაცემი სიმონ დ-შვილი თანასოფლელთა რისხვას მოხუცმა დედამ გადაარჩინა, რომელიც მოგვიანებით თავადაც გახდა გამოძიებისთვის მოწმე. ქალმა დაადასტურა, რომ არაერთხელ გახდა შემსწრე, არასრულწლოვანი გოგონა მის შვილს სახლში რომ მოჰყავდა.

რა აკავშირებდა მოძალადეს მსხვერპლთან? ადგილი, სადაც სიმონ დ-შვილი გოგონაზე ძალადობდა, სოფლის ბოლოს არსებული ნაკვეთები იყო, რომელსაც სოციალურად დაუცველი გოგონა მეთვალყურეობდა. ოფიციალურად ეს საქმე გოგონას გამზრდელ ბებიას ჰქონდა ჩაბარებული. მაგრამ, როცა მოხუცი ქალი შეუძლოდ იყო, სარჩო რომ ხელიდან არ გამოცლოდათ, თავის ნაცვლად გოგონას გზავნიდა ნაკვეთში. სწორედ ეს გახდა მოძალადისა და მისი მსხვერპლის შეხვედრის ადგილი – სიმონ დ-შვილის ბინა, სადაც ის დედასთან ერთად ცხოვრობდა, ნაკვეთებთან ახლოს იყო. ახალგაზრდა მამაკაცი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ დაინვალიდდა – ცალი ფეხი ამპუტირებული ჰქონდა და ყავარჯნით გადაადგილდებოდა. ვინაიდან გოგონას სამეთვალყურეო ჯიხური მოძალადის სახლთან იყო ახლოს, ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. მოგვიანებით, გოგონამ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში დეტალურად აღწერა, როგორ დაუახლოვდა მას სიმონ დ-შვილი. თავიდან ის გოგონას თავისი ხელით გაკეთებულ ხის ნაკეთობებს ჩუქნიდა, შემდეგ კი უფრო დაუახლოვდა. დაზარალებული გოგონას ჩვენებით, ახალგაზრდა მამაკაცმა მასთან პირველი კონტაქტი მის სამუშაო ჯიხურში დაამყარა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, სიმონ დ-შვილმა გოგონასთან სექსუალური კონტაქტი თავიდან გარყვნილი ქმედებით დაიწყო, შემდეგ კი თითქმის ყოველდღე აუპატიურებდა. გოგონამ ამის შესახებ მხოლოდ ერთ მეგობარს უამბო, რომელიც ასევე არასრულწლოვანი იყო და სთხოვა, ეს საიდუმლოდ შეენახა. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, ასევე ცნობილი გახდა, რომ გარყვნილი მოძალადე მას ემუქრებოდა და საკუთარ სახლშიც დაშინებით გადაჰყავდა. ამონაწერი გოგონას ჩვენებიდან: „რამდენჯერმე მითხრა, თუ ამ ამბავს ხალხი გაიგებს, მეც დამიჭერენ და შენცო. რამდენჯერმე მოტყუებით გადამიყვანა თავის სახლში, ხშირად მემუქრებოდა კიდეც. მის სახლში ორჯერ თუ სამჯერ შევხვდი დედამისს, რომელიც მაშინ მოვიდა, როცა სიმონი უკვე საყარაულოსკენ მაცილებდა."

## მოძალადე მამაკაცი არასრულწლოვანს სასაფლაოზე აუპატიურებდა

გამოძიებას ჩვენება მისცა დაზარალებულის ბებიამ. მისი ჩვენებიდან დადგინდა, რომ მოხუცი ქალი თავადაც არაერთხელ გახდა იმის მოწმე, როგორ ეწვია საყარაულო ჯიხურში იქვე მცხოვრები ახალგაზრდა. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ბოლო პერიოდში ჩემი შვილიშვილი სამსახურში წასვლაზე უარს უფრო ხშირად ამბობდა. ვთხოვე, მე ცუდად ვარ და მთელი დღე საყარაულო ჯიხურში ვერ გავძლებ-მეთქი. რამდენჯერმე შევეცოდე, არ უნდოდა წასვლა, მაგრამ მაინც წავიდა. ერთ დღეს მე წავედი, სიმონი მოულოდნელად დამადგა თავზე. მერე მივხვდი, რომ ჯიხურში ჩემს შვილიშვილს ელოდა. ჩემს დანახვაზე დაიბნა, გოგონა მოიკითხა და მითხრა, ძაღლი დავკარგე და აქეთ მის მოსაძებნად წამოვედიო. არ მომეწონა მისი მოსვლა, მაგრამ არ მიფიქრია, თუ ასეთი რამე ხდებოდა ჩემს თავს."

როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა და მის მიმართ გარყვნილი ქმედება თითქმის სამი თვე გრძელდებოდა. სამართალდამცველებისთვის ამ ფაქტის შესახებ სოფელში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გახდა ცნობილი, როცა ოთხი მამაკაცი, სრულიად შემთხვევით, შეესწრო გაუპატიურების ფაქტს. ამონაწერი მოწმის, ტარიელ ხ-ძის ჩვენებიდან: „სიმონს არ ვიცნობდი, თუმცა ჩემს სოფელში ცხოვრობს და მის შესახებ გაგონილი მქონდა. ამ გოგონას კი, რომელიც ჩემი შვილის ტოლია, კარგად ვიცნობდი. ძალიან მეცოდებოდა თავისი დაჩაგრული ცხოვრების გამო. დედამ და მამამ მიატოვეს, გაზარდა ბებიამ, რომელიც პატიოსანი, მშრომელი ქალია და მთელი სოფელი პატივს ვცემთ. იმ დღეს, როცა ეს ამბავი შევიტყვეთ, მე და ჩემი სამი თანასოფლელი ეკლესიაში ვიყავით. ეკლესია, რომლის ეზოშიც სოფლის ძველი სასაფლაოა, იმ ნაკვეთების ახლოსაა, სადაც გოგონა ყოველდღე დადიოდა. ეკლესიაში ცხვარი დავკალით, ქეიფი სახლში გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ იქ ღვინო მაინც დავლიეთ. ეკლესიიდან რომ გამოვედით, უკვე სახლებისკენ ვაპირებდით წასვლას, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ერთ-ერთმა აიტეხა, აქვე, ჩემი გამზრდელი ბაბუას საფლავია და მოვინახულოთო. მანქანა ეზოს გარეთ ეყენა, ჩვენ კი საფლავებს შორის ფეხით გავდიოდით, სიმონს და გოგონას რომ დავადექით თავზე. ძნელია იმის გამოხატვა, რა დამემართა, როცა დავინახე რა ხდებოდა იქ. გოგონა სულ შიშველი იყო. ჩემი შვილის ტოლი გოგო ამ მდგომარეობაში რომ დავინახე, გავგიჟდი. მთვრალი ვიყავი, გონება გადამეკეტა. შეშინებული გოგონა ჩვენს დანახვაზე გაიქცა, სიმონი სად წაგვივიდოდა ცალი ფეხით? ალბათ, შემოგვაკვდებოდა, დედამისი რომ არ გამოჩენილიყო ხმაურზე. არც კი მახსოვს, სად და როგორ ვურტყამდი. ხელიდან ძლივს გამაგდებინეს." ამ ინციდენტის შემდეგ ფაქტი ცნობილი გახდა სამართალდამცველებისთვის. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მათ დააკავეს სიმონ დ-შვილი, რომელმაც ჩადენილი დანაშაული აღიარა. მან ეს აღიარა ასევე, სასამართლო პროცესზეც.

**ეკა ბარაბაძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ თვალი



3. შემდეგ წინა თათი



4. მიახატეთ ტანიც



5. შემდეგ — კუდი





6. დაასრულეთ ნახატი



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ნაძვის ხე გირჩისგან



ჩართეთ თქვენი შვილი საახალწლო სამზადისში: დიდი ზომის გირჩა შეღებეთ მწვანე საღებავით. ქაღალდისგან გამოჭერით ყვავილები (თუ გაქვთ ყვავილებიანი გიპიურის ნაჭერი, შეგიძლიათ, გიპიურის ყვავილები გამოჭრათ) და გირჩაზე მიაწებეთ. შეგიძლიათ ასევე, გამოიყენოთ ფერადი მძივები და ატლასის ლენტებისგან დამზადებული ბაფთები. სადგამად გამოიყენეთ ნებისმიერი პლასტმასის ბოთლის თავსახური. თუ გირჩას თეთრად შეღებავთ, დათოვლილი ნაძვის ხე გამოგივათ.

# რიცხვრებუსი

,,3, 10,, 5,,, 10

# პატრუქი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ პატრუქი იკვეხნიდა: მზესა და ვარსკვლავებზე მეტად ვანათებო. მაგრამ დაჰბერა ქარმა და პატრუქი მყისვე ჩაქრა. ერთმა კაცმა ისევ მოუკიდა პატრუქს და უთხრა: ანათე და ხმა გაიკმინდე, მზე და ვარსკვლავები არასოდეს არა ქრებიანო.

ამქვეყნად ნურვინ იამაყებს ბრწყინვალებითა და დიდებით, რადგან ყოველივე ეს მაცდური და წარმავალიაო.





აკაკი ბელიაშვილის რომანის ვეფხია.....

მთვარე ასეთიც არის

ფეხსაც-მლის ქვეშ ჩა-სადებელი

ვარდო-ბისთვე

თავ-შეყრა

არა-ბული ქვეყანა

დროის უსას-რულობა

დაზუს-ტების სიტყვა

გან-თიადი

დიდი რეგიონი

ჩვენი მეფე-პოეტი

რუსი როკ-მომღერ. ქალი

(.......) ჟირარდო ფრინ-ველი

ცეცხლის მილების საშუალება

ტექნ-იკური სითხის სათავსი

რაღაც ერთთან დარჩენა

ბიჭი დაკა-ცებამდე

ნახევრა-ტიანი გოჭი

ავტო-რბოლა

სიიდან ამოგდება დათვი ასეთიცაა

ბაყაყის ენა

სევანის თევზი კავკასი-აში იყო

ხარის სახელი

ცხენის „ფეხ-აცმელი“

დიდი დრო გადას-ახლელი

ჩვენი კინო-რეჟი-სორი

იტალ-იის ქალაქი

სათუთი

„მატე-რის“ წინაა

განი-ცადა, ანუ რა ქნა?

ქერაპი მცხე-თაში

იტალიის ქალაქი ცეცხლის ენა

ინდო-ნეზიის კუნ-ძული

ჩვენი ქალაქი

პოლი-ვუდელი (.......) სორვინო

უსავენ-საკაია

გრაფ-იკული ნიშანი

გეომე-ტრიული ფიგურა

შენი ასაკის, ანუ შენი...

ან მომ-ხდარის აღსა-ნიშნი

ზუთხის ლორად ქცეული გვერდი

ქვა შეი-ძლება იყოს

კონსტ-ანტინე არსა-კიძე

ჩვენი ტბა

კრახი დიპლ-ომატთა წერილი

ბანდე-რასის კინო-როლი

გონება-ჩლუნგი (........) რაზინი

პატარა მწერი

არის ასეთი ქვა

ამძრავი ბორბალი

ბერძ-ნული ანბანის ასო

თბილის. დადე-ართის ნათლია

ზოგი პატარა ირაკლი

ქამუ-შაძის სახელი

დიდი რიგელი მოჭად-რაკე

ქალაქ\ ფლორ-ენციის მდინარე

ინდური მითო-ლოგიის ღმერთი

ფლორე-ნციის მუზეუმი

პორცია

დუშმანი

პარიზის სასახლე სასწავ-ლებელი

ძროხის ჯიქანი

ხრიკი, ანუ?

ცნობილი ტელე-დიქტორი ლია...

ძვირფა-სტყა-ვიანი არსება

ირანის დედა-ქალაქი

ერთი ვეი-ნეის შემდეგ

მანერა

პიპი-ნის ძაღლი

დაქირა-ვებული მაყურე-ბლები

თბი-ლისის უბანი

პირ-უტყვის სადგომი

\მდინა-რის ნაპირი

რუსეთის რესპუ-ბლიკა

ნაკე-ცები ქსო-ვილზე

პატარა მამრი

მონო-ნების შექა-ხილი

მაღალი ხე

მეორე პირი

ძველი ფილმი ბოშა ქალზე

წრე-წირის ნაწილი

(......) კეტა-შვილი

კროს-ვორდის დასა-სრული

ჭრილობა

საცურაო ადგილი

| Column | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 5 | 1 | | | | | | | | | 9 | 10 | | | | | | | | | | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | 1 | 3 | | | 7 |
| | 6 | 5 | 3 | 8 | 9 | 11 | 8 | 7 | 8 | 12 | 13 | 2 | 2 | 10 | 11 | 12 | 14 | 15 | 16 | 16 | 17 | 17 | 7 | 7 | 8 | 11 | 15 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 7 | 10 | 4 |
| | 2 | 3 | 9 | 9 | 8 | 8 | 7 | 7 | 7 | 7 | 6 | 6 | 6 | 5 | 4 | 4 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 | 9 | 8 | 1 | 17 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 2 | 16 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 | 6 | 2 | 1 |
| | 3 | 2 | 1 | 1 |
| | 3 | 2 | 2 | 1 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 1 |
| 2 | 4 | 11 | 3 | 1 |
| | | | 22 | 4 |
| | | | 24 | 4 |
| | | | 24 | 2 |
| | | | 22 | 3 |
| | | | 21 | 2 |
| | | | 22 | 2 |
| | | | 22 | 2 |
| | | | 20 | 1 |
| | 2 | 9 | 4 | 1 |
| | 2 | 8 | 4 | 2 |
| | 4 | 6 | 3 | 1 |
| | 4 | 6 | 3 | 1 |
| | | 6 | 4 | 1 |
| | | 5 | 4 | 1 |
| | 1 | 4 | 3 | 1 |
| | 2 | 4 | 3 | 1 |
| | 4 | 4 | 3 | 1 |
| | | 6 | 7 | 1 |
| | | 10 | 7 | 1 |
| | | 13 | 6 | 1 |
| | 12 | 3 | 2 | 1 |
| | 14 | 3 | 3 | 1 |
| | 17 | 3 | 3 | 1 |
| | 19 | 3 | 3 | 2 |
| | | 23 | 3 | 6 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | 6 | | 9 | | 4 | |
| 7 | 1 | 4 | 2 | | | 3 | | |
| | 6 | | | 1 | | | 8 | 7 |
| 4 | 5 | 6 | 8 | | | | | 2 |
| | | | 1 | | 5 | | 3 | 6 |
| 1 | | 7 | | 6 | | 8 | | 4 |
| | 7 | | 5 | | 3 | | 2 | |
| 2 | | 5 | | 8 | | 6 | | 3 |
| | | 3 | 4 | | | | 7 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 9 | | | | | 8 | |
| 3 | | | 5 | | | | | 2 |
| | 2 | 8 | | 3 | 7 | 4 | | |
| 8 | | | 4 | 2 | | | 7 | |
| | 3 | | | | | | 4 | 5 |
| 4 | | | 7 | | | | | 8 |
| | 4 | | | 7 | | 8 | | 1 |
| 9 | | | 2 | | 4 | | 6 | |
| | 7 | | 8 | | | 3 | | 4 |

# წყეული სამხილი

## ჯონ ლეტცი

სტივ მაკკეინს ცოლის მოკვლა კარგა ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა. მას მიაჩნდა, რომ დორინის გვერდით ძალიან უბედური იყო. დორინს ერთ პოპულარულ ქალთა ჟურნალში საავტორო სვეტი მიჰყავდა – „როგორ ვიცხოვროთ იაფად და მარტივად“ – და საკმაოდ კარგი შემოსავალიც ჰქონდათ. მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ დორინი რეალურ ცხოვრებაშიც იყენებდა მკითხველისთვის მიცემულ რჩევებს, რაც სტივს შოკში და სრულ აპათიაში აგდებდა. ფული საკმარისზე მეტი



ჰქონდათ, თუმცა, უგემურად და მათხოვრებივით ცხოვრობდნენ. მაგალითად, პლედი, რომელიც დივანზე იყო გადაფარებული, სტივის ძველი ჯემპრებიდან და პიჯაკებიდან ამოჭრილი ნაგლეჯებით იყო შეკერილი. იატაკზე კი ეფინა ხალიჩა, რომელიც დორინმა სხვადასხვა მაღაზიებიდან წამოღებული ნიმუშებით შეკერა... მსგავს სიმახინჯეს სხვაგან ვერსად ნახავდით და სტივი უკვე სიძულვილით უყურებდა ცოლს, რომელიც ორი წლის წინ სიყვარულით შეირთო... როგორ უნდოდა, მის ცოლს სახეზე გათქვეფილი ნაღები და საზიზღარი ფაფები კი არა, ნამდვილი კოსმეტიკა წაესვა, თუნდაც ძვირად ღირებული; თმაც ყველა ნორმალური ქალივით სალონში შეეღება; წასულიყვნენ ძვირად ღირებულ რესტორანში, ეჭამათ ლობსტერები და არა პლასტმასის თეფშებზე დაწყობილი სენდვიჩები იაფფასიანი ქაშაყით...

დორინს საბანკო ანგარიშზე ძალიან დიდი თანხა ჰქონდა შეტანილი – ის ხომ ძალიან ბევრს გამოიმუშავებდა. სისულელეს გააკეთებდა, თუკი გაშორდებოდა, მაგრამ, თუ დორინი მოკვდებოდა... – ო, აი, ეს სულ სხვა საქმე იყო. თუმცა, სტივ მაკკეინს ციხეში ყოფნის პერსპექტივა არ ხიბლავდა... რამე ისეთი რომ მოეფიქრებინა, მაგალითად, მკვლელობის ვერსია, კვალს რომ არ დატოვებდა, ისეთი...

– შემომხედე, სტივ, აღიარე, რომ ძალიან მაგარი გამოგონებაა, – ცოლის ხმამ მაკკეინი ტკბილი ფიქრებიდან გამოარკვია. ზღურბლზე დორინი იდგა, წელზე შებმულ სარტყელზე სამზარეულოს ქაღალდის ხელსახოცის რულონი ჰქონდა ჩამოკიდებული

– რა არის ეგ? – კაცმა გაოგნებულმა შეხედა აშკარა სიმახინჯეს.

– პრაქტიკული მიგნება დიასახლისისთვის. სულ რომ წინ და უკან არ ირბინოს ხელების შესაწმენდად და არა მხოლოდ ხელების შესაწმენდად, ხელსახოცი მუდმივად „აქტიურ რეჟიმშია:“ დაგჭირდება? – წამში მოხევ და მაგიდას გადაწმენდ... ერთი სიტყვით, ამ ნომრისთვის ძალიან სასარგებლო რჩევა მზად მაქვს.

– ანუ, ახლა სახლში წელზე ხელსახოცჩამოკიდებულმა უნდა იარო?

– რატომაც არა?! შენ ფიქრობ, მე ჩემს მკითხველს ვატყუებ და ვაჩეჩებ იმას, რასაც მე თავად არ ვიყენებ?

სტივმა ამოიოხრა:

– დორინ, ჩვენ საკმარისზე მეტი ფული გვაქვს, ძალიან ბევრიც კი იმისთვის, რომ ასე არ ვიცხოვროთ. არ შეიძლება, ერთხელ მაინც წავიდეთ კარგ რესტორანში? შენ მაღაზიაში ნაყიდ კაბას ჩაიცვამ და არა შენი ხელით შექმნილ მორიგ საოცრებას... რა გვიშლის ხელს, ნორმალური ადამიანებივით რომ ვიცხოვროთ?

ქალი თვალებგაფართოებული უსმენდა კაცის მონოლოგს, მერე გაიცინა:

– იხუმრე, სტივენ? მითხარი, რომ იხუმრე. რა არ მოგწონს? – სასადილოს ნარჩენებისგან გემრიელ და ნოყიერ ვახშამს ვამზადებ, თან, ეკონომიას ვაკეთებ; ქალაქის საუკეთესო რაიონში, საუკეთესო სახლში, პენტჰაუზში ვცხოვრობთ; არ გშია, არ გცივა; არც უშნო და უჭკუო ცოლი გყავს – იმდენს ვშოულობ, სიბერე უზრუნველყოფილი გვექნება. შენ თავადაც არ იცი, რა გინდა...

მაგრამ, სტივმა იცოდა, რაც უნდოდა: რომ დორინს ნორმალურად ჩაეცვა და ფართხუნა, უშნო კაბებით არ ევლო; თმა სალონში შეეღება და შეეჭრა – იქნებ, სიმპათიურადაც მოსჩვენებოდა, მაგრამ, ეს ქალი საშინელება იყო უკან, დუნდულებთან მოქანავე ქაღალდის რულონით და, სტივსაც, მის შემხედვარეს, მხოლოდ საშინელი აზრები მოსდიოდა

საღამოს დორინი რედაქციაში წავიდა. სტივმა დრო იხელთა და იმ პატარა ბარში შევიდა, ხანდახან რომ შეივლიდა ხოლმე ვისკის დასალევად. ეს მისი ერთადერთი სიამოვნება იყო. მაგრამ, იქ ლეისი დახვდა – გრძელფეხება, პლატინისფრად თმაშეღებილი, ლამაზმკერდიანი ქალიშვილი. ამან კიდევ უფრო მოუშხამა გუნება და თავისი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა.

სახლში რომ დაბრუნდა, სასტუმრო ოთახის ფანჯარა გააღო, რაფაზე კი იატაკის საწმენდი ჯოხი დადო, ისე, რომ მისი ბოლო კარგად ყოფილიყო რაფიდან გარეთ გადაცდენილი და ფანჯარა ისე მიხურა, ჯოხი რომ დამაგრებულიყო... ქუჩას რომ გადახედა, მუხლებში სისუსტე იგრძნო – ადამიანები და მანქანები მათი ბინის ფანჯრიდან ტარაკანებივით მოჩანდნენ... შემობრუნდა, ცოტა სული მოითქვა და სახურავზე ავიდა. ძალიან ფრთხილად დგამდა ნაბიჯებს, თან ქვემოთ იყურებოდა და ჯოხს ეძებდა... როგორც იქნა, დაინახა მისი გაშვერილი ბოლო, ჩაიმუხლა და ბინიდან წამოღებული მარკერით ის ადგილი მონიშნა.

დორინი რომ დაბრუნდა, სტივი უკვე მზად იყო განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

– მთელი დღე უსაქმურობდი? – ჰკითხა ცოლმა.

– შენ წარმოიდგინე, არა. სახურავზე ვიყავი და, როგორ გგონია, რა ვნახე? – გაზიანი სასმელის ლითონის ქილისგან გაკეთებული ფლუგერი. ვიფიქრე, რომ კარგი იდეაა შენი სვეტისთვის.

ქალმა ეჭვით შეხედა:

– არ მატყუებ?

– რას ამბობ, საყვარელო! ავიდეთ სახურავზე და ახლავე განახვებ.

სახურავზე დორინმა კიდევ ერთხელ ჰკითხა ქმარს:

– სად არის შენი ფლუგერი? თუ მომატყუე, ვერ გადამირჩები.

– არა, რას ამბობ, ახლავე დაინახავ. აი, იქ, მოპირდაპირე სახლის სახურავზეა. ოდნავ მარჯვნივ წამოდი, კიდევ ერთი ნაბიჯი... ახლა კი ოდნავ წინ გადაიხარე...

სტივმა აღარ გადაიხედა ქვემოთ – არ უნდოდა, ასფალტზე გაბრტყელებული და ათქვეფილი დორინის გვამი დაენახა. ბინაში დაბრუნდა, სასტუმრო ოთახში ფანჯარა გააღო, იატაკის საწმენდი ჯოხი აიღო, ოთახი კარგად დაათვალიერა და პოლიციაში დარეკა.

ლეიტენანტმა გასტონმა კიდევ ერთხელ გადაიხედა ფანჯრიდან და სავარძელში მჯდარ სტივს ყურადღებით მიაჩერდა.

– ესე იგი, თქვენ ისევ იმეორებთ, რომ თქვენი ცოლი ფანჯრიდან გადახტა?

– დიახ. ჯერ დამემუქრა, გადავხტებიო, რადგან, ვუთხარი, რომ უნდა გავშორებულიყავით. მშვიდად და ცივილიზებულად ავუხსენი, მაგრამ, იცოდე, თავს მოვიკლავ, გადავხტებიო... როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამას გააკეთებდა!

– აჰა, ესე იგი, ეს უბედური შემთხვევა იყო?

– დიახ...

– კარგი, მისტერ მაკკეინ, გამომყევით, მინდა, რაღაც განახვოთ.

უსიამოვნო წინათგრძნობით შეპყრობილი სტივი ლეიტენანტს გაჰყვა. ლიფტით ქვემოთ ჩავიდნენ და ქუჩაში გავიდნენ.

– ძალიან მიმძიმს, თუ ამოცნობაზე მიგყავართ. ეს საჭირო არ არის, ის დორინის გვამია, ჩემ თვალწინ გადახტა ფანჯრიდან.

– ვიცი, მესმის, რომ მძიმეა თქვენთვის, მაგრამ, მე სხვა რამე მინდოდა მეჩვენებინა – თუკი თქვენი მეუღლე ნამდვილად ფანჯრიდან გადმოხტა, ამას როგორ ახსნით?

სტივმა მაღლა აიხედა და ლამის ძარღვებში სისხლი გაეყინა, სახურავიდან მიწამდე, მთელ სიგრძეზე, ამაყად ფრიალებდა სამზარეულოს ქაღალდი – როგორც ჩანს, მისი ბოლო იქ რაღაცას გამოედო, როცა დორინს ხელი ჰკრა და გადმოაგდო...

სტივი განაჩენს სიკვდილმისჯილებისთვის განკუთვნილ საკანში მარტო ელოდა და ფიქრობდა: კარგი იქნებოდა, დორინი ცოცხალი ყოფილიყო – ის აუცილებლად მოიფიქრებდა რამე რჩევას საკანში მარტო მყოფთათვის და ასწავლიდა, დრო როგორ გაეყვანა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**

# ფუტკრის რძე ბუნების საჩუქარი!

„აპილაკი გრინდექსი" ფუტკრის რძის დედოზე დამზადებული ნატურალური პროდუქტია, რომელიც 40 წელზე მეტია გამოიყენება მედიცინაში

### აძლიერებს იმუნიტეტს

აპილაკის მოქმედების მთავარი ბიოლოგიური პრინციპია ორგანიზმის იმუნიტეტის ამაღლება, რის შედეგად ის დამოუკიდებლად უმკლავდება მრავალ დაავადებას.

### ხსნის ქრონიკული დაღლილობის სინდრომს

აპილაკი ბუნების ნამდვილი სასწაულია, რომელსაც რთული შემადგენლობა გააჩნია. ის შეიცავს ჰორმონის მსგავს ნივთიერებებს, რომლებიც ზრდიან სასიცოცხლო ტონუსს და ხსნიან დაღლილობის შეგრძნებას. ხელოვნურად სინთეზირებული ჰორმონებისგან განსხვავებით, აპილაკში ისინი ნატურალურია და ბუნებრივად ხდება მათი ათვისება ორგანიზმის მიერ.

### ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას

აპილაკი უნივერსალური პროდუქტია, შექმნილი თვით ბუნების მიერ. ის პოლივიტამინებისა და მიკროელემენტების ნამდვილი საგანძურია. ფუტკრის რძის შემადგენლობაში შედის ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, როგორიცაა ბიოტინ-კოფერმენტი R და პანთოტენის მჟავა _ ვიტამინი $B_5$. მათი წყალობით ხდება ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ასევე, ფუტკრის რძე შეიცავს ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქსოვილური მეტაბოლიზმის პროცესებში.

### ფუტკრის რძე ერთ-ერთი უძლიერესი ბუნებრივი ბიოლოგიური სტიმულატორია

აჩქარებს გამოჯანმრთელების პროცესს მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების შემდეგ. აპილაკის შემადგენლობაში შემავალი ცილა, გამა-გლობულინი, ახდენს ვირუსის საწინააღმდეგო, მიკრობსაწინააღმდეგო და ანტიტოქსიკურ მოქმედებას, რაც ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს მწვავე რესპირატორული დაავადებების მიმართ, ბრონქიტისა და ტუბერკულოზის მიმართაც კი. გარდა ამისა, ორგანიზმი უფრო სწრაფად აღდგება გადატანილი დაავადების შემდეგ.

### აუმჯობესებს ნერვული და ენდოკრინული სისტემების მუშაობას

აპილაკი ხელს უწყობს შრომისუნარიანობის ამაღლებას და ენერგიის მომატებას, ამცირებს გადატანილი სტრესის ნეგატიურ შედეგებს, არეგულირებს ნერვული სისტემის მუშაობას, კერძოდ, აღადგენს ბალანსს პარასიმპატიკურ და სიმპატიკურ ნაწილებს შორის. ნერვული სისტემის დაავადებებისას სამკურნალო ეფექტი მიიღწევა B1, B6, PP ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყალობით, რომლებიც ასევე დადებით გავლენას ახდენენ ენდოკრინულ სისტემაზე და ასტიმულირებენ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

### აუმჯობესებს ლაქტაციას

აპილაკი მრავალი წელია წარმატებით გამოიყენება მეძუძურ დედებში ლაქტაციის გასაძლიერებლად. ის ხელს უწყობს ღვიძლში გლიკოგენის გარდაქმნას გლუკოზაში და ასტიმულირებს კუჭქვეშა ჯირკვლის მიერ ინსულინის გამომუშავებას, რომელიც ხელს უწყობს უჯრედებში გლუკოზის ათვისებას. შედეგად ორგანიზმი იღებს ბევრ ენერგიას, უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა და სტიმულირდება სარძევე ჯირკვლების მუშაობა. აპილაკი ასევე შეიცავს ვიტამინების ფართო კომპლექსს, მაგალითად, A, B, D, PP, E ჯგუფის ვიტამინებს და თავისუფალ ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც აუცილებელია ჩვილის ნერვული სისტემის ჩამოყალიბებისათვის.



**ძველად სამეფო ოჯახებს შორის დანათესავება პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. სხვადასხვა ქვეყნის სამეფოები ასე აგვარებდნენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას. ეს ერთგვარად, ზავის საშუალებაც იყო და ურთიერთაღიარებისაც. გარდა ამისა, ერთგვარი ვალდებულებაც გახლდათ – მეფეს მეფური წარმოშობის ასული უნდა მოეყვანა ცოლად და არა ქვეშევრდომი.**

# რატომ მოიყვანა ცოლად ორმა იმპერატორმა ბაგრატ მეოთხის ასული

ბაგრატ მეოთხე 1027 წელს მცირეწლოვანი იყო, სულ 7–8 წლისა, მცირეწლოვანი ბაგრატის გამეფებით უნდოდა, ესარგებლა ბიზანტიის იმპერატორს, კონსტანტინე მერვეს, ბასილი მეორე ბულგართმმუსვრელის ძმას. მან საქართველოს წინააღმდეგ გააგრძელა თავისი ძმის აგრესიული პოლიტიკა. მისი გარდაცვალების მერე, 1028 წელს ტახტზე ავიდა რომანოზ მესამე არგირი, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე, ცოლად მოაყვანინეს კონსტანტინე მერვეს მეორე ასული, ზოია.

ბაგრატ მეფის დედა, დედოფალი მარიამ არწრუნი, (ვასპურაკანის სომხური სამეფოს მეფის, სენექერიმ არწრუნის შვილი) გაემგზავრა ბიზანტიაში და დაალაგა ურთიერთობები თავისი მცრეწლოვანი შვილის მაგივრად.



ბაგრატ მეოთხეს კურაპალატის წოდება მიანიჭეს და ბიზანტიის იმპერატორის, რომანოზ მესამის ძმის, ბასილის ასული – ელენე მოჰგვარეს ცოლად. ქორწილი შედგა 1030 წელს, ბანაში.

სამწუხაროდ, ელენე დედოფალი მალე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ბაგრატ მეფემ ცოლად ითხოვა ოსთა მეფის, ურდურეს ასული და მომავალი მეფის, დორღოლელის და – ბორენა. ეს ნაბიჯიც პოლიტიკური იყო, ოსური სამხედრო რესურსის გამოყენების მიზნით, რაც მერე მართლაც კარგად გამოიყენა საქართველომ განძასთან ბრძოლაში. მეფე-დედოფალს – ბაგრატს და ბორენას შეეძინათ უფლისწული გიორგი (მომავალი გიორგი მეორე) და პრინცესა მართა (და შეიძლება, კიდევ ერთი ასული მარიამი).

ბაგრატის პირველი ცოლის, დედოფალ ელენეს გარდაცვალების შემდგომ, ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ბიზანტია მხარს უჭერდა და ეხმარებოდა ბაგრატ მეოთხის მოწინააღმდეგე ფეოდალს, ლიპარიტ ბაღუაშს, რომელმაც რამდენჯერმე დაამარცხა თავისი ხელმწიფე.

ამ დროს მცირე აზიას შემოესივნენ თურქ-სელჩუკები. 1048 წელს ბიზანტიის იმპერიის ჯარები, რომელთაც ეხმარებოდა ლიპარიტ ბაღუაში, დაამარცხეს თურქებმა. ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა და ხორასანში წაიყვანეს.

ბაგრატ მეფემ ლიპარიტის ტყვეობით ისარგებლა, დაატყვევა ლიპარიტის ვაჟები – ივანე და ნიანია და დაიკავა უფლისციხე. შემდეგ ივანე გაათავისუფლა, ნიანია კი მძევლად დაიტოვა. ამასობაში ლიპარიტი თურქებმა გამოუშვეს. ის ანისში მივიდა და იქიდან გაემგზავრა ბიზანტიაში. რადგან იმპერატორისთვის ტყვედ ჩავარდა, დაუფასეს და საქართველოს შიდა არეულობისთვის ფულიც და ჯარიც მისცეს. მას ველარ ალუდგა წინ საქართველოს მეფე.

დაახლოებით 1052 წელს ბაგრატ მეფე იძულებული გახდა, საკუთარი ქვეყნის საქმეების მოსაგვარებლად ბიზანტიაში გამგზავრებულიყო კონსტანტინე მეცხრე – მონომახთან, რადგან ბიზანტიელები სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას უწევდნენ მის მოწინააღმდეგე ლიპარიტ ბაღუაშს. მეფეს თან ახლა დედა-დედოფალი, ნიჭიერი და გამოცდილი დიპლომატი. წასვლის წინ ბაგრატ მეფემ თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, გიორგი მეორე ქუთათისში თანამოსაყდრედ, თანამეფედ გამოაცხადა.

მეფე და დედა-დედოფალი კონსტანტინოპოლში სამი წელი გააჩერეს „საპატიო“ მიზეზებით. პრინციპში, არც ბიზანტიის სამეფო კარს ჰქონდა დალაგებული სიტუაცია თავის სახელმწიფოში. იქ კიდევ უარესი მდგომარეობა იყო და სულ იცვლებოდა დინასტიები.

მეფე ბაგრატისა და დედა-დედოფალ მარიამის სანახავად ათონის წმიდა მთიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც საქმეებიც ჰქონდა კონსტანტინე მონომახთან.

მეფემ და დედამისმა ძალიან გაიხარეს ასეთი წმიდა ადამიანის ხილვით. რა თქმა უნდა, ქართველ მეფეს ეხმარებოდა საქართველოს ეკლესიის დიდი მნათობი. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ბიზანტიაში.

დაემონაფა დედოფალი მარიამი გიორგი ათონელს და მის მიერ მონაზვნად აღიკვეცა. მეფე ბაგრატმა სთხოვა გიორგი მთაწმინდელს ჩაებარებინა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა, სადაც თავისი საძვალე ეგულებოდა, მაგრამ წმინდა მამამ უარი უთხრა. მისი მთავარი მიზანი ქართველთა ბიბლიოთეკების სალვთო წიგნებით გამდიდრება იყო. გარდა ამისა, ამქვეყნიურ პატივს და მღვდელმთავრობას გაურბოდა.

## მის დედამთილს მოეწონა ლამაზი აღნაგობის სახელგანთქმული მეომარი რომან დიოგენი და ქმრად დაისვა

ბიზანტიის დედოფალმა თეოდორამ, – იმპერატორ კონსტანტინე მერვის ასულმა, თავისი განსვენებული დის, ზოიასა და მისი მესამე ქმრის, იმპერატორ კონსტანტინე მეცხრის თანამმართველმა, კონსტანტინე მეცხრის გარდაცვალების მერე კი ერთპიროვნულმა იმპერატრიცამ, შესთავაზა ბაგრატ მეფეს, მე გავზრდი თქვენს ასულ მართასო. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, ეს სიხარულით მიიღო ჩვენმა მეფემ, თუმცა, შესაძლოა, პატარა ქართველ პრინცესას, ერთგვარად, მძევლად დატოვება უნდოდათ ბერძნებს.



ამ დროს მოხდა საინტერესო რამ. როცა პატარა მართა ბაგრატიონი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, იმ დღეს გარდაიცვალა დედოფალი თეოდორა. იმ მომენტში ბაგრატის დედა, მარიამ დედოფალი სასახლეში იყო. გიორგი მთაწმინდელიც იქ ყოფილა. სწორედ იმ წუთებში 6 წლის მართა ბაგრატის ასული სასახლეში მიუყვანიათ კონსტანტინოპოლის პორტიდან.

ეს რომ იხილა საქართველოს ეკლესიის მნათობმა, ყველას გასაგონად თქვა:

– „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“!

მართა ბატონიშვილი ცოტა ხანს გააჩერეს კონსტანტინოპოლში. ბაგრატ მეფეს იმპერიაში მიანიჭეს კურაპალატზე მაღალი ნობელისიმუსის, მერე კი სევასტოსის წოდება. ამ წოდებებს იმპერატორის ოჯახის წევრები ატარებდნენ.

1056 წელს ბაგრატი სამშობლოში დაბრუნდა და დაამარცხა ლიპარიტი.

1059 წელს კონსტანტინოპოლის ტახტზე ავიდა კონსტანტინე მეათე დუკა. 1065 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ, თავისი შვილისა და მემკვიდრის, მიხეილისთვის მართა ბატონიშვილის ხელი ითხოვა.

ამ დროს ბაგრატ მეფე ძალიან საჭირო გახდა ბიზანტიისთვის, რადგან აღმოსავლეთში დიდი მარცხი განიცადეს ბერძნებმა თურქ-სელჩუკებისგან. ამ რეგიონში კი უძლიერესი ქრისტიანი ხელმწიფე ბაგრატ მეოთხე გახლდათ.

ყველას, ვისაც ახსოვდა გიორგი ათონელის სიტყვები 6 წლის ბატონიშვილ მართას შესახებ დედოფალ თეოდორას გარდაცვალების დღეს თქმული, უკვირდა ასე ახდენილი წინასწარმეტყველების.

1067 წელს გარდაიცვალა კონსტანტინე მეათე დუკა, მართას მამამთილი. მის დედამთილს მოეწონა ლამაზი აღნაგობის სახელგანთქმული მეომარი რომან დიოგენი და ქმრად დაისვა. მას რომან მეოთხე უწოდეს. ის სახელგანთქმული სარდალი იყო და ბიზანტია მასზე ამყარებდა იმედებს თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. მან რამდენჯერმე მართლაც დაამარცხა სელჩუკები, მაგრამ 1071 წელს დუკებმა უღალატეს მანასკერტის ბრძოლაში და თურქებმა იმპერატორი რომან მეოთხე ტყვედ ჩაიგდეს. მართალია, მერე გამოუშვეს, მაგრამ ვერ შეძლო ტახტის დაბრუნება. იმპერატორი გახდა მიხეილ მეშვიდე დუკა, მართა ბაგრატიონის მეუღლე. ასე გახდა მართა ბაგრატიონი ბიზანტიის დედოფალი. მას მარიამი უწოდეს. ის განსაკუთრებულად ლამაზი ყოფილა – ძალიან განათლებული და კეთილი ადამიანი, საქართველოს დიდი პატრიოტი.

მარიამ დედოფალს და მიხეილ დუკას 1074 წელს შეეძინათ ვაჟი კონსტანტინე, რომელსაც პორფიროგენეტი უწოდეს.

მიხეილ მეშვიდე დუკა სუსტი იმპერატორი ყოფილა. 1078 წელს ის აიძულეს ბერად აღკვეცილიყო. ალექსი კომნენისა და კონსტანტინოპოლის არისტოკრატიის დახმარებით, ბიზანტიის კეისარი გახდა ნიკიფორე მესამე ბოტინიატე (1078–1081). ის უკვე საკმაოდ ასაკიანი იყო. გადატრიალებას რომ კანონიერი სახე ჰქონოდა, მან ცოლობა სთხოვა მარიამ დედოფალს და სამაგიეროდ შეჰპირდა ,მისი შვილი, კონსტანტინე პორფიროგენეტი გამოეცხადებინა მემკვიდრედ. მანამდე

(გაგრძელება 81-ე გვერდზე)

# როგორ სწირავდნენ მსხვერპლს მაიას ტომის ბელადები

მესოამერიკაში (ვრცელი ტერიტორია მექსიკიდან ჰონდურასამდე) არსებული მაიას ცივილიზაცია სულიერად ბევრ რამეში ახლოს იყო მის მეზობლად მდებარე აცტეკების ცივილიზაციასთან, მაგრამ, მასზე ბევრად უძველესი ფესვები ჰქონდა. მისი ფორმირება ჩვენს ერამდე ასეული წლებით ადრე დაიწყო და ესპანელთა მიერ მისი ანექსიის მომენტისათვის უკვე თავისი განვითარების პიკს გადააბიჯა.

ისე, როგორც მესოამერიკის სხვა ხალხებში, მაიას ტომშიც, ადამიანის სისხლი დიდ საკრალურ როლს თამაშობდა, ხოლო ადამიანთა მსხვერპლშეწირვები მათთან ნაკლებად იყო გავრცელებული, ვიდრე აცტეკებთან და ნაუას სხვა ტომებში. რიტუალური მოკვდინების „ასორტიმენტი" მაიას ტომში მნიშვნელოვნად დიდი იყო: ისინი იყენებდნენ როგორც ჩამოხრჩობას, ასევე, წყალში დახრჩობას, მოწამვლას და ცოცხლად დამარხვასაც კი... და მაინც, ყოველ შემთხვევაში, ესპანელთა მიერ მისი დაპყრობის პერიოდში, რელიგია და მსხვერპლშეწირვა მაიას ტომში ნაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე აცტეკებში.

მაიას ტომში სულის მოსახსენიებლად შეწირული მსხვერპლი ზომიერებით გამოირჩეოდა. ჩვეულებრივ, წარჩინებული პირებისა და თვით მეფეების საფლავებში, არქეოლოგები მსხვერპლად შეწირულ ერთი ან მეტი ადამიანის ჩონჩხს აწყდებიან: პალენკში, „წარწერების ტაძრის" სახელგანთქმულ აკლდამაში, ექვსი ადამიანის ნეშტი იქნა ნაპოვნი; ტიკალში კი მეფესთან ერთად ცხრა ადამიანი იყო დამარხული.

მაიას ტომში მსხვერპლშეწირვის რიტუალები დიდი დამუშავებისა და თეატრალურობის ხარისხით განსხვავდება. შემორჩენილია მაიას ხელნაწერი, რომელიც შემდეგნაირადაა დასათაურებული: „ძველი ხალხის ცეკვების წიგნი, რომლებიც აქ, სოფლებში სრულდებოდა თეთრი ადამიანების მოსვლამდე". მიუხედავად იმისა, რომ ეს სათაური წიგნმა ესპანელთა მოსვლის შემდეგ მიიღო, მასში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ის შედგენილი იქნა თითქმის საუკუნით ადრე – 1440 წელს. წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი რიტუალური ცეკვები, მათ შორის ისინიც, რომლებიც თან უნდა დართვოდა ადამიანთა მსხვერპლშეწირვას.



„ცეკვების წიგნი" იწყება წეს-ჩვეულება „შკოლომჩეს" აღწერით: ახალგაზრდათა აღნაგოვანი რიგები ეწყობა მოედანზე, რათა თავიანთი ხელოვნება წარმოაჩინონ. მოედნის შუაში ქვის კოლონაა, რომელზეც მამაკაცია დაბმული. მას სურნელოვანი ყვავილები აფენია, ხოლო სხეული მსხვერპლშეწირვის ფერად – ლურჯად აქვს შეფერილი.

## მოედნის შუაში ქვის კოლონაა, რომელზეც მამაკაცია დაბმული

მოედანზე შემოდიან სოფლის (ქალაქის) თანამდებობის პირები და გაისმის მიმართვა სამსხვერპლოსადმი:

„იცინე, კარგად დაიცხრე და მოილბე სული შენი, რადგან შენ იქნები ის, ვინც შენი თანამემამულეების ხმას მიიტანს ჩვენს შესანიშნავ მეუფესთან, რომელიც ზეცაშია დავანებული".

მსხვილი რელიგიური ცენტრი, სადაც მაიელები ატარებდნენ ადამიანთა მსხვერპლშეწირვებს, იყო ქალაქი ჩიჩენ-იცა (სიტყვასიტყვით „იცას ტომის ჭა") – იუკატანის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ მრავალი ტაძრის, სამსხვერპლოებისა და ბურთის რიტუალური სათამაშო მოედნების გარდა, მდებარეობდა სახელგანთქმული „საღმრთო სენოტი" – ბუნებრივი ჭა სამოც მეტრზე მეტი დიამეტრით. მსგავსი ჭები იუკატანის კირქვოვან პლატფორმაზე უხვადაა; მაიელებს სწამდათ, რომ მათში ბინადრობდა წვიმის ღმერთი – ჩაკი, რომელსაც ათასგვარ მსხვერპლს სწირავდნენ, მათ შორის – ადამიანებსაც. მაგრამ, ჩიჩენ-იცის სენოტი, რომელიც ქალაქის ძირითადი ცენტრებიდან სულ მცირე 300 მეტრით იყო დაშორებული და საღმრთო გზით იყო მათთან დაკავშირებული, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო და მან მიიღო სახელწოდება „მსხვერპლთა ჭა". იუკატანის ეპისკოპოსი დიეგო დე ლანდა მაიაზე წერდა:

„მათ უწინ და ცოტა ხნის წინაც, ჰქონდათ ჩვეულება, გვალვის დროს ამ ჭაში ღმერთებისათვის ჩაეყარათ მსხვერპლად შესაწირი ცოცხალი ადამიანები... ყრიდნენ, ასევე, ძვირფასთვლებიან ნივთებსა და საგნებს, რომლებსაც ისინი ძვირფასად მიიჩნევდნენ. და თუ ამ ქვეყანაში სადმე ოქრო გაჩნდებოდა, მისი დიდი ნაწილი ამ ჭას უნდა მიეღო იმ მოკრძალებულობის გამო, რომელსაც მის წინაშე განიცდიდნენ ინდიელები..."

მოგვიანებით, ევროპელთა შორის დამკვიდრება იწყო ისტორიებმა მშვენიერ ქალწულებზე, რომლებსაც ინდიელები წვიმის ღმერთს სწირავდნენ. საუკუნიდან საუკუნეში, ამას თავიანთ წიგნებში იმეორებდნენ სხვადასხვა მკვლევრები და ლიტერატორები, მაგრამ დღეს არქეოლოგები ამ ლეგენდებს ეჭვის ქვეშ აყენებენ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | | ბ | | ვ | ა | ზ | ნ | ა | | | | | | |
| ბ | ა | ბ | ა | ლ | ე | | ა | | ვ | | | | | | |
| | ნ | | ბ | | ზ | ე | ვ | ს | ი | | | | | | |
| მ | ა | ს | ი | ვ | ი | | ი | ა | ნ | | | | | | |
| | ქ | ო | ლ | ე | რ | ა | | ლ | | | | | | | |
| ტ | ე | რ | ო | რ | ი | | მ | ტ | ე | რ | ი | | ს | | ჩ |
| ა | ბ | ე | ნ | | | რ | ი | ო | შ | ი | | კ | ი | ს | ა |
| ტ | ო | ნ | ი | ნ | ო | | ლ | | ე | მ | ხ | ვ | ა | რ | ი |
| რ | | ტ | | ი | | ტ | ი | ტ | რ | ი | | ო | | ო | |
| ა | რ | ო | მ | ა | ტ | ი | | | ა | ნ | ა | ტ | ო | ლ | ი |
| | | | ი | ვ | ი | რ | კ | | | ი | ლ | ა | მ | ა | მ |
| ი | ლ | ე | ნ | ი | ნ | ე | ლ | | მ | | ვ | | ა | | ა |
| | ე | კ | ა | | დ | | ა | | უ | | ა | ნ | რ | ა | გ |
| უ | მ | ა | | მ | ა | დ | რ | ა | ს | ი | | ა | ი | ტ | ო |
| | ო | ლ | ქ | ი | | ი | კ | ი | ტ | ნ | ო | კ | | ა | |
| ი | ნ | ა | რ | კ | ე | | ი | ნ | ა | ტ | | ლ | ე | გ | ა |
| | ი | | | | | მ | | ა | ნ | ი | ს | ი | | ა | |
| ძ | | ა | გ | ა | ლ | ა | მ | | გ | | ვ | | პ | | ჩ |
| მ | ე | რ | ხ | ი | | რ | ა | ს | ი | ნ | ი | | რ | ქ | ა |
| ა | | ტ | | ლ | ა | ლ | ი | | | უ | ა | რ | ი | | რ |
| კ | ლ | ი | ტ | ე | | ა | ს | რ | უ | ბ | | ა | მ | ი | ლ |
| ა | | ს | | დ | ა | ნ | ი | ა | | ი | | დ | ა | რ | ი |
| ც | ო | ტ | ნ | ე | | ი | | შ | ტ | ა | ბ | ი | | ა | |
| ი | გ | ი | | ნ | ი | ა | ბ | ი | | | ი | ო | ნ | ჯ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 4 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 3 |
| 1 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 3 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 |
| 3 | 1 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 | 6 | 7 |
| 4 | 7 | 5 | 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 2 | 4 | 7 | 8 | 1 | 3 | 5 |
| 7 | 2 | 3 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 | 9 |
| 8 | 4 | 6 | 3 | 9 | 5 | 7 | 1 | 2 |
| 5 | 9 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 8 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 | 9 |
| 6 | 4 | 5 | 9 | 3 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 7 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 9 | 8 | 2 | 5 | 6 |
| 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 7 | 4 |
| 2 | 9 | 8 | 3 | 6 | 1 | 7 | 4 | 5 |
| 3 | 6 | 4 | 5 | 7 | 9 | 1 | 8 | 2 |
| 7 | 5 | 1 | 4 | 8 | 2 | 6 | 9 | 3 |

„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: **1. სასტვენიანი ჩაიდნის. 2. მაცივარი. 3. მავთულხლართი. 4. სოლფეჯიო. 5. სალესი ქვა. 6. არარატის მწვერვალის დაპყრობა შეუძლებელია. 7. ალმასი. 8. საათისმექანიზმიან ბომბს. 9. თევზების. 10. დიუმა მამა.**

**ურჩევნიათ, სიკეთე ჩუმად აკეთონ...**

**ლეონიდ ჩერნოვეცკი – კიევის ყოფილი მერი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი უკრაინაში, ევროპასა და საქართველოში, საქველმოქმედო საქმიანობით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის პირველივე დღიდან არის დაკავებული. მისი ინიციატივით დაარსდა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ყოველდღიურად, ასობით სხვადასხვა საჭიროების მქონე, საქართველოს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხმარება – მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, პენსიონერებს...**

**ბატონი ლეონიდი არ ეწევა ბიზნესსაქმიანობას საქართველოში. თუმცა, 35 წელზე მეტია, დაკავშირებულია საქართველოსთან და ძალიან ბევრი რამ გააკეთა მისთვის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კიევის მერი იყო, მან დააფინანსა კიევში შოთა რუსთაველის ძეგლის მშენებლობა.**

**მისი, როგორც კიევის მერის ბრძანებით, საქართველოს საელჩოს უფასოდ გადაეცა მიწა კიევის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას საელჩოს მშენებლობისთვის.**

**თანამდებობის დატოვების შემდეგ, მან პირველივე დღიდან, შემოწირულობის სახით საქართველოში სხვადასხვა ჰუმანიტარულ პროექტზე დახარჯა მილიონ ლარზე მეტი.**

**„თბილისელები" ლეონიდ ჩერნოვეცკის ფონდის პრეზიდენტს, გიორგი ქვრივიშვილს ესაუბრა.**

# რა პრობლემები ექმნება საქართველოში ქველმოქმედებას და რატომ აკეთებდა ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდი სიკეთეს ჩუმად

**– გიორგი, როგორ აღმოჩნდი ბატონ ლეონიდთან? მართლა ასეა შეყვარებული საქართველოზე, როგორც ეს გარედან ჩანს?**

– ბატონი ლეონიდი საქართველოში ოთხი წლის წინ გადმოვიდა საცხოვრებლად, თუმცა მანამდეც არაერთხელ იყო საქართველოში და მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ჩვენს ქვეყანასთან. პირველი მეუღლე ჰყავდა ქართველი. ძალიან კარგად იცნობს ქართველებს, მისი ორი შვილი სისხლით ქართველები არიან. მას უყვარს საქართველო, უყვარს საქართველოს ბუნება. ის, რომ მერის პოსტის დატოვების შემდეგ, გადაწყვიტა საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა, არ ყოფილა სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება, გააზრებული ნაბიჯი იყო. დიდ პატივს სცემს ქართველებს და მართლაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს საქართველოსადმი. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც საშუალება ექნება, მას ესაუბროს, მიხვდება, თუ როგორ უყვარს მას საქართველო. არასოდეს ფარავდა ამ ქვეყნისადმი დიდ სიყვარულს და მოტივაციას, საქართველოში მნიშვნელოვანი საქმეები ეკეთებინა. მე უკვე დიდი ხანია, აღარ მიმაჩნია, ბატონი ლეონიდი საქართველოს სტუმრად. ის უკვე ამ ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქე, ერთ-ერთი ქართველია. ასეთი მოტივაცია უცხოელისთვის კი არა, საქართველოს მოქალაქეებს შორისაც კი, ძალიან იშვიათია.



ეს არის ადამიანი, რომელიც გარდა მილიონობით ლარისა, რომელსაც ქველმოქმედებაში ხარჯავს, ათულობით მილიონის ინვესტირებას აკეთებს ყოველწლიურად. მის ფონდში და საინვესტიციო კომპანიაში დასაქმებულია უკვე 100-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე და ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება. ბატონი ლეონიდი მიიჩნევს, რომ საქართველო იდეალური ადგილია ინვესტიციების განსახორციელებლად და ყოველთვის ლობირებს საქართველოს მის კოლეგა ინვესტორებთან – როგორც ქვეყანას, იდეალურს საინვესტიციო საქმიანობებისთვის.

მე როგორ აღმოვჩნდი მასთან? ***(იღიმის)*** ვმუშაობდი კომპანიაში, რომელიც ემსახურებოდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესკომპანიებს. ეს იყო ბიზნესკონსალტინგური მომსახურება მათთვის, ვინც დაკავებული იყო ბიზნესით და ინვესტიციებით საქართველოში. ერთ- ერთი კომპანია გახდა ჩემი რეკომენდატორი ბატონ ლეონიდთან. რამდენჯერმე შევხვდით, ვისაუბრეთ. გამომდინარე იქიდან, რომ სხვა სფეროში ვმუშაობდი, არასდროს მიფიქრია, ასეთი მასშტაბით თუ ჩავერთვებოდი საქველმოქმედო საქმიანობაში და საქართველოს ყველაზე დიდი საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი ვიქნებოდი.

**– ანუ, თავიდანვე გითხრათ, რომ მისი საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი იქნებოდით?**

– არა, რა თქმა უნდა. პირველი ჩვენი ურთიერთობა მისთვის და მისი ოჯახისთვის სახლის აშენებით დაიწყო, ის ფლობს სუპერფეშენებელურ ვილას ქალაქ ქობულეთში, სადაც ის და მისი ოჯახი ცხოვრობს.

რაც შეეხება მის საქველმოქმედო საქმიანობას, უკრაინაში ამას ჩვიდმეტ წელზე მეტია, ეწევა. მისი ფონდი უკრაინაში დღეში 2 000 ადამიანს აჭმევს და უწევს სხვადასხვა დახმარებას. მისი უკრაინული ფონდი ევროპის ყველაზე დიდი საქველმოქმედო ფონდია, დღეში გაწეული დახმარებების მიხედვით. რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საქველმოქმედო პროექტი აქვს განხორციელებული და როცა დაიწყო საუბარი, მის საქართველოში განხორციელებაზეც, თავიდან ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ამ ყველაფერზე. დღესაც კი, ქველმოქმედება საქართველოში სამოყვარულო და სინდისის დონეზეა. ისე არ არის, რომ ადგე და ფული მისცე ადამიანს, რომელსაც უჭირს. ამით შეიძლება, იმაზე მეტი დაუშაო, ვიდრე უფულობით სჭირდა. ქველმოქმედებას უნდა სწორი გათვლა და მიმართულებით ზუსტად წარმართვა. ადამიანს, უპირველესად, ფულის სწორად დახარჯვა უნდა ასწავლო და პრიორიტეტები დაანახვო – რა უფრო სჭირდება. შეიძლება ადამიანს შიოდეს და შენი მიცემული ფულით მობილური იყიდოს.



**– გიორგი, შენ უკვე დიდი გამოცდილება გაქვს ამ საქმეში, უამრავ გაჭირვებულ ადამიანს შეხვედრიხარ საქველმოქმედო ფონდში მუშაობის ფარგლებში...**

– 5 წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამხელა საქველმოქმედო ფონდი ჩამოყალიბდებოდა. თავისით მოხდა ყველაფერი. ბუნებრივად გამოვიდა ასე.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბატონი ლეონიდი დაინტერესდა, როგორ ცხოვრობს ხალხი საქართველოში. ჩემთან ერთად მოიარა თბილისში და მის შემოგარენში არსებული ბავშვთა სახლები და სრულად აღჭურვა ყველა სახლი კომპიუტერებით, თითო ბავშვს თითო კომპიუტერი და ასევე ტანსაცმელი და საჭირო ნივთები უყიდა. საერთოდ, სოციალური სიდუხჭირე და პრობლემები მისთვის ძალიან მგრძნობიარე თემაა. რა არის ნამდვილი საქართველო – შაბათ-კვირას გავსებული რესტორნები, თუ ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გამოსული ბავშვები და გაყინულ ქოხში შეყუჟული მრავალშვილიანი დედა, რომელსაც პურის ფულიც არა აქვს. ამ ყველაფრის დანახვასაც ნიჭი სჭირდება. მარტო უცხოელები კი არა, ზოგჯერ ჩვენც, ამ ქვეყნის მოქალაქეებიც ვერ ვამჩნევთ, გაჭირვებულ ადამიანებს ჩვენს გვერდით, მათ ყოფას, ცხოვრებას რომ ვერ დაარქმევ. ზოგადად, ბატონ ლეონიდს ახასიათებს პრობლემაში სიღრმისეული წვდომის უნარი. შეუძლია წვრილმანების დანახვა. ზოგადად ყველა მიმართულებაში, სადაც ვმუშაობთ, დეტალურად არის ჩართული მართვაში და ყველა მისი ორგანიზაცია არის მკაცრად კონტროლირებული, დეტალური მენეჯმენტით. მეც ამიყოლია ამაში. ერთად ვეძებთ მათი გადაჭრის გზებს, რომ უბრალოდ, საკვები კი არ მიუტანო ადამიანს, არამედ საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნო. ისე დააყენო ფეხზე, რომ დამოუკიდებლად გააგრძელოს ცხოვრება.

**– საკმაოდ რთული იქნება ეს ყველაფერი.**

– ძალიან რთულია. გაცილებით ადვილია, ქუჩაში მათხოვარ ბავშვს ფუნთუშა უყიდო, ან ფული მისცე და სინდისი დაიმშვიდო, რომ კეთილი საქმე გააკეთე. რეალურად კი, ბევრმა ბავშვმა, რომელიც ქუჩაში გამვლელებისგან დახმარებას ელის და ითხოვს ფულს, შეიძლება დღეში იშოვოს 100 ლარამდე, რომელსაც შემდეგ გაუკონტროლებლად – სიგარეტში ან ნარკოტიკებში დახარჯავს, ან კაცმა არ იცის, რაში. ასეთი ბავშვების გამოსწორება შემდეგ ძალიან რთულია. ამიტომ, ჩვენი მიზანია, ბავშვი ქუჩაში არ მოხვდეს და ჩავერიოთ მანამდე, სანამ გავა ქუჩაში და ასეთ ცხოვრებას მიეჩვევა. არც

დახმარება საკვებით, არ არის ცუდი, მაგრამ ხვალ ის ბავშვი ისევ ქუჩაში გავა და ისევ იმათხოვრებს. სწორედ ამ ყველაფრის გაანალიზებით, გაფართოვდა ფონდი და სერიოზული მასშტაბები მიიღო. ზოგადად, ყოველთვის გვირჩევნია, ჩვენი საკეთებელი ჩუმად ვაკეთოთ. დავიწყეთ მოხუცების შინმოვლის პროგრამით და ბავშვთა სახლების დახმარებით. ვნახეთ როგორ ცხოვრობდნენ ისინი. რა სჭირდებოდათ, რა პრობლემები ჰქონდათ. რა თქმა უნდა, არცერთ ბავშვთა სახლში არ იყო კომპიუტერი ბავშვებისთვის. როგორ უნდა განვითარდეს დღეს ბავშვი, თუ მას კომპიუტერი ნანახიც კი არ ექნება?! ვუყიდეთ კომპიუტერი ყველა ბავშვს, ყოველ კვირას მიგვქონდა ტანსაცმელი, საჭმელი. ძალიან დიდი მოცულობის პირველადი დახმარება გავუწიეთ სამივე ბავშვთა სახლს. მერე მივხვდით, რომ ესეც არ იყო საკმარისი. ბავშვთა სახლში გაზრდილი ბავშვი არ უნდა განსხვავდებოდეს ნორმალურ ოჯახში გაზრდილი ბავშვისგან. პრობლემები, ბავშვთა სახლებში ისევ რჩებოდა და მაშინ გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა საჩვენებელი ბავშვთა სახლი, რომელიც გახდებოდა საქართველოში არსებული ბავშვთა სახლებისთვის სტანდარტი. ანუ, თუ ვინმეს გაუჩნდებოდა ამის მერე, საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის გახსნის სურვილი, ჩვენი სახლი მაგალითად გამომდგარიყო. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ შევქმენით თანამედროვე სტანდარტები და დავნერგეთ ზღვარი, რომელმაც არ უნდა დაიწიოს. სახლის არჩევის, ლიცენზირების პროცედურებმა ძალიან დიდი დრო წაიღო. ბევრი ვიფიქრეთ, სად უნდა ყოფილიყო სახლი, როგორ გარემოში, ეზო უნდა ჰქონოდა თუ არა. ანუ, კომპლექსური მიდგომა გვქონდა და ვიპოვეთ ისეთი, როგორიც გვინდოდა. ბუნებაში, დასახლებულ პუნქტთან და სკოლასთან ახლოს, დიდი ეზოთი.

**– ეს ის სახლია, რომელიც ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ნახა ჩვენი საზოგადოების ნაწილმა?**

– დიახ, სწორედ ის სახლია. ძალიან ბევრი რამ გავითვალისწინეთ. ათი ბავშვი ცხოვრობს იქ და მიმაჩნია, რომ თამამად შეგვიძლია, ვიამაყოთ იმით, რაც გაკეთდა. იმიტომ არა, რომ იქ კარგი პირობებია. ესეც არის, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ბავშვები წელიწად-ნახევრის განმავლობაში მთლიანად შეიცვალნენ. თერთმეტი წლის ბავშვმა კითხვა არ იცოდა. ეს თავიდან გაგვიკვირდა, თორემ უამრავი ასეთი ბავშვია. 10-12 წლის ბავშვებმა მიმატება გამოკლება არ იციან და ეს არის რეალობა თბილისში. რეგიონების პრობლემები კიდევ სხვა თემაა, გაცილებით მძიმე. ამ სახლმა მოახერხა ის, რომ ათ ბავშვს შეუცვალა ცხოვრება და ქვეყანას მისცა ათი სრულფასოვანი, კონკურენტუნარიანი მოქალაქე. როდესაც მათ 18 წელი შეუსრულდებათ, ქუჩაში არ დარჩებიან. ჩვენი სახლიდან რომ წავლენ, მათ ძალიან კარგად ეცოდინებათ ინგლისური ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. ექნებათ უკეთესი მომავლის პერსპექტივა. მეცხრე კლასიდან სპეციალური „ტოიფელის" „აი ელ თი სი" და სხვა პროგრამა უნდა გაიარონ ინგლისურ ენაში, რომლის ჩაბარების შემდეგ, მსოფლიოს წამყვან ტოპ-უნივერსიტეტებში შეუძლიათ, მოეწყონ. გზა ხსნილი ექნებათ ყველა მიმართულებით და აღარასოდეს დაბრუნდებიან იმ უპერსპექტივო სიტუაციაში, საიდანაც წამოვიყვანეთ. ამავე დროს იქნებიან მათი მშობლების კარგი დასაყრდენი და ეს ბავშვები იზრუნებენ მშობლებზე – გააძლიერებენ და მოუვლიან მათ. ეს ბავშვები არც უსაქმურები იქნებიან და არც კრიმინალები. დღეს მათ სხვა ღირებულები და სხვა პრიორიტეტები აქვთ. მთავარი სიკეთე ამ სახლის, სწორდ ეს არის და კიდევ ის, რომ ბავშვები ბედნიერები გახდნენ. მათ ჯანსალი მიზნები და ამბიციები აქვთ. გუნდი, რომელიც ამ სახლში მუშაობს, უზარმაზარ ენერგიასა და ადამიანურ რესურსს ხარჯავს თითოეულ ბავშვზე. თან, ხარჯავს სწორად.

**– გიორგი, მოხუცების დახმარების პროგრამაზე მინდოდა, გესაუბრა.**

– მოხუცების დახმარების პროგრამას ძალიან მგრძნობიარედ აღვიქვამ. ფონდის რეგისტრაციიდან ორ თვეში, დავიწყეთ ეს პროექტი. ეს არის ყოველთვიურად მზარდი პროექტი. მუდმივად გვემატებიან ბენეფიციარები. ამჟამად 350 მოხუცს ვუვლით.

**– უვლით, ანუ მიდიხართ და მათ ყოველდღე პატრონობთ?**

– დიახ. ყოველდღე მიდის მათთან პროფე-



სიონალი, სერტიფიცირებული ექთანი ან სპეციალურად ჩვენს მიერ გადამზადებული მედდა, რომელიც უვლის, უგვარებს პრობლემებს, უცვლის პამპერსს, თუ ეს აუცილებელია და უტოვებს ყველა საჭირო მედიკამენტს. მომავალი წლის პირველ კვარტალში ამ მოხუცების რიცხვი 600-მდე გაიზრდება. ანუ, „შინმოვლის" პროგრამა გულისხმობს სოციალურად დაუცველი მოხუცების დახმარებას ამჟამად მხოლოდ თბილისში. სრულიად უსასყიდლოდ, ყოველდღიურად ემსახურებათ მათ მედდა, უფასოდ ურიგდებათ ჰიგიენის ნივთები და მედიკამენტები. ახლა უკვე დავიწყეთ მათი უზრუნველყოფა პროდუქტებითაც. იმის მიხედვით თუ ვის როგორი საჭიროება აქვს. ბოლო 5 თვეა, დავიწყეთ მათთვის საკვების მიწოდებაც. გვყავს მოხუცები, რომლებსაც ისეთი ადამიანიც კი არ ჰყავთ, ცუდად ყოფნისას დახმარება რომ გაუწიოს კი არა, დასარეკიც კი არავისთან აქვთ. ერთადერთი მათი კონტაქტი გარე სამყაროსთან, ჩვენი პროგრამის ექთანია. სწორედ ეს პროექტია ერთ-ერთი მოტივატორი იმისა, რომ ფონდი გაფართოვდეს. ისეთი წერილები მოდიოდა და ისეთი ზარები იყო. აღარ არის ლაპარაკი იმაზე, რომ გულგრილი ვერ დავრჩებოდი. მათთან ერთად გვტკიოდა ჩვენც... რა თქმა უნდა, უგულო არავინაა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ადამიანებს არავინ ჰყავთ და ჩვენი ფონდის ექთნების იმედად არიან. სულ გვჭირდება კვალიფიციური კადრი. ნებისმიერ კვალიფიციურ, კეთილ ექთანს მივიღებ და დავასაქმებ. საკმაოდ კარგი ანაზღაურებით და თავისი ჯანმრთელობის დაზღვევით, ტრანსპორტის ხარჯის ანაზღაურებით. მანქანებიც ემსახურებათ.

**– ვიცი, რომ ძალიან გახსნილები ხართ იმ კომპანიების თუ ბიზნესმენების მიმართ, ვინც გამოთქვამს სურვილს საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ მართლა, ძალიან კეთილ საქმეში.**

– დიდი ხნის განმავლობაში ფონდი ზედმეტი აფიშირების გარეშე საქმიანობდა. მაგრამ, ინფორმაციები მაინც გადიოდა და ზოგჯერ არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ამიტომ, გამოვედით და ვთქვით, რასაც ვაკეთებთ. დასამალი არაფერი გვაქვს. ფონდი ყველასთვის ღიაა – მოქალაქეებისთვის, ქველმოქმედების მსურველი ბიზნესისთვის, ნებისმიერი მოქალაქისთვის. მაგალითად, ჩვენს მოხუცებს ძალიან ეხმარება ფიზიკური პირი – ზურა ხელაშვილი, რომელიც თითქმის ყოველ თვე ეხმარება მათ სხვადასხვა საკვებით. წინა კვირას მან გადმოგვცა 400 კილოგრამი წიწიბურა, 300 – მაკარონი და 500 – სხვადასხვა ბურღულეული, რომელიც ჩვენს სოციალურად დაუცველ მოხუცებს დავურიგეთ სახლებში მთელი თბილისის მასშტაბით. ეს მათთვის უმნიშვენლოვანესი დახმარებაა. ეს ხალხი ამ ადამიანებისთვის ლოცულობს.

**– ჩვენი საზოგადოება იმდენად არის გადაჩვეული უანგარო ქველმოქმედებას, რომ მათ უჩნდებათ შეკითხვა, რატომ აკეთებს ეს კაცი ამას?**

– ვინც ბატონ ლეონიდს იცნობს, იმას ეს შეკითხვა არ უჩნდება. მოსწონს, როცა ის სხვას ეხმარება და იმიტომ. მას ნამდვილად საიმოვნებას ანიჭებს სხვისი პრობლემების მოგვარება. ამით ცოცხლობს. ეს მისი ცხოვრების, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს მას აბედნიერებს. ძალიან ბევრი ჩვენი მოხუცებულის ამბავი იცის და თითოეული ბავშვის წინსვლას, პროგრესს სიხარულით აკვირდება. ყველაფრის საქმის კურსშია. ძალიან ცოტა ვიცი ასეთი მორწმუნე ადამიანი. ძალიან მორწმუნეა. ქობულეთში განსაკუთრებულად უყვარს სოფელ ცხემლანვაში ეკლესია, რომელსაც სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარა და მონაზვნებისთვის სპეციალური საცხოვრებელი ადგილები მოაწყო. სულ სხვანაირად დავინახე მის გვერდით, რას ნიშნავს რელიგიურობა. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიისგან შორს არც მე ვყოფილვარ.

**– ბატონი ლეონიდი, ასევე, ეხმარება მრავალშვილიან ოჯახებს...**

– მათ ისეთი მძიმე მდგომარეობა აქვთ, რომ შეუძლებელი იყო, არ დავხმარებოდით. მით უმეტეს, როცა ხედავ, რომ ბავშვისთვის უკეთესია, თუ ის ოჯახში დარჩება. გვყავს ოჯახები, რომლებმაც ჩვენი დახმარებით ძალიან დიდი პროგრესი განიცადეს. საერთოდ, ჩვენი მიზანია, ადამიანებისა და ოჯახების, შეძლებისდაგვარად ფეხზე დაყენება. უკეთესია, თუ შეუქმნი პირობებს თავად ირჩინონ თავი. თუმცა, ზოგჯერ ისეთ სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებოდით, რომ გადავწყვიტეთ, ქობულეთში აგვეშენებინა პანსიონი. ძალიან თანამედროვე ტიპის, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებისთვის. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება, როგორ ცხოვრობენ ეს ბავშვები. ყოველდღე ჰქონდათ საკვების პრობლემა, ვერ დადიოდნენ სკოლაში. აბსოლუტურად მოწყვეტილი იყვნენ თანატოლებისგან. დღეს კი, უკვე რაღაც შედეგი გვაქვს და რაც დრო გავა, ამ ბავშვების თაობა ამ ქვეყნის ჯანსაღი თაობა იქნება – შრომისუნარიანი და დასაქმე-

**(გაგრძელება 81-ე გვერდზე)**

# რატომ არის მზე ქართველების სიზარმაცის ერთ-ერთი მიზეზი და რატომ არ სჯერა შეთქმულების თეორიის გიორგი ნაკაშიძეს

**ეროვნება** – ქართველი
**საცხოვრებელი ადგილი** – თბილისი
**პროფესია** – მსახიობი (რომელიც სხვადასხვა პროფესიებს ირგებს)
**დაოჯახებული** – ჰყავს მეუღლე და ორი შვილი
**სამუშაო ადგილი** – თუმანიშვილის თეატრი (ასევე, სხვა თეატრებიც, ფილმებიც და სერიალებიც...)

– ეროვნება ადამიანის, უპირველესად, მისი სულიერება, მისი მენტიალობა და ის გეოგრაფიული ადგილსამყოფელია, რომელშიც იმყოფება – დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს. ყველაფერი მოქმედებს ადამიანის ინდივიდუალურობის ჩამოყალიბებაზე. მზის აქტიურობა, გარემო პირობები, კლიმატი, არა მხოლოდ ქართველის, ყველა სხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ხასიათს ძერწავდა საუკუნეების განმავლობაში. ამიტომაც ვერ იქნება ეროვნება მხოლოდ პასპორტში ჩაწერილი ტერმინი.

**– ანუ, თუ ქართველი დაიბადება და გაიზრდება, მაგალითად, ცივ ქვეყანაში, ის აღარ იქნება სრულფასოვანი ქართველი?**

– არსებობს ასეთი გამოთქმა – სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და ეს არ არის შემთხვევით ნათქვამი. ბევრი უცხოეთში დაბადებული და მცხოვრები ქართველი მინახავს, რომელიც იმ ქვეყნის თამაშის წესებს იღებს, სადაც არის და სხვანაირად ვერც იცხოვრებს იქ. ექსტრემალურ სიტუაციაში, ჭირში თუ ლხინში, ქართველში მაინც მისი გენისა და სისხლის ყივილი გაიღვიძებს, რაც ყველა ჩვენთაგანისთვის არის დამახასიათებელი.



**როცა სიტყვა მხოლოდ სიტყვად რჩება, სანთლის დანთება – სანთლის დანთებად და პირჯვრის წერა – პირჯვრის წერად, ეს უკვე ფორმალიზმია. ფორმალიზმს კი არც ქვეყნისთვის მოაქვს კარგი, არც ადამიანებისთვის**

**– როგორ და რაში ვავლენთ ჩვენს ქართველობას, თქვენი აზრით?**

– ამაზე ხშირად მიფიქრია. ალბათ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი „იდენტიფიკატორი“ არსებობს. ბალანსი სამყაროში ყოველთვის დაცულია და თუ ერთი ცუდით ავლენს თავს, მეორე კარგით აბალანსებს.

მე მიყვარს და მომწონს ის, რომ ქართველისთვის სტუმარი ღვთისაა. როდესაც ქართველთან სტუმარი ჩამოდის, მან შეიძლება, ბოლო თანხა გაიღოს ისე, რომ არანაირი ანგარება არ ამოძრავებდეს. ეს ჩვენი, ქართული ხასიათის თვისებაა, რომელიც შეიძლება, ვიღაცისთვის ზედმეტიც იყოს... საერთოდ, ყველა თვისება შეიძლება განვიხილოთ ორმაგ ჭრილში. მონეტას ხომ ორი მხარე აქვს. ჩვენი ყველა პრობლემაც რაღაცეების მიმართ ორმაგი მიდგომებიდან მოდის. არასოდეს ვსაუბრობ რამეზე ცალსახად. ამიტომ, ჩვენი ყველა თვისებაც – ღირსება იქნება ეს, თუ ნაკლი, ასე უნდა გავიაზროთ და გავაცნობიეროთ.

ჩვენი, ქართველების მთავარი „ვალუტა“ ჩვენი კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება და სპორტია, რასაც ძალიან უნდა მიექცეს ყურადღება. თუმცა, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ამას ვერ ვხედავ.

**– შენი გმირი „მანდარინებიდან“ ძალიან ქართულ ხასიათს ავლენს, თუმცა ის ჩეჩენია...**

– არსებობენ ერები, რომლებთანაც ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს საერთო. მაგალითად, იგივე ოს და აფხაზ ძმებთან. ამას განაპირობებს რეგიონი, სადაც ჩვენ, ყველანი ვცხოვრობთ და ის რაღაც განსაკუთრებულ ენერგიას ასხივებს. ისეთ თვისებებს ანიჭებს ადამიანებს, რაც ჩვენთვის ახლობელია, სხვისთვის – შეიძლება, გაუგებარი. ჩეჩნებიც „ჩვენს“ სიაში არიან და ვფიქრობ, კავკასიური თანამეგობრობის იდეა, თუნდაც აბსურდულად ჟღერდეს, შესაძლებელია. სულ მგონია, ჩვენ ძალიან კარგად გავუგებთ ერთმანეთს. იმიტომ რომ, ძალიან ბევრ საკითხში ერთნაირად ვაზროვნებთ.

**– არის დღეს ჩვენში იმის დეფიციტი, რასაც ეწირებიან ფილმის გმირები: კაცური სიტყვის, მოყვასის სიყვარულისა და ერთმანეთის გატანის...**

– ხელოვნება ყოველთვის არის რეაქცია იმ რეალობაზე, რომელიც დამაკმაყოფილებელი არ არის. როცა არის პრობლემა, ის შემდეგ პრეზენტირებულია ფილმში, ხასიათში, მუსიკალურ ან ლიტერატურულ ნაწარმოებში... სხვანაირად ხელოვნებასაც დაეკარგებოდა აზრი. იმის ილუზია არ მაქვს, რომ თუნდაც კინოსამყაროში არსებულ სისასტიკეს შეცვლის, მაგრამ რეალურ ადამიანებს უფრო სულიერს გახდის და ალბათ, ეს არის ხელოვნების ყველაზე სწორი შეფასება.

ტექნიკური პროგრესის, ინფორმაციული შემოტევის, კიდევ ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების მიზეზით, სამყაროს დღეს ძალიან აკლია სიყვარული. ადამიანები მეტისმეტად მატერიალისტები გახდნენ. დღეს ხშირად, ფულია უფრო მთავარი. „მანდარინების“ წარმატებაც დიდწილად ამან განაპირობა. მიმაჩნია, რომ ფილმმა თავისი მისია უკვე შეასრულა, მიუხედავად იმისა, აიღებს ის „ოქროს გლობუსზე“ მთავარ პრიზს თუ არა...

აკლია სამყაროს დღეს სიყვარული, სითბო და ერთმანეთის გატანის უნარი... ამ სამყაროს ნაწილი ვართ ჩვენც... ქართველები.

**– გვართმევენ ქართველობას... რას ფიქრობ ამაზე?**

– მე, ზოგადად, არ მჯერა შეთქმულების თეორიების. ჩვენი ცუდი თვისება, რომ სხვის თვალში ბეწვი დავინახოთ, საკუთარში კი სპილოც ვერ შევამჩნიოთ, ძალიან გვიშლის ხელს რეალობის აღქმაში. არ არის საჭირო სხვისკენ თითის გაშვერა. ქუჩაში რომ მიდიხარ მანქანით, შუშას რომ ჩამოსწევ და იქიდან ნაგავს გადმოაგდებ დიდი პარკით, არაფერ კავშირში არ არის იმასთან, რომ ვიღაცას ჩვენთვის ცუდი უნდა. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და ჰკითხოს საკუთარ თავს, რას აკეთებს სასარგებლოს, მაშინ გამოსწორდება ყველაფერი. თუ მართლა არსებობს ძალა, ვისაც ჩვენი ტრადიციების შეცვლა უნდა, ადვილად მოგვერევა, სანამ ვიქნებით სუსტები და ყველაფერში სხვას დავადანაშაულებთ. სხვას შევაჩეჩებთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა და ქართველობა ჰქვია. რანაირი ქართველი ხარ, თუ არ გესმის ის მოვალეობა, რასაც შენი ისტორია, შენი გვარიშვილობა თუ ტრადიციები გაკისრებს. საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცი-ოთხმოცდაათი პროცენტის პრობლემაა ის, რომ წიგნს არ კითხულობს. არც ისტორია იცის და არც ის, თუ საიდან მოვდივართ. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე წუხდა ამაზე და ამბობდა, რომ წიგნების კითხვა ერის მთავარი მამოძრავებელია. არანაირად არ ვარ ტექნიკური პროგრესისა და კომპიუტერის წინააღმდეგი, პირიქით, თავის დროზე, ტელევიზორი რომ მოიგონეს, ალბათ, ვიღაც ამბობდა, რომ ის ცუდიაო. მე ახლა ვამბობ, რომ ტელევიზორი ცუდია და არ ვუყურებ. იმდენი აგრესია, ნეგატივი მოდის ტელევიზორიდან, მირჩევნია, ვაჟა-ფშაველა ან ჰემინგუეი წავიკითხო... ფილმსაც ვერ უყურებ სიამოვნებით, ისეა რეკლამებით დაჭრილი და ვიღაც გიბურღავს ტვინს, რომ „კოლგეიტი“ კარგია ***(იცინის).*** ვერ დავხარჯავ ასეთ სისულელეებზე დროს. ყველა ქართველმა, თუნდაც მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ყველა ტომი რომ წაიკითხოს, დამიჯერეთ, ბევრად უკეთეს რეალობაში ვიცხოვრებთ.

ჩვენი ყოველწამიერი ქმედებების ჯაჭვისგან შედგება ქართველობა და ჩვენი ეროვნული თვითშეგნება.

**– ძალიან დავშორდით თამარ მეფის ან დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართველს?**

– მე არ ვიცი, როგორი იყო თამარ მეფის ან დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართველი. წიგნიდან რაც ვიცი, ეს სუბიექტურია და ცოტათი აუცილებლად მისტიკურიც. როგორები იყვნენ მეთორმეტე საუკუნეში ქართველები, ამას დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ისტორიკოსიც კი. მე ვფიქრობ, რომ არანაირადაც არ დავშორდით. ქართველის ძირითადი მახასიათებლები, რაც მაშინ იყო, დღესაც იგივეა. მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში გერმანელებმა ადამიანები ცოცხლად გამოწვეს მასიურად და ისე გაანადგურეს. გააჩნია, ადამიანს და არა მარტო ქართველს ეხება ეს, როგორ პირობებს შეუქმნი და როგორ გარემოში აცხოვრებ. ამის მიხედვით გამოავლენს ის თავის თვისებებს – ან კარგს, ან ცუდს. სასათბურე პირობებში, მშვიდ გარემოში, ირგვლივ რომ ყველაფერი დაბალანსებულია და არავის უჭირს, ყველა კეთილია. თუ გაჭირვებაში შეინარჩუნებ ღირსებას, მაშინ ხარ პიროვნება.

**– სამი მთავარი ნაკლი ქართველისა...**

– პირველი ის არის, რომ ვერ ვაანალიზებთ ჩვენს წარსულს, რომელიც ძალიან ჰგავს დღევანდელობას და გამუდმებით ერთი და იმავე შეცდომებს ვუშვებთ. ნაკლია ის, რომ საკუთარი პასუხისმგებლობის სხვისთვის შეჩეჩებას ვცდილობთ... აი, ის გვიშველისო და როცა ის ვერ გვშველის, ვბრაზდებით და მესამე ნაკლი – ძალიან ვაფათურებთ ხელს სხვების ცხოვრებაში, მაშინ, როცა საკუთარი მისახედი გვაქვს.

გული მტკივა, როგორ არ ვუფრთხილდებით ჩვენს ქვეყანას. ზოგიერთებისთვის ფული წყვეტს ყველაფერს და მისთვის ყველაფერი „მოსულა“ – მოსულა პარკების გაჩეხვა და იქ რესტორნების აშენება... კულტურული მემკვიდრეობის განადგურება... მაშინ არავის ახსენდება ქართველობა და საქართველო... ჩემი მეგობარი, ნიკო გომელაური რომ წერდა „ჩვენს ქალაქში ყველაფერი მოსულაო...“ დღესაც ასე გრძელდება და სიტყვამ შეცვალა ქმედება: ვამბობთ ერთს, ვაკეთებთ მეორეს. გიყვარდეს მოყვასი შენი – არ არის სიტყვა, არამედ არის ქმედება. როცა სიტყვა მხოლოდ სიტყვად რჩება, სანთლის დანთება – სანთლის დანთებად და პირჯვრის წერა – პირჯვრის წერად, ეს უკვე ფორმალიზმია. ფორმალიზმს კი არც ქვეყნისთვის მოაქვს კარგი, არც ადამიანებისთვის.

**ნინო წულუკიძე**

# რატომ აღარ მონაწილეობს გელა ჩარკვიანი არანაირი სახის ბრძოლებში და რა არ გაუმხილა მან ცოლს ბოლომდე

*ჩვენს რუბრიკაში ერთი და იმავე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.*

**– გაგვეცანით, თუ შეიძლება.**

– გელა ვარ ჩარკვიანი.

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან.**

– პირველი შეგრძნება მახსოვს, 2 წლის რომ ვიყავი – ნემსი გამიკეთეს. იმაზე მძაფრი ბავშვობაში არაფერი განმიცდია და, მერე – როგორ არა.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– მთლიანობაში მომწონს, არა ვარ უკმაყოფილო ჩემი თავით *(იცინის).*

**– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ.**

– მდიდარიაო *(იცინის),* სახლს იშენებსო ვაკეში.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– დიახ. საერთოდ, მე ერთი კარგი თვისება მაქვს – თითქმის არ მჩვევია შეცდომების დაშვება.

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?**

– არ მომწონს ის, რომ ზოგჯერ მრცხვენია, ადამიანს გავუმხილო ჩემი გრძნობები. მაგალითად, ძალიან ვნანობ და განვიცდი, რომ მეუღლისთვის არასდროს ბოლომდე არ მითქვამს, თუ როგორ მიყვარდა. ეს ვერ ვუთხარი, რაღაცა მაკავებდა ყოველთვის. ეს მახასიათებს – ბოლომდე არ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. ეს ემოციურ სფეროს ეხება მხოლოდ.

**– ყველაზე მეტად გიყვართ...**

– ზრდილობიანი, კარგად აღზრდილი ადამიანები.

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– არ ვიცხოვრებდი სხვა ცივილიზაციაში, რადგანაც, ეს არის ცივილიზაცია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად იძლევა შენი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობას. ამიტომ, არ მინდა სხვა ცივილიზაციაში ცხოვრება. მე მელიორისტი ვარ, ანუ მწამს, რომ კაცობრიობა ყოველთვის უკეთესი და უკეთესი ხდება და, დღეს ის უკეთესია ვიდრე ოდესმე იყო, მიუხედავად ყველაფრისა.

**– დღეს იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?**

– დღეს მე არსად აღარ ვარ, ანუ, არ ვმონაწილეობ არანაირი სახის ბრძოლაში – არც პოლიტიკურში, არც ინტელექტუალურში. მე ახლა ვარ, ალბათ, იქ, სადაც ჩემი ადგილია ამ ასაკის ადამიანისთვის, ანუ, ტრიბუნებზე ვზივარ და ვუყურებ, როგორ მიმდინარეობს – ინგლისურში ასეთი სიტყვაა „რეტ რეის" – „ვირთხების ჯირითი" – და ამას ვუყურებ სიამოვნებით.

**– საერთოდ, ფიცხი ხართ?**

– მთლიანობაში ეს ალბათ ნაკლია, მაგრამ, ცოტათი ფიცხი მაინც ვარ. არის სიტუაციები, როცა ვხდები ფიცხი. თუმცა, ჩემს თანამშრომლებს, ვისთანაც მიმუშავია, ძალიან ფიცხი ვუნახივარ, ოღონდ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძალიან იშვიათად.

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– გაბრაზებული ადამიანი არ შეიძლება კარგი იყოს და არც მე ვარ კარგი, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ სტრესულ მდგომარეობაშიც კი რაციონალურ გადაწყვეტილებებს ვიღებ.

**– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?**

– ადამიანების უმადურობა და უზრდელობა – ეს ორი რამ არის, რაც თავს მაკარგვინებს; დანარჩენი: თაღლითობა, ეშმაკობა, ადამიანების სწრაფვა, რომ თავის სასარგებლოდ რაღაც გააკეთონ და შენ დაგიშავონ – ჩემზე არ მოქმედებს, იმიტომ, რომ ადამიანურია ძალიან. ისიც კია ადამიანური, მაგრამ, რატომღაც ჩემს საშინელ გაღიზიანებას იწვევს.



ერთი კარგი თვისება მაქვს: თითქმის არ მჩვევია შეცდომების დაშვება

**– გაღელვებთ...**

– მაღელვებს კარგი მუსიკა.

**– კომფორტულად მაშინ გრძნობთ თავს, როცა...**

– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა არსად მეჩქარება.

**– ხშირად თუ დამთვრალხართ და როგორი ხართ ამ დროს?**

– ნამდვილი სიმთვრალე იშვიათად მქონია. ძალიან დიდი ხანია ასეთი რამ აღარ ყოფილა. ერთხელ საჭესთან დავჯექი მთვრალი – აი, ეს იყო სისულელე.

**– როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი ჩვეულებრივ, ანუ მაშინ, როდესაც არავის ელით?**

– თუ მე მარტო ვარ სახლში და, ამ ბოლო ხანებში უმეტესად მარტო ვარ, გამოიყურება ნორმალურად. მაგრამ, თუ ჩემი შვილიშვილი, პატარა ნანა აქ არის, მაშინ ძალიან ცუდად გამოიყურება *(იცინის).*

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?**

– გამომადგა ზიგმუნდ ფროიდის ფორმულა ბედნიერებისა, იმიტომ რომ, ეს ყველაფერი მას ძალიან უბრალოდ აქვს ნათქვამი: „ბედნიერი ხარ მაშინ, როცა შრომობ და გიყვარს."

**– ცხოვრებამ გასწავლათ, რომ...**

– ერთადერთი მტერი, რომელიც ცოცხალ არსებებს გვყავს, არის სიკვდილი, ამიტომ, სიცოცხლის ყველა ფორმასთან სოლიდარული უნდა ვიყოთ. ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება, უნდა მოვუფრთხილდეთ სიცოცხლეს. ამიტომ, მიყვარს ცხოველები და, მეტირება, როცა ავტომანქანებით გადატვირთულ ქუჩაში მოსიარულე კატის კნუტს ვხედავ.

**– გინდათ, ყველამ იცოდეს, რომ...**

– ადამიანისთვის ყველაზე დიდი ღირებულება არის თავისუფლება.

**– რისთვის ღირდა ცხოვრება?**

– არ ვიცი, ღირდა კი საერთოდ? *(იცინის)* მე მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრება კარგი იყო, კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით, თუ არ ჩავთვლით იმ ტრაგედიებს, რომლებიც დამემართა. მაგრამ, მთლიანობაში მე არ ვუყურებ ადამიანის ცხოვრებას, როგორც რაღაც ღირებულს. ზოგჯერ ასეც ვამბობ: პროექტი „კაცობრიობა" ჩავარდა! იმიტომ რომ, ბედნიერების ჯამი, გამოყოფილი ამ პროექტისთვის, არის ძალიან მცირე და, თუ ყველას გადაუნაწილებ, თითოეულს თითქმის არაფერი შეხვდება.

**– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?**

– ვერ მოვკლავ, დღეს უკვე ვერანაირ ცოცხალ არსებას, თუმცა, ახალგაზრდობაში ვნადირობდი კიდეც.

**– რაზე არ ამბობთ არასდროს უარს?**

– კარგ ღვინოსა და შოტლანდიურ ვისკიზე.

**– რა მიგაჩნიათ საკუთარ მიღწევად?**

– მიზანსწრაფულობა და სტაბილურობა ყველაფერში, მათ შორის – სიყვარულში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდ მიღწევად მიმაჩნია, რადგან, სიყვარული ყველას არ შეუძლია და, თუმცა ეს საჩუქარია, რომელიც ყველას არ შეხვდება, მაგრამ, ამაში ალბათ შენი როლიც მნიშვნელოვანია. ჩემი ოჯახური ცხოვრება მიმაჩნია მიღწევად – სიყვარული მეუღლის მიმართ, ნიჭიერი და ლამაზი შვილების მიმართ.

**– ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიგიღიათ.**

– ალბათ, ის, რომ წავედი „გეპეიდან" და გადავედი უცხო ენების ინსტიტუტში. ამან მომცა რაღაცა უფრო ვიწრო სფეროდან გადასვლა გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე, რაშიც უკვე შედიოდა პოლიტიკაც, ისიც... მანამდე არქიტექტორი ვიყავი.

**– რითი ხართ მდიდარი?**

– ნამდვილად არ ვარ მდიდარი მატერიალურად, მდიდარი ვარ მოგონებებით, ეს უკვე კარგია და, კიდევ, ამ მოგონებებთან დაკავშირებული ემოციებით.

**– რას დაწერენ თქვენზე 22-ე საუკუნეში?**

– შეიძლება, არც არაფერი დაწერონ და ამაზე დიდად არ ვდარდობ, რომ გითხრათ მართალი. თუმცა, რჩება ჩემი დაწერილი რაღაც წიგნები, რაღაც მუსიკა და ვილაც ექსცენტრიკული პიროვნება და, ოდესმე, ვთქვათ, ორი საუკუნის შემდეგ, რომელილაც ოჯახში უცბად აღმოაჩენენ ჩემს საფორტეპიანო მინიატურებს ან რომელიმე წიგნს და, ეს ვილაც გადარეული იტყვის: ვა, ვინ იყო ეს გელა ჩარკვიანი, ნეტავ? *(იცინის)* ის კი არა, შეიძლება, ჩემი მიუზიკლი „ნარგიზაც" დადგას – ძალიან ბევრჯერ, მომხდარა ასეთი რამ ისტორიაში, ასე რომ, ვინ იცის...

**ეკა სალაღაია**

# რა შოკი და ფოიერვერკი ელოდება მოსკოვს 2015 წელს მარია მათურელისგან და რატომ დადიან რუსეთის შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები მის შოუ-რუმში

*მარია მათურელი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ, უკვე ძალიან წარმატებული ფოტოგრაფი და დიზაინერია. მისი ბრენდი, MATURELLI, მოსკოვში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ნიჭიერი ქართველი დიზაინერის ულამაზეს ექსკლუზიურ კაბებს არაერთი რუსი ვარსკვლავი იცვამს. მუდმივად სიახლეების მოყვარული მარია მხოლოდ ფოტოგრაფიითა და დიზაინერობით არ შემოიფარგლა და ფერწერასაც მოჰკიდა ხელი. მისი საკმაოდ საინტერესო ნახატები ღრმა შინაარსითა და ფერთა ორიგინალური შეხამებით გამოირჩევა.*

**მარია მათურელი**: ძალიან მომენატრა ჩემი საქართველო, თბილისი. რამდენიმე დღეა, აქ ვარ და ვტკბები არქიტექტურით, ბუნების ფერებით და ეს ყველაფერი ჩემი შთაგონება ხდება. თან, ჩემს შემოქმედებაში ახალი ეტაპია – დავინტერესდი ფერწერით. შეიძლება, ეს ჩემი ფესვებია, რომელიც სისხლში მაქვს და ნელ-ნელა ვლინდება, რადგან, ჩემი მამა და ბიძა მხატვრები არიან, ანუ, მამის მხრიდან შტო – ყველანი ხელოვანები არიან. მე ჯერ ფოტოგრაფიით დავიწყე, შემდეგ დიზაინით დავინტერესდი, ახლა კი, უკვე – ხატვით. ხატვაში ჯერჯერობით ვეძებ ჩემს სტილს, საკუთარ თავს და ეს პროცესია გრძნობა და ემოციები. ამ კუთხით საკუთარ თავს ვსწავლობ. თითოეული ადამიანი დამოუკიდებელი პლანეტაა და მასში ბევრი მრავალფეროვნებაა. ჩვენ ხშირად ისიც კი არ ვიცით, ჩვენ შიგნით რა არის.



მე მიყვარს ადამიანების გაოცება და დაინტრიგება. ჩემთვის ადვილია მოსკოვის გაოცება – მე ხომ პროფესიონალი ვარ ინტრიგებში

ახლა ვმუშაობ როგორც ფოტოსურათების, ასევე, ფერწერული ტილოების გამოფენაზეც. ეს იქნება დიდი პროექტი, რომელზეც დიდ ხანს ვფიქრობდი. უკვე შევარჩიე ნახატები და ფოტოები, მუშაობის პროცესში ვარ. ძალიან ბევრი საქმე მაქვს, 24 საათი არ მყოფნის, ღამითაც ვხატავ. როდესაც ხატავ რეალობას, ამ სამყაროს ეთიშები, თითქოს სხვა განზომილებაში გადადიხარ და დროც მიფრინავს. ყველაფერი, რითიც ვარ დაკავებული, არ არის მხოლოდ ჩემი სამსახური, ეს ჩემი ცხოვრებაა, ის, რაც ჩემ შიგნით არის. ახალი კოლექციაც, რომელზეც ახლა ვმუშაობ, სულ სხვა სტილია, სხვა დიზაინი. ვფიქრობ, გაგაოცებთ.

**– ესეც შენი სტილი და ცხოვრების წესი გახდა – მუდმივად აოცებ ხალხს, მთელი მოსკოვის გაოცება და შოკირებაც მოახერხე. ალბათ, ყოველთვის დიდია შენი შემოქმედების მიმართ ინტერესი.**

– მიყვარს ადამიანების გაოცება და დაინტრიგება. ჩემთვის ადვილია მოსკოვის გაოცება – მე ხომ პროფესიონალი ვარ ინტრიგებში. ყოველთვის დიდი მოლოდინი აქვთ: რას შევთავაზებ, რას გავაკეთებ. შემოქმედებაში პატარა პაუზა მქონდა, დაახლოებით ერთთვიანი, თუმცა, ეს, შეიძლება, მხოლოდ მე ვიგრძენი და სხვებს არც უგრძნიათ, რადგან, მუდმივად ვმუშაობთ, სულ ჩართულები ვართ; უბრალოდ, მე „შიგნით" მქონდა გარკვეული პაუზა და სწორედ ამ პაუზამ განაპირობა ის, რომ ჩემში მხატვარმა გაიღვიძა – ალბათ, ეს იყო რაღაც ახლის დასაწყისი... რაც შეეხება გამოფენას, მოეწყობა მოსკოვში, ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო საგამოფენო სივრცეში.

**– ვფიქრობ, არ არის ადვილი, ქართველი დიზაინერი ასეთი ცნობილი და წარმატებული გახდეს მოსკოვში. როგორც ვიცი, სხვადასხვა წვეულებაზე რუსი ვარსკვლავები „მათურელის“ სამოსით მიდიან; შენი სამოსი იბეჭდება OK-ში, HELLO-ში; შენ შესახებ ხშირად წერს რუსული პრესა, აშუქებს ტელევიზია. ისიც გავიგე, რომ ცოტა ხნის წინ მსახიობი მარინა ორლოვა „ჰოლივუდში“ ჟურნალებისა და პუბლიკაციებისთვის შენი კაბით პოზირებდა; ასევე, ვიცი, რომ „ოსკარებზეც“ აპირებ ერთ-ერთი მსახიობისთვის „მათურელის” კაბის ჩაცმას, რაც ძალიან მცირე დროში შეძელი, თან, საკმაოდ პატარა ასაკში.**

– თუ არსებობს კონკურენცია, ესე იგი, არსებობს ზრდაც. ყველა განსხვავებულად ფიქრობს და მეც ასე ვარ. ყოველდღე და ყოველთვე ვიძენ ახალ მეგობრებს, ესენი არიან მსახიობები, მომღერლები, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები. ჩვენ მოსკოვის ცენტრში გვაქვს შოუ-რუმი. როდესაც ვარსკვლავები მოდიან, ვცდილობ, მათ პირადად შევხვდე, სხვა შემთხვევაში, ჩემი თანაშემწე მყავს, რადგან, ძალიან დაკავებული ვარ. თითქმის მთელმა რუსულმა შოუ-ბიზნესმა იცის ჩვენ შესახებ. ელემენტარულს გეტყვით: სალონში ვიჯექი, ფრჩხილებს ვიკეთებდი და ვსაუბრობდით. ერთმა გოგონამ მკითხა: რა ბრენდია? „მათურელი“-მეთქი. მე ეს ბრენდი ვიცი, – მიპასუხა მან. ასეთ კითხვებს ხშირად მისვამენ: როგორ გახდით ასეთი პოპულარულები – შოუ-რუმიც გაქვთ, ბრენდიცო. ჩემი პასუხი ასეთია: არ ვიცი. მე მიყვარს ხალხი, რადგან, ხალხი შთამაგონებს. ოპტიმისტი ვარ ბუნებით და ნებისმიერ რთულ სიტუაციაში გვირაბის ბოლოს ყოველთვის ვხედავ სინათლეს. ჩემს ძალას, ენერგიას ვაძლევ გარშემო მყოფებს. არტისტები, ისინი ვინც „მათურელს“ იცვამენ, ამას გრძნობენ, რადგან, ჩვენ მაინც ერთ ტალღაზე ვართ: ვსაუბრობთ, ერთად დავდივართ სპექტაკლებზე, შემდეგ კი ამას განვიხილავთ კულისებში, ვიცინით.



ცოტა ხნის წინ ინტერნეტში შევედი და რუსულ საიტებზე ვნახე საუკეთესო ქართველი დიზაინერების ტოპ-ათეული თუ ოცეული, ზუსტად აღარ მახსოვს. რუსულ საიტებზე ხშირად არ წერენ ქართველი დიზაინერების შესახებ, თუ ბოლო წლებს არ ჩავთვლით. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ პირველ ადგილზე ჩემი გვარი ეწერა, ჩემი ბრენდი. მაშინვე ჩემს პიარ-მენეჯერს დავურეკე – ეს შენ გააკეთე-მეთქი? არაო. თავად გაუკეთებიათ, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო იყო. როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტი იყო, ხშირად ისმოდა „ნამიოკები“: იქნებ, არ თქვა, ქართველი რომ ხარ, თქვი, რომ რუსი დიზაინერი ხარო, მაგრამ, მე ამის წინააღმდეგი ვიყავი: რატომ უნდა ვთქვა ეს? ჩემთვის სულერთია, ამას როგორ მიიღებთ, მე ქართველი დიზაინერი ვარ.

**– როგორი იქნება შენი კოლექცია და სად აპირებ მის ჩვენებას?**

– ეს იქნება აბსოლუტურად განსხვავებული სტილის კოლექცია, სულ სხვა მიმართულების, რომელიც ყველას გააოცებს. ვფიქრობ, 2015 წელში იქნება ბევრი შოკი და ფოიერვერკი, რადგან, თავად ვარ შოკირებული. ყველაფერი იქ იბადება, სადაც მე დავიბადე – საქართველოში, ამიტომ, ეს ახალი კოლექციაც საქართველოში იქმნება, გადაღებებიც საქართველოში მექნება. ახლაც ვიღებ სარეკლამო, საიმიჯო ფოტოებს ნინო ცქიტიშვილის მოდელებთან – მე მხოლოდ მათთან ვმუშაობ. მისი მოდელები საუკეთესოები არიან, ნინო კი – საოცარი ადამიანი. კოლექციის პრეზენტაცია კი თბილისის მოდის კვირეულზე მოხდება. ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომ ეს გავაკეთო თბილისში და ჩემი შემოქმედება ვაჩვენო ჩემს საყვარელ ხალხს, ქართველებს. ხშირად მეკითხებიან, მოსკოვის მოდის კვირეულზე რატომ არ გამოდიხარო. არ ვიცი, არ მიზიდავს. მე ხომ შემოქმედი ადამიანი ვარ, ხასიათების, განწყობის. ჯერ არ მაქვს მოდის კვირეულში მონაწილეობის განწყობა; როცა მექნება, გამოვალ. შემოთავაზებები ყოფილა, მაგრამ, ჯერჯერობით, უარს ვამბობ. მქონდა დახურული ჩვენებები და პრეზენტაციები, მაგრამ, „ფეშენ-ვიქზე” არ გამოვსულვარ და, მინდა, ამ მხრივ თბილისში მქონდეს დებიუტი. გარდა ამისა, სექტემბერში მინდა პარიზში მივიღო მონაწილეობა გამოფენაში, რომელიც ხშირად მოდის კვირეულის პარალელურადაც ტარდება. ამაზე ახლა ვმუშაობთ, ვურთიერთობთ და მალე ყველაფერი მოგვარდება; ლონდონშიც შეიძლება რაღაცეების გაკეთება – მინდა, საერთაშორისო დონეზე გავიდეთ, ერთ ადგილზე არ მიყვარს გაჩერება და არც ვაპირებ.

**ნათია უტიაშვილი**

## როდის წარდგებიან ქართველი მაყურებლის წინაშე პატარა ვირტუოზები და რას გეგმავენ ისინი სამომავლოდ

*11 წლის ილია ლომთათიძე და ბარბარე თათარაძე ქალბატონ ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ და მიშელ-სონის ფონდ „სოს ტაილენტის“ სტიპენდიანტები, ასევე ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები არიან. მათ არაერთხელ ასახელეს საქართველო და სხვადასხვა ქვეყანაში მსმენელი თავიანთი შესრულებით გააოცეს.*



**– ილია, საინტერესოა, როდის და როგორ დაიწყო შენი მუსიკალური კარიერა – პირველად პიანინოსთან როდის დაჯექი?**

**ილია:** შვიდი წლის რომ ვიყავი, მშობლებმა ხალხურ სიმღერაზე შემიყვანეს. იქ ფორტეპიანოს პედაგოგმა, ქალბატონმა ნანა სუთიძემ მომისმინა. მან გადაწყვიტა, რომ ფორტეპიანოზე მევლო და სულ რამდენიმე თვეში, კულტურის სამინისტროში, ქალბატონ ელისო ბოლქვაძის მიერ ჩატარებულ მოსმენაზე გავედი. ქალბატონმა ელისომ „სოს ტაილენტის“ ფონდში ჩამრიცხა.

**– ახლახან საფრანგეთში, კონცერტზე იყავით. იქ რა ხდებოდა.**

– ბატონ მიშელ-სონის „სოს ტაილენტის“ ფონდიდან წარგვადგინეს. კონცერტზე სულ ოთხი ბავშვი გამოვედით: მე, ბარბარე და ორიც – ლიტვიდან. „სოს ტაილენტის“ კონცერტებში ყოველწლიურად ვმონაწილეობთ. ახლაც ძალიან კმაყოფილები ჩამოვედით. კონცერტი მარსელ დასის სასახლეში გაიმართა. ძალიან ლამაზი დარბაზებია, კედლები თითქოს მოოქრულია.

**– რომელ კონკურსებში გაქვს მიღებული მონაწილეობა?**

– ვმონაწილეობდი რამდენიმე საერთაშორისო კონკურსზე, მათ შორის თბილისის მერიის კონცერტზეც, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ასევე, ნოდარ გაბუნიას სახელობის მუსიკის პირველ კონკურსზე, თბილისში გრანპრი დავიმსახურე. ფრანკფურტში კი ახალგაზრ- და მუსიკოსთა საერთაშორისო კონცერტზე „ოქროს კლავიშის“ მფლობელი გავხდი.

**– რომელი კონცერტი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად და რატომ?**



– გასულ წელს საფრანგეთში, ბატონ მიშელ-სონის ფონდის „სოს ტაილენტიდან“ საფრანგეთში ვიყავით. იქ გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც ეძღვნებოდა ავადმყოფ ადამიანებს. გვითხრეს, ისე უნდა დაუკრათ, რომ ისინი გამოჯანმრთელდნენო. კარგად დავუკარით და დიდი ოვაციებიც მოჰყვა. ახლახან საფრანგეთში რომ ვიყავით, იმ კონცერტიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო და მითხრა, რომ ჩვენმა გამოსვლამ ერთი ადამიანი უკვე გამოაჯანმრთელა. ძალიან გამიხარდა და ამით ბედნიერი ვარ.

**– ბარბარე, შენ როდის დაიწყე ფორტეპიანოზე დაკვრა?**

**ბარბარე:** ფორტეპიანოზე ხუთი წლის შევედი. ჩემი პირველი პედაგოგი იყო ნანა ჭყონია. 6 წლის ასაკში მონაწილეობა მივიღე შოპენის სახელობის კონკურსში, სადაც გავიცანი ქალბატონი ელისო ბოლქვაძე. მას შემდეგ გამოვედი ახალგაზრდა პიანისტთა მეოთხე კონკურსზე, სადაც გადმომეცა იტალიის საელჩოს სპეციალური პრიზი და დავხურე გალა კონცერტი. წარმატებით დავუკარი ლიტვაში, კაუნასის ფესტივალზე. 2010 წლიდან ვარ ფონდ „სოს ტაილენტის“, ხოლო 2012 წლიდან ფონდ „ლირას“ სტიპენდიანტი. ამ ფონდების დახმარებით ვმონაწილეობ კონცერტებსა და მასტერკლასებში საქართველოსა და უცხოეთში.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

– 5 თებერვალს იგეგმება კონცერტი ამსტერდამში, რომელზედაც საკმაოდ დიდი პროგრამა გვექნება. 17 თებერვალს კი მივფრინავთ ჟენევაში – კონცერტი გაეროს შტაბ-ბინაში გაიმართება. იქ უკვე მეორედ დავუკრავთ. საგაზაფხულოდაც ბევრი გეგმა მაქვს.

## „გვირილას" მხიარული სიმღერები და ლამაზი სიურპრიზებით სავსე ბარბარობა

*მოგესალმებით! მოგეხსენებათ ბარბარობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია და, ამ ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით „თბილისი მოლში" ჩატარდა სტუდია „გვირილას" აქცია – „სელიას" საჩუქარი თბილისელ ბავშვებს".*



***აქციის მონაწილე მარიკა კუტალია:*** ყოველთვის მოუთმენლად ველი „სელიას" აქციებს, სადაც დიდსა თუ პატარას ელის უამრავი სიურპრიზი.

***მომღერალი ნუგზარ კვაშალი:*** „გვირილებს," ყველა პატარას და სრულიად საქართველოს მინდა მივულოცო ბარბარობა, ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული, წინსვლები და ულევი წარმატება!

***პროექტის ავტორი ნინო ჩიხლაძე:*** ამ წინა საახალწლო ღონისძიებას ესწრებოდნენ ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. „სელიას" დათუნიამ ღონისძიებაზე ბავშვებს გადასცა ბევრი საჩუქარი, რითაც ძალიან გაახარა პატარების გულები, ხოლო დიდების მასპინძელი იყო კომპანია „პელე" თავისი გემრიელი პროდუქტით. დიდი მადლობა მათ და ჩვენ მასპინძელს – „თბილისი მოლს"!

***ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელი:*** მინდა საქრთველოში მცხოვრებ ყველა ოჯახს მივულოცო ბედნიერი „ბარბარობა" და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო მათ. დიდი მადლობა, ვინც ჩვენს გვერდით იყო!

100%-იანი ნატურალური, კომბინირებული დამათბუნებელი აქსესუარები სახსრებისათვის

რადიკულიტის ქამარი; სამუხლე; საკოჭე; სამაჯური





დამზადებულია მაღალკომპონენტური ცხოველური ბეწვისგან. გაჯერებულია ბუნებრივი, მცენარეული გამონაწვლილებით. გარანტია – 4 წელი.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, 31-ე კორპუსი, ბინა 40 – „ქსენონი". სამუშაო დღეები: ყოველდღე, 12$^{00}$-18$^{00}$ საათამდე. ტელ.: 232-54-43; 599 32-54-43. მარიამ ხეთერელი

**ხშირად მსმენია, თუ ადამიანს ძლიერი იმუნიტეტი აქვს, ზამთრის პერიოდში ვირუსები, გაციება და გრიპი ვერ შეაშინებსო. ექიმებიც გვაფრთხილებენ, რომ იმუნიტეტი უნდა ავიმაღლოთ, თუმცა, ზოგადად, ორგანიზმის რა სისტემაა ეს, ცოტამ თუ იცის. ასე რომ, თუ გსურთ, ზამთრის ცივი პერიოდი მშვიდად, დაავადების გარეშე გადააგოროთ, დასნებოვნებული ადამიანებისგან არ გადაგედოთ გრიპი და გაციება, ექიმ-ენდოკრინოლოგის, ქალბატონი ასმათ კევლიშვილის რეკომენდაციები გაითვალისწინეთ.**

# სასარგებლოა თუ არა გახდომის მიზნით „ჰერკულესის" ჭამა და აძლიერებს თუ არა ზამთარში ორგანიზმის იმუნურ სისტემას წყალში გახსნილი თაფლის მიღება

**ასმათ კევლიშვილი:** ბევრს საუბრობენ იმუნურ სისტემაზე, თუმცა, რა არის ეს, რა ფუნქცია და როლი აკისრია, ცოტამ თუ იცის. იმუნური სისტემა არ არის ერთი ორგანო, მისი აღდგენისთვის არ არსებობს ბუნებაში წამალი. მაგალითად, ხანში შესული ადამიანები გვეუბნებიან, თუ ხახვსა და ნიორს შევჭამთ, იმუნიტეტს ამით ავვიდგენთ; ვიღაც გვაფრთხილებს, რომ დიდი რაოდენობით ხილბოსტნეულის ჭამა და წყლის სმა აძლიერებს იმუნურ სისტემას, მაგრამ, ეს ყველაფერი ცოდნის დეფიციტზე მიუთითებს. იმუნური სისტემა ურთულესი მარეგულირებელი და დამცავი სისტემაა, რომელიც გვიცავს ვირუსებისგან, ბაქტერიებისგან, მიკროორგანიზმებისგან, ტოქსინებისგან, ალერგენებისა და ავთვისებიანი უჯრედებისაგან. როგორ ფიქრობთ, თაფლიან წყალს რომ დალევთ, ეს გიშველით? უბრალოდ, თაფლიანი წყლის, ნივრის, ხახვისა თუ წიწაკის მიღებით, ორგანიზმს აწვდით მინერალებსა და ფერმენტებს, მინერალურ მარილებს და ვიტამინებს, რაც მას სჭირდება. ან, დილით თუ თაფლიან წყალს დალევთ ლიმონით და ცოტა ხანში შებოლილ პროდუქტს – კანცეროგენს დააყოლებთ, ეს ორგანიზმს წაადგება? მაგრამ, თუ თაფლიან და ლიმონიან წყალს დალევთ დილით, შუადღეზე ბოსტნეულის სუპს შეჭამთ და მოხარშულ ხორცს დააყოლებთ, მაშინ იმუნური სისტემა დაცული იქნება. თუ არასწორი კვებით იმუნური სისტემა მოიშალა, მერე გინდა თაფლი მიიღე, გინდა ნიორი და გინდა – წიწაკა. თუმცა, ცივ სეზონზე საჭმლის წიწაკით, ხახვითა და ნივრით შეკაზმვა მართლაც გვიცავს მთელი რიგი ვირუსებისგან. გირჩევთ, სეზონური ხილი და ბოსტნეული მიიღოთ და არა ის პროდუქტი, რომელიც სუპერმარკეტებში იყიდება და მისი სეზონი დიდი ხანია გავიდა. ასევე, ისწავლეთ კერძების და წვენების ტექნოლოგიურად სწორად მომზადება, თუ გსურთ, რომ ეს თქვენს ორგანიზმს სასიკეთოდ წაადგეს. საკვები მხოლოდ კუჭსა და გემოვნებას კი არ უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ, ის უნდა იყოს საზრდო, რომელიც ორგანიზმს საჭირო „საწვავით" ამარაგებს. ზოგადად, იმუნურ სისტემაში შედის ელენთა, თიმუსი, ძვლის ტვინი, სისხლი და ლიმფური კვანძები, თითოეული მათგანი კი ურთულეს სამუშაოს ასრულებს. როცა გვეუბნებიან, წყალში გახსნილი თაფლი, ხახვი და ნიორი იმუნურ სისტემას ამყარებსო, დაფიქრდით, ეს ყველა ჩამოთვლილ ორგანოს გამოკვებავს და აღადგენს, ასე მარტივად?

**– რა უნდა გავაკეთოთ, რომ არსებული იმუნური სისტემა შევინარჩუნოთ და ცივ სეზონზე ვირუსების შემოტევებისგან დავიცვათ თავი?**

– თუ თანდაყოლილი პათოლოგია არ არის, ასეთ შემთხვევაში, ადამიანის ორგანიზმი თვითმარეგულირებელი სისტემაა და მასში უხეში ჩარევა სავალალო შედეგებს იძლევა. თუ იმუნურ სისტემას გაუფრთხილდებით, მაშინ ყველა ორგანო კარგად იმუშავებს და პრობლემასაც აიცილებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, საკუთარი ორგანიზმის მართვა. თუ ის წყობიდან გამოიყვანეთ, ერთი აბითა და რჩევებით, მას ვერ აღადგენთ. პრობლემა მარტივად მოსაგვარებელი არაა. ერთი ძველი



უსიმპტომოდ, დაავადებამ, შესაძლოა ისე მოშალოს ადამიანის ორგანიზმი, რომ ის სამწუხარო შედეგამდე მიიყვანოს

გამონათქვამი გამახსენდა: „დაავადება ორგანიზმში შედის ურმით, მაგრამ, გამოდის წვეთ-წვეთობით". უსიმპტომოდ მიმდინარე დაავადებამ, შესაძლოა, ისე მოშალოს ადამიანის ორგანიზმი, რომ ის სამწუხარო შედეგამდე მიიყვანოს. როცა მეკითხებიან, როგორ ვიკვებოთ სწორადო, ამაზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს, რადგან, ნებისმიერ ადამიანს ინდივიდუალურად სჭირდება (მისი ორგანიზმის მდგომარეობიდან გამომდინარე), მისთვის საჭირო კონკრეტული კვება.

**– ხშირად მსმენია რჩევა, რომ თუ დილას შვრიის ფაფით დავიწყებთ, ორგანიზმი სასიცოცხლო ენერგიით მომარაგდება და იმუნური სისტემაც დაცული გვექნება. ეს სწორი მიდგომაა?**

– დიახ, ბევრი უწევს რეკომენდაციას შვრიის ფანტელებს, ანუ, ეგრეთ წოდებულ „ჰერკულესს" და ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი მიირთმევს მას დილით. შვრია პირველადი სახით, ანუ – ხორბლის მარცვალი, შეუცვლელი პროდუქტია, რადგან შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს. მაგრამ, როცა ხდება მისი გადამუშავება და ვიღებთ საკვებს ფანტელების სახით, მასში B ვიტამინები აღარ არსებობს, გამოცლილია და მხოლოდ სახამებელს შეიცავს. კვლევებით აღმოჩნდა, რომ შვრიის ფანტელების დილით მიღება უზმოზე, აფერხებს ორგანიზმში კალციისა და D ვიტამინის შეწოვას და, არა მარტო აფერხებს, არამედ, დიდი რაოდენობით გამოდევნის ორგანიზმიდან კალცს. ასე რომ, „ჰერკულესის" დილით ჭამა იმ მიზნით, რომ ორგანიზმს ვაკაჟებთ, იმუნურ სისტემას ვიცავთ ან წონაში ვიკლებთ, სრული აბსურდია. თუ გნებავთ შვრიის მირთმევა, გირჩევთ, იყიდოთ ხორბალი, დაფქვათ ის და დილით მისგან მომზადებული ფაფა მიირთვათ – ეს ძალიან სასარგებლოა.

**– ის, რომ ცივ სეზონზე ნივრიანი, ხახვიანი ან წიწაკიანი კერძების მიღება ვირუსებისგან გვიცავს, ტყუილია?**

– ნიორი, ხახვი და წიწაკა პანაცეა და იმუნური სისტემის მშველელი რომ იყოს, მის გარდა წამალი აღარ დაგვჭირდებოდა. თუ სწორი კვება მთელი ცხოვრების განმავლობაში იქნება თქვენი მიზანი, დაავადებებს ადვილად დაამარცხებთ. დაქვეითებული იმუნიტეტი რომ აღიდგინო, ჯერ მიზეზი უნდა ეძებო და შემდეგ იზრუნო მის გამყარებაზე. მაგალითად, შემწვარ-მოხრაკული და შებოლილი პროდუქტი რომ ორგანიზმისთვის დამღუპველია, ეს არაერთხელ მითქვამს, მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ასევე, ცუდია, რძით დამზადებული ფაფების ჭამა. ჯობია, ის წყალში მოხარშოთ და ისე მიაწოდოთ ორგანიზმს. ის ცილები, რომელსაც საქონლის ან თხის რძე შეიცავს, ჩვენი ორგანიზმისთვის მიუღებელია, ამიტომ, ბურღულეული წყალში მოხარშეთ და ასე დაიცავით თქვენი იმუნური სისტემა ბავშვობიდან. ერთხელ ერთმა მშობელმა მითხრა, ყოველ დილით ვასმევ ბავშვს ას გრამ ახალგამოწურულ სტაფილოს წვენს – მითხრეს, ძალიან სასარგებლოაო.

**– მეც გამიგია, რომ ახალგამოწურული სტაფილოს წვენი ძალიან სასარგებლოა უზმოზე. ვცდები?**

– გეტყვით რომ, ჯერ ერთი, სტაფილო ქართულ მიწაზე უნდა იყოს მოყვანილი და არა უცხოეთიდან შემოსული; თანაც, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომ ის არ შეიცავს შხამებსა და ტოქსინებს და მოყვანილია სასუქების გარეშე. მაგრამ, თუ ამას არ მივაქცევთ ყურადღებას და ისე ვიყიდით, გამოვწურავთ და დავლევთ, ორგანიზმს ვიტამინებსა და ფერმენტებს მივაწვდით კი არა, ისე დავაზიანებთ, მის აღდგენას წლები დასჭირდება. მით უმეტეს, ბავშვისთვისაა ეს საშიში. კარგია, რომ შვილს სტაფილოსა და ჭარხლის წვენს ასმევთ, მაგრამ, უნდა დარწმუნდეთ, რომ ის არ შეიცავს შხამებს და ეკოლოგიურად სუფთაა; ასევე, საჭიროა, ის ტექნოლოგიურად სწორად მოამზადოთ. გეტყვით, რომ იმუნური სისტემის სწორი კვებით შენარჩუნება, ხდება დაბადების წუთებიდან. დღეს ხშირია 10-11 წლის ბავშვებში ანგინები, რინიტი, ნუშურა ჯირკვლების ანთება, გაციება და ასე შემდეგ, ანუ, მათი ორგანიზმი არ არის ჯანმრთელი, რაც იმუნური სისტემის დაქვეითებასა და ორგანიზმის არასწორ მართვაზე მეტყველებს. ასევე, ძალიან აზიანებს ბავშვის იმუნურ სისტემას სტრესი და მის ნერვულ სისტემაზე აუცილებლად უნდა იფიქროს მშობელმა. ნუ დატვირთავთ მათ ზედმეტად, მიანიჭეთ მას მეტი თავისუფლება და სილაღე – ეს მის იმუნიტეტზე დადებითად იმოქმედებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ, ზოგადად, იმუნურ სისტემაზე დიდად მოქმედებს ადამიანის განწყობა ამიტომ, თუ განწყობა გექნებათ დადებითი, ცუდი საკვებიც რომ ჭამოთ, ორგანიზმი მას აუცილებლად მოერევა და არც იმუნური სისტემა დაზიანდება.

**ნონა დათეშიძე**

(75-ე გვერდიდან)

ბული კარგ, პრესტიჟულ სამუშაო ადგილებზე.

**– გისმენთ და ვხვდები, როგორი რთულია ფონდის ყოველი სამუშაო დღე და რამხელა საქმეს ხართ შეჭიდებულები.**

– ჩვენ არავისგან არაფერს ვითხოვთ, მაგრამ ხელის შემშლელი ფაქტორი გვაქვს ბევრი. ***(იღიმის)*** სირთულეებს ვერ ვამჩნევთ უკვე. ვისწავლეთ იმის კარგად გარჩევაც, რა არის ნამდვილი პრობლემა და გაჭირვება.. თუ ყველაფერს საკუთარი თვალით არ ნახავ, შეიძლება შეცდომები დაუშვა. პანსიონი, რომელიც 23 ნოემბერს, გიორგობას გავხსენით, მართლა ძალიან მაღალი დონისაა. წარმოიდგინეთ, შვეიცარიის პანსიონების სტანდარტია. ჯერჯერობით შევიყვანეთ 10 ბავშვი. დამიჯერებთ, რომ გითხრათ, რამდენიმე დღე მათ ჭამას ვასწავლიდით? პურის მეტს არაფერს ჭამდნენ. სხვა საკვების გემო არ იციან და იმიტომ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გავუკეთეთ ყველა საჭირო ანალიზი და გაიარეს ექიმის კონსულტაცია. მართლა ვერ წარმოიდგენთ, როგორი პირობებიდან წამოვიყვანეთ. მინდა, აუცილებლად ისიც ვთქვა, რომ ყველაფერი, რასაც ფონდი აკეთებს, მთლიანად ჯდება სტანდარტის და კანონის ფარგლებში. არასოდეს არაფერს გავაკეთებთ საეჭვოს და არცი მას, რაც შედეგს ვერ გამოიღებს. ამის მაგალითია ის საბავშვო სახლი, რომელიც უკვე გვაქვს თბილისში. მაგრამ, მეორე აღარ გაგვახსნევინეს, აღარ გვჭირდებაო.

**– მაშინ, როცა უამრავი ბავშვია ქუჩაში...**

– კი, ბატონო, ასეა. არც ქობულეთში სჭირდებათ პანსიონი და ეს კიდევ უფრო მტკივნეული საკითხია. აჭარა ძალიან სპეციფიკური და რთული რეგიონია და ვინც ამაში ცოტა ჩახედულია, ეს ყველამ იცის. ვინც ვერ ხვდება, ის ან სპეციალურად არ იგებს, ან ქვეყნის მტერია. არავის ვურჩევ, ჰქონდეს ილუზია, რომ გენერალ მაზნიაშვილის სახელობის პანსიონი

# რა პრობლემები ექმნება საქართველოში ქველმოქმედებას და რატომ აკეთებდა ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდი სიკეთეს ჩუმად

დაიხურება, რა თქმა უნდა, არ დაიხურება. აჭარაში გახსნილია, უამრავი გაუგებარი პანსიონი, გაუგებარი დანიშნულების და გაუგებარი მიზნების. ქართველ ბავშვებს, რომლებიც იქ გაჭირვებულ ოჯახებს მიჰყავთ, რა ბედი ელით, ვინ იქნებიან რამდენიმე წლის შემდეგ, ან რა იდეოლოგია ექნებათ, არავინ აკონტროლებს, რაც დაუშვებელია. მე ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს და ვფიქრობ, არც იმათ აქვთ, ვისაც უნდა ჰქონდეს. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა ქვეყნისთვის. ყველა რელიგიას აქვს არსებობის უფლება, ამაზე არ არის ლაპარაკი. მაგრამ ამ ტიპის პანსიონებში რელიგიური მიდრეკილებების გამო კი არა, გაჭირვების გამო მიჰყავთ შვილები ქართველ მშობლებს. არის იმის საშიშროება, რომ თაობები დავკარგოთ. გაუგებარი მენტალიტეტით გაზრდიან ბავშვებს. არავინ ამოწმებს და ერთხელაც არ შესულა მათთან მონიტორინგის სამსახური. ჩვენს პანსიონს არა აქვს რელიგიური მიმართულება. მიუხედავად იმისა, რომ მართვაში საპატრიარქო შემოვიყვანეთ და ესეც გარკვეული მოსაზრებით.

არ მოსულან, არ უნახავთ, რა ტიპის პანსიონია, საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა, რას და როგორ ვაკეთებთ. ვთავაზობთ ოცდაოთხსაათიან მონიტორინგს, ყველაფერი გამჭვირვალე გვაქვს. გაფრთხილების გარეშე შეუძლიათ, მოსვლა და შემოწმება. თუ საჭირო იქნება, ვიდეოკამერებსაც დავაყენებთ, მაგრამ სხედან თბილისში, აქედან მიფასებენ პროექტს და მეუბნებიან, რომ დასახურია.

**– ვინ გეუბნებათ ამას, გიორგი?**

– არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ საკმაოდ მკვახე განცხადებებს. მათ ერთხელაც კი არ უნახავთ არცერთი ბავშვის ოჯახი და მათი საცხოვრებელი პირობები, არ დაინტერესებულან, მართლა ასე უჭირთ ამ ბავშვებს, თუ არა. ქობულეთშიც კი არ შემოუდგამთ ფეხი. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ პრობლემას საერთოდ ვერ ხედავენ და სხვა რეალობაში ცხოვრობენ. ყველა ადამიანს და ორგანიზაციას შეუძლია, იცხოვროს, როგორც მას უნდა, მაგრამ ჩვენ – ვგულისხმობ ლეონიდ ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდს, ნუ შეგვიშლიან ხელს იმის კეთებაში, რაც ძალიან სჭირდება, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და ჩვენს ქვეყანას. მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა და ეს მათ არ ადარდებთ. სხვათა შორის, არც სახალხო დამცველის ოფისს. მაგრამ, ჩვენ ვერ ვიქნებით მშვიდად და გულხელდაკრეფილები, როცა ბავშვს შია, როცა ზამთარში შეიძლება, გაიყინოს და ქუჩაში იყოს, როცა იმის საშუალებაც კი არა აქვს, წერა-კითხვა ისწავლოს. ჩვენ ასეთ ბავშვებს ვეხმარებით, მომავალშიც დავეხმარებით და ნურავინ წარმოიდგენს, ყველაზე კარგ სიზმარშიც კი, რომ ჩვენ მოგვწყვეტენ საქმეს და ფურცლებისა და რეპორტინგების კომპანიად გვაქცევენ. არაფერი შეიცვლბა, ფონდი გაძლიერდება – ხუთჯერ, ათჯერ უფრო დიდი გახდება და ნამდვილად საამაყო ქართული ფონდი იქნება ჩვენი ყველა თანამოქალაქისთვის. აუცილებლად გაიხსნება კიდევ 2 მსგავსი ტიპის პანსიონი აჭარის მაღალმთიან რეგიონში, სადაც მოსახლეობას ეს ძალიან სჭირდება. ჩვენ შევძლებთ, რომ დავამარცხოთ თუნდაც ის პრობლემა, რაც არის შიმშილი ბავშვებში. ეს ფონდი საქართველოს ეკუთვნის და არასდროს მოექცევა არცერთი ორგანიზაციის იდეოლოგიის ქვეშ.

**ნინო წულუკიძე**

(72-ე გვერდიდან)

ნიკიფორე ორჯერ იყო დაქორწინებული.

მარიამ-მართას სხვა რა გზა ჰქონდა და დათანხმდა.

სამი წლის მერე, 1081 წელს ალექსი კომნენმა (კომნენოსმა) ნიკიფორე მესამე დაამხო და თავი ბიზანტიის კეისრად გამოაცხადა. მარიამ დედოფალს ალექსი კომნენი აშვილებინეს. ქართველი დედოფალი უკმაყოფილო იყო ნიკიფორე ბოტინიატეზე, რომელიც მის ვაჟს ტახტის თანამმართველად არ აცხადებდა. როგორც ჩანს, შვილის ინტერესების გამო, დედოფალი დაეხმარა ალექსი კომნენს. ახალმა იმპერატორმა, მართლაც, მარიამ ბაგრატიონის ვაჟი, კონსტანტინე დუკა თანამოსაყდრედ გამოაცხადა და როგორც კი ქალიშვილი, ანა კომნენი შეეძინა, მასზე დანიშნა.

კონსტანტინე უფლისწულის შესახებ შემდეგში ანა კომნენი წერდა: „ის იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ... როგორც ბუნების ძეგლი, ისეთი იყო ის ყმაწვილი და ღვთის ნახელარი საჩუქარი, თუ შეიძლება ასე ითქვას. თუ კი ვინმეს დაუნახავს მაინც, იტყოდა, რომ ეს ოქროს მოდგმის ნაშიერი არისო, როგორც ეს ელინურ მითებშია მოთხრობილი. ასეთი უბადლო სილამაზისა იყო“...

უფლისწულის აღზრდაზე ზრუნავდა ცნობილი ღვთისმეტყველი და მწერალი, წმიდა თე-

# რატომ მოიყვანა ცოლად ორმა იმპერატორმა ბაგრატ მეოთხის ასული

ოფილაქტე ბულგარელი. ლიტერატურულ-დიდაქტიკური ტრაქტატიც კი დაუწერია მას უფლისწულის აღსაზრდელად – „სამეფო დარიგებანი“. სამწუხაროდ, კონსტანტინე დუკა სუსტი ჯანმრთელობის ყოფილა.

კონსტანტინეს თანამეფობა გაგრძელდა 1087 წლამდე. როცა ალექსის შეეძინა ვაჟი, ანასთან ნიშნობა გაუქმდა. კონსტანტინე პორფიროგენეტს კი ჩამოართვეს ტახტის მემკვიდრის უფლებები და დაითხოვეს სასახლიდან. მარიამ დედოფალი აიძულეს მონასტერში წასულიყო. თუმცა, ის არ ნებდებოდა და 1094 წელს ალექსი კომნენის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა უშედეგოდ.

მარიამ დედოფალი უცხოურ წყაროებში მარიამ ალანელის, ალანის სახელითაა ცნობილი, ალბათ იმიტომ, რომ მისი დედა ბორენა დედოფალი ოვსთა (ალანთა) მეფის ასული იყო. მის სილამაზეზე ანა კომნენოსი წერდა:

„დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა – ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას... ის იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ“.

დედოფალ მარიამს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველ ბერებთან და პოლიტიკოსებთან. ის უკვეთავდა ხელნაწერებს ქართული მონასტრებისთვის. შესაწირავს უგზავნიდა ათონის ივერთა მონასტერს, სადაც საალაპე წიგნში მისი მოსახსენიებელი შეიტანეს. დედოფალი მეგობრობდა გრიგოლ ბაკურიანის ძესთან, აღმოსავლეთის დიდ დომესტიკოსთან, რომელმაც მის ძმას, საქართველოს მეფე გიორგი მეორეს ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) გადასცა. მარიამ დედოფალს უძღვნა თეოფილაქტე ბულგარელმა „იოანეს სახარების განმარტება“.

მარიამ დედოფალმა გააგრძელა დედამისის, ბორენა დედოფლის დაწყებული საქმე და სიონის მთაზე მშენებარე კაპათას მონასტრის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა.

1096 წელს გარდაიცვალა მარიამ-მართას ერთადერთი ვაჟი, კონსტანტინე პორფიროგენეტი.

1104 წელს რუის-ურბნისის კრების დროს მართა-მარიამ დედოფალი საქართველოში ყოფილა თავის სათაყვანებელ ძმასთან, გიორგი მეორესთან და ძმისწულთან, დავით აღმაშენებელთან. გარდაიცვალა დაახლოებით 1118 წელს.

**გიორგი მახოზეშვილი**

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ ახალ სეზონზე ბევრი ახალი პერსონაჟი ჰყავს, მათ შორის არის დრამატურგი სანდრო, რომლის როლსაც მსახიობი ილია ქორქაშვილი ასრულებს. ილია თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. თუმცა, ამჟერად მაგისტრატურაში სწავლობს რეჟისურის განხრით, წელს ამთავრებს და ამიტომ, ახლა სადიპლომო სპექტაკლისთვის ემზადება. სერიალი მისი პირველი მასშტაბური გამოჩენაა ჩვენი საზოგადოების წინაშე, მანამდე კი, რაღაც პერიოდი, გერმანიაში ცხოვრობდა და იქ რამდენიმე მოკლემეტრაჟიან ფილმშიც გადაიღეს.**

# მოეწონებოდა თუ არა ილია ქორქაშვილს სინამდვილეში ნატაშკასნაირი გოგო და რა ხდება მის ცხოვრებაში რეალურად

**– ილია, ეს შენი პირველი გამოჩენაა ეკრანზე?**

– საქართველოში –კი. მანამდე იყო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური ფილმები, თუმცა, ასე მასშტაბური პირველია.

**– აქამდე რით იყავი დაკავებული და სად?**

– დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტი, მერე ჩავაბარე მაგისტრატურაში დრამის რეჟისურაზე. ნახევარი წლის შემდეგ კი წავედი გერმანიაში ერთი თვით, გადაღებებზე. იქ ჩემი ძმა სწავლობს Deutsche film und fernseh akademie-ში. ფილმს იღებდა და იქ ვითამაშე. ისე მომეწონა, რომ ორი წელი დავრჩი. ერთი წელი ენას ვსწავლობდი და პარალელურად აკადემიის სტუდენტები მიღებდნენ თავიანთ ფილმებში.

**– როგორც წესი, უკან დაბრუნება უჭირთ ხოლმე. შენს შემთხვევაში როგორ იყო?**

– მინდოდა, რომ ისევ თეატრთან ვყოფილიყავი დაკავშირებული. ამ მხრივ იქ ძალიან რთულია და ამ ყველაფერს წლები სჭირდება. როგორ კარგადაც არ უნდა იცოდე ენა და კარგად თამაშობდე გერმანულად, გამოცდილება და წლები მაინც საჭიროა. დაბრუნების პირველი მიზეზი მაინც ეს იყო. თუმცა, როგორც გითხარი, დიდი ხნით წასვლა არც მქონდა ჩაფიქრებული.



**ვარ ის ტიპი, რომელიც ძალიან მაგრად დაუდგება მხარში ადამიანს, რომელიც უყვარს**

**– მაინცდამაინც მსახიობობა და რეჟისურა რატომ აირჩიე?**

– არის ასეთი საბავშვო თეატრალური წრე – „ცეტები“, სადაც ბავშვობიდან დავდიოდი, ალბათ, 11 წლიდან სკოლის დამთავრებამდე. ეს არ იყო ისეთი თეატრალური წრე, როგორებიც არსებობენ სტერეოტიპულად, სადაც ბავშვები მიდიან და მხოლოდ სპექტაკლებს თამაშობენ. იქ ისეთი გარემო იყო, საერთოდ აღარ მინდოდა სახლში წამოსვლა. ასე რომ, მთელი ბავშვობა ამ სტუდიაში მაქვს გატარებული და ამან განაპირობა ჩემი არჩევანიც. რაც შეეხება რეჟისორობას, გერმანიიდან რომ დავბრუნდი, მერე აღვიდგინე თავი მაგისტრატურაში და წელს ვამთავრებ. გარდა იმისა, რომ ვარ მსახიობი და ვთამაშობ, შინაგანი სურვილი გამიჩნდა, თვითონაც გამეკეთებინა რაღაც. არ ვფიქრობ, რომ მსახიობმა სხვა არაფერი არ უნდა აკეთოს.

**– სერიალში ქასთინგით მოხვდი?**

– ოფიციალურად გამოცხადებული ქასთინგის შესახებ არ გამიგია. მეგობარმა მითხრა, რომ ჩემი ფოტო აჩვენა, თუ არ ვცდები, ქეთი დევდარიანს. დამირეკეს, მივედი, ორწუთიანი სცენა ჩავწერეთ და მეორე დღეს მითხრეს, დამტკიცებული ხარო. უცებ მოხდა ყველაფერი.

**– სპექტაკლებიდან სერიალზე გადასვლა გაგიჭირდა?**

– რა თქმა უნდა, ამას თავისი სირთულე აქვს, მაგრამ, რომ გითხრათ, ძალიან გამიჭირდა-მეთქი, არა. ალბათ, უფრო შეგუების მომენტია. თავიდან იყო ცოტა დაძაბულობა და მერე ნელ-ნელა მოიხსნა. თუმცა, ექსტრემალური სიტუაციაა იმ მხრივ, კვირაში სამჯერ რომ გადის და სულ გადაღებებია.

**– სანდროს როლის შესრულებისას მაქსიმალურად გიწევს გარდასახვა თუ ახლოს არის ეს პერსონაჟი შენთან?**

– მე მგონია, რომ ეს საერთოდ არც არის საჭირო. მე ვერასდროს გავხდები სხვა, იმიტომ, რომ მე ვარ მე. თუმცა, ემატება ის დეტალები, რომლებიც მე არ მაქვს და აქვს ვიღაც დრამატურგს. დანარჩენი – ხმის ტემბრი, რაღაც დონეზე მეტყველების მანერა, სიარული და ასე შემდეგ, ისეთია, როგორიც რეალურად მე მაქვს. თუმცა, ჩემგან განსხვავებული, რაც ჯერჯერობით იკვეთება, არის ხასიათი – მე ასე არ ვიქცევი ადამიანებთან, ცოტა უფრო გახსნილი ვარ და არა ასეთი მორიდებული.

**– უფრო კონკრეტულად, როგორია ილია?**

– ილია ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორებიც სხვები არიან ***(იცინის),*** თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, თუმცა, ვიმეორებ – მე უფრო გახსნილი ტიპი ვარ, სანდროსავით მორიდებული და კეთილი არ ვარ.

**– სანდროს ნატაშკასადმი სიმპათიები აქვს, მაყურებელს კი – მოლოდინი, რომ, შეიძლება, რაღაც ახალი ხაზი განვითარდეს მათი ურთიერთობის სახით.**

– ურთიერთობის რაღაც შტრიხები იკვეთება და, ფაქტია, რომ რაღაც დონეზე მოსწონს ნატაშკა, მაგრამ, მერე რა მოხდება არ ვიცი.

**– შენ როგორი გოგოები მოგწონს და, ზოგადად, მათი შეფასების რა კრიტერიუმები გაქვს?**

– არ მყავს დაყოფილი ქერათმიანი და ცისფერთვალება, ან, პირიქით – აზიური გარეგნობის კატეგორიებად. ეს არის აბსოლუტურად ხასიათზე და იმ ადამიანზე დამოკიდებული, ვინც უნდა მომეწონოს. ამის კონკრეტული ფორმულა არ არსებობს, ამიტომ, ვერ გეტყვი. გარეგნულად, ალბათ, ყველანაირი გოგო მომწონებია – ქერაც, შავგვრემანიც, მაღალიც და დაბალიც, მაგრამ, ზუსტად როგორი უნდა იყოს ჩემი ოცნების გოგო – ასეთი მზა ფორმულა არ მაქვს. ხასიათითაც სხვადასხვანაირი გოგოები მომწონს ***(იცინის).*** თუმცა, ერთი, რაც ვიცი, არის ის, რომ მომწონს შინაგანად საინტერესო ქალები – აქ არ ვგულისხმობ მარტო განათლებასა და წაკითხული წიგნების რაოდენობას, მთავარია, შინაგანად თავისუფალი იყოს, რაც უკვე საინტერესოა.

**– ნატაშკასნაირი გოგო თუ მოგეწონება?**

– ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე, ალბათ, არ მომეწონებოდა ***(იცინის).***

**– ეს რას ნიშნავს?**

– როგორც ილია, როცა პერსონაჟ ნატაშკას ცხოვრებასა და მდგომარეობას ვუყურებ, ალბათ, არ მომეწონებოდა – ცხოვრების ამ ეტაპზე ასეა, თუმცა, შეიძლება, მომავალ წელს მომეწონოს, არ ვიცი ***(იცინის).***

**– ნატაშკასნაირი გოგოს მოწონება ნიშნავს იმას, რომ ერთვები მის ცხოვრებაში, რომელიც ბევრი სირთულით არის სავსე. ზოგადად თუ შეგიძლია, ასეთი რთული ცხოვრების მქონე ადამიანთან ურთიერთობა, ანუ, თუ ხარ სიყვარულისთვის ბევრ დათმობაზე წამსვლელი და მებრძოლი ადამიანი?**

– ალბათ, ვარ. ვერ გეტყვი, რომ ამის გამოცდილება მიმიღია და დიდი პრობლემების მქონე ქალთან გამიბამს ურთიერთობა, მაგრამ, ვარ ის ტიპი, რომელიც ძალიან მაგრად დაუდგება მხარში ადამიანს, რომელიც უყვარს.

**– ახლა რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ახლა შეყვარებული არ ვარ. ისე, პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი საერთოდ არ მიყვარს.

**– მოგიტანა სერიალმა პოპულარობა, როგორ დამოკიდებულებას გრძნობ ხალხის მხრიდან?**

– ჩალაპარაკებებია ხოლმე – ეს სანდროაო. რომ გითხრა, უკვე სახალხოდ ცნობილი ვარ-მეთქი, – არა, მაგრამ, ვინც მცნობს, ყველას დადებითი და პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. ყველაზე მეტად სასაცილო ის იყო, რომ, რამდენიმე სერიის შემდეგ „ფეისბუქზე“ ძალიან ბევრი მეგობრობის თხოვნა დამიგროვდა და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა ***(იცინის).***

**– და, ალბათ, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას გოგონები შეადგენენ, არა?**

– დიახ და, ქუჩაში ვინც შემხვედრია, საყვარლად გაბადრულები რომ მიყურებენ, ისინიც ძირითადად თინეიჯერი გოგონები არიან ***(იცინის).***

**– შენი გეგმების შესახებაც მითხარი.**

– ჯერჯერობით სერიალში ვარ და, ასევე, ახლო მომავალში უნდა დავდგა ჩემი სპექტაკლი, რომელიც იქნება პირველი ჩემს ცხოვრებაში. ძალიან მაინტერესებს, რა გამოვა.

**ქეთი კაპანაძე**

**მომღერალი თემო საჯაია პროექტ „ერთი ერთში“ მესამე სეზონზე გამოვიდა საზოგადოების წინაშე. ბოლო, მეხუთე ლაივზე მან სტივ ტაილერის არაჩვეულებრივი შესრულებით ჟიურისა და, მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა და, შესაბამისად, დღის ლიდერიც გახდა, მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე 38 გრადუსი სიცხითა და ბრონქიტით მოუწია გამოსვლა. სასიამოვნო სიახლეა თემოს პირად ცხოვრებაშიც: მისი და ბალერინა ნინი სამადაშვილის სამწლიანი შეყვარებულობის პერიოდი, როგორც თემო ამბობს, ფინალს უახლოვდება და, ცოტა ხანში, დათბობასთან ერთად, ისინი დაქორწინებას აპირებენ.**

# რომელი სფეროს სპეციალისტი გახდა შეყვარებულის დამსახურებით თემო საჯაია და როდის აპირებს ის დაქორწინებას

**თემო საჯაია**: ყველა არტისტის განსახიერების დროს მოსამზადებელი ეტაპი დიდი პასუხისმგებლობით არის სავსე, მაგრამ, ეს შემთხვევა განსაკუთრებული იყო, რადგან, ესაა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ჯგუფი და სიმღერა. ამიტომ, ყველაფერს დიდ ყურადღებას ვაქცევდი – ფრჩხილებს, აქსესუარებს, ჩაცმულობას, ვოკალს და ასე შემდეგ.

**– როგორც ვიცი, ჯანმრთელობის პრობლემები გქონდა...**

– ბრონქიტი ახლაც მაქვს. როცა სტივ ტაილერს ასრულებს, ალბათ, სიცხე ჯანმრთელ ადამიანსაც აუწევს ***(იცინის),*** იმდენად ქარიზმატული და ენერგიულია. ლაივზე, მგონი, 38 გრადუსი მქონდა ტემპერატურა. სიმართლე გითხრა, არ მახსოვს სცენაზე რას ვაკეთებდი. ალბათ, მივხვდი, რომ, უბრალოდ, სხვა გზა არ მქონდა და უფრო მეტად მოვინდომე.

**– ზოგადად, კონკურსები არ გიყვარს. „ერთი ერთში“ მონაწილეობაზე რატომ დათანხმდი?**

– რადგან ძალიან საინტერესოა. იმის გამო არ ვამბობ, რომ ახლა შოუში ვარ. მართლაც, აბსოლუტურად გამორჩეულია ზოგიერთი მდარე ქართული კონკურსისგან. ეს არ არის თემო საჯაიას ან ნებისმიერი სხვა მომღერლის კონკურსი, აქ შენ ერთი კვირა უნდა იცხოვრო იმ ადამიანის ქცევებით, მანერებით და ასე შემდეგ; იმღერო არა ისე, როგორც თვითონ მღერი, არამედ ისე, როგორც ის იმღერებდა – სწორედ ამით არის ძალიან საინტერესო. გარდა ამისა, მომღერლისთვის მაცდუნებელია უცხოელი და ძალიან მაღალი დონის ვოკალისტი, ქორეოგრაფი, თვითონ გრიმიორები და GDS-ის არაჩვეულებრივი გარემო. ყველაფერი ეს ერთმანეთს დაემატა და ამიტომაც დავთანხმდი.

**– კონკურენცია ნელ-ნელა იმატებს. თუ იგრძნობა უკვე დაძაბულობა?**

– ასე ვერ ვიტყოდი. ჯანსაღი კონკურენცია მომღერლებს შორის არა მხოლოდ კონკურსში, ყველა მდგომარეობაში არსებობს. თუ ეგ არ არის, მაშინ, იქ შოუ-ბიზნესის ამბავი სწორად არ მიდის. აქ კონკურენცია არის მხოლოდ იმ კუთხით, რომ, გვინდა, ჩვენი ნომრები კარგი გამოვიდეს, თორემ, ის, რომ ჭიკარტს ვუდებდეთ ფეხსაცმელში ერთმანეთს და მჟავას ვუსხამდეთ ჩაიში, რა თქმა უნდა, არ ხდება.

**– პროექტის განმავლობაში, როგორც მომღერალმა, რამე ახალი თუ აღმოაჩინე საკუთარ თავში?**

– ჩემში არტისტის შესაძლებლობები აღმოვაჩინე. არ ვამბობ, რომ რაღაც გენიალური გავაკეთე, უბრალოდ, მაქვს ეს. ყოველთვის მუსიკას ვსწავლობდი, თუმცა, გარშემო ყველა მირჩევდა თეატრალურში ჩაბარებას. მაგრამ, მე მინდოდა კონსერვატორია, მუსიკა და, სულ ვამბობდი, მე არ ვარ არტისტი, მე ვარ მუსიკოსი-მეთქი. ამიტომ, ვსწავლობდი ფორტეპიანოს, მერე საკომპოზიციო ფაკულტეტზე. ამ პროექტში აღმოვაჩინე, რომ, თურმე, მსახიობის რაღაც მონაცემებიც მაქვს.



**როცა სტივ ტაილერს ასრულებს, ალბათ, სიცხე ჯანმრთელ ადამიანსაც აუწევს**

**– შესაბამისად, ხომ არ გადაწყვიტე, გარშემო მყოფების რჩევა გაითვალისწინო?**

– ისე, კინო მიყვარს ძალიან და, თუ რამე შემოთავაზება მექნება რეჟისორებისგან, დავთანხმდები. რა თქმა უნდა, როლსაც გააჩნია, მხოლოდ მაღალ მატერიებზე ვსაუბრობ ***(იცინის).***

**– შიდა სამზარეულო მაინტერესებს, როგორია პროექტის მეორე მხარე – დასვენება და გართობა?**

– რა თქმა უნდა, ეს ყველა კონკურსს ახლავს თან „ავთერ ფართების“ სახით. რეჟიმიდან გამომდინარე, ბევრგან ვერ დავდივართ, ძირითადად, ერთმანეთის სახლში თუ დავსხდებით და ძალიან ცოტა ალკოჰოლს დავლევთ, მაგრამ, ახლა ესეც აღარ შეიძლება ჩემთვის, ანტიბიოტიკებზე ვარ ***(იცინის).***

**– ბოლო ლაივის ლიდერი ხარ. როგორ ფიქრობ, ეს შენი მაქსიმუმი იყო თუ კიდევ ელის მაყურებელს შენგან სიურპრიზი?**

– თითოეული საკონკურსო დღე უფრო და უფრო რთულდება და საინტერესო ხდება. თუ იტყვი, რომ მაქსიმუმი გააკეთე, ეს მარტო კონკურსს არ ეხება, როგორც მუსიკოსი, „დამთავრდები” იმ მაქსიმუმზე. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია ***(იცინის).***

**– პროექტის გარდა, რა ხდება შენს შემოქმედებაში?**

– ძალიან საინტერესო ეტაპია. მეგობრებმა გაერთიანება გავაკეთეთ და საპროდიუსერო საქმიანობას ვიწყებთ. რამდენიმე პროექტი დავიწყეთ, თუმცა, ვერაფერს ვიტყვი, არ მომცეს უფლება ***(იცინის).*** გარდა ამისა, შევკრიბე ახალი ჯგუფი – „ფორსმაჟორი“, რომელიც იქნება ქართული, ცოცხალი, სოციალური პროექტებისთვის განკუთვნილი მუსკალური ჯგუფი. გადავიღეთ კლიპი, რომლის პრემიერისთვისაც ვემზადებით. ერთ-ერთ არხზე, საახალწლო გადაცემაში მოხდება ჩვენი პირველი წარდგენა მაყურებლის წინაშე. ახლა შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის ვამზადებთ რაღაცას.

**– როგორც ვიცი, შეყვარებული შენი დიდი გულშემატკივარია პროექტში...**

– რა თქმა უნდა. საერთოდ, ცხოვრებაშიც ასეა. სამი წელია, ერთად ვართ და ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი ფინიშზე გადის. უბრალოდ, ახლა ცივა და არ მიყვარს სიცივეში რაღაცეების აღნიშვნა, თვითონ სიცივე არ მიყვარს ***(იცინის).*** ნინი სამადაშვილი არის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ქალბატონი ნინო ანანიაშვილის დასის ბალერინა. 22 წლის არის და ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბალერინაა საქართველოში. ისეთი როლები აქვს შესრულებული, რომლებიც თითქმის არავის არ შეუსრულებია მის ასაკში. მაგალითად, „გედების ტბა“, „მაკნატუნა“ და სხვები. ახლა პორტუგალია-ესპანეთშია გასტროლებზე და იქიდან მგულშემატკივრობს.

**– როგორც მივხვდი, შენც დიდი გულშემატკივარი ხარ მისი შემოქმედების.**

– ბალეტის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. ახლა, დამიჯერე, ყველაზე მაგარი მცოდნე ვარ, ვისაც კი იცნობთ ***(იცინის)*** და ეს ნინის დამსახურებაა. ძალიან მაგარი ხელოვნებაა და, გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად არ არის გაპიარებული.

**– ერთგან აღნიშნე, რომ ძალიან ეჭვიანი ხარ. ნინიზე თუ ეჭვიანობ ხოლმე?**

– აქ არ იგულისხმება მაინცდამაინც გოგო. ზოგადად ეჭვიანი ვარ, ძმაკაცებთან, ძაღლთან მიმართებაშიც კი ***(იცინის).*** ეგოისტური მომენტია – სულ გინდა, რომ სადღაც, დინების ზემოთ იყო. ეს ახლა ხუმრობით, თორემ, არც ასე წყალწაღებული ვარ, როგორც ვამბობ. მაგრამ, ხომ იცი, ადამიანებს თავი უარესად უნდა მოაჩვენო, რათა ნაკლებად მოეწონო და შემდეგ იმედგაცრუება არ გამოიწვიო მათში. ჯობია, ცუდი წარმოდგენა ჰქონდეს და მერე დიდი დარტყმა გაუკეთო შენი კარგი ხასიათით ***(იცინის).*** ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ისე კი, ურთიერთობაში, როგორიც მე და ნინის გვაქვს, ეგ ეტაპი არ არის. ზოგადად, ეჭვიანობა არ მიყვარს, მე ვბრაზდები ხოლმე. თუმცა, მე და ნინის სხვანაირი ურთიერთობა გვაქვს. როცა ადამიანი შენი ნაწილია და შენ მისი, ეს უკვე სხვა რაღაც არის... გენიალური გამონათქვამია ქრისტიანობაში – „ერთ სულ და ერთ ხორც“. ასეთ დროს, მეორე ადამიანზეც ისევე აგებ პასუხს, როგორც საკუთარ თავზე.

**ქეთი კაპანაძე**

## ბრძნული აზრები

**შექსპირი**: ბედი სწორედ უნამუსო ქალია: ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია.

**შილერი**: უფრო ღირსეული იქნებოდი, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას ასე ხშირად რომ არ ახსენებდე.

**პომპადური**: კაცს თვითონ უნდა ჰქონდეს ღირსება, სხვისი ღირსება რომ აღიაროს.

**პითაგორა**: ერთი საათი, კარგ საქმეზე მოხმარებული, უფრო მეტი ღირს, ვიდრე მრავალი წლის უქმი განცხრომა.

**ლამეტი**: ცუდმედიდობა სხვის ქებას ეძიებს, ჭეშმარიტი სახელოვნება კი – ჩუმ მოწმობას სინდისისას.

**ლაროშფუკო**: ჭკუას უფრო დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის, ვიდრე ქონებას; სისულელეს უფრო მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე ბოროტმოქმედებას.

**ლინენდეიკი**: ნახევარსწავლულნი უფრო ბევრს გვავნებენ, ვიდრე მილიონი სულელი ერთად.

**ევრიპიდე**: ჭეშმარიტი ვაჟკაცობა – სიფრთხილეა.

**ეზოპე**: უნარი ნიჭი არ არის, ხოლო ნიჭი შემოქმედებას შორ მანძილზე ჩამორჩება.

**ედმონდი**: ისტორია ცივილიზაციისა რვა სიტყვით გამოითქმის: რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლია.

**დუსოლი**: თუ არ ძალმიძს მთელი ქვეყნის მბრძანებლობა, ჩემი საკუთარი თავის მბრძანებლობა მაინც უნდა შევძლო.

**ერეკლე მეორე**: სიფრთხილით სიფრთხილე ასწავლეთ თქვენს მორჩილთა კაცთა!

**სენეკა**: მოსავალი ცუდი მოსავლის შემდეგაც უნდა დაითესოს.

**პლუტარქე**: მე ისეთი მეგობარი არ მინდა, რომელიც ჩემთან ერთად იცვლის ფერს და ყოველ ჩემს თავის დაკანტურებასაც კი იმეორებს – ამ საქმეს ხომ ჩემი ჩრდილიც კარგად არსულებს.

**ჰორაციუსი**: თავდაჭერილი რისხვა – მცირეხნოვანი სიგიჟეა.

**მაქსველი**: გაუბედაობა ღირსებაა ულონობისა.

**პრუდონი**: ვინც თავს იწონებს რომელიმე საიდუმლოს ცოდნით, მას ამ საიდუმლოს ერთი ნახევარი უკვე ნათქვამი აქვს და მეორე ნახევრის თქმასაც არ დააყოვნებს.

**მონტენი**: შეუძლებელია სწორად აზროვნება იქ, სადაც მთელი ფიქრი ადამიანისა ლუკმაპურის მოპოვებას უნდება.

**ლემონტეი**: სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული.

**გოლდონი**: დიდსა თუ პატარაში, ამპარტავნება სულმდაბლობის ნიშანია.

**გოეთე**: ადამიანის თვისებაა, ჰკიცხოს ყოველივე ის, რისი უნარიც თვითონ არ აქვს.

**სმითი**: ქორწინება მაკრატელს ჰგავს, რომელიც ორივე მხარეს სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობს, მაგრამ, ჭკუას ასწავლის მას, ვინც მათ შორის ჩადგება.

## თუ გაქვთ იცნობთ

1. ინგლისელმა ინჟინრებმა სამზარეულოს ჩვეულებრივი ნივთის მოქმედების თითქმის კოპირებით შექმნეს ავტომობილის გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობა. **რა ნივთის „ასლია“ ავტომობილის სიგნალიზაცია?**

2. მეცხრამეტე საუკუნეში ავსტრალია ცხვრის ხორცის დიდი მწარმოებელი იყო. ქვეყანამ პრობლემები ხორცის რეგულარულ ექსპორტში ახალი გამოგონებით აიცილა თავიდან. **რა გამოიგონეს?**

3. ინგლისელებისა და ბურების ომმა მრავალი სიახლე მოიტანა, რომელთა შორის ერთ-ერთი, ძალიან მარტივი კონსტრუქციის, დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო სამხედრო ვითარებაში, არამედ, სოფლის მეურნეობასა და პენიტენციურ სისტემაში. **რა?**

4. ვინმე გვიდომ გამოიგონა შვიდი „მარცვალი.“ ეს არაჩვეულებრივი გამოგონება დღესაც გამოიყენება, მაგრამ, როგორც სასწავლო საგანი, საშინლად არ უყვართ ბავშვებს, რომელთა უმრავლესობას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ასწავლიან. **რა ეწოდება მას ახლა?**

5. ადრე ამ ქვის საბადოს ოქროსას ადარებდნენ. აი ისინიც: თურქული, ბელგიური, ლიდიური, არკანზასული ვაშიტა, ტურიუნგის ქვები და ასე შემდეგ. დღეს კი ასეთი ქვა, შესაძლებელია თქვენც კი გქონდეთ სამზარეულოში. **რა?**

6. 1829 წელს პეტერბურგელმა აკადემიკოსმა პაროტმა და მისმა თანაშემწემ, ფედოროვმა, თავიანთი მოქმედებით პირველებმა გააქარწყლეს ერთ-ერთი ძველი სომხური რწმენა და შემდეგ ეს არაერთხელ გაიმეორეს, რაშიც სამკერდე ნიშანსაც კი იმსახურებდნენ. **რა სწამდათ სომხებს?**

7. 1892 წელს ფრანგმა ქიმიკოსმა ანრი მეისონმა სინთეტიკურად შექმნა ერთ-ერთი ძვირფასი და მტკიცე ნივთიერება. რეალურად, ამ ნივთიერების ბუნებრივი სახეობისგან ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, მითში სწორედ მისგან იყო დამზადებული პრომეთეს ჯაჭვი. **რა ნივთიერებაა ეს?**

8. შეიძლება, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, ეს ტექნიკური სიახლე პარიზელმა მექანიკოსმა შევალიემ შექმნა და განკუთვნილი იყო პირველი კონსულისთვის – ნაპოლეონ ბონაპარტისთვის. ადრე მას მხოლოდ და მხოლოდ მეფეებისთვის ამზადებდნენ. ახლა კი ყველაზე ხშირად თვითმფრინავებში, მატარებლებში, გემებზე და ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში გამოიყენებენ. **რას?**

9. გერმანელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი ნერნსტი მიიჩნევდა, რომ, რადგან სხეულის გასათბობად ისინი საკვებს არ ხარჯავენ, მათი მოშენება მეურნეობის ყველაზე რენტაბელური დარგია. **რისი მოშენება?**

10. მის სახელოვან შვილს ნამდვილად ჰყავდა სახელოვანი მამა, თუმცა, მამამისი ამბობდა, რომ მისი მამა იყო მულატი, ბაბუა – შავკანიანი, წინაპარი კი – მაიმუნი. **დაასახელეთ ეს მწერალი.**

***პასუხები იხილეთ 73-ე გვერდზე***

## რეკორდები საგნების სამყაროში

* ყველაზე დიდი სიგარა, რომელიც ოდესმე დაუმზადებიათ, 5 მეტრზე მეტი სიგრძისაა და 262 კილოგრამს იწონის. მის დასამზადებლად დაიხარჯა თამბაქოს 3 330 ფოთოლი, ხოლო იმისთვის, რომ ის დაემზადებინათ, დასჭირდათ 243 საათი. ეს სიგარა დაამზადეს ნიდერლანდებში, 1983 წლის თებერვალში. გიგანტური სიგარა დემონსტრირებული იყო კამპენში – თამბაქოს მუზეუმში.

* სიგარეტების უმსხვილესი კოლექცია ეკუთვნის ამერიკელ ექიმს, რობერტ კაუფმანს (ნიუ-იორკი). მისი კოლექცია მოიცავს სხვადასხვა ხარისხის 8 ათას სიგარეტს, რომლებიც მსოფლიოს 172 ქვეყანაშია დამზადებული.

* სიგარეტის უძველესი კოლოფი დამზადებულია 1860 წელს და ინახება ერთ კერძო კოლექციონერთან. ამ კოლოფში 25 ფინური სიგარეტი იდებოდა და მას ერქვა „პეტიტ კანონი“. იქვე ინახება სხვა იშვიათი კოლოფიც – ლატვიური სიგარეტის კოლოფი, რომელიც 1901 წელსაა გამოშვებული რიგის 700 წლისთავის აღსანიშნავად. სიგარეტის კოლოფების ყველაზე დიდი კოლექცია ეკუთვნის ინგლისელ ვერნერ იანგს – მისი კოლექცია მოიცავს 150 ქვეყანაში გამოშვებულ 62 837 სიგარეტის კოლოფს.

* სტოკჰოლმის 1897 წლის გამოფენაზე დემონსტრირებული იქნა სანთელი, რომლის სიმაღლე 24 მეტრს, ხოლო დიამეტრი 2,5 მეტრს შეადგენდა. ყველაზე მაღალი თანამედროვე სანთელი დაამზადეს 1989 წლის ზაფხულში, ინგლისში და მისი სიმაღლე იყო 31 მეტრი.

* მსოფლიოში ყველაზე დიდი სავარძელი ეკუთვნოდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს, ჯორჯ ვაშინგტონს (პრეზიდენტის პოსტი მან 1789 წელს დაიკავა) – მისი სიმაღლე 16 მეტრზე მეტია. ამჟამად ეს სავარძელი ამერიკის დედაქალაქში ინახება და გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავების აღსანიშნავი ცერემონიალის ჩატარების დროს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. კb7-a6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– ეჰ, კაცებს თავში მხოლოდ ერთი რამ გიტრიალებთ – სექსი. ქალებს კი ყურადღება გვჭირდება...
– ყურადღება! ახლა იქნება სექსი...

***

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს.
– საიდან ველოსიპედი?
– გუშინ საღამოს, ვდგავარ უბანში, მოვიდა გოგო, გადმოხტა ველოსიპედიდან, გაიხადა ტანსაცმელი, დაყარა, დადგა შიშველი, ხელები გაშალა და მეუბნება:
– აბა, თუ მოგწონს, შენია...
– სწორად მოქცეულხარ, აბა, ქალის ტანსაცმელი რა ფეხებად გინდოდა.

***

პატრული აჩერებს მანქანას, ათვალიერებს სალონს, აღებს საბარგულს.
– ეს რა არის?
– ეს... გვამი...
– ვხედავ... სააფთიაქო ყუთი სად გაქვს?!




***

– დედი, ცოლი მოვიყვანე...
– ძალიან კარგი, შვილო, გამიხარდა...
– შავკანიანია...
– მერე რა, ჩვენ ხომ რასისტები არ ვართ...
– ოთხი შვილი ჰყავს...
– მე და მამაშენს გვიყვარს ბავშვები.
– იცი, ბინა არ გვაქვს, არ ვიცით, სად ვიცხოვროთ...
– აქ მოდით, მშვენივრად მოთავსდებით შენ, ცოლი და ბავშვები ჩვენს ერთოთახიან ბინაში, მამაშენი „სუშილკაში" გადაბარგდება...
– და შენ, დედი?
– მე რა... დავდებ ყურმილს და თოკს მოვძებნი, ჩამოვეკიდები.

***

– რატომ აგვიანებ ცოლის მოყვანას?
– რა ვიცი, ვინც სახლში მოვიყვანე, დედაჩემმა ყველა დაიწუნა.
– მაშინ, დედაშენს რომ ჰგავდეს, ისეთი მოიყვანე...
– მასე, მამაჩემმა დამიწყო გინება.

***

– მამა, მიშველე! ჩქარა! მომიტაცეს, ცოლად უნდა შეგირთოო, მანქანით მივყავარ...
– რა მანქანაა?
– „ბეემვე X6"...
– ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს, შვილო.

***

დღეში ერთი ჭიქა ღვინო სასარგებლოაო... დღეს მე ბევრ სასარგებლოს გავაკეთებ.

## ანეკდოტი ბიჭო ბერულავაშვილისთვის

მეგრელი იხრჩობა მდინარეში და მთელი ხმით, განწირულად ყვირის:
– მიშველეთ! მიშველეთ!



– გაიგონებს გურული, მივარდება ნაპირზე და დაუყვირებს მეგრელს:
– დაგეხმარები, ჩემო ძამია, როგორ არ დაგეხმარები, მარა, ცურვა მე არ ვიცი და ყვინთვა, და თუ გინდა, ე ხიდი რომ ჩანს, იქამდე ფეხით მიგაცილებ!

# ავადმყოფ ვახტანგ ნინუას „ყაჩაღი" მნახველები

ეზოდან მივდივარ მარჯანიშვილის თეატრის შესასვლელთან. ფანჯრიდან ეზოს გადმოსჩერებია ბატონი ვახტანგი და მეძახის:
– მოდი აქ შენ, მოდი!
– რა იყო, ბატონო ვახტანგ?
– რა იყო და რა ძმაკაცებიც გყავს, მოგიყვები. კინაღამ მომკლეს შენმა ძმაკაცებმა. ხალხი ხართ თქვენ?




– ბატონო ვახტანგ, ძმაკაცებს ჩემთვის არაფერი უთქვამთ!
– სირცხვილით როგორ გეტყოდნენ, ბიჭო, იმ საქციელს, რაც მათ ჩაიდინეს!
– ვისზეა ლაპარაკი?
– ვისზეა და, თენგიზ არჩვაძეზე და ზურაბ ლაფერაძეზე – შენი ძმაკაცები ხომ არიან? კარგ ბიჭებად რომ მოგაქვთ თავი, რას ჰგავხართ, თქვე უპატრონოებო?
ფანჯრიდან მსახიობებმა გადმოყვეს თავები, ეზოშიც მოგროვდა ნაწილი – ყველას ჭინკები დასთამაშებს სახეზე, უყურებენ სეირს. მე ძმაკაცებიანად მიწასთან მასწორებენ.
– რა იყო, რა ქნეს ასეთი?
– რა და, საავადმყოფოში მოვიდნენ სანახავად. საგანგებო ოთახში ვიწექი შლანგებზე მიერთებული. გვერდზე გადაბრუნება რა არის, ის არ შემიძლია, ვერ ვინძრევი! მერე შემოვიდნენ შენი ძმაკაცები. რა იქნებიან შენი ძმაკაცები? – მხეცები და ნადირები! კი არ მკითხეს, როგორა ხარო? გამარჯობაც არ უთქვამთ, სასმელს დაუწყეს ძებნა და ნახეს ორი ბოთლი ღვინო, წამლად მასმევდნენ კოვზით, მიხდებოდა. ნახეს ჭიქაც, დასხდნენ და დაიწყეს დალევა. ღვინო რომ მოამთავრეს, კარადაში შეძვრნენ, კიდევ დაიწყეს ძებნა. კონიაკი ნახეს, ისიც გამოიღეს და დაიწყეს სმა. მე ვწევარ გაჭიმული გაუნძრევლად. სადღეგრძელო მაინც მითხრან. არა, ვინ გელაპარაკება?! დაამთავრეს ეს კონიაკიც, მერე ერთი ერთი მხრიდან მოადგა ჩემს საწოლს, მეორე – მეორე მხრიდან და ლეიბქვეშ დაიწყეს ხელების ფათური – რაღაცას ეძებენ. მე ვფართხალებ ლოგინზე – მაგდებენ რა, ლოგინიდან.
– მიშველეთ! – ვყვირი, მაგრამ, არავინ ჩანს. ექიმმა შემოიხედა, ამათი სიფათები რომ დაინახა, გაიღიმა და უკან გაბრუნდა.
– რა გინდათ, რას ეძებთ?
მე არ მელაპარაკებიან, ერთმანეთს ელაპარაკებიან – ეს ისეთი ვინმეა, მნახველებისგან ფულიც ექნებაო. განწამაწიაში მყოფმა ძლივს გავაჩერე – მაქვს ფული, მოგცემთ, ოღონდ თავი დამანებეთ. მანდ არ არის, სადაც ეძებთ, აგერ არის, თავქვეშ, ასწიეთ ბალიში და დაინახავთ-მეთქი. ასწიეს ბალიში, თავი გადამაგდებინეს, ორმოცდაათი მანეთი ნახეს და წავიდნენ – კარგად იყავიო. ისიც არ უკითხავთ, როგორ მიდის მკურნალობა, როდის გამოხვალო – აპა, აპ, აპ, აპ, მსგავსი არაფერი! აი, შენი ძმაკაცები რა მნახველები არიან. თქვენ ხომ ადამიანები არა ხართ, თქვენ მხეცები და ნადირები ხართ!

*ზურაბ ქაფიანიძის მოგონებებიდან*

## ნაწყენი გალაკტიონი

მოსკოვში მყოფი გალაკტიონი რაღაცაზე გაბრაზდა და საზეიმო ვახშამზე არ დარჩა; ქუჩაში გავიდა, ტაქსი გააჩერა და სასტუმროსკენ გაემგზავრა. ნაწყენი გალაკტიონი მძღოლს ეკითხება:
– ნუ, კაკ ჟევიოშ, ბრატ?
– ნე ვაჟნო, დენეგ ნე ხვატაეტ, – პასუხობს მძღოლი.
– კაკ, დენეგ ნე ხვატაეტ, პიში სტიხი!
გაჯავრებულა ბებერი მძღოლი:
– ოტკუდა მაგუ ია სტიხი პისატ?
მაშინ გალაკტიონი ეუბნება:
– კაკ ეტო, ნე მოჟეტე? ჩიქოვანი მოჟეტ, კალაძე მოჟეტ, მამაშვილი მოჟეტ, ა ტი ნე მოჟეშ?!

**თვითნასწავლი მხატვარი ნანა მაჩაბელი, უკვე თორმეტი წელია, მოსკოვში, არბატზე ცხოვრობს და ამ ქვეყანაში მოღვაწეობს. მას, „კეთილ ფერიას" ეძახიან იმის გამო, რომ მის განუმეორებელ ფერებს ნახატებში უხილავ სამყაროში გადაჰყავს ადამიანი. უფოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის დასკვნაში კი ვკითხულობთ: „ნანა მაჩაბლის ნამუშევრები ბიოლოკაციის მეთოდით შემოწმდა და დადგინდა, რომ თითოეული ნახატი დიდი დადებითი ენერგეტიკის მატარებელია. მათ შეუძლიათ კეთილისმყოფელი გავლენა იქონიონ ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოენერგეტიკულ მდგომარეობაზე, ღვთითბოძებული მადლით შემოსონ ისინი." ასევე, იქვე ვკითხულობთ, რომ ქალბატონი ნანას ხელით შესრულებული ყველა ნახატი, აჯანსაღებს ადამიანის ენერგეტიკულ ველს.**

# რა იდუმალი ძალა გააჩნია ნანა მაჩაბლის ნახატებს და როგორ იკურნებიან მათი ენერგეტიკით ადამიანები

**ნანა მაჩაბელი**: 30 წლის ასაკში დავიწყე ხატვა, მანამდე ფუნჯიც კი არ ამიღია ხელში. ეკლესიაში ვიყავი, საღამოს კი ცუდ განწყობაზე გახლდით, ადრე დავიძინე და სიზმარში ულამაზესი ფერები და ამ ფერებით შეზავებული ხეები ვნახე. ხეები ლექსებივით იკითხებოდა ფერების საშუალებით. როცა გავიღვიძე, ძალიან მომინდა ხატვა. დაქალი მყავდა და იმას ვუთხარი, რა მემართება არ ვიცი, უბრალოდ, ძალიან მინდა რამე დავხატო, მაგრამ არასდროს არაფერი დამიხატავს და ეს როგორ მოვახერხო-მეთქი. მან კი მითხრა, დახატე რამე და კარგ განწყობაზე დადგებიო. მეც, უბრალოდ, დავუჯერე, თუმცა, ვფიქრობდი, არაფერი დამიხატავს და ახლა რა უნდა დავხატო-მეთქი. თუმცა, ავიღე თუ არა ფუნჯი ხელში, სიმშვიდე ვიგრძენი და, პირველი ჩემი ნახატი იყო ცისფერი მზე. როგორც შემდეგ სპეციალისტებმა მითხრეს, ეს ღვთაების სიმბოლოა. მერე ხეების ხატვა დავიწყე და მინდოდა, სულ ისინი მეხატა. თუმცა, დავხატავდი ხეს და მასში ადამიანს მოვიაზრებდი. საბავშვო აკვარელით ვქმნიდი ნახატებს და ამით ვიყავი გატაცებული. დღეში ორმოცი მინიატურაც კი დამიხატავს. ორი თვის დაწყებული მქონდა ხატვა, როცა ხელოვნების მუშაკთა სახლიდან დამირეკეს და მითხრეს, მოიტანეთ თქვენი ნახატები, გამოფენა-კონკურსია და იქნებ ბედი სცადოთო. ეს იყო, 1982 წელი. მეც, ვცადე ბედი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემმა ნახატმა პირველი ადგილი აიღო. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, თუმცა ის განცდა, ახლაც კარგად მახსოვს. ამ დღიდან დაიწყო ჩემი კარიერა. 1987 წელს „მერანის" საგამოფენო დარბაზშიც გამოიფინა ჩემი ნახატები. ეს იყო ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა. ამის შემდეგ მოსკოვში, მხატვართა კავშირშიც მიმიწვიეს გამოფენაზე და იქაც დიდი წარმატება მხვდა წილად. ახლა მოსკოვში ვცხოვრობ და ვმუშაობ.



**ჩემი ერთი ნახატი, ასი ათას დოლარადაც კი შეფასდა. თუმცა, ხუთი ათას ევროდაც გამიყიდია და ძალიან ბევრის ბინის კედელს ამშვენებენ ისინი**

**– როგორც მითხრეს, თქვენი ნახატები, ცნობილი ადამიანების, ოლიგარქების პირად კოლექციებში ინახება და საკმაოდ ძვირადაა შეფასებული. თუ საიდუმლო არ არის, რა თანხაზეა საუბარი?**

– საკმაოდ ბევრი ნახატი მაქვს გაყიდული და ისინი მართლაც ინახება ცნობილი ადამიანების თუ ოლიგარქთა პირად კოლექციებში. როგორც ისინი ამბობენ, ჩემს მხატვრობას ანალოგი არ აქვს, და ეს ახალი სიტყვაა ხელოვნებაში. ჩემი ერთი ნახატი, არ დაგიმალავთ და, ასი ათას დოლარადაც კი შეფასდა. თუმცა, ხუთი ათას ევროთაც გამიყიდია და ძალიან ბევრი ბინის კედლებს ამშვენებს. მაგრამ, ყველას არ შეუძლია ამხელა თანხის გადახდა, მე კი მინდა, ჩემი ბიოენეგეტიკული ნახატებით, ბევრ ადამიანს დავეხმარო. ამიტომ, გავაკეთე მათი ქსეროასლები და როცა უფოლოგმა ერეკლე შონიამ შეამოწმა ისინი სპეციალური ხელსაწყოთი, აღმოჩნდა, რომ ორიგინალების ანალოგიურ ენერგეტიკას ფლობენ. ამიტომ, იგივე ენერგეტიკული ზემოქმედების უნარი გააჩნიათ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

**– უფოლოგმა ბატონმა თალეს შონიამ წლების წინ, როცა თქვენი ნახატები ნახა, თქვა, ისინი ბიოენერგეტიკული თვალსაზრისით შეუფასებელიაო. მართლაც ასე იყო?**

– დიახ, ერთ დღეს, ბატონი თალეს შონია მოვიდა ჩემთან და ნახა ჩემი ნახატები. ძალიან მოეწონა და თქვა: ამ ნახატებს უდიდესი ენერგეტიკული ძალა აქვთ, რასაც შეუძლია ადამიანს უარყოფითი ენერგეტიკა ააცილოს თავიდან, დადებითად დამუხტოს და ნებისმიერი დაავადებისგან განკურნოსო. სწორედ მან მომიყვანა სახლში ცნობილი გერმანელი, რუსი და ქართველი უფოლოგ-მეცნიერები, რომლებმაც სპეციალური ხელსაწყოებით დაიწყეს ჩემი თითოეული ნახატის შესწავლა. გაოცდნენ და ერთხმად აღიარეს, რომ მათ, მართლაც ჰქონდათ უდიდესი ენერგეტიკა, ბიოდენი, რომლის გამოყენებაც ადამიანების სასიკეთოდ და განსაკურნებლად შეიძლება. ვამბობ ხოლმე, რომ ჩემი ნახატები, ჩემი შვილებია. როგორც ორსული ქალი ატარებს ნაყოფს ცხრა თვე მუცლით, ისე ვატარებ მე ჩემს მუზას. მერე იწყება მშობიარობა და ქალები აჩენენ ახალ სიცოცხლეს, მე კი ახალ ნახატს ვქმნი *(იცინის).*

**– ასეთი, რამდენი „შვილი" გყავთ „გაჩენილი"?**

_ სამწუხაროდ, პირადი ცხოვრება ტრაგიკული მქონდა, შვილები არ მყავს. მაგრამ, ნახატების სახით უამრავი შვილი შემეძინა. 1989 წელს, ფრანგი ექსპერტები ერთი თვის განმავლობაში სწავლობდნენ ჩემს ნამუშევრებს და ასეთი დასკვნა დადეს: „ეს ახალი სიტყვაა ხელოვნებაში, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს." ჩემი შემოქმედების პირველ ნაწილს სიმბოლურად ერქვა „ხეები ზეზეურად კვდებიან", მეორე ნაწილს კი – „სასუფეველი ღვთისა ჩვენშია." აქვე, იმასაც გეტყვით, რომ მე არ ვიცი რას ვხატავ, ეს გაუცნობიერებლად ხდება. თუმცა, მოწმე ვარ იმ საოცრების, რასაც ჩემი ნახატებით ადამიანები იღებენ. მაგალითად, უამრავი ადამიანი საშინელი სენისგან განიკურნა, უშვილო წყვილმა იყიდა ჩემი ნახატი, დაკიდა კედელზე და სამ თვეში სასიხარულო ამბავი შეიტყვეს – ისინი მემკვიდრეს ელოდებოდნენ. დღემდე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, თუმცა, ამაში რომ ღვთის მადლი და ხელი ურევია, ეს ნამდვილად ვიცი და დარწმუნებული ვარ. ვფიქრობ, როცა ხატვას ვიწყებ, უმაღლესი ძალები ამოძრავებენ ჩემს ხელს. სხვათა შორის, ჩემს ნახატებს მომავლის მხატვრობა უწოდეს, მისი დახამრებით ბევრი ადამიანი გახდა ბედნიერი, ჯანმრთელი, შეეძინა შვილი და ეს ძალიან მახარებს. მიხარია, რომ ჩემს ნახატებს „მკურნალ ხელოვნებად" მოიაზრებენ მსოფლიო უფოლოგმეცნიერები და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს. ჩემი ყოველი ნახატი დედანია, რადგან არ მეორდება, სულიერი და სამკურნალო თვისება აქვს და ამით უნიკალურია. იყო შემთხვევა, როცა ჩემი ნახატი ჭრილობაზე დაადეს რეანიმაციაში მყოფ ავადმყოფს, რომელსაც სეფსისი ეწყებოდა. ნახევარ საათში სისხლდენა შეჩერდა. დღეს ის ცოცხალია და სრულიად ჯანმრთელი. ამბობენ, ჩემს ფერებს, რომელიც ფურცელზე გადამაქვს, უხილავ სამყაროსთან აქვს კავშირიო და ეს ასეცაა. ჩემი თითოეული ნახატი, იგივე ადამიანის ემოციური სამყაროა, რომელიც მიყვარს, ვუფრთხილდები. ვცდილობ, ყველა სულიერს სიმშვიდე, ბედნიერება და კეთილდღეობა მივანიჭო.

**– ქალბატონო ნანა, უცხოეთიდან არ მიგიღიათ მიწვევა?**

– როგორ არა, უარმავი შემოთავაზება მქონდა უცხოეთიდან, თუმცა, მე მაინც რუსეთი ვამჯობინე. სხვათა შორის, პიერ კარდენისგან მხატვარ-სტილისტის შემოთავაზებაც მივიღე. თუმცა, მეგობარი – ია, რომელთანაც ერთად უნდა წავსულიყავი იქ, სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით. დიდი სტრესი მივიღე მისი დაკარგვით და მის გარეშე, აღარ წავედი.

**– ქალბატონო ნანა, სასულიერო პირები თუ დაინტერესდნენ თქვენი შემოქმედებით და ისინი როგორ აფასებენ ამას?**

– არასდროს დამავიწყდება დღე, როცა ილია მეორემ მიმიღო. საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, ილია მეორე შემხვდა, ჩემი ნახატები ნახა და დამლოცა. მას, ჩემი დახატული საქართველოს დროშა ვაჩუქე და კედელზე დაკიდა. სწორედ მაშინ შემომთავაზა უწმიდესმა, ქართული სახარების თავსართის და ბოლოსართის მოხატვა. ის ხბოს ტყავზე



იწერებოდა და რუსუდან ფეტვიაშვილი ხატავდა. კი ვუთხარი, რომ ვერ შევძლო-მეთქი, მაგრამ მომეფერა და მითხრა: არ ინერვიულო, დაწყნარდი, შენ ამას შეძლებო. მადლობა ღმერთს, უმაღლესი ძალებისა და უწმიდესის დახმარებით, ეს შევძელი. როცა ვმუშაობდი, ვგრძნობდი, რომ ანგელოზებიც მეხმარებოდნენ, რადგან ცხრა საათი შეუსვენებლად ვხატე და დავასრულე ხატვა. ბავშვობაში, სულ მინდოდა, ვყოფილიყავი ფერია, მქონოდა ჯადოსნური ჯოხი, რომლითაც ადამიანებს შევეხებოდი და გავაბედნიერებდი. ეს ოცნება დღემდე მაქვს და შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, ჩემი ნახატების ჯადოსნური ენერგეტიკით, ყველა ადამიანი ბედნიერი გავხადო.

**ნონა დათეშიძე**

**გასულ კვირას მომღერალმა ანრი ჯოხაძემ კიდევ ერთი ახალი კლიპი წარუდგინა საზოგადოებას, სადაც მთავარ გმირს მისი ეგრეთ წოდებული „მეგობარი" გოგო მეზობელი სომხეთიდან, ცნობილი მომღერალი ევა რივასი განასახიერებს. ის სპეციალურად ამ კლიპში გადასაღებად ორი დღით ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ, თითქმის ერთი კვირა დარჩა.**

# ვისთან ერთად გადაეშვა რომანტიკაში ანრი ჯოხაძე ქალაქგარეთ სასტუმროში

**– ანრი, გილოცავ ახალი კლიპის პრემიერას! სიმართლე გითხრა, გამიკვირდა, ამ მოკლე პერიოდში მეორე კლიპი რომ გადაიღე, მაშინ, როცა წინა ჯერ არ გვინახავს.**

**ანრი:** სანამ წინა კლიპი დამზადდა, ახალი წელი მოგვადგა კარს და გაზაფხულამდე თაროზე შემოვდე, ამიტომ, გადავწყვიტე, საახალწლო თემატიკაზე ჩამეწერა რამე თბილი სიმღერა. კლიპის სიუჟეტის მუზად ევა მექცა, რომელიც დაუფიქრებლად დათანხმდა სცენარში ჩვენი ურთიერთობის ამგვარ ფორმულირებას.

**– რეალურ ცხოვრებაშიც ხომ არ მოხდა თქვენი დაშორება-შერიგება და ეს ხომ არ გახდა ინსპირაციის წყარო?**

– დაშორება-შერიგება მეგობრებს შორისაც ხშირად ხდება – ეს სიყვარულის თანმდევი პროცესია, მაგრამ, კლიპის სიუჟეტს ჩვენს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი არ აქვს.

**– ყოველთვის გახასიათებს საკითხების მიმართ შენი დამოკიდებულებების ასახვა კლიპში და, ამიტომაც, მრჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ისეთ ურთიერთობას ისურვებდი ევასთან, როგორიც ვიდეოში გაქვს ნაჩვენები.**

– ევასთან რომანტიკულ ურთიერთობასა და თანაცხოვრებას, ალბათ, ყველა ისურვებდა და მათ შორის არც მე ვარ გამონაკლისი; ან, იმაზე ვინ არ ოცნებობს, გარეთ თოვდეს, ბარდნიდეს და ბუხრის წინ, იატაკზე ღვინოს სვამდე საყვარელ ადამიანთან ერთად?!

**– რომანტიულ განწყობაზე მეჩვენები...**

– უფრო წინასაახალწლო განწყობა მაქვს და განცდა იმისა, რომ ახალ წელს ახალ მწვერვალებს დავიპყრობ.

**– ევა, შენ როგორი განწყობა გაქვს?**

**ევა:** შესანიშნავი. თითქმის ერთი კვირაა, ანრისთან ვარ სახლში და ძალიან მანებივრებენ მისი ოჯახის წევრები და მეგობრები. ვფიქრობ, ცოტა ხანს კიდევ ხომ არ დავრჩე, მაგრამ, ერევანში ბევრი საქმე მაქვს და დიდი ხნით ვერ მივატოვებ, თორემ, სიამოვნებით შევხვდებოდი ახალ წელს თბილისში.

**ევა: „თითქმის ერთი კვირაა ანრისთან ვარ სახლში და ძალიან მანებივრებენ მისი ოჯახის წევრები და მეგობრები. ვფიქრობ, ცოტა ხანს კიდევ ხომ არ დავრჩე"**



**– შესანიშნავი წყვილი ხართ, თქვენს ქვეყნებში ორივე ძალიან პოპულარული და წარმატებული ადამიანები და, იქნებ, დუეტი ჩაგეწერათ, რომ უფრო ხშირი ურთიერთობის საბაბი გქონდეთ?**

– ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას საბაბი არ სჭირდება, მაგრამ, ანრის დედა, ქალბატონი რუსიკო გვიწერს სიმღერას, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან ლამაზი გამოვა, ყოველ შემთხვევაში, მონახაზი, რაც მოვისმინე, სომხეთსა და საქართველოში ერთნაირად პოპულარული გახდება.



**ევა: „ჩვენს ურთიერთობას საბაბი არ სჭირდება"**

**– თქვენს პირველ სატელევიზიო კოცნაზე ჩვენთან დღემდე ლაპარაკობენ და ყველა დაინტერესდა, ვინ არის ევა რივასი.**

– ამაზე ერევანშიც დღემდე ლაპარაკობენ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც შეყვარებულს დავშორდი, მაგრამ, დიდი ხანია, ჭორებზე საერთოდ არ ვრეაგირებ, უბრალოდ, მშვიდად ვკითხულობ და ზოგჯერ მეღიმება კიდეც.

**– ანრი, კლიპი სად გადაიღეთ?**

**ანრი:** გადაღების თემა ძალიან კურიოზული იყო. მინდოდა, ბაკურიანში გადამეღო, მაგრამ თოვლი არ მოვიდა. მერე გუდაურში გადავწყვიტე და არც იქ მაღირსა ბუნებამ თოვლი; ამიტომ, მთელი გადამღები ჯგუფი ვისხედით და ველოდებოდით ზარს – ვინ საიდან დარეკავდა და გვეტყოდა, თოვლი მოვიდაო. ბოლოს მაინც ბაკურიანი გადავწყვიტე – გარდა იმისა, რომ ნაცნობი ადგილებია გადასაღებად, იქ არის ულამაზესი სასტუმრო „ნოელი", სადაც გასულ წელს მომიწია ყოფნა და იქიდან მახსოვდა ის ინტერიერი, რომელიც კლიპში მჭირდებოდა. მერე ნაძვის ხე ამოგვიყირავდა, დავამტვრიეთ ჭალი, თავზე დაგვეყარა ყველაფერი და, არ დაგავიწყდეს, ეს ყველაფერი დილის 5 საათზე ხდებოდა. ამიტომ, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნანას, რომელმაც ორი დღე და ღამე გაგვიძლო და აგვიტანა.

**– ის ყველაფერი, რაც კლიპშია, ერთ სასტუმროში ხდებოდა თუ სხვადასხვა ლოკაციები გქონდათ?**

– მხოლოდ როიალისა და შეხვედრის სცენა გადავიღეთ გარეთ, დანარჩენი ყველაფერი ამ ერთ სასტუმროში ხდებოდა. ამიტომაც ვარ აღფრთოვანებული, რომ, იშვიათად თუ ნახავთ ასეთ პატარა სასტუმროში ყველაფრისთვის იდეალურ და კომფორტულ პირობებს. რომ არა ბატონი რომან ფიფიას ფინანსური მხარდაჭერა და სასტუმრო „ნოელის" გვერდში დგომა, ასეთი ლამაზი კლიპი ვერ ან საერთოდ არ გამოვიდოდა.

**– მიხარია, რომ, მართალია, ერთეულები, მაგრამ, მაინც დარჩნენ ადამიანები, ვინც კიდევ რაღაცით ეხმარებიან ხელოვანებს.**

– ამაში, ასევე, დიდი წვლილი მიგიძღვით თქვენ, ჟურნალისტებს, რომლებიც ყოველთვის გვაძლევთ საშუალებას, მადლობა გადავუხადოთ ამა თუ იმ სპონსორს, რაც მათთვისაც ერთგვარი წახალისებაა.

**– ევა, თქვენთან როგორ არის შოუ-ბიზნესი განვითარებული?**

**ევა:** ჩვენთანაც იდენტური სიტუაციაა. იმის გამო, რომ ჩვენ პატარა ქვეყნები ვართ და არ გვაქვს ბაზარი, რთულია, შოუთი აკეთო ბიზნესი, მაგრამ, საბედნიეროდ, სომეხი ბიზნესმენები აქტიურად გვიდგანან მხარში. სხვათა შორის, არაბულ მუსიკალურ არხებზე რომ გადართოთ, ყველა კლიპს ბოლოში ტიტრები აქვს, სადაც სპონსორების ჩამონათვალია და, კარგი იქნება, თუ ამას ჩვენს ქვეყნებშიც დავნერგავთ, რომ კლიპის დასპონსორების უფრო მეტი ინტერესი ჰქონდეს ბიზნესმენს.

**– თქვენთანაც არიან ხელისუფლების ფავორიტი მომღერლები და სომხურ შოუ-ბიზნესზეც აისახება პოლიტიკური მოვლენები?**

– ეს, მგონი, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის პრობლემაა და ამაში არც ჩემი და არც თქვენი ქვეყანა არ არის გამონაკლისი, თუმცა, მე ეს ყველაზე ნაკლებად მაღელვებს.

**– ანრი, რასთან ასოცირდება შენთვის ახალი წელი?**

**ანრი:** ახლის იმედთან, ბედნიერებასთან და, რა ვიცი, ყველაფერ ლამაზთან. ამ დროს ყველაზე მაგარ განწყობაზე ვარ ხოლმე და, როცა კარგ ხასიათზე ვარ, ჩემ გარშემო მყოფებსაც ზეიმს ვუწყობ, მაგრამ, ამ ბოლო დროს როდის ვიყავი ცუდ განწყობაზე, აღარც მახსოვს, ამიტომ, ყოველი დღე ზეიმია.

**– ყველაზე მეტად რა გახარებდა ხოლმე ახალი წლის დღეებში?**

– შოპინგი, შოპინგი და კიდევ შოპინგი... ვგიჟდებოდი, როცა მთელი ოჯახი მივდიოდით საყიდლებზე, არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას ვყიდულობდით, ოღონდ კი გვეყიდა. მინდოდა ყველაფერი და მიყვარდა ყველა. ალბათ, ხალხის ფუსფუსი მომწონდა, ქაოსური სიტუაცია, ყველა რომ რაღაცისთვის ემზადებოდა და იყო ერთი ამბავი. არც წელს დავარღვევ ტრადიციას და დიდ შოპინგს მოვაწყობ ქალაქის მასშტაბით, იქნება ეს ბაზრობები, მაღაზიები თუ სავაჭრო ცენტრები.

**ბესო მახარაშვილი**


საახალწლო აქცია!
ბილაინი®
დიდი ფასდაკლება სმარტფონებზე!
2015
0% განვადება
პირველადი შენატანის გარეშე
+ ბონუსები!
• 50 წუთი ქსელის შიგნით
• 500 SMS
• 500 მბ ინტერნეტი
11 01 01
www.beeline.ge